1994

# ႠႰႲႠႬႳႿႨ

ეროვნული ბიბლიოთეკა

:ქართველთა: ისტორიისა:

სამეცნიერო-პოპულარული: ჟურნალი:



2-3

# [illegible]

Ⴑⴀⴕⴀⴐⴇⴅⴄⴊⴍⴑ ⴈⴑⴒⴍⴐⴈⴈⴑⴀ
ⴑⴀⴋⴄⴚⴌⴈⴄⴐⴍ-ⴑⴀⴆⴍⴂⴀⴃⴍⴄⴁⴐⴈⴅⴈ
ⴏⴓⴐⴌⴀⴊⴈ

გსურს გაიგო „ვინა ხარ“, უნდა შეიგნო „ვინ იყავ“; გინდა იქცე „რამედ“, უნდა შეიტყო „რა განვლე“; „საითკენ?“ – მიზანმხვედრია მაშინ, თუ ესეც იცი: „საიდან?“ ისტორია არის არა მარტო ხსოვა წარსულისა – იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა.

ႢႰႨႢႭႪ ႰႭႡႠႵႨႻႤ

[illegible]


დასაბამიდან ႤႴႯႡ
ქორონიკონი ႰႬ
ქრისტეს შობიდან ႹႸႯႣ

1994

ႧႡႨႪႨႱႨ

ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

# არტანუჯი

1994 2-3

დამოუკიდებელი ერთი პირის საწარმო
„არტანუჯი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერი ეძღვნება
1924 წლის აჯანყების
70 წლისთავს

რედაქტორ-გამომცემელი

ბუბა კუდავა

რედაქტორის მოადგილე

ვასილ შალამბერიძე

სარედაქციო ჯგუფი

გიორგი კალანდია
ბონდო კუპატაძე
ნინო მიწიშვილი
ნიკო ჯავახიშვილი

მხატვარი

თამაზ ზარიფაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნინო ყაველაშვილი
ნინო ციცქიშვილი
ლელა ბოჭორიშვილი

© არტანუჯი

✉ 380062 თბილისი, ზაგები, კორპ. 2, ბინა 39. ☎ 29-31-33, 29-09-56.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ 1993წ. 14 დეკემბერს, № 1279.

2–3. 1994

# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა


| | | |
|---|---|---|
| | 5 | წინათქმა |
| | 6 | „არტანუჯის" პრეზენტაცია (რეპორტაჟი) |
| ბასილ შალამბერიძე | 9 | 1924 წლის აჯანყება |
| | 15 | ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში (ინტერვიუ გია გოდერძიშვილთან) |
| | | *საქართველოს ისტორია* |
| თედო დუნდუა | 25 | კიდევ ერთი ბარბაროსული მინაბაძი კოლხეთიდან |
| ნინო მიწიშვილი | 27 | არმენიის საკითხი რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში და იბერია |
| შალვა გლოველი | 31 | ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების ისტორიიდან |
| ბუბა კუდავა | 35 | იოანე ჭყონდიდელი (XI საუკუნის ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიისათვის) |
| გიორგი კალანდია | 41 | ცაიშელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი |
| ჯაბა სამუშია | 45 | თამარ მეფის საქმროს ალექსი კომნენოსის ვინაობის საკითხისათვის |
| მაია პატარიძე | 49 | კიდევ ერთხელ კირმანეული თეთრის შესახებ |
| ბონდო კუპატაძე | 53 | 1912 წლის რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები და ნაციონალური საკითხი საქართველოში |
| ნიკო ჯავახიშვილი | 57 | მასალები ქართული ბონისტიკის ისტორიისათვის (ნაწილი პირველი) |
| | | *მსოფლიო ისტორია* |
| მერაბ კალანდაძე | 65 | შილერი და ნაპოლეონი |
| | | *რეზიუმე* |
| | 69 | Summaries |
| | | *შალვა მაღლაკელიძე – 100* |
| | 73 | შალვა მაღლაკელიძე (მოკლე ბიოგრაფია) |
| | 75 | ინტერვიუ ქ-ნ თამარ მაღლაკელიძესთან |
| | | *გურამ რჩეულიშვილი – 60* |
| ერლომ ახვლედიანი | 79 | როგორ ვერ გავხდით ისტორიკოსები |
| თეიმურაზ ბერიძე | 80 | გურამი თბილისში აღარ დაბრუნებულა... |

### სარწმუნოება

ანდრო ბიწაძე — 85 — დედა ფამარი

მერაბ კოსტავა — 97 — მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში

### პუბლიცისტიკა

გრიგოლ რობაქიძე — 103 — გიორგი შარვაშიძე: ევგენი გეგეჭკორი

კონსტანტინე გამსახურდია — 109 — ქართული უნივერსიტეტისათვის

გრიგოლ ზარქუა — 111 — გრიგოლ ლორთქიფანიძე (შტრიხები ისტორიული პორტრეტისათვის)

### გახსენება

ნათია ნადირაძე — 117 — მამაჩემი — ჯურხა ნადირაძე

### ინფორმაცია

121 — 1993 წელს დაცული დისერტაციები (ხელოვნებათმცოდნეობა)

125 — ქრონიკა

129 — ახალი წიგნები

### სახალისო ისტორია

133 — ისტორია „რეკორდებში" (მონარქია)

136 — კროსვორდი

140 — იუმორი

142 — მეგობრული შარჟები


ეროვნული ბიბლიოთეკა

„არტანუჯის" ამ ნომერს
ფინანსურად დაეხმარნენ
თსუ ქართული კულტურის ისტორიის
კათედრის დოცენტი
**ტარიელ გვალია,**

**ქართველ ტრადიციონალისტთა
კავშირი**

და

ჩვენი მეგობარი
**ლევან ბარათაშვილი,**

*რისთვისაც მათ
უღრმეს მადლობას
მოვახსენებთ.*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენს დროში ძნელია მკაცრად დაიცვა
ჟურნალის პერიოდულობა.
„არტანუჯის" დაარსებისას მისი პერიოდულობა
პირობითად განვსაზღვრეთ.
პირველი ნომერი 1994 წლის ზაფხულში გამოვიდა.
შემდეგი გამოცემა დაგვიანდა ობიექტური
მიზეზების გამო.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ჟურნალ „არტანუჯის"
გაერთიანებულ ნომერს (II – III).




ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ მივიჩნიეთ, რომ „არტანუჯის" პრეზენტაცია აუცილებლად უნდა შემდგარიყო. მართლაც, „არტანუჯი" ოფიციალურად წარდგა საზოგადოების წინაშე. მაგრამ თურმე ძნელი ყოფილა ჩვენი ასაკის სტუდენტებისათვის გულგრილად მოვესმინა ის „ზღვა" ქება-დიდების სიტყვები, რომლითაც ასე უშურველად გვასაჩუქრებდნენ ჩვენი მასწავლებლები, ღვაწლმოსილი მეცნიერები.

პრეზენტაციის შემდეგ ერთი საშიშროება ვიგრძენით: ჟურნალისადმი ასე გულთბილი და შეიძლება ითქვას, უკრიტიკო დამოკიდებულებას მომავალი ნომრების ხარისხზე უარყოფითად არ ემოქმედა. ამგვარი რამ ხშირად მოსვლია ქებით გათამამებულ ახალგაზრდობას.

გარკვეული დრო დაგვჭირდა, რათა პრეზენტაციაზე მიღებული „კმაყოფილების კრიზისი" ჟურნალის სასიკეთოდ მიგვემართა. კარგად გვესმოდა, რომ ის დადებითი ემოცია, რითაც იმ დღეს დავიმუხტეთ, მხოლოდ და მხოლოდ სტიმული უნდა გამხდარიყო ჩვენთვის და არა დამაბრკოლებელი ფაქტორი. რამდენად შევძელით ამის გაკეთება, ეს უკვე მკითხველმა განსაჯოს...

გთავაზობთ პრეზენტაციის მოკლე რეპორტაჟს.

1994 წლის 28 ივნისი. სამშაბათი. 12 საათი... ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზი... საზოგადოების წინაშე წარდგა ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „არტანუჯი“.

შეკრება გახსნა და პრეზენტაციას უძღვებოდა „არტანუჯის“ სარედაქციო ჯგუფის წევრი, თსუ ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი გიორგი კალანდია. მან დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ახალი ჟურნალის დაბადება და გამოთქვა იმედი, რომ ამ წამოწყებას გულთბილად შეხვდება ერის ბედ-იღბლით დაინტერესებული ყოველი ქართველი. ამის საწინდარია, – თქვა მან, – ეს სავსე დარბაზი, სადაც უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად მრავლად არის უფროსი თაობა – ჩვენი მასწავლებლები, სტუმრები...

შემდეგ საზოგადოებას მიმართა „არტანუჯის“ რედაქტორ-გამომცემელმა, თსუ ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ბუბა კუდავამ. მან მადლობა მოახსენა ყველა იმ პირს, ვინც დახმარება გაუწია ჟურნალს მასალის მომზადებისა თუ გამოცემის პროცესში. მადლობათა ჩამონათვალში საგანგებოდ გამოჰყო ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, რომელმაც უანგარო ფინანსური დახმარება აღმოუჩინა ჟურნალ „არტანუჯს“.

„ვისარგებლობ შემთხვევით და მოვუწოდებ ახალგაზრდა ისტორიკოსებს (სტუდენტებს, ასპირანტებს, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებს) ითანამშრომლონ ჩვენს ჟურნალთან, ღვაწლმოსილ მეცნიერებს კი გონივრული არ მოგვაკლონ კრიტიკული მოსაზრებები, შენიშვნები, მითითებები, გაგვიზიარონ თქვენი გამოცდილება, რათა ღირსეულად ვატაროთ ის მძიმე ჯვარი, რომელიც მემკვიდრეობით თქვენგან გადმოგვეცა“ – თქვა მან. დასასრულ, მოკლედ ისაუბრა ჟურნალის სიმბოლიკაზე (სახელწოდება „არტანუჯი“ და ემბლემა – ბოლნური ჯვარი).

ჟურნალის მომავალ გეგმებსა და ამოცანებზე ისაუბრა რედაქტორის მოადგილემ, თსუ ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა ვასილ მაღლაფერიძემ. აი, რამოდენიმე ადგილი მისი გამოსვლიდან:

„...დღეისათვის საკმაოდ მომრავლდა რელიგიური სექტები. შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავიანთი საქმიანობით ძირს უთხრიან ქართულ სახელმწიფოებრიობას, ჩვენს ტრადიციებს, ხელს უწყობენ ერის გახლეჩასა და ზნეობრივ დეგრადირებას. ამიტომ ჟურნალის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა იყოს ის, რომ ხელი მოვუმართოთ ჩვენი საზოგადოების წვდომას მართლმადიდებლობის არსში, წარმოვაჩინოთ მისი ჭეშმარიტი ისტორია, რაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის სწორ სარწმუნოებრივ ორიენტაციას.“



ფოტო რობერტ კონცევისა

საქართველოს
ბიბლიოთეკა

„...როგორც საქართველოს ისტორიის პრობლემებს იკვლევენ, ორი უკიდურესობა შეიმჩნევა. პირველი: პროფესიონალი ისტორიკოსი საკითხის განხილვისას არ ითვალისწინებს სარწმუნოებრივ მომენტს და ამით ჭეშმარიტებას ნახევრად ეძიებს. მეორე უკიდურესობას ქმნის ღრმად მორწმუნე, მაგრამ დილეტანტი ისტორიკოსი. საჭიროა მათი შერიგება შეუძლებელი. ვეცდებით, „არტანუჯში“ თანდათან დავამკვიდროთ „მორწმუნე ისტორიკოსის“ თვალთახედვის ტრადიცია. პასუხი უნდა გავცეთ ჩვენი ისტორიოგრაფიის აქტუალურ მრავალ საჭირბოროტო საკითხს, რომელთა ახსნაც მატერიალისტური მსოფლმხედველობით, ვფიქრობთ, შეუძლებელია.“

ბიბლიოთეკა

პროფ. თეიმურაზ ბოცვაძე (შეკითხვა დარბაზიდან):

— თუ აისახება თქვენს ჟურნალში თანამედროვე ისტორიკოსის პოზიცია თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების მიმართ?

ბუბა კუდავა:

— ჩვენ ვთვლით, რომ ისტორია, ჩვენს მიერ, სტუდენტების მიერ, ამჟამად საქართველოში მიმდინარე პროცესებზე დაწერილი, არამცთუ ვერ იქნება ობიექტური, პირიქით, ძალიან შორს იქნება ჭეშმარიტებისაგან, ამიტომ ასეთ საკითხებზე ჩვენ თავს შევიკავებთ, ეს მომავლის საქმეა...

არტანუჯელებს ჟურნალის დაარსება მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს: თსუ რექტორმა აკად. როინ მეტრეველმა, სახელმწიფო მუზეუმის მოძღვარმა, კრიტიკოსმა კობა იმედაშვილმა (მან წაიკითხა სახელმწიფო მუზეუმის მოძღვრის წერილი), თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ აკად. მარიამ ლორთქიფანიძემ, პროფ. ილია ტაბაღუამ, პროფ. გურამ მარაძემ, პროფ. შოთა ბადრიძემ, თსუ ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა პროფ. კარლო მეშველიანმა, თსუ პრორექტორმა პროფ. რისმაგ გორდეზიანმა, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა პროფ. ნოდარ ლომოურმა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომელმა გია გოცირიძემ (მან ისაუბრა ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო ექსპედიციის შესახებ, რომლის [illegible]), პროფ. იური სიხარულიძემ, არქეოლოგიური ცენტრის დირექტორმა პროფ. ოთარ ლორთქიფანიძემ, თსუ სოხუმის ფილიალის რექტორმა პროფ. ოთარ ჟორდანიამ, დოც. ტარიელ გვალიამ, თსუ ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა მარიამ თოიძემ, მწყრალმა, პროფ. რევაზ მიშველაძემ, ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორმა ჯანსუღ გურგენიძემ, დოც. მერაბ კალანდაძემ.

გამომსვლელთა მისალმებებში, ცხადია, სურვილებთან ერთად სიტყვები, მოლოცვები - იყო მითითებებიც. მაგალითად, პროფ. ილია ტაბაღუას აზრით, „კარგი იქნებოდა, თუ მომავალში ჟურნალში დაიბეჭდება სამეცნიერო ხასიათის რამე ქრონიკა ან მოკლე ანოტაციები გამოკვლევებისა რომელიმე უცხო ენაზე.“ პროფ. ოთარ ჟორდანიამ კი განაცხადა, რომ „ჟურნალი უდავოდ მოიგებს, თუ რეგულარულად რამდენიმე გვერდს დაუთმობს აფხაზეთის ისტორიის პრობლემებს.“

გამომსვლელებმა მოიწონეს არტანუჯელთა პოზიცია, რომ ჟურნალს არ უნდა გააჩნდეს რაიმე პოლიტიკური მიმართულება: „მე სრულიად ვიზიარებ მათ პოზიციას, რომ ჟურნალი იყოს ისტორიულ-პოპულარული, მაგრამ არა პოლიტიკური. ჯერჯერობით სასურველია ამისაგან თავის შეკავება“ (აკად. მარიამ ლორთქიფანიძე). „არქიტექტურული ქმნილების მთლიანად შეფასება და აღქმა შეუძლებელია, თუ პირდაპირ მიადგები ამ შენობის კედლებს. საჭიროა გარკვეული მანძილი. ასევე, ისტორიული მოვლენების მიუკერძოებელი და სწორი შეფასებისათვის საჭიროა გარკვეული დროის გავლა. ამიტომ მგონია, რომ წმინდა ისტორიული ჟურნალი ნაკლებად უნდა ეხებოდეს დღევანდელ პოლიტიკურ მოვლენებს“ (პროფ. ნოდარ ლომოური).

დასასრულს შეკრების მონაწილეებს საჩუქრად დაურიგდათ ჟურნალ „არტანუჯის“ პირველი ნომერი.

პრეზენტაციის შემდეგ უნივერსიტეტის სასტუმროს კაფეტერიაში გაიმართა მცირე ბანკეტი, სადაც პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა კიდევ ერთხელ (ამჯერად კახური ღვინით) დალოცეს ახალი წამოწყება — ჟურნალი „არტანუჯი“...

## 70 წელი გავიდა 1924 წლის აჯანყებიდან...

ამ აჯანყებას საბჭოთა ისტორიოგრაფია ცალსახად „ავანტიურიზმად", „ვიწრო ჯგუფურ გამოსვლად" ნათლავდა, ემიგრანტულ წრეებში კი იგი ეროვნული მოძრაობის უმაღლეს გამოხატულებად იყო აღიარებული. სულ რამდენიმე წლის წინ ჩვენმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, თითქმის არაფერი იცოდა 1924 წლის აჯანყების შესახებ, ბოლო წლებში კი ბევრი რამ გამომზეურდა ახლო წარსულიდან და ქართველებმა [illegible] დაიფასა წინაპართა ეს გმირული ნაბიჯი. განსაკუთრებით ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი [illegible].

ეროვნულ აღტყინებას მალე ეროვნული ნიჰილიზმი მოჰყვა, დღეს უკვე შეიმჩნევა კრიტიკული დამოკიდებულება 1924 წლის გამოსვლის მიმართ. ნაწილი კვლავაც „ავანტიურად" ნათლავს მას და [illegible] პოლიტიკურმა ამბიციებმა უაზროდ შეალეწა რუსეთის იმპერიის [illegible] ქართველების [illegible] აქტიური მონაწილის, გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის — შალვა ამირეჯიბის წერილში ვკითხულობთ: „შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ [illegible] აჯანყება ჩვენ გადაწყვიტეთ, ან მისი თავიდან აცილება ვინმეს შეეძლო და არ ინდომა... ჭეშმარიტად რომ აჯანყება თავისთავად იბადებოდა, ის მიდიოდა ხალხში გამჯდარებული სულისკვეთებიდან, როგორც ორთქლი — [illegible] — [illegible], ალი — ცეცხლიდან."

მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის აჯანყების დროს იყო შეცდომები, იყო ღალატი, ერთგვარი პოლიტიკური მიამიტობა, რომანტიზმი და [illegible] — მაინც, ჩვენ ვალდებულნი ვართ პატივი მივაგოთ წინაპართა გმირულ წარსულს, მათ თავდადებულ ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისათვის. ამჯერად კი, მოდით, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი 1924 წლის აჯანყებას, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იმ მამულიშვილთა სახელები, რომელთაც მაცხოვრის დარად თავისი სისხლი და ხორცი დასდეს ერის თავისუფლებისა და გადარჩენისათვის.

* * *

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთი იპყრობს საქართველოს, ადგილობრივ მთავრობას დამხობილად აცხადებს და მთელ ძალაუფლებას გადასცემს საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს, რომელიც ჯერ კიდევ შემოსევამდე ყალიბდება მოსკოვის დირექტივებით.

საქართველოს განადგურება ხდება არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ სულიერად, ეკონომიკურად, სოციალურად, მორალურ-ზნეობრივად. გაქელილმა ქვეყანამ ხმა აღიმაღლა დამპყრობთა წინააღმდეგ. ჯერ მშვიდობიანად სცადა მოეგვარებინა მდგომარეობა, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ მას ამ მხრივ ყველა საშუალება მოუსპეს, უკიდურეს ზომას — აჯანყებას მიმართა.

*„დიდი ხნის წინად, როდესაც [illegible] თავისი თანამემამულე ემიგრანტები შეჰკრიბა და საკუთარ სამშობლოში გაილაშქრა იქ გამეფებული ტირანის დასამხობად, და როდესაც ის, დამარცხებული — ხელფეხშეკრული მიჰგვარეს და [illegible] დადგა ტირანის [illegible] წინაშე, რომელმაც შეუბრალებლად [illegible] მთელი [illegible] თავის [illegible], [illegible] ენა მოიკვნიტა და მტერს სისხლი სახეში შეაფურთხა. [illegible] ერთ-ერთი [illegible], რომ [illegible] შეიძლებოდა. თუმცა, ამის შემდეგ [illegible] წამებით მოკლეს ის, მაგრამ ვერ დაამარცხეს.*

*როდესაც [illegible] დამარცხებული საქართველო 1921 წელს დამარცხდა და [illegible] მტრის წინაშე დადგა, გამწარებული [illegible] მან ენა მოიკვნიტა და მტერს სისხლი სახეში შეაფურთხა" (ჟურნ. „მხედარი", 1930 წ., პარიზი).*

1921 წლის გაზაფხულიდან იწყება შეიარაღებული პარტიზანული გამოსვლები, რომლებმაც თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. ამ მოძრაობას საბჭოთა ხელისუფლება „პოლიტიკურ ბანდიტიზმად" ნათლავს. კახეთსა და ხევსურეთში შეიარაღებულ გამოსვლებს სათავეში უდგას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ოფიცერი, ცხენოსანი დივიზიის პოლკის [illegible] ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. იგი სამეგრელოდან (სადაც დავით ჭავჭავაძესთან ერთად კავალერიის შენაერთს იყო ჩაბარებული) თბილისში ბრუნდება და ხვდება ილია ჭავჭავაძის დისწულს, ქართული თავადაზნაურობის მარშალს გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზს და მოსალოდნელი ბრძოლების თაობაზე მასთან მოლაპარაკებას აწარმოებს.

*„არ არსებობს მშვენიერი ჩოლოყაშვილზე და ხალხის მისწრაფებას მოიხის, ის ერთბაშად ხალხის [illegible], რომლის შესახებაც [illegible] როგორც [illegible] [illegible]. ის [illegible] საქართველოში ქუხილივით, [illegible] და თან [illegible] ხალხის [illegible] [illegible] — „[illegible] მაინც არ ჩაიცვის ის გამწარებული [illegible]" (ჟურნ. „მხედარი", 1930 წ., პარიზი)*

1921 წლის მაისში ქაქუცა ჩოლოყაშვილი და პოლკოვნიკი გიორგი თუხარელი თბილისში ხვდებიან სვანეთის წარმომადგენლებს — პოლკოვნიკ ნესტორ გარდაფხაძეს და მოსესტრო დადეშქელიანს. გეგმის თანახმად სვანები და თუშ-ფშავ-ხევსურები ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ აჯანყებისათვის მზადებას. მათი მომზადების შემდეგ უნდა ჩამოყალიბებინათ რაჭა-ლეჩხუმში და კახეთ-ხევსურეთში დიდი პირველები გამოვიდოდნენ სვანები და ქუთაისს მოადგებოდნენ. როდესაც რუსული სამხედრო ძალები აჯანყების ჩასაქრობად გაემართებოდნენ, ჩოლოყაშვილი თბილისს შეუტევდა. გარკვეული მომზადების შემდეგ ინიშნებოდა გამოსვლის დრო.

1921 წლის ივლისში ქაქუცა ჩოლოყაშვილი კახეთში გადადის და აწყობს პარტიზანულ რაზმს — „საქართველოს შეფიცულები". ქაქუცა სანდო პირებს გზავნის საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ქმნის ფარულ ორგანიზაციებს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ქართლსა და კახეთში იქმნება მიხეილ ლაშქარაშვილის, სვიმონ ბაგრატიონ-მუხრანელის, მაქრო ფანიძის, ლადო ლეკიშვილის, სოლომონ ანდრონიკაშვილის, ს. სუმბათაშვილისა და სხვათა რაზმები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს. შეიარაღებული ჯგუფები იქმნება გურიის ტერიტორიაზეც — სერგო მათითაიშვილისა და თეოფილე მუზაშვილის ხელმძღვანელობით. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოქმედებენ აგრეთვე მანწკავას, პირველის, კანდელის, იაშვილისა და სხვათა შეიარაღებული რაზმები.

*საინტერესოდ მოგვითხრობს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმისათვის „საქართველოს შეფიცულების" დაწყების ისტორიას ამ რაზმის აქტიური წევრი ალექსანდრე ხელაშვილი. ადგილობრივ რაზმელებთან ერთად მოკავშირეები, რომელთაც თან ახლდათ ხევსურეთის ხუცესები დამტკიცებ ... ხევსურეთში იყო სახმობით*

*წამომდგარა და ქაქუცასთვის უთქვამს: „შენ იღბალმა გარგუნა ამისთანა ტაძარში(?) ნაღველი საიდუმლო და ჩვენს მტრებს ბრძოლა გამოუცხადე ჩვენი ქვეყნის სადიდებლად. შენ გამოგყვება მთელი საქართველო და ეს პატარა რაზმიც უკვდავების ხარად გადაიქცევა. აი, ამავე მთებში ალექსანდრე ბატონიშვილისაგან დატოვებულ ბილიკებზე ბალახი ამოსულა და შენ გვრიგი იღბლად ეს ბილიკები უნდა განაახლო. მას ახლდნენ მეფისერთგულები და შენს რაზმსაც მეფისერთგულთა რაზმი უნდა დაარქვა."*

1921 წლის შემოდგომაზე რუსეთისაგან შევიწროებული სვანები იძულებული ხდებიან აჯანყება დაიწყონ, რის გამოც ვეღარ ხერხდება მათთან ერთად თუშ-ფშავ-ხევსურების გამოსვლა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით. სექტემბერში აჯანყებული სვანები ბიძინა პირველის (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი), მოსესტრო დადეშქელიანის, ნესტორ გარდაფხაძის მეთაურობით განაიარაღებენ სვანეთში მდგარ წითელი არმიის ნაწილებს, აძევებენ „რევკომებს" და ხელში იღებენ ძალაუფლებას. აჯანყება რაჭა-ლეჩხუმსაც ედება. ამბოხებულთა წინააღმდეგ 15 000-იან სამხედრო შენაერთს გზავნიან, რომელსაც აჯანყებულები სვანეთში მისასვლელ გზებს უკეტავენ და შეუპოვარ ბრძოლაში მის ორ პოლკს ამარცხებენ. ოქტომბერში სვანებმა ტყვედ იგდეს 500 წითელარმიელი. ნოემბერში თბილისში გზავნიან დელეგაციას, მათი მოთხოვნაა: რუსეთის ჯარების გაყვანა, ოკუპაციის მოხსნა და ხალხისათვის თავისუფალი არჩევნების უფლების მინიჭება.

1922 წლის მარტში ცაგერის მხრიდან შემოსულ რუსის ჯარს აჯანყებული სვანები ქვემო სვანეთის მთებში სასტიკად ამარცხებენ, ტყვედ იგდებენ 270 ჯარისკაცს. ამბოხებული სვანეთი ნახევარ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მედგრად უმკლავდება რეგულარული წითელი არმიის ნაწილებს. სამწუხაროდ, დანარჩენი საქართველოსაგან იზოლირებული სვანეთი საბოლოოდ განწირული აღმოჩნდა დამარცხებისათვის.

12 მარტს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქიზიყიდან თავისი მეფიცულებით ტყეში გადის. ამავე წლის გაზაფხულიდან მისი მეთაურობით შემდგარი პარტიზანული რაზმები მეთვალყურეობის ქვეშ აქცევენ მთიულეთის ყველა გზას თუშ-ფშავ-ხევსურეთისაკენ. პირველი დიდი შეტაკება წითელარმიელებთან ქაქუცას რაზმს ხვდება 1922 წლის ივნისში სიღნაღთან. ბრძოლები ხდება აგრეთვე თელავისა და ალაზნის გაღმა მიდამოებში. აქედან იწყება ის ჰეროიკული ბრძოლის მატიანე, რომელმაც თითქმის 4 წელიწადს გასტანა და რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელით შევიდა საქართველოს ისტორიაში.

1922 წლის აპრილში ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანი ფრონტის შექმნის მიზნით საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური, სოციალ-რევოლუციური პარტია და „სხიველები" აღწევენ შეთანხმებას საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. ამ პარტიების შემადგენლობით არსდება გაერთიანებული ორგანო — „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი".

აჯანყებისათვის მზადებას აწარმოებს სამხედრო ცენტრი, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — გენერალი კოტე აფხაზი; წევრები: გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალი ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკი გოგი ხიმშიაშვილი, პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი (II ქართული წითელი დივიზიის შტაბის უფროსი); პარტიზანული რაზმის უფროსად კახეთში ინიშნება პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ქართლში კი — მიხეილ ლაშქარაშვილი.

აჯანყების სტრატეგიული გეგმის მიხედვით პირველ და მთავარ გამოსვლას ახდენს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმი დუშეთში, ხოლო მის წინააღმდეგ გაგზავნილ რუსულ ჯარს მიხეილ ლაშქარაშვილისა და შალვა ფაღლენიშვილის რაზმები მცხეთის მხრიდან ზურგში ურტყამენ. შემდეგ გაერთიანებული ძალებით თბილისზე ილაშქრებენ და იღებენ მას. ამავე დროს აჯანყება იწყება დასავლეთ საქართველოში, სვანეთში, ქართლსა და კახეთში. მაგრამ „დამკომი" მხარს არ უჭერს ნაადრევ გამოსვლას და უარს აცხადებს მასში მონაწილეობის მიღებაზე. მიუხედავად ამისა, ედპ-ს თავმჯდომარე და სამხედრო ცენტრის ხელმძღვანელი გენერალი კოტე აფხაზი თავის თანამოაზრეებთან ერთად მხარს უჭერს დაგეგმილ გამოსვლას.

*„თელავიდან საგანგებო კაცის მიერ საქართველოს კათალიკოსსაც თავის მხრივ მიუვიდა ახალი ამბავი: რომ ხალხი დღე-დღეზე გამოსვლას აპირებს; რომ ჩოლოყაშვილი გადადის ხევსურეთში. ყოველივე საშინელი ამბავის შესახებ ერთად ატყობინებს ეროვნულ-დემოკრატების ცენტრალურ კომიტეტს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ხალხის ამ გამოსვლაში მონაწილეობა მიიღოს და ითხოვს, რომ ეს მისი სურვილი აცნობოს ქაქუცა ჩოლოყაშვილს და უთხრას მას, თუ შესაძლოა გამოსვლის დღე ალავერდობის დღეს (27 სექტემბერს, ახალი სტილით) შეუფარდოს. — ამ დღეს მე გავწევ ალავერდში და წმინდა ნინოს ჯვრით დავლოცავ და გავისტუმრებ მებრძოლ ქართულ რაზმებს და თვითონ გავყვები მათ ბრძოლაში. რჯულისა და ერისათვის სიკვდილი მწყურია. ვეღარ ვიტან ამ მუქარებულ, ნამდვილ ქართულ სისხლისღვრას, უთვალავ ქართველ მამულიშვილთა ბანაკს თბილისში „კათალიკოსი" (დავით ვაჩნაძის წიგნიდან).*

*იდუმალი კავშირი არსებობს ამ ფაქტსა და მწერალ გრიგოლ რობაქიძის სიტყვებს შორის, რომლითაც იგი თავისი ნაწარმოების — „ლამარას" არსს განმარტავს: „ლამარა — ჯვარი და ხმალია, ორი ნაკადი საქართველოს თავგადასავლისა: ჯვარი — სიწმინდე მისტური, ხმალი — მამაცობა რაინდული. დრამა ორმაგ ვითარდება. ჯვარი და ხმალი ერთმანეთს უღლდებიან და შეუღლებულთ გააქვთ ლელო."*

1922 წლის აგვისტოში აჯანყება მაინც იწყება კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. მას ქაქუცა ჩოლოყაშვილი უდგას სათავეში. მეამბოხენი დუშეთის მიდამოებში იყრიან თავს, დუშეთის ციხეს იღებენ და ათავისუფლებენ პოლიტიკურ პატიმრებს. თბილისიდან სასწრაფოდ იგზავნება კომუნისტების შეიარაღებული დიდი რაზმი, რომელიც სოფელ ქინვალთან მარცხდება ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმთან და ბრძოლის ველზე 80 მკვდარს ტოვებს. თბილისს პანიკა ედება. სასწრაფოდ იწყება ჯარის მობილიზება დუშეთ-თიანეთისკენ გასაგზავნად, მათ შორის ქართული „წითელი დივიზიისაც". ექსპედიციური ჯარის უფროსად ინიშნება პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, რომელიც ფარულად „დამკომის" სამხედრო ცენტრის წევრია.

სოციალ-დემოკრატიული პარტია უარყოფს ნაადრევ გამოსვლაში მონაწილეობის მიღებას და ამ გადაწყვეტილებას თავის რაზმელებს ატყობინებს, რის შედეგადაც იშლება შალვა ფაღლენიშვილისა და მიხეილ

ლაშქარაშვილის რაზმები, რომელთაც როტმისტრი სვიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი ედგა სათავეში. ამის შემდეგ პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი თავისი გეგმის შესრულებას ვეღარ ახერხებს და იძულებულია რუსული ჯარით იერიში მიიტანოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმზე.

პირველი შეტევისას ქაქუცა ჩოლოყაშვილი მტერს დიდ ზარალს აყენებს და რუსებიც უკან იხევენ მაჩხაანისაკენ, მაგრამ ძალების სიმცირის გამო ქაქუცა მტრის დევნას ვეღარ აგრძელებს, ძველ პოზიციებზე ბრუნდება და იქ მაგრდება. თბილისიდან რუსები დამხმარე ძალებს იღებენ. ამავე დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან, ქ. გროზნოდან დაიძრა წითელი არმიის ნაწილები, რათა აღეკვეთათ ჩოლოყაშვილის რაზმების კავშირი ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან. გაძლიერებული რუსული ჯარი ხელმეორედ უტევს აჯანყებულ ქართველებს, ამარცხებს და ალყაში აქცევს მათ. მტრით გარშემორტყმული ქაქუცას რაზმელები როსტომ მუსხელიშვილის დახმარებით ალყას არღვევენ და კახეთისკენ იხევენ, შემდეგ კი ჩრდილოეთ კავკასიას, ჩეჩნეთს აფარებენ თავს. რუსები ხევსურეთში შედიან და სოფლებს ანადგურებენ.

ამ დროს სტამბოლში მყოფი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი შალვა ქარუმიძე მოლაპარაკებას აწარმოებს თურქეთთან აჯანყებისათვის იარაღითა და ჯარით დახმარების თაობაზე. თურქები დახმარების სანაცვლოდ ითხოვენ ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადებას, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მათთვის გადაცემას და ბათუმ-ბაქოს რკინიგზის ექსტერიტორიულად გამოცხადებას. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სამხედრო ცენტრი კატეგორიულად უარყოფს ამ პირობებს.

დახმარების გარეშე დარჩენილი კახეთ-ფშავ-ხევსურეთის აჯანყება მარცხდება, მას სისხლში ახშობენ. საბჭოთა ხელისუფლება აძლიერებს რეპრესიებს. ამ გამოსვლის გამო თბილისში დაიჭირეს და დახვრიტეს: პოლკოვნიკი ლადო ლეკვეინაძე, როტმისტრები — სოლომონ ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე სუმბათაშვილი, შაქრო ვაჩნაძე, პეტრე და შალვა ფავლენიშვილები, ლეიტენანტები — დავით და არჩილ ვაჩნაძეები, იუნკერი გიორგი ძამსაშვილი, ვახმისტრი გელაშვილი, უნტერ-ოფიცერი გიორგი ფავლენიშვილი, კონსტანტინე ჩოლოყაშვილი, ვახტანგ აბაშიძე და სხვები.

1922 წლის აჯანყების ჩაქრობას თან სდევს საგრძნობი გაძლიერება რუსული წითელი არმიისა კავკასიაში. ქართული წითელი დივიზიის მაგიერ, ყველგან აძლიერებენ და ამაგრებენ რუსულ გარნიზონებს, განსაკუთრებით იმ ადგილებში, საიდანაც საქართველო მეზობელ კავკასიელ ერებს უკავშირდება. მრავალრიცხოვან ყოფილ ქართულ ოფიცერობას „ჩეკა“ კონტროლის ქვეშ აქცევს, რის გამოც მისი აქტიური ნაწილი არალეგალურ მდგომარეობაში გადადის. ხელისუფლება დიდხანს გაფაციცებით დაეძებდა კახეთ-ხევსურეთის აჯანყების ხელმძღვანელ სამხედრო ცენტრს. ცენტრის კონსპირაციული მოქმედების მიუხედავად, მოღალატეთა წყალობით იგი გაცემულ იქნა. დააპატიმრეს სამხედრო ცენტრის მთელი შემადგენლობა. დახვრიტეს: გენერალი კონსტანტინე აფხაზი, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალი ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკები — როსტომ მუსხელიშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი, ელიზბარ გულისაშვილი, ალექსანდრე მაჭავარიანი, დიმიტრი ჩრდილელი, როტმისტრები — სვიმონ ბაგრატიონ-მუხრანსკი, ფ. ყარალაშვილი, ლეიტენანტი ლევან კლიმიაშვილი, სამხედრო მოხელე მიხეილ ზანდუკელი, იასონ კეკელიძე, ს. ჭიაბრიშვილი, ივანე ქუთათელაძე.

*კოტე აფხაზი — „მე ვკვდები სიხარულით, რადგანაც ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე შეწირვად მიტანისა. ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს.“*

*ვარდენ წულუკიძე — „სიკვდილით ვერ შეგვაშინებთ! ჩვენი სიკვდილი საქართველოს განთავისუფლების თავდებია. იგი გააძლიერებს ერის სიმტკიცეს და ერთი ათასად გაამრავლებს მებრძოლებს.“*

*ალექსანდრე ანდრონიკაშვილი — „სახეზე გეტყობათ, რომ გაკვირვებთ ჩვენი სულის სიმტკიცე — იცოდეთ ქართველები ყველა ასეთები ვართ (მიუთითებს მისამართით [illegible]). მრავალი ათასი, ჩვენზე უკეთესნი, მზადაან თავიანთი გულით შეხვდნენ სიკვდილს.“*

*ელიზბარ გულისაშვილი — „ნუ გვაშინებთ თქვენი განაჩენით. მადლიერი [illegible], რომ საქართველოსათვის მოვკვდეთ.“*

*დიმიტრი ჩრდილელი — „წადით და გამოაცხადეთ ხალხს, როგორ იბრძვიან ქართველები სამშობლოსათვის!“*

რეპრესირებული სამხედრო ცენტრის ნაცვლად „დამკომთან“ არსდება „სამხედრო კომისია“, რომელშიც შედიან „დამკომის“ თავმჯდომარე სოციალ-დემოკრატი კოტე ანდრონიკაშვილი, მისი მოადგილე ეროვნულ-დემოკრატი იასონ ჯავახიშვილი, სოციალ-დემოკრატები — გოგიტა ფაღავა და ვასო ნოდია, ეროვნულ-დემოკრატები — გიორგი წინამძღვრიშვილი და სოლომონ ზალდასტანიშვილი.

შემოდგომისათვის სამხედრო კომისია უკვე ასრულებს მოსამზადებელ სამუშაოს. კავშირი იქმნება სომხეთთან და აზერბაიჯანთან სოციალ-დემოკრატების, ხოლო ჩრდილოკავკასიელებთან — ეროვნულ-დემოკრატების მეშვეობით. ჩრდილოკავკასიელებს ქაქუცა ჩოლოყაშვილი პირველად 1923 წელს ხვდება. მთიელები ოფიციალური ხელშეკრულების დასადებად ითხოვენ „დამკომის“ პოლიტიკურ წარმომადგენელს. ოქტომბერში ქ. გროზნოში მათთან მოსალაპარაკებლად იგზავნება გიორგი წინამძღვრიშვილი. შეიხ ალი მიტაევის მიერ მოწვეული მეჯლისი ერთხმად იღებს ქართველებთან ერთად აჯანყებაში მონაწილეობის გადაწყვეტილებას. ოქტომბრის მიწურულს თბილისში მდგომარეობის გასარკვევად ჩამოდის მთიელთა წარმომადგენელი და ითხოვს რამდენიმე ქართველ ოფიცერს აჯანყების სახელმძღვანელოდ. მაიორი გ. ბერიძე, როტმისტრი ი. ავალიშვილი და 7 სხვა ოფიცერი მზად არიან ჩრდილოეთ კავკასიაში გასამგზავრებლად.

1923 წლის ნოემბერში „ჩეკა“ აპატიმრებს სტამბოლის ქართული პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარეს ნოე ხომერიკს, 1924 წლის იანვარში კი — გოგიტა ფაღავას და გიორგი წინამძღვრიშვილს. გოგიტა ფაღავას შემდეგ აპატიმრებენ მის შემცვლელებს სამხედრო კომისიაში — ლ. ბელთაძეს და ნ. კასიანს (აპრილი). მათ მაგივრად სამხედრო კომისიაში შეჰყავთ სოციალ-დემოკრატი, იურისტი გიორგი ჯინორია. 1924 წლის აპრილში მთავარსარდლად ირჩევენ გენერალ სპირიდონ ჩავჩავაძეს.

1924 წლის მაისში საზღვარგარეთიდან თბილისში ბრუნდება „დამკომის“ რწმუნებული ვასო ნოდია. მისი ინფორმაციით აჯანყებისათვის საერთაშორისო მდგომარეობა ხელსაყრელია და აჯანყების დამარცხების შემთხვევაშიც მოძრაობა პროვინციებში უნდა გაგრძელდეს, რათა ამით ემიგრაციას მიეცეს საშუალება მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოებთან ერთად დიპლომატიურად მოაგვაროს საქართველოს საკითხი რუსეთთან. ნოდიას ჩამოყვნენ აგრეთვე

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები — ვალიკო ჯუღელი, ბენია ჩხიკვიშვილი, გლახა მგელაძე, ცინცაძე და ცენტერაძე, რომლებიც აქტიურად ებმეოდნენ აჯანყების მოსამზადებელ მუშაობაში. ვალიკო ჯუღელი დიდი ხნის შემდეგ გოგიტა ფაღავამ მაგივრად შეჰყავთ სამხედრო კომისიაში.

*ქართული საზოგადოებრიობის ფართო წრეებში განსხვავებული დამოკიდებულება იყო აჯანყების მიმართ. ნაწილი მომხრე იყო აჯანყების მოწყობისა და მონაწილეობასაც იღებდა მასში, ნაწილი კი თვლიდა, რომ ქართველ ერს თავი უნდა შეეკავებინა უკიდურესი ნაბიჯისაგან, რადგან აჯანყება აუცილებლად დამარცხდებოდა გიგანტურ იმპერიასთან ბრძოლაში.*

*გრიგოლ რობაქიძე: „...საქართველო ემზადებოდა აჯანყებისათვის... ეს აჯანყება [illegible], სასტიკად ვეწინააღმდეგებოდი ამ ნაბიჯს... მე ვინ რას დამიჯერებდა... ავიმღვრიე, დავიმალე... მოხდა აჯანყება... გაიჟლიტა მარცხით... ახლა კი მლოცავად ვფიქრობ: იქნებ აღარ ვცდები. მთელი ერის ზემო ანთებით იყო აგზნებული...*

*ამას ერთი-რამ უნდა დავუმატო კიდევ. შესაძლოა, წამებულმა ქართველმა ასეთი სიძლიერით გაიღვიძა ხელში, რომ ქვეშეცნეულ მოგონილად «ლამარა» უბრალოდ მომეხალა მგზნებარე მიმართ, ვითარ გრძნეული მარჯვე დამარცხებულია." აი, რა ცნობას გვაწვდის იგივე ავტორი სასიქადულო ქართველ მწერალ მიხეილ ჯავახიშვილზე: „ჯავახიშვილი ერთ მოთხრობაში, რომელიც კრებ ახლახან ბეჭდებოდა სახელით შეიტანა «ქართლის ცხოვრებაში» (ეს მან გამახილა მოსკოვიდან შემდეგომ)."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

1924 წლის ივლისში იმართება „დამკომის" გაფართოებული სხდომა. კრებაზე აჯანყების საკითხი დადებითად წყდება, გამოსვლის დღის დანიშვნა და მისი სამხედრო-ოპერატიული ხელმძღვანელობა ევალება გენერალ სპირიდონ ჩავჩავაძეს. ჩრდილოეთ კავკასიაში „დამკომი" გზავნის მიხეილ იმხნელს, რომელიც ხვდება შეიხ ალი მატიევს. მისგან იგებს, რომ მთა მზად არის აჯანყებისათვის, ელოდება მხოლოდ ნიშანსა და ხელმძღვანელ ოფიცრებს. აჯანყების დაწყების დროდ ინიშნება 17 აგვისტოს ღამის 2 საათი, აჯანყების ცენტრად — თბილისი. ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაბანაკდა სოფელ ნახშირგორასთან, თბილისიდან 20 კმ-ზე. მას ქალაქის აღებაში უნდა დახმარონ ლომქარაშვილის, ნაცვლიშვილისა და ვაჩნაძის რაზმები. ამ პერიოდში ყაზიანში დაბანაკდა ამიერკავკასიის საარტილერიო ნაწილები 120 ზარბაზნით. ამ არტილერიის ხელში ჩაგდება სასიცოცხლოდ წყვეტს თბილისის აღებას. ეს საქმე ევალება პოლკოვნიკ ირაკლი ცაგურიას, რომლის განკარგულებაშია ამ რაიონის სოციალ-დემოკრატთა რაზმი. იგი საარტილერიო ნაწილების განიარაღების შემდეგ ნავთლუღის მხრიდან უნდა მისდგომოდა თბილისს, მეორე დღეს კი მას უნდა შეერთებოდნენ თელავის, სიღნაღისა და გურჯაანის რაზმები. ამ დროს, საზაფხულო მანევრებთან დაკავშირებით, თბილისი დაცლილია ჯარებისაგან, რაც ფრიად ხელსაყრელია მეამბოხეთათვის.

„დამკომის" მცდელობა — ამიერკავკასიის ქვეყნებსა და ჩრდილოკავკასიელ მთიელებს აჯანყება ერთობლივად მოეწყოთ, უშედეგოდ დამთავრდა. სომხეთმა თავიდანვე უარი თქვა ერთობლივი აჯანყების იდეაზე, რადგან მას თურქეთთან ურთიერთობის პრობლემები უფრო აწუხებდა. ნოე ხომერიკისა (რომელსაც საიმედო ინფორმაციები ჰქონდა საზღვარგარეთ მყოფი მუსავატელებისაგან) და გოგიტა ფაღავას მოულოდნელი დაპატიმრების შემდეგ აღარ ილდგა აზერბაიჯანთან კავშირი. რჩებოდა ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც აჯანყებაში მონაწილეობაზე თანხმობას აცხადებდა. აჯანყების დაწყების წინ აქ გ. ბერიძის მეთაურობით რამდენიმე ოფიცერიც კი გაიგზავნა. მართალია, მთელი აჯანყების განმავლობაში ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში ებრძოდნენ ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებს ქისტების სახით, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ ქართველ მამულიშვილებთან ერთად, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასიის აჯანყება, როგორც ასეთი, მაინც ვერ მოხერხდა. ეს, როგორც ჩანს, ამ მოძრაობის ლიდერის — შეიხ ალი მატიევისა და მისი თანამოაზრეების დაპატიმრების შედეგია. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ 1922 წლის აჯანყების შემდეგ რუსულმა ჯარებმა საგანგებოდ გადაკეტეს და გაამაგრეს კავკასიის უღელტეხილები, რათა აჯანყებული ქართველებისათვის ყოველგვარი დახმარების საშუალება მოესპოთ.

1924 წლის 6 აგვისტოს დააპატიმრეს ვალიკო ჯუღელი (მანამდე, 25 ივლისს დააპატიმრეს ბენია ჩხიკვიშვილი). ვალიკო ჯუღელის დაპატიმრება საბედისწერო აღმოჩნდა აჯანყებისათვის. მისი დაკითხვის შედეგად „ჩეკისთვის" ცნობილი ხდება აჯანყების თარიღი. იგი თავის მოკვლას ცდილობს, მაგრამ გადაარჩენენ. აჯანყების შესახებ „ჩეკას" საიდუმლო დოკუმენტების გაცნობის შემდეგ ვალიკო ჯუღელი დარწმუნდა ამბოხების უპერსპექტივობაში, რის შემდეგაც ღია წერილით მიმართავს „დამკომს", რათა შეწყვიტოს გამოსვლა. აჯანყების პროვოცირებისა და სისხლში ჩახშობის მიზნით ვალიკო ჯუღელის მიერ 12 და 24 აგვისტოს დაწერილ წერილებს გაზეთი „კომუნისტი" აქვეყნებს მხოლოდ 29 აგვისტოს, როცა აჯანყება უკვე დაწყებულია და წერილების დაბეჭდვას აზრი აღარა აქვს.

ვალიკო ჯუღელის დაპატიმრების შემდეგ ხელისუფლება სამხედრო მანევრებზე მყოფ ჯარს თბილისში აბრუნებს, მის გარშემო გზებს კეტავს და პუნქტებს ამაგრებს. ქალაქში საგანგებო წესები შემოდის. იწყება საეჭვო პირების დაპატიმრება. ბათუმში დააპატიმრეს გენერალ წერეთელაძე, გურიაში — გენერალ ყარალაშვილი. გართულებული მდგომარეობა სტრატეგიული გეგმისა და აჯანყების ვადის შეცვლას იწვევს. აჯანყების ცენტრად თბილისის ნაცვლად ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკი ცხადდება, რასაც პოლიტიკური პარტიები არ იზიარებენ. სოციალ-დემოკრატიული პარტია აღარ იძლევა აჯანყების დაწყების დასტურს. მთავარსარდალსაც უკვე ეჭვები აქვს ამ პირობებში აჯანყების გამარჯვებისა და გამოსვლას შეუძლებლად თვლის. „დამკომი" იძულებულია ამ მდგომარეობას ანგარიში გაუწიოს და აჯანყება სხვა დღისთვის გადადოს.

1924 წლის 16 აგვისტოს იმართება „დამკომის" კრება, რომელზეც ისმენენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბანაკიდან დაბრუნებული სოლომონ ზალდასტანიშვილის მოხსენებას. ქაქუცა „დამკომს" უთვლის, რომ თუ აჯანყება არ მოხდება 20 აგვისტომდე, გადადოს ოქტომბრისათვის, რადგან იგი ვერ შეძლებს ამდენი ხალხის დიდხანს შენახვას ტყეში, დროებით დათხოვილი გლეხკაცის უკან დაბრუნება კი გაჭირდება, ვიდრე შემოდგომაზე მოსავალს არ დააბინავებს. კრება გადაწყვეტს მხედველობაში იქონიოს ყოველივე ეს. აჯანყების საკითხის საბოლოო გადაწყვეტას 5 კაცს ანდობენ: „დამკომის" თავმჯდომარეს კოტე ანდრონიკაშვილს, მის მოადგილეს იასონ ჯავახიშვილს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს თავმჯდომარეს დ. ონიაშვილს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს თავმჯდომარეს შალვა ამირეჯიბს და მთავარსარდალ სპირიდონ ჩავჩავაძეს.

24 აგვისტოს გადაწყდა, რომ აჯანყება დაიწყოს 29-ში, ღამის 2 საათზე. 25 აგვისტოს 5 საათზე „დამკომი"

აჯანყების ახალდანიშნულ ცენტრში — ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ბანაკში გადადის.

აჯანყებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა გამოსვლის დაწყება ქალაქ ჭიათურაში შეცდომით 28 აგვისტოს 2 საათზე, რამაც მოწინააღმდეგეს ინიციატივა „ჩეკას" და ხელისუფლებას გადასცა. 28 აგვისტოსვე ცხადდება სამხედრო წესები, წითელი ჯარი იკავებს ყველა სტრატეგიულ დაწესებულებასა და პუნქტს. ტანკები და ჯავშნოსანი ავტომობილები ქუჩაში გამოდიან, 30 000-იანი არმია ქალაქის დაცვის ბრძანებას ელებს. ხელისუფლება იერიშზე გადადის. 29 აგვისტოს აპატიმრებენ და ხვრეტენ კახეთის ყველა ორგანიზაციის წევრებსა და მათ ხელმძღვანელებს. მიუხედავად ამისა, აჯანყება 29 აგვისტოს მთელ საქართველოს ედება.

28 აგვისტოს ბედენის მთაზე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" თავმჯდომარე, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი ქაქუცა ჩოლოყაშვილს [illegible] აჯანყების დროშას და ღამით იწყება [illegible] აჯანყება. 29 აგვისტოს ქაქუცა თავისი რაზმით [illegible] მანგლისის სამხედრო ყაზარმებს [illegible] ჩიქოვანი სოფელ [illegible] იკავებს. ქაქუცა [illegible] „დამკომის" [illegible] ერიდება. პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია ბატარძეულსა და სხვა 12 [illegible] კომუნისტებს და [illegible] ბანაკს. აქ [illegible] ტყვია-წამლის სიმცირის გამო, პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია [illegible] 30 აგვისტოს ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით კავთისხევში გადადის, სადაც [illegible] ბრძოლას [illegible] მეტეხებისას მტკვარზე გადადის და შიომღვიმის მონასტერში [illegible] „დამკომის" [illegible] არიან ლამქრობისაკენ. მასთან რჩებიან მხოლოდ [illegible] 1924 წლის [illegible] ჩოლოყაშვილის რაზმი იღებს ლეშსა და [illegible] თბილისში საშინელი ტერორი მძვინვარებს. მეტეხიდან და „ჩეკიდან" [illegible] ხვრეტენ.

*„ყოველი მეტაფიზიკური [illegible] შინა არის ნეშტის [illegible] მხოლოდ სისხლის, მოდგმის, ანუ რასის [illegible] და არის [illegible] მხოლოდ ჯიში და სისხლი წარმართავს ადამიანის [illegible] ჩვენს სისხლსა და ჯიშს [illegible] ქართველებს ხვრეტდნენ იმიტომ, რომ [illegible] და ქართველობა [illegible] საკუთარი [illegible] ამ [illegible]" (შალვა ამირეჯიბი).*

ბათუმის ბოგირის [illegible] და [illegible] გამოსვლა. 4 სექტემბერს [illegible] ტყეში [illegible] „დამკომის" წევრებს, რომლებიც [illegible] და ჩეკისტური ტერორის [illegible] ქართველი ერის [illegible] განადგურებისაგან გადარჩენის მიზნით, 5 სექტემბერს იძულებული ხდებიან მიმართონ ქართველ ერს ცნობილი დეკლარაციით, სადაც აჯანყება დამარცხებულად ცხადდება. „დამკომის" წევრები მოუწოდებენ ხალხს დაყარონ იარაღი [illegible] ხელისუფლებას, რათა თავიდან აეცილებინათ დიდი სისხლისღვრა, მით უმეტეს [illegible] გადაარჩინონ ის, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შეიძლება.

დუშეთიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილი [illegible] გადადის, სადაც [illegible] სვიმონიანთ-ხევში დიდ ბრძოლაში ამარცხებს რუსულ ჯარს, განაიარაღებს [illegible] 200 [illegible] აქ იგებს იგი „დამკომის" წევრთა პროკლამაციის შესახებ. ქაქუცა თავის თანამებრძოლებთან ერთად [illegible] გადადის, მას ჯერ კიდევ აქვს აჯანყების შემოტრიალების იმედი. კახეთის ტყეში, ერწოსა და თიანეთის მთებზე [illegible] ხევსურეთში გაჩაღებული ხევ-გორძელის ბრძოლა, სადაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი მოხერხებული მანევრით [illegible] ჯარს. აქედან იგი თავისი რაზმით გადადის ყარაიაზში, იქიდან ბორჩალოში, იკავებს ლმანისა, შემდეგ კი [illegible] გადადის. ქაქუცა თითქმის ერთი კვირის განმავლობაში გარს უვლის თბილისს, ცდილობს გადმოსცეს — შეიძლება ისევ არა მისი ალყა გარედან. მაგრამ ხელისუფლებას ყველგან ზომები აქვს მიღებული და ბრძოლის [illegible] უკვე აღარა აქვს აზრი. ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმის ერთი ნაწილით თურქეთში გადადის [illegible] ოქტომბრის დამლევს საფრანგეთს მიემგზავრება.

დასავლეთ საქართველოში აჯანყების ინიციატივა ხალხის ხელში გადადის. მთელი დასავლეთ საქართველო, გარდა დიდი ქალაქებისა, აჯანყებულთა ხელშია. თითქმის ყველგან უსისხლოდ აუქმებენ ადგილობრივ ხელისუფლებას. პირველად, 28 აგვისტოს ღამის 2 საათზე, გამოსვლა ხდება ჭიათურაში. აჯანყებულები, გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით, იკავებენ ქალაქს. აპატიმრებენ ადგილობრივ საბჭოთა ხელისუფლებას და აყალიბებენ დროებით მთავრობას. ამბოხებულნი ხელისუფლებას ერთი დღე-ღამის განმავლობაში ინარჩუნებენ. მათ წინააღმდეგ იგზავნება ჯავშნოსანი მატარებელი და რეგულარული ჯარის დიდი შენაერთები. შეტაკების შემდეგ, იარაღისა და ტყვია-წამლის სიმცირის გამო, აჯანყებულები იძულებულნი ხდებიან დატოვონ ქალაქი. მათ წინააღმდეგ ავიაციასაც კი იყენებენ. ჭიათურის დაცლის შემდეგ აჯანყებულთა ნაწილი ჩხარის რაიონს შეაფარებს.

ძლიერი გამოსვლები ხდება იმერეთის სხვა რაიონებშიც. შორაპნის მაზრაში პოლიტიკურ ხელმძღვანელად დანიშნული იყო დ. გაბუნია, მის თანაშემწეებად კი — დ. ახვლედიანი, ალ. ამაშუკე და ნ. ქურაძე. 29 აგვისტოს მათი ხელმძღვანელობით აჯანყებულები იკავებენ ჩხარის რაიონს და ქალაქ ჩხარს, რომელსაც სამ დღეს ინარჩუნებენ. ქალაქი ხელიდან ხელში გადადის, მაგრამ საბოლოოდ უთანასწორო ბრძოლაში აჯანყებულები მარცხდებიან და მთებს აფარებენ თავს. საჩხერის რაიონში მოქმედებენ წერეთლის, ამაშუკისა და სხვათა რაზმები, მაგრამ რეგულარული რუსული ჯარის ნაწილებთან უთანასწორო შეტაკებებში ისინიც მარცხდებიან. ვანის რაიონში აჯანყებულთა ხელში გადადის სოფლები: საპრიჯო, დეკლიშვილები, ბზვანი, ტობანიერი და წყლიონი — ვანი. აჯანყება ვრცელდება ბაღდათის, საირხისა და ქუთაისის რაიონებში. მძიმე ბრძოლები აქ თითქმის ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობს.

მოძრაობა განსაკუთრებით მასობრივ ხასიათს იღებს გურიაში, სადაც ქუდზე კაცი გამოდის აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად. აქ გურიელ ჩოლოყაშვილის [illegible] შემდეგ, ბრძოლებს ხელმძღვანელობენ მაჭავარიანი, მუხურიშვილი და ჭანუყვაძე. ბრძოლები საბჭოთა ჯარებთან თითქმის ერთი კვირის განმავლობაში წარმოებს. მთელი გურია, გარდა ოზურგეთისა, აჯანყებულთა ხელშია. 31 აგვისტოს მოსახლეობას იერიში მიაქვს ოზურგეთზე, მაგრამ ქალაქი გამაგრებული ხვდებათ ბათუმიდან და სამტრედიიდან შემოსული რუსული ჯარებით და ვერ იღებენ მას. 2 სექტემბერს წითელი არმიის ნაწილები აჯანყებულებს ალყაში აქცევენ, მაგრამ მეამბოხეები რკალს არღვევენ და მთებს აფარებენ თავს.

აჯანყების ალში გახვეული მთელი სამეგრელო და სვანეთი. ორივე ეს კუთხე ფაქტიურად მთლიანად მეამბოხეთა ხელშია. სამეგრელოში აჯანყებულებს სათავეში უდგას როტმისტრი დავით მხეიძე. 29 აგვისტოს აჯანყებულები მისი ხელმძღვანელობით იკავებენ ქალაქ სენაკს და მის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებს, აიარაღებენ „ჩეკას", ათავისუფლებენ პატიმრებს და ხალხს აიარაღებენ. აჯანყება მთელ სენაკის მაზრას ედება, მასში მონაწილეობს 4 000-მდე კაცი. ბრძოლა წარმოებს სამტრედიისა და ფოთის მიმართულებით. გამოსვლებს ადგილი აქვს აგრეთვე ზუგდიდის მაზრის თითქმის ყველა რაიონში. მეამბოხეთა რიცხვი მაზრის მასშტაბით 3 000 კაცამდე აღწევს. 29 აგვისტოს გამთენიისას აჯანყებულთა დიდ რაზმებს იერიში მიაქვთ ზუგდიდის „ჩეკას" პუნქტზე. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება წინასწარ იყო ამ გამოსვლაზე ინფორმირებული და კარგად ჰქონდა გამაგრებული როგორც ფოსტა-ტელეგრაფი, ისე „ჩეკას" პუნქტი, მძლავრი იერიშების შედეგად გამარჯვება სულ ახლოს იყო, როდესაც აფხაზეთის კომუნისტთა შეიარაღებული დამხმარე რაზმების მოულოდნელი გამოჩენა, რამაც ფაქტიურად გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. რამდენიმე დღე მთელი სამეგრელო აჯანყებულთა ხელშია, მაგრამ მტერი სარგებლობს დავით მხეიძის დაჭრით და აჭარიდან, ფოთიდან, სამტრედიიდან მოსული რუსული ჯარის მრავალრიცხოვანი ნაწილებით გაძლიერებული ტეხავს ხალხის გმირულ წინააღმდეგობას. დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი აქაც აჯანყებულთა სუსტი შეიარაღება და ტყვია-წამლის სიმცირე იყო. მეამბოხენი იძულებულნი ხდებიან უკან დაიხიონ და მთებს შეაფარონ თავი. მათი ნაწილი სვანეთის აჯანყებულებს უერთდება.

სვანეთში გამოსულ ხალხს მეთაურობენ პოლკოვნიკი ნესტორ გარდაფხაძე, ეროვნულ-დემოკრატი ბიძინა პირველი და კაპიტანი ჭიჭინაძე. 29 აგვისტოს მთელი სვანეთი აჯანყებულთა ხელში გადადის. აქედან აჯანყება რაჭა-ლეჩხუმსაც ედება. 30 აგვისტოს 500 სვანი ქუთაისს ადგება, მაგრამ ქალაქი უკვე გამაგრებული ხვდებათ რუსული ჯარებისაგან და მეამბოხენი რამდენიმე ბრძოლის შემდეგ იძულებულნი ხდებიან უკან, სვანეთისაკენ დაიხიონ. რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის დამორჩილებას მტერი თითქმის სამ კვირას ანდომებს.

დასავლეთ საქართველოში, საბოლოო ჯამში, აჯანყებულნი თავიანთ ამოცანებს ჩინებულად ასრულებდნენ. მთელი დასავლეთ საქართველო აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული და ახალ დირექტივებს ელოდა, მაგრამ „დამკომს" ფაქტიურად არ შეეძლო განკარგულებები მიეცა პროვინციებისათვის, რადგან სრულიად გაწყვეტილი იყო კავშირები.

საგულისხმოა, რომ 1924 წლის გამოსვლაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა, ამ აჯანყებას არ ახასიათებდა კლასობრივი განკერძოება. ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა (ჩრდილოკავკასიელების — ქისტების გარდა) მხარი არ დაუჭირეს აჯანყებულებს. აფხაზეთის, შიდა ქართლის, ახალციხის, ახალქალაქისა და ბორჩალოს მრავალრიცხოვან არაქართულ მოსახლეობას არ მიუღია მონაწილეობა შეიარაღებულ გამოსვლებში.

„დამკომის" მიმართვას კომუნისტები თვითმფრინავებით ავრცელებენ მაზრებში, რაც გავლენას ახდენს აჯანყებულებზე და მათი ნაწილი მოქმედებას აჩერებს, ხოლო ნაწილი მორჩილებასაც აცხადებს. შემორიგებულ ხალხს კომუნისტები ნელ-ნელა სოფლებს აცილებენ და იჭერენ, იწყება მათი ხვრეტა და შორეულ ციმბირში გადასახლება. ქვეყანაში საშინელი ტერორი და სისხლისღვრა მძვინვარებს. მარტო თბილისში სიკვდილით სჯიან 2 000 კაცს, სამეგრელოში გაუსამართლებლად ხვრეტენ 500 კაცს, სამაგალითოდ უსწორდებიან გურიას. მამულიშვილები სამსხვერპლოზე მიდიან შეძახილებით — „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!" კომუნისტები ანადგურებენ და წვავენ მთელ რიგ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებს. მაგალითად, ქართლში, სოფელ რუისში, ფანიაშვილების მთელი გვარი ამოწყვიტეს, მათ შორის — 15 ბავშვი 3-დან 14 წლამდე. ზესტაფონში ქუთაისიდან მატარებლით ჩაჰყავთ 120 კაცი, რომელთაც მატარებლის ვაგონებშივე ხვრეტენ. აგვისტოს აჯანყების მონაწილეთა რაინდობასა და კეთილშობილებას (მათ არსად არ დაუხვრეტიათ კომუნისტური ხელისუფლების წარმომადგენლები და ტყვე ჯარისკაცები, ადგილი არ ჰქონია შეურაცხყოფასა და ძარცვა-გლეჯას აჯანყებულთა მხრიდან) კომუნისტებმა საშინელი სისასტიკითა და სისხლისღვრით უპასუხეს, ისინი დაუნდობლად გაუსწორდნენ მოწინააღმდეგეთ.

*„ქართული რასის რაინდული სისხლით არის აღჭურვილი. ეს არ არის არც უბრალო სიტყვა, არც უბრალო თავის ქება. საქართველოს ისტორია რაინდობის პათოსით იმსჭვალებოდა ყოველთვის. რაინდობა ჩვენი ეროვნული პრინციპის შინაგანი ხაზულია" (გრიგოლ რობაქიძე).*

ანადგურებენ რუსეთში მყოფ პოლიტპატიმრებს — ნოე ხომერიკს, ბენია ჩხიკვიშვილს, გოგიტა ფაღავას, ვასო ნოდიას, გიორგი წინამძღვრიშვილს. ფაქტობრივად სპობენ ქართლ-კახეთის მთელ თავადაზნაურობას — აჯანყების მონაწილესა თუ არამონაწილეს, სამღვდელოებას, ხოცავენ მათ ყოველგვარი გასამართლების გარეშე. აჯანყების შემდეგ კომუნისტებისაგან წასისინებული ღარიბი გლეხებისა და უსაქმური სალახანების ბანდები თვითნებურად უსწორდებიან ყოფილ მოხელეებს, ერეკებიან თავისი საცხოვრებელი ადგილებიდან, ითვისებენ მათ ქონებას, მამულებს, საქონელს. მარტო გორის მაზრიდან თავადაზნაურთა 131 ოჯახი განდევნეს, ასევე მოექცნენ მათ სიღნაღისა და თელავის მაზრებში. ნადგურდება ქართული ნაღები საზოგადოება, ქართული ინტელიგენციისა და არისტოკრატიის უმთავრესი ნაწილი, გადარჩენილნი კი უცხოეთს აფარებენ თავს. შეუძლებელია მსხვერპლის საერთო რაოდენობის დადგენა. მეტეხის ციხის პოლიტპატიმართა მაშინდელი ანგარიშით დახვრეტილ იქნა 4 000-მდე კაცი. ნოე ჟორდანია 5 000 დაღუპულს ასახელებს. არსებობს სხვა მონაცემიც — 7 000 ადამიანი. „დამკომის" საქმეზე სულ დაპატიმრებული იყო 47 კაცი, მათ შორის — კოტე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი, გიორგი ჯინორია, მიხეილ ბოჭორიშვილი, კირილე ნინიძე, მიხეილ იაშვილი და სხვები. მათი უმრავლესობა შორეულ ციმბირში გადაასახლეს...

*„ჩვენ ვიბრძოდით დამოუკიდებლობისათვის. აჯანყება წაგებით დასრულდა, ვინც ამ აჯანყებას ემსხვერპლებოდით, წავალთ გოლგოთამდე. მახსოვს ერთი არაბული ლეგენდა: მზემ აღარ გამოანათა და დაიკარგა. სამყაროს ერთი შეეჩუა ერთი ბიჭი, რომელმაც მაშინაც დაისახა ქვეყნიერებისათვის მზე დაებრუნებინა. ამ მიზნით მან დაიწყო ფრენა სულ ზევით და ზევით და მიაგნო მზეს. აღარ მახსოვს, მისცა თუ არა ბიჭმა მზე ქვეყნიერებას... თვითონ ბიჭი კი დაიღუპა... ის დაიწვა მზის სხივებში..." (იასონ ჯავახიშვილის სასამართლო სიტყვიდან)*

ვასილ შალამბერიძე

# ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში



ოშკი

## ინტერვიუ გია გოდერძიშვილთან

1991 წლის ივლისში ისტორიკოსმა გია გოდერძიშვილმა და აღმოსავლეთმცოდნე ალექსანდრე გუგუნავამ მოაწყვეს ტაო-კლარჯეთში არსებული ქართული ძეგლების შემსწავლელი ექსპედიცია, რომელიც გრძელდებოდა სამი კვირის განმავლობაში*. ამ ექსპედიციამ მოიცვა ბორჩხა-შავშეთ-არტანუჯ-ოლთის-ბაიბურდის ხაზი. ჩამოტანილ იქნა უნიკალური ფოტომასალა, გადაიღეს დაახლოებით 60-70 ძეგლი.

იმავე წლის სექტემბერში, იგივე შემადგენლობით, შედგა მეორე ექსპედიცია. შესწავლილ იქნა ყარსის რეგიონი და ჩილდირის ტბის მიდამოები. გადაიღეს 15 ძეგლი და აზომეს რამოდენიმე პატარა ეკლესია.

1994 წელს, ივლისში, მოეწყო მესამე ექსპედიცია, რომელშიც გარდა გია გოდერძიშვილისა და ალექსანდრე გუგუნავასი, მონაწილეობდნენ მხატვარ-არქიტექტორი ბაჩო გოგუაძე და ოპერატორი ტელევიზიიდან — მერაბ მოსიტაშვილი.

გთავაზობთ ინტერვიუს ამ ექსპედიციების ორგანიზატორთან, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომელთან ბ-ნ გია გოდერძიშვილთან.

— *ბ-ნო გია, რა იყო თქვენს მიერ მოწყობილი ექსპედიციების მიზანი?*

— ამ ექსპედიციების ძირითადი მიზანი თურქეთში არსებული ქართული ძეგლების ფიქსაცია იყო. ავზომეთ რამოდენიმე უცნობი ეკლესიაც. პირველი და მეორე ექსპედიციებისას ფოტოფირზე გადავიღეთ ქართული ეკლესიები, ციხეები, ხიდები, მესამე (უკანასკნელი) ექსპედიციისას კი ვიდეოკამერაც გვქონდა წაღებული. ჩამოვიტანეთ 9-საათიანი, უნიკალური ვიდეოფირი, სადაც აღბეჭდილია თითქმის ყველა ქართული ძეგლი, რომელიც ჯერ კიდევ

---

* ჟურნალის წინა ნომერში გია გოდერძიშვილის ფოტოებსა (არტანუჯის ციხე, ხიდი მდ. არტანუჯის-წყალზე) და შესავალი წერილის (არტანუჯის ციხის მოკლე ისტორია) მინაწერში ექსპედიციის თარიღად 1991 წლის ნაცვლად შეცდომით მითითებული იყო 1992 წელი, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს იხდის.




დგას ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე. ამ მასალის მიხედვით ვამზადებთ 3 საათიან დოკუმენტურ ფილმს, რომელსაც მალე იხილავს მაყურებელი.

ჩვენი ექსპედიციების მიზანი იყო აგრეთვე ძველი საქართველოს თავდაცვის სისტემისა და სავაჭრო-საქარავნო გზების შეძლებისდაგვარად აღდგენა და რუკაზე დატანა. ამ სისტემების შავი რუკა თითქმის შედგენილი გვაქვს და თუ ფინანსური შემწეობა იქნება, ალბათ გამოვცემთ კიდეც.

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, მალე გაიხსნება ახალციხის საბაჟო და ბევრ ტურისტს დააინტერესებს ქართული ძეგლების ნახვა თურქეთში, გზები კი არ არის ცნობილი. ამიტომ ჩვენ გვსურდა მოგვემზადებინა მასალები და გამოგვეცა თურქეთში არსებული ქართული ძეგლების გზამკვლევი. ასეთი გზამკვლევით შედგენილი მარშრუტი ტურისტს საშუალებას მისცემს ორგანიზებულად დაათვალიეროს ტაო-კლარჯეთის რეგიონი. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აღვნიშნო, რომ ქართველ ტურისტს

თურქეთში საქმე გართულებული აქვს და ახალციხის საბაჟოდან გადასულ ტურისტულ ჯგუფებზე ხშირად იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება ადგილობრივი მოსახლეობა ჩვენი ძეგლებისადმი.

*— სიტყვამ მოიტანა და, როგორი გხვდებოდათ ადგილობრივი მოსახლეობა, ხომ არ იგრძნობოდა მათი მხრიდან რაიმე უკმაყოფილება ან აგრესიულობა თქვენი ექსპედიციის მიმართ?*

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოსახლეობა, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ გულითადად და თითქმის სიხარულითაც გვხვდებოდა, ინტერესდებოდნენ ჩვენი გეგმებით და ზოგჯერ გვეხმარებოდნენ კიდეც.

მახსოვს, პირველი ექსპედიციისას, შავშეთის ვილაიეთში (ეს იქაური ადმინისტრაციული ერთეულია) ყოფნისას, ქართველებმა მწყემსების დასახლებაზე დაგვპატიჟეს ალპურ ზონაში. წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა გავიგეთ, რომ დასახლებას „მუამითობა" ერქვა. სხვათა შორის, იქვე, ალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 3000 მ სიმაღლეზე, აღმოვაჩინეთ პატარა ეკლესია საინტერესო სახელწოდებით — „ქურდილი". ცოტა ქვემოთ ვნახეთ უსტამისის ციხე, რომელიც ძალზე მიუვალ ადგილზეა გაშენებული. უსტამისის ციხე დაახლოებით VI საუკუნის ძეგლი უნდა იყოს. იგი მშვენივრადაა შემონახული.

მოსახლეობასთან შეხვედრა გვქონდა ბორჩხას ვილაიეთის ქართულ სოფელ იბრიკლიში. აქ დგას მაცხოვრის პატარა, გუმბათოვანი ეკლესია. სოფელში ორი ღამე გავათიეთ. აქაური ქართველები დიდად დაგვეხმარნენ, ახლო-მახლო ძველი ნანგრევები მოგვატარეს.

ორიოდე სიტყვით ხანძთის თავგადასავალი მინდა გავიხსენო (მოგეხსენებათ, ქართულ თავგანწირულმა [illegible] მიაგნო ხანძთის მონასტერს. [illegible] საქმიანობა [illegible] ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს დიდი არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც [illegible] ხანძთის მონასტერია, ჯერ ერთი, ამ მდებარეობაში სხვა [illegible] არ მოიძებნება და მეორე — ჩვენს მიერ ნანახი აშკარად ძალიან წააგავს ხანძთის მონასტრის გარეგნულ [illegible] აღწერილობას. სულ [illegible] ხანძთის გარშემო [illegible] მონასტერი კი [illegible] ზუსტად [illegible] (ფურცლები შეგვრჩა). ხანძთის მონასტერი საკმაოდ ძნელად მისადგომ ხეობაშია, დასახლებული პუნქტიდან 7 კილომეტრითაა დაშორებული. რომ მივაღწიეთ (ბოლო ექსპედიციაზე მაქვს მხედველობაში), უკვე საღამო იყო. მალე დაბნელდა. საცალფეხო ბილიკები დავკარგეთ და გზა ავცდით ხეტიალში. მონასტრის შორიახლოს, დაახლოებით 1 კილომეტრზე, უცნობ ნანგრევებს



ჯაყის ციხე



ეროვნული ბიბლიოთეკა




წავაწყდით ხანძთა, როგორც აღვნიშნეთ, დიდი კომპლექსი იყო და შესაძლოა, ეს შენობებიც მას ეკუთვნოდა. დავათვალიერეთ ნანგრევები და განვაგრძეთ გზის ძებნა. ძალიან ბევრი ვიარეთ, უკვე გადაგვეწურა იმედი. — მონასტერში ვაპირებდით ღამის გათევას. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, მოხუცი ტყისმცველი შეგვხვდა, რომელმაც გამოგვიყვანა სამშვიდობოს და ახალი ბილიკებიც გვასწავლა. შემდეგ ეს ბილიკები რუკაზეც დავატანეთ.

ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენი ტურისტები უნდა გაუფრთხილდნენ მოსახლეობის ასეთ გასწრობას. თუნდაც ტყისმცველის მაგალითიც მათი კეთილგანწყობის საილუსტრაციოდ მოვიხმე.

*— დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს, თუ შეიძლება, ცოტა დაწვრილებით გვესაუბრეთ იქაური მოგზაურობის შესახებ.*

— პირველი ორი ექსპედიციის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ტერიტორია გამოვიკვლიეთ, უსახსრობის გამო რამდენიმე ხეობა ვერ მოვიარეთ და ამიტომ, არ გვქონდა იქაური ძეგლების სრული სურათი.

წლევანდელმა ექსპედიციამ მთლიანად მოიცვა ტაო-კლარჯეთი (ბორჩხა-შავშეთ-არტანუჯ-თორთუმ-სპერის ხაზი) და თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონები. სპერის ხეობაში აღმოვაჩინეთ რამდენიმე უცნობი ციხე. მათი ქართული სახელები, სამწუხაროდ, აღარ არის შემორჩენილი. ძალზე საინტერესოა თვით სპერის ციხე, რომელიც შიგ ქალაქ ისპირში დგას. იგი ისე კარგადაა კლდეებში შეხამებული, რომ თავიდან ვერც კი შევნიშნეთ. დიდხანს ვიხეტიალეთ ქალაქში. არადა თურმე ცხვირწინ გვქონია. სპერის ულამაზეს ციხეზე ზედ მინარეთი და მეჩეთი დგას, რომელსაც ქვის წყობაზე ეტყობა, რომ მოგვიანებითაა დაშენებული.

ვნახეთ ოდესღაც ულამაზესი კერები ქართული კულტურისა — ოშკი, ხახული, ბანა, ხანძთა, ტბეთი, ოპიზა, პარხალი... ჩავედით მდ. ჭოროხის სათავემდე — ბაიბურდის მხარეში. ვნახეთ ბაიბურდის უზარმაზარი ციხე. ამ ციხით იწყება ჭოროხის ზემოის თავდაცვითი სისტემა და მთავრდება გონიოს ციხით აჭარაში.

ვიყავით მტკვრის სათავეშიც, ქოლას პროვინციაში. სხვათა შორის, მტკვარი

სათავეში მაჯია. მის ხეობაში, არდაგანის ვილაიეთში, ჩილდირის ტბის მახლობლად, [illegible] სამცხის ათაბაგთა რეზიდენცია — ჯაყის ციხე (სწორედ აქედან წარმოდგება ათაბაგთა საგვარეულო სახელწოდება — ჯაყელი). ადგილობრივი მოსახლეობა მას შეითან-კალეს (ეშმაკის ციხეს) უწოდებს და ახლოს არ ეკარებიან. დიდი ნაციხარ-ნაქალაქარი ციხის უზარმაზარი კომპლექსი, რომელიც ფაქტიურად საზღვარზე დგას, საქართველოს [illegible] შემონახული და ახლად გადმოსცემს ჯაყისწყლის მეორე ხეობას ჯაყის ციხიდან 15 კილომეტრის მოშორებით ჯანხეთ არდაგანის ციხეც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საინტერესო ადგილებია გამოკვეთილი სამთამაცეთი კომპლექსი ბერთა. სულ ჩანაწერებში შემალული და სხვა ისტორიულადაა კლდეებში შეხამებული რომ დიდებს მოგვყავს ძებნა. დგას რამდენიმე ბაზილიკა და საცხოვრებელი ნაგებობები.

კარნისისწყლის ერთ-ერთ შენაკადში შემორჩენილი წავაწყდით ძალზე საინტერესო თაღოვან ხიდს, რომელიც რაღაცით რკინის ხიდს წააგავს, ოღონდ გაცილებით უფრო ლამაზია. ვიდავით შანიოის მთიანეთშიც. ჯანაქი სამი უცნობი ციხე — აზნის, დიბის და უზუნდერეს ციხე (მათი ქართული სახელწოდებები ვერსად მოვაკვლიეთ).

საერთოდ, ტაო-კლარჯეთის რეგიონში თითქმის ყოველ დასახლებულ პუნქტთან დგას ციხე. მაგალითად, ჭოროხის შენაკადების ხეობებში სულ ციხეებია — ყოველ ხეობაში ორი ან სამი მაინც (თავში და ბოლოში, დიდ ხეობებში კი — თავში, შუაში და ბოლოში). ციხეების სახელწოდებები ძირითადად დაკარგულია, ადგილობრივი მოსახლეობა მათ უბრალოდ „კალეს" (ციხეს) უწოდებს. ამიტომ ახლა „უსახელო" ციხეები ჩვენს გზამკვლევში დასახლებული პუნქტების სახელწოდებების მიხედვით შევიტანეთ.

ფაქტიურად, ახლა ტაო-კლარჯეთში სულ რამდენიმე მეჩეთია დარჩენილი სანახავი. მაგალითად, ტაოსკარის სვეტი, რომელსაც ვეძებთ სადაც არის, მაგრამ უსახსრობის გამო ეკლესიის ხანძრისგან შეხლოდნული იყო და მისი ნახვა კვლავ მოვახერხეთ. იმედი მაქვს, რომ ერთი ეკლესიის მოვლენას კიდევ მოვახერხებთ და ჩვენ სხვა ეკლესიის ხარისხიანად შევაგროვებთ.



ქალა




*— იქნებ ტაო-კლარჯეთის ბუნებაზე გვიამბოთ ორიოდე სიტყვა.*

— თავდაპირველად, ბორჩხისკენ სულ აჭარის ლანდშაფტია, არტანუჯის მხარე კი უფრო მესხეთს ჩამოჰგავს, იმერხევი უფრო პირქუშია. ისე კი, მოგეხსენებათ, ჩვენი ბუნების მრავალფეროვნება. ყველა კუთხე განსხვავდება ერთმანეთისაგან. ტაო-კლარჯეთის ბუნებაც მეტად თავისებურია. საქართველოს არცერთ კუთხეს არა ჰგავს მაინცდამაინც — ღრმა და გაშლილი ხეობებია, დიდი კანიონები, მდინარის პირას — ტერასები, ბაღნარები, ზემოთ კი ალპური ზონებია. ჰავა ჯავახეთისას ჰგავს, დღისით აუტანელი სიცხეა, ღამით კი საგრძნობლად ცივა. დიდი ფართობი უჭირავს უდაბნოებს. მონასტრები კი ოაზისებშია ჩაფლული. ძალზე შთამბეჭდავია პარხლის მონასტერი, ყოველ ათ მეტრში პატარა წყარო ამოდის მიწიდან.

*— როგორია ქართული ძეგლების მდგომარეობა თურქეთში?*

— არის ეკლესიები, სადაც ჯამეები, იქაური სალოცავებია გახსნილი, მაგალითად, ხახულში, პარხალში, დოლისყანაში, ერთაში, ჭალაში... მათ კარგად უვლიან. მიმაჩნია ის ფაქტი, რომ თურქეთმა თავიანთ ტურისტულ მარშრუტებში შეიტანეს იშხანი, ოშკი და ბანა, რაც მათი მოვლის გარანტიას იძლევა. ისე კი, ბანა სავალალო მდგომარეობაშია. პირველი სართულის ზემოთ აღარაფერია დარჩენილი, თაღები ამოქოლილია, ეტყობა, ოდესღაც ციხედ იყო გამოყენებული და შიგ გარნიზონი იდგა. ოშკის ტაძარი ცნობილი ბარელიეფებიდან წელს უკვე ორი ქვა იყო ჩამოვარდნილი... ცუდ მდგომარეობაშია იშხანიც, ძლიერ არის დაზიანებული ტბეთის მონასტერი...

ოპიზის სახელოვანი მონასტერი ფაქტიურად აღარ არსებობს, მის ადგილას გზა გადის ამჟამად. გზის აქეთ-იქით კი ტაძრის შენობებია საწყალობლად დარჩენილი. შემორჩენილია რაღაც დიდი შენობის ნანგრევები, რომელიც, ჩემი აზრით, ოპიზის აკადემია უნდა ყოფილიყო (მოგეხსენებათ, ოპიზა კულტურის მძლავრი კერა იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მარტო ოპიზარის საოქრომჭედლო სკოლის გახსენება რად ღირს...).

ხანძთის კამარები მთლიანად ჩამოქცეულია. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ გუმბათიც ალბათ მალე ჩამოიქცევა. პირველი ექსპედიციისას ხანძთის სამრეკლო თავის ჩირგვში იყო ჩაფლული. თუკა რომ გადმოვყურეთ, სამრეკლოს ფასადზე ლამაზი ასომთავრული წარწერა აღმოვაჩინეთ — სულის შენდობას ითხოვს ხანძთის სამრეკლოს აღმშენებელი. ეს წარწერა უცნობია ჩვენში. მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ძეგლთა მკვლევარს, ცნობილ [illegible] ქართველ მეცნიერს — ბ-ნ ვახტანგ ჯობაძეს აქვს მოხსენიებული [illegible] ენაზე გამოქვეყნებულ თავის მონოგრაფიაში). წელს სამრეკლო უკვე [illegible] ჩანს, თავის ცეცხლი გაუჩნდა. ახლა სამრეკლო ისეა გამაგრებული, რომ წარწერის



მატბერიდი



მოკითხვა თითქმის შეუძლებელია. კიდევ კარგი, რომ პირველი ექსპედიციისას გადაუღიათ ეს წარწერა.

დიდხანს ვეძებეთ გოგიუბის ეკლესია, მაგრამ ვერ მივაგნეთ. ვფიქრობ, რომ საერთოდ აღარ არსებობს. იგი ჯერ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობის დროს იყო სავალალო მდგომარეობაში.

*— ალბათ გახარებთ ჩვენი ჟურნალის არტანუჯის ციხის მიმართ, თქვენ საქმიანი...*

— ვიცნობ არტანუჯის ციხეზე ნაწერებს, მის მოსაზრებას ჟურნალშიც, რომელიც ჩემი ჩანაწერები ჯერ არაფერით მომწიფდება, გარკვეული მოსაზრებების თავს ვიკავებ ფოტოების გამოქვეყნებისაგან. არადა ბევრია დაინტერესებული პირი, თქვენ განსაკუთრებით ხართ. ალბათ იმიტომ, რომ ახალგაზრდული და პერსპექტიული თქვენი ჟურნალი „არტანუჯი“ ძალიან მომწონს და მე ყოველთვის ვითანამშრომლებ მასთან.

*— გმადლობთ...*

— რაც შეეხება არტანუჯს, იგი დაბის ტიპის დასახლებაა, აქ ჩამოდის მდ. არტანუჯისწყალი. დაბის შესასვლელთან არის უნიკალური ხიდი. აქვეა ასეთის ციხე, რომელიც სულ კლდეებშია გამოჭრილი (იმოგვს ჩამოჭვავს დაახლოებით). არტანუჯის ციხე დაბის ცენტრშია აღმართული. გრანდიოზული ნაგებობაა. იგივე ციხე სულ კლდეებზეა დაშენებული და ლანდშაფტს ეხამება ფერით, გალავნის ნაშთები კი დაბამდე ჩამოდის. ციხეზე აღარაფერია. მხოლოდ საშუალო ზომის ეკლესიის რამოდენიმე კედელია დარჩენილი.

არტანუჯიდან ჩრდილოეთით, 10-12 კილომეტრის დაშორებით, არის ენირაბვის ეკლესია. სავარაუდოდ ეს არის შატბერდი. შეიძლება ვცდები (შატბერდის ლოკალიზაციის საკითხი სადავო თემაა ჩვენში), მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი მასშტაბის ეკლესია ამ მიდამოებში სხვა არა არის რა, თუ არა შატბერდი. გარდა ამისა, იქაურმა ქართველმა „შატბერდ“-ის მსგავსი ტოპონიმი დაუკავშირა ეკლესიის სახელწოდებად.

*— რამდენადაც ვიცით, თქვენ მხოლოდ ექსპედიციებით არ იფარგლებით და აქვე გამოფენებსაც აწყობთ საქართველოში. გარდა ამისა, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?*

— პირველი ორი ექსპედიციის შემდეგ გადაღებული მასალებიდან დავამზადეთ ფერადი სურათები დიდ ფორმატებზე; აღნიშნული ფოტომასალის გამოფენა ორჯერ მოეწყო თბილისში: პირველად — ეროვნულ ბიბლიოთეკაში და მეორედ — პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღვნიშნე, მალე გამოვა ჩვენი მიერ ტაო-კლარჯეთში გადაღებული დოკუმენტური ფილმი. გზამკვლევზეც და როგორც მოგახსენეთ, ვამზადებთ ტაო-კლარჯეთის ძეგლთა ფოტოალბომის გამოცემასაც (იმედი გვქონდა, რომ ჩვენს დროში ეს არცთუ ახალი დროის პერსპექტივაა. ახლა უსახსრობა გვაფერხებს). სასურველია, რომ ასეთი ალბომის ტექსტი რამდენიმე ენაზე იყოს დაბეჭდილი, რადგან ამითაც ხელი შეეშლება მათ მიერ ჩვენი ძეგლების მითვისების ტენდენციას.

პერსპექტივაში გვაქვს კიდევ ერთი ექსპედიციის მოწყობა მომავალი წლის ზაფხულში, გარდა ამისა ექსპედიციის მოწყობა საინგილოში, რათა გადავიღოთ და აღვწეროთ იქაური ძეგლებიც.

*— რამე ხომ არ დაგავიწყდათ?*

— მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ექსპედიციის მონაწილეთა სახელით მადლობა მოვახსენო ყველა იმ პირს, ვინც ხელი შეგვიწყო ჩვენი მიზნების განხორციელებაში.

მადლობა რაგბისტთა ფირმა „გუმარს" (პრეზიდენტი ბ-ნი ბასიკო გვარია) რომელმაც ავტომანქანა გამოგვიყო ჩვენი ექსპედიციის და მეორე რაგბისტთა ფირმა „ხანის" (პრეზიდენტი ბ-ნი თემურ გაფრინდაშვილი) რომელმაც დაგვიფინანსა კინოკადრები.

ესაუბრა თსუ ჟურნალისტიკის
ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი
ნათია ჯინჯოლავა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

(ფოტოები გია გოდერძიშვილისა. ქვეყნდება პირველად)



ჟურნალ „არტანუჯის“ კოლექტივი წარმატებას უსურვებს
გია გოდერძიშვილსა და ექსპედიციის წევრებს
იმ დიდ მამულიშვილურ საქმეში, რომელსაც ასე უანგაროდ არიან
შეჭიდებულნი!

# კიდევ ერთი ბარბაროსული მინაბაძი კოლხეთიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმიტაციების კატეგორია ანტიკური სამყაროს პერიფერიული ნუმიზმატიკური ფენომენია. ამ მხრივ გამონაკლისს არც კოლხეთი წარმოადგენს, რასაც ადასტურებს ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ლოკალური მინაბაძების ემისიის ფაქტი[1].

კონკრეტული სერიები ჩვენს მიერ ასე გაიაზრება: 1) განსაზღვრული პროდუქცია სკეპტუხების de facto სამონეტო რეგალიის რეალიზაციაა; 2) მიზანი სოციალურ-ეკონომიკური ჩიხის საფუძველზე წარმოქმნილი ინფლაციური პროცესების ფულადი მოწესრიგებაა; 3) ზოგადი ქრონოლოგიური შტრიხები შემდეგია: ძვ. წ. II ს. — ახ. წ. I ს. I ნახ. აქედან უკვე იწყება ეკონომიკის ალმავლობა და შესაბამისად, პერმანენტულად დეგრადირებადი ფული თავის ეკონომიკურ სემანტიკას კარგავს, იგი ქრება; 4) კოლხური იმიტაციები მიმოიქცევა იბერიაში და აქ ადგილობრივი გაყალბების გენეზისის საფუძველია[2].



კატალოგში ყველაზე ადრეულია რეჯეში მიკვლეული ცალი. მართალაც, ის მხატვრული და წონითი ასპექტებით დეგრადაციის ადრეული საფეხურია. სერიის შეფარდებითი ქრონოლოგიისათვის ათვლის წერტილის ფუნქციას ასრულებს ლისიმაქეს სტატერის (ალექსანდრე / Rv. ათენა) ლოკალური რეცეპციის პირველი ნიმუშის თარიღი; ეს არის კოლხეთის ჰიპოთეტური ბასილევსის აკას ოქროს ფული, რომელიც ძვ. წ. II ს. 90-80-იან წლებში იჭრება. ემისია ნაწილობრივ საინტერესოა ადგილობრივი მონომეტალისტური (Av.) ტენდენციების ილუსტრაციის თვალსაზრისით[3].

აკის სტატერის აშკარა რეალისტური კონცეფციები იმას ნიშნავს, რომ ის ბილინგვიზირებული ზღვისპირეთის ერთ-ერთი ცენტრის პროდუქციაა, მაგრამ, იმავე დროს, — მეფის რეგალიის რეალიზაცია. ძვ. წ. VI-III სს. დათარიღებული სამონეტო ჯგუფის — კოლხური თეთრი[4] — არქაისტული სტილიდან რეალიზმზე კონკრეტული გადასვლის ფაქტი საოცრად სიმპტომატურია და იგი ლოკალური ელინური სოციალური ელემენტის ბარბარიზაციის, ე. ი. კოლხიზაციის, პროცესის საოცრად ნელ ტემპებზე მეტყველებს. ის კი არა და, აქ წმინდა ბერძნულ ევოლუციურ შტრიხებსაც ჰქონია ადგილი. ავტოხტონური იმიტაციების ტიპოლოგიის მხატვრული გადაწყვეტა სტილიზაციაა, ხოლო ადგილობრივი სუბტიპოლოგიური შტრიხი ძირითად შემთხვევაში შუბლის მხარის ტიპის — ალექსანდრე-თმების გამოსახულების სოლარიზაციაა ორნითული დეკორითურთ. კატალოგში №№ 3067, 10073, г.1578 გარდამავალი ემისიებია, ესენი ადრეული ცალებია.

აქ გვსურს ყურადღება შევაჩეროთ ერთ მეტად საინტერესო ნუმიზმატიკურ ფაქტზე. დაახლოებით 50 წლის წინ ზუგდიდელ ოქრომჭედელ ალექსანდრე გულუას კერძო პირისაგან შეუძენია რამდენიმე ოქროს მონეტა: ა) ბიზანტიური სოლიდები (იუსტინიანე II, ტიბერიოს II, ერთ-ერთი მათგანი კონსტანტინოპოლის ზარაფხანაშია მოჭრილი 1+1); ბ) ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ადგილობრივი (?) მინაბაძები. 1+1. კონკრეტული ნუმიზმატიკური ძეგლები [illegible] წლის წინ წარმოგვიდგინა ზემოთ მოხსენიებული პიროვნების შვილი[illegible] გულუამ. სამწუხაროდ, გამომდინარე ობიექტური პირობებიდან, მონეტების მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირული ატრიბუცია მოხერხდა. ერთი ძალზედ საინტერესო ეგზემპლარი (Av.) მაინც გადავიღეთ. მისი ადგილსამყოფელი ამჟამად უცნობია. გთავაზობთ აღწერილობას (იხ. ფოტო).



*Av. ალექსანდრე მაკედონელის თავის სქემატური გამოსახულება მარჯვნივ.*
*Rv. ტახტზე მჯდარი ათენა პალადას სქემატური გამოსახულება ნაკეთი. ქვემოთ სამთითა. დამახინჯებული ბერძნული წარწერა, რომლის საფუძველია შემდეგი ლეგენდა — ΒΑΣΙΛΕΩΣ ΛΙΣΙΜΑΧΟΥ.*

მონეტა უპასპორტოა. არის კი ის საერთოდ კოლხური?! შესაძლებელია, და აი რატომ: სიმპტომატურია ა) შესყიდული კომპლექსის შემადგენლობა — აქ ალექსანდრეს ტიპის სტატერის ლოკალური იმიტაციაც ერია; ბ) თმის ვარცხნილობა არქაისტული ატავიზმია, კონკრეტული შტრიხი კი კოლხეთისათვის სწორედ რომ სიმპტომატურია — კოლხური ჰემიდრაქმების სერია ძვ. წ. III საუკუნეშიც კი ამ ნიშნის მატარებელია. არქაისტული სტილის კონკრეტული სუბტიპოლოგიური შტრიხის კოლხურ ადაპტაციასთან ხომ არ გვაქვს საქმე?! მაშინ აღწერილი მონეტის ემისია განხორციელდა ძალზედ მალე ძვ. წ. I ს. 90-იანი წლების შემდგომ, კრიზისის დასაწყისშივე.

ასეთია ჩვენი მოსაზრებანი შეიძლება ვცდებით, იქნებ კონკრეტული ნუმიზმატიკური ფენომენი არც კი არის კოლხური?! თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა.

**თედო დუნდუა**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

## შენიშვნები

1. ამასთან დაკავშირებით იხ. Г. Ф. Дундуа. Нумизматика античной Грузии. Тб. 1987, с. 55-102, таб. I-XXVII.
2. თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. 1993. გვ. 74, 77, 100-101, 123-125.
3. გ. დუნდუა. დასახ. ნაშრ. გვ. 88-91; თ. დუნდუა. დასახ. ნაშრ. გვ. 38-40.
4. გ. დუნდუა. დასახ. ნაშრ. გვ. 9-33.

# არმენიის საკითხი რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში და იბერია

ეროვნული ბიბლიოთეკა



დასავლეთთან საქართველოს მიმართების გარკვევისა და ძველ აღმოსავლეთში ჩვენი, როგორც გარკვეული პოლიტიკური ძალის, ადგილის განსაზღვრის საკითხი დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია. ამიტომ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს [illegible] საქართველოს ზოგიერთი საკითხის გაშუქება, რადგან ეს პერიოდი ქართული სახელმწიფოების, კერძოდ, იბერიის სამეფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობათა გაცხოველებით გამოირჩევა. რომსა და პართიას შორის მიმდინარე დაძაბული ბრძოლების ფონზე საგარეო ორიენტაციის ფაქტორი უმეტესად განსაზღვრავდა იბერიის ადგილს მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ძალთა განაწილებაში და დიდ მნიშვნელობას იძენდა.

შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ძლიერი ცვლილებების გამო რომის აღმოსავლური პოლიტიკის მკვეთრად სისტემური გატარება [illegible] ხერხდებოდა. რაც შედეგად [illegible] რომის საგარეო პოლიტიკაში ქართული სახელმწიფოების ადგილის განსაზღვრის ეპიზოდურ ხასიათს აყენებს.

I ს. 30-იან წლებში როგორც რომის იმპერიის, ასე ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი საკითხი [illegible] დიდ არმენიას. სწორედ რომსა და პართიას შორის მიმდინარე დაძაბული ბრძოლებისა და რომაულ-არმენიის ურთიერთობის ფონზე ყალიბდება იბერიის საგარეო ორიენტაცია და მისი ადგილი [illegible] ხანაში.

რომის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკას საკმაოდ ბევრი ნაშრომი მიეძღვნა. მის ურთიერთობებს საქართველოსთან თავის დროზე შეეხო [illegible] მონოგრაფიაში (1), ხოლო [illegible] ურთიერთობა [illegible] (2).

ოქტავიანე ავგუსტუსმა უარი თქვა აღმოსავლეთში აგრესიული შეტევითი პოლიტიკის გატარებაზე, რაზედაც [illegible] სამეფოთა წყება, რომლებიც შუამდებარე [illegible] არმენიაზე [illegible] რომსა და პართიას [illegible] სწრაფად ცვლილებებს [illegible] დროის აღმოსავლეთში რომის [illegible], რაც [illegible] პოლიტიკის [illegible]. 17 წ. კაპადოკიის სამეფო [illegible] პროვინციის [illegible] მიიღწია. გაუქმდა კომაგენის სამეფო და მისი ტერიტორია სირიის პროვინციას შეუერთდა (3, 48-50). 22/23 წ. პოლემონიდური პონტო რომის [illegible] (4, 145-147; 5, 731). ამ დროიდან არმენიის სტრატეგიული მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება და [illegible], როგორც [illegible] პლაცდარმზე. პოლიტიკური გავლენის შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი [illegible] იმპერიისა იბერიის მიმართ და ამ [illegible] პოლიტიკური აქტივობაც.

კალიგულას დროს ავგუსტუსის პოლიტიკის ერთგვარი [illegible] დაუდგა [illegible] სამეფოები პონტოს სამეფო გადაეცა პოლემონ II-ს (Dio, LIX, 12, 2), მცირე არმენია — კოტისს (Suetion, Caligula, 20), კომაგენე — ანტიოქოს IV-ს (Tac. Ann., XII, 55, 1-2). [illegible] სისტემა შენარჩუნებულია კლავდიუსის დროსა და ფლავიუსების ხანაშიც, [illegible] რომმა [illegible] არმენია. მის დასაბრუნებლად [illegible] მიმართა ტრაიანემ, მან 116-117 წლებში არმენია [illegible] მოახდინა და პროვინციად გამოაცხადა (Dio, LVII, 17; LXVIII 17, LXVII, 1, 19). ტრაიანეს [illegible] ფაქტიურად [illegible] ნათლად [illegible] არმენიაში რომის [illegible].

34 წ. ზენონ-არტაშესის [illegible] შემდეგ არტაბან III-მ არმენიაში თავისი ვაჟი არშაკი გაამეფა (Tac. Ann., VI, 31). [illegible] — არმენიის [illegible] მეფის აყვანა. ტიბერიუსმა არმენიისათვის ბრძოლაში ჩართო [illegible] ძალა, რომელიც [illegible] და რომის მოკავშირე — [illegible] გზაზე მდგარი იბერიის სამეფო. [illegible] არმენიის ტახტი იკავებს, მაგრამ [illegible] რომში [illegible] და დაპატიმრა (Tac. Ann., VI, 33-35).

წყაროები ამ ფაქტის შესახებ საკმაოდ მწირ და ბუნდოვან ინფორმაციას გვაწვდიან. დიონ კასიუსთან ვკითხულობთ: „მითრიდატე იბერიელი, რომელიც გაიუსმა გამოიძახა და ბორკილებში ჩასვა, (კლავდიუსმა) სამშობლოში გამოგზავნა ტახტის დასაკავებლად" (LX, 8). ტაციტუსი წერს: „მითრიდატე, რომელიც, როგორც უკვე ვახსენე, არმენიაში მეფობდა და გაიუს კეისრის ბრძანებით ბორკილდადებული იყო, კლავდიუსის ჩაგონებით სამეფოში დაბრუნდა" (XI, 8).

თუ რა იყო მიზეზი კალიგულას ამგვარი მოქმედებისა, სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლომდე გარკვეული არ არის და მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულ საკითხზე ძირითადად ორი მოსაზრება არსებობს. ჯ. მელიქიშვილის აზრით, მითრიდატე [illegible] დასჯის მიზეზი პართიასთან მის დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ. შესაძლოა მითრიდატე [illegible] მკაცრად პრორომაული კურსის და პართიასთან გარკვეული კონტაქტები დაამყარა, რაც მისთვის რომისა და იბერიის კონტროლისაგან თავის დაღწევის ერთადერთი გზა იყო. ამ პოლიტიკას, ამავე დროს, მის პოზიციებს გაამყარებდა ქვეყნის შიგნით და მიემხრობდა პროპართიულად განწყობილ არმენიის არისტოკრატიას (1, 340-341).

ნ. ლომოური სრულიად საპირისპიროდ აფასებს მითრიდატეს მდგომარეობას და მისი ორიენტაციის პროპართიულობა შეუძლებლად მიიჩნია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ერთადერთი ძალა, რომლის მეშვეობითაც მითრიდატეს შეეძლო შეენარჩუნებინა არმენიის ტახტი, ფარსმანის სამხედრო დახმარება და სირიის ლეგატის ლეგიონები იყო. მისი აზრით, გადამწყვეტი მიზეზი კი ის იყო, რომ არმენიის მეფე ცალკეულ შემთხვევებში დამოუკიდებლად მოქმედებას ცდილობდა. დიონ კასიუსის ცნობით კალიგულას მმართველობის დასაწყისშივე არტაბან III-სთან დადეს საკმაოდ მკაცრი ზავი, რისთვისაც გაიუსმა თავისი დიდი დამსახურებად ჩათვალა (LIX, 27, 3). მაგრამ უცებ მალე პართიაში მორიგი სამხედრო გადატრიალება მოხდა და არტაბან III-მ დაკარგა სამეფო ტახტი. ამის შემდეგ კალიგულამ რომში გამოიძახა სირიის ლეგატი ლუციუს ვიტელიუსი, რომელსაც მთელი თავისი მოხერხებულობის გამოყენება დასჭირდა, რათა თავი დაეღწია სასიკვდილო განაჩენისათვის (Dio, LIX, 25, 4). ვიტელიუსის რომში გამოძახებას მოსდევს ცნობა მითრიდატეს დაპატიმრების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტებს შორის უშუალო კავშირი წყაროდან არ ჩანს, მეცნიერი შესაძლებლად მიიჩნევს ვიტელიუსისა და მითრიდატეს მონაწილეობას ამ გადატრიალებაში და არმენიის მეფის რომში გამოძახებისა და გადაყენების მიზეზს მის მიერ გამოჩენილ საკუთარ ინიციატივაში ხედავს. მითრიდატეს მიმართ იმპერატორის მტრული განწყობის პირობებში, რისაც მიზეზს არმენიის მეფე კიდევაც აძლევდა, საკმარისი იყო ოდნავ მცირე დანაშაული, რომ მითრიდატე დაესაჯათ (2, 163-166).

სწორია მეცნიერის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გაიუსის მმართველობის თავისებური და ხშირად ალოგიკური ხასიათის მიუხედავად, მაინც ძნელი დასაშვებია იმპერატორს კონკრეტული მიზეზის გარეშე დაეთმო არმენია პართიელებისათვის. უეჭველია, ამგვარი ნაბიჯის გადადგმის დროს კალიგულას საკმაოდ მკაცრი მოტივები ამოძრავებდა, რადგანაც არმენიის ტახტის ვაკანტურად დატოვება, რაც ფაქტობრივად ქვეყნის მოწინააღმდეგისათვის უბრძოლველ დათმობას უდრიდა, რომის აღმოსავლური პოლიტიკის მიმდევრობასა და მიღწევებს უსვამდა ხაზს. პართიელებმა მართლაც დაიკავეს არმენია და იგი დროებით კვლავ დაკარგა რომმა (6, 344). მითრიდატეს დასჯის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო ან მისი აშკარა პროპართიული პოზიცია, ან კიდევ არმენიის მეფის მხრიდან გარკვეული დამოუკიდებლობის შენარჩუნების ცდა, რაც უკვე ნიშნავდა გადახვევას მკაცრად პრორომაული პოლიტიკური კურსიდან და ობიექტურად პართიის ინტერესებს ემსახურებოდა.

აშკარა პროპართიული ორიენტაცია ნაკლებად სავარაუდოა იმპერიასთან ტერიტორიული სიახლოვისა და ქვეყანაში იბერიის ფაქტორის არსებობის პირობებში. გარდა ამისა, ამის შესახებ წყაროებში ვერავითარ მითითებას ვერ ვპოულობთ. მითრიდატე იბერიელის დასჯის მიზეზად არც არტაბანეს წინააღმდეგ მოწყობილ კარის გადატრიალებაში მისი მონაწილეობა ჩანს დამაჯერებლად. საქმე ისაა, რომ არტაბან III-სთან ზავის დადების დრო წყაროებში სხვადასხვაგვარად არის მოცემული. ტაციტუსი და კასიუსი ამ ფაქტს კალიგულას მმართველობით ათარიღებენ, მაგრამ იოსებ ფლავიუსის ინფორმაციით, ლუციუს ვიტელიუსი არტაბანესთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა და ზავი ტიბერიუსის სიცოცხლეში დაიდო. მკვლევართა ნაწილი უფრო მეტ ნდობას ფლავიუსის თხზულებას უცხადებს (6, 343-344), ტაციტუსთან და დიონ კასიუსთან შემონახული არაზუსტი ინფორმაციის წყაროდ კი თვითონ ლუციუს ვიტელიუსი მიიჩნევა, რომელსაც სიცოცხლის შესანარჩუნებლად და ბრალდებებისაგან თავის დასაცავად ყალბი ფაქტის დამოწმება მოუხდა და იძულებული იყო იმპერიის დიპლომატიის გამარჯვება გაიუსისათვის მიეწერა (5, 749). თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სირიის ლეგატის რომში გამოძახებისა პართიაში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებასთან კავშირზე ტაციტუსი არაფერს ამბობს და რომ ნაკლებად მოსალოდნელია ვიტელიუსს თავისივე მეცადინეობით დადებული ზავის გაუქმებისათვის შეეწყო ხელი, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ კალიგულას მიერ მისი წინამორბედის პოლიტიკაზე უარის თქმა გამოიწვევდა აღმოსავლეთში ამ პოლიტიკის [illegible] აქტიური გამტარებლის პოზიციების შერყევას.

ფარნავაზიანი უფლისწული დინასტიური თვალსაზრისით სრულიად უცხო იყო არმენიის სამეფო ტახტისათვის. მას არც არტაშესიანთა შთამომავალი ჰყავდა ცოლად და არც არშაკიდთა საგვარეულოს წარმომადგენელი. არმენია კულტურულად პართიის გავლენას განიცდიდა, პოლიტიკურად კი რომზე იყო დამოკიდებული. ამიტომ, როგორც ჩანს, მითრიდატე იბერიელს მუდმივი ლავირება სჭირდებოდა, რათა მოეპოვებინა არმენიის მეფის ძირითადი დასაყრდენის — პროპართიულად განწყობილი არისტოკრატიის კეთილგანწყობა და თანაც, არ დაეკარგა რომაელთა და მასთან ერთად იბერიელთა სამხედრო მხარდაჭერის იმედი. მის ერთგვარ პროპართიულ განწყობაზე, ჩვენის აზრით, არაპირდაპირ მიუთითებს წყაროს ერთი ცნობა. როდესაც ფარსმანი არმენიაში შეჭრას აპირებდა, „მიზეზიც მოიგონა, ალბანთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში


შავი ზღვა
კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი
ი ბ ე რ ი ა
ალბანეთი
კ ა ს პ ი ი ს ზ ღ ვ ა
ა ტ რ ო პ ა ტ ე ნ ა
მცირე არმენია
კ ა პ ა დ ო კ ი ა
კ ო მ ა გ ე ნ ა
ოსროენე
მ ე ს ო პ ო ტ ა მ ი ა
ადიაბენე
კილიკია
ხმელთაშუა ზღვა
ს ი რ ი ა
წინა აზია
ახ.წ. I საუკუნის I ნახევარში.
პუნქტირით აღნიშნულია რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარი.

რომაელებს დასახმარებლად რომ [illegible], ძალით წინააღმდეგობა გაეწიათ" (Tac. Ann., XII, 45), შეუძლებელია [illegible] რომ საბაბი [illegible] ფაქტორს [illegible] რომის [illegible] რადგან I ს-ში [illegible] იბერიის [illegible] პოლიტიკის კურსი, როგორც ჩანს, [illegible] პოლიტიკური ორიენტაციის [illegible] შეიცვალა (1, 341-342), [illegible] მითრიდატის [illegible] როგორც რომისათვის [illegible] კურსის [illegible] იყო, [illegible] უნდა [illegible] წინ რომაელთა [illegible]?! როგორც ჩანს, მითრიდატეს იბერიელის რომში [illegible] და [illegible] პროიმპერიული პოლიტიკის [illegible], საიმპერატორო [illegible] იმპერატორის [illegible] და [illegible] რომისადმი [illegible] ერთგული [illegible] — [illegible] არმენიის [illegible]? [illegible] რომ ეს იყო [illegible] არმენიის [illegible] კოტის II-ის [illegible] მხარს უჭერს [illegible].

37/38 წ. [illegible] (იხ. სურ.) [illegible] არმენიის [illegible] ზენონ-არტაქსიას (7, 34), ის მოხდა 18 წ. [illegible] I [illegible] ზენონმა, [illegible] 15 წელი [illegible] და 34 წ. [illegible] არმენიის [illegible], [illegible] ზენონი [illegible], რომ [illegible].



[illegible] — არმენიის [illegible] ზენონის [illegible] — [illegible] კოტის I-ის [illegible] (Strabo, XII, 3, 29). [illegible] 38 წ. [illegible] II [illegible] და [illegible] II, [illegible] არმენიის [illegible] (8, 513-514). [illegible] ზენონ-არტაქსიას [illegible], რადგან ზენონ-არტაქსიას [illegible] კოტის [illegible] არმენიის [illegible], რომ ზენონ-არტაქსიას [illegible] არმენიაში [illegible] (2, 155). [illegible], რომ კოტის [illegible] არმენიის [illegible]. ამ მხრივ, [illegible] არმენიაში [illegible]. „[illegible] არმენიის მეფე [illegible]" (Tac. Ann., XI, 9).

[illegible], ჩვენის აზრით, [illegible] არმენიის [illegible] — კოტის II-ის [illegible], რადგან [illegible] რომის [illegible].

**ნინო მეფიშვილი**

თსუ ისტორიის ფაკულტეტის
V კურსის სტუდენტი

## ლიტერატურა


1. Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб. 1959.
2. Н. Ю. Ломоури. Грузино-Римские взаимоотношения. Тб. 1981.
3. О. В. Кудрявцев. Провинция Каппадокия в системе Римской восточной политике. ВДИ. № 2. 1955.
4. Th. Reinach. L'histoire par les Monnaies. Paris. 1902.
5. The Cambridge Ancient History. vol. X. Cambr. 1953.
6. Т. Моммзен. История Рима. т. V. 1949.
7. E. A. Sydenham. The coinage of Caesarea in Cappadocia. London. 1933.
8. D. Magie. Roman rule in Asia Minor. v. I. Princeton. 1950.

# ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების ისტორიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII-IX სს. მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს ახალი ფეოდალურ-სახელმწიფოების ჩამოყალიბება. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ეგრის-აფხაზეთის სამეფო. ეს სახელმწიფო წყაროებში აფხაზთა (1; 251...) ან კიდევ ეგრისის (2; 38, 64, 82, 109...) სამეფოდ იხსენიება, რადგანაც სამეფო დინასტიის დამაარსებელი იყო აფხაზეთის ერისთავი, თვით სახელმწიფოს ტერიტორია კი ისტორიული ეგრისის მიწა-წყალსაც მოიცავდა. ამიტომ მივმართავთ უფრო მისაღებია ამ სამეფოს ეგრის-აფხაზეთის სახელწოდებით მოხსენიება.

როგორც ცნობილია, VI ს-ში დასავლეთ საქართველოში, ეგრისში, მიმდინარეობდა ხანგრძლივი ბრძოლა მსოფლიოს იმდროინდელ ორ უდიდეს ძალას — ბიზანტიასა და ირანს შორის. ამან, ბუნებრივია, გავლენა იქონია ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. საქმე იქამდე მივიდა, რომ VI ს-ის ბოლოს ეგრისის სამეფო გაქრა, აფხაზეთი კი ბიზანტიური წყაროების მიხედვით, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარა ბიზანტიის იმპერიას.

მომდევნო საუკუნეებში, ეგრისის დაცემის პარალელურად, თანდათან ძლიერდება აფხაზეთის საერისთავო (3; 280). ამას თავდაპირველად იმპერია უწყობდა ხელს, რადგანაც იგი აფხაზეთში ეგრისის სანაცვლოდ წინააღმდეგ საყრდენს ხედავდა. აფხაზეთის ძლიერებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ VIII ს-ის პირველ ნახევარში მისი მმართველი ლეონ I ფაქტიურად მთელი დასავლეთ საქართველოს ავტონომიური მმართველის უფლებამოსილებით სარგებლობს. მაგრამ ბიზანტიის ხელშეწყობით გაძლიერებულმა აფხაზეთმა, კერძოდ, მისმა ერისთავმა ლეონ II-მ, გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო, გამოეყო ბიზანტიის იმპერიას და შექმნა ეგრის-აფხაზეთის სამეფო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც აფხაზეთის საერისთავოს პოლიტიკური ვითარება VII-VIII საუკუნეებში, ასევე ეგრის-აფხაზეთის სამეფოს გენეზისი, დაკავშირებული უნდა იქნას ბიზანტიაში მიმდინარე ერთ პროცესთან კავშირში. ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია პროფ. ნოდარ ლომოურის ერთ-ერთი, ჯერჯერობით პოპულარული ფორმით გამოქვეყნებული ნარკვევი, რომელშიც მკვლევარს წარმოდგენილი აქვს თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ VII-VIII საუკუნეებში ბიზანტიაში ღრმავდებოდა ფეოდალური ურთიერთობები და მიმდინარეობდა თემების, ე. ი. სამხედრო-ტერიტორიული ოლქების ჩამოყალიბება, რომელთა სათავეშიც სტრატეგოსები (მხედართმთავრები), ანუ ძველი ქართული ტრადიციის თანახმად, — ერისთავები იდგნენ. ეს პროცესი კი სამეფოებს უკვალოდ გამოეცალათ, რომ აფხაზეთიც ერთ-ერთი ასეთი სასაზღვრო თემი უნდა ყოფილიყო (4; 4).

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების საკითხზე მნიშვნელოვან ცნობას წარმოგვიდგენს XI ს-ის ანონიმური თხზულება „მატიანე ქართლისაი“. მისი ავტორის ცნობით, „რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, განდგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომელსა მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულისწული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა განდგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ“ (1; 251). ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი გასაგებია და აღნიშნული წყარო არ მოითხოვს დამატებით კომენტარს, მაგრამ ზოგი მკვლევარის აზრით, ლეონ II ჯერ განთავისუფლებულა ბიზანტიისაგან, მიუღია მეფის ტიტული და შემდეგ შემოუერთებია თავისი სამფლობელოსთვის ეგრისი (5; 51). როგორც ვხედავთ, წყაროში ციტირებული ადგილიდან არ იკვეთება მოვლენათა ასეთი თანმიმდევრობა. „მატიანე ქართლისაი“-ში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ჯერ მოხდა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება და შემდეგ უკვე — სამეფოს შექმნა.

ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება უნდა მომხდარიყო ნებაყოფლობით (6; 795-796; 7; 189-218; 8; 10). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსაზრებას არ იზიარებს ზოგი მკვლევარი. მაგალითად, პროფ. ზურაბ ანჩაბაძე უშვებდა ეგრის-აფხაზეთის ძალისმიერი გაერთიანების შესაძლებლობას და წერდა: „Недостаток источников не позволяет нам категорически утверждать, что объединение Абхазии и Эгриси в одну политическую единицу было осуществлено только мирным путем при отсутствии какого бы то ни было насилия со стороны абхазского владетеля“ (9; 101). რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთს არ სწადდა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება და მოვლენები ბიზანტიისკენ სრული გადახვევა მსურველი ფეოდალური წრის ზოგიერთ წარმომადგენელს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ლეონ II, ეგრისელთა მხარდაჭერის გარეშე, მხოლოდ ხაზართა „მოკავშირეების“ გამოყენებით, ვერ შეძლებდა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებას, როგორიც იყო მის მიერ განხორციელებული აქტი. ეგრისსა და აფხაზეთს შორის რაიმე სერიოზული დაპირისპირება რომ ყოფილიყო, ამას, უეჭველია, პირველ რიგში, აფხაზეთის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდა ბიზანტიის იმპერია. იგი ამის გაკეთებას ადვილად შეძლებდა, რადგანაც ამ დროისათვის იმპერიის დასუსტება არც წყაროს ეხება რომ ვთქვათ — „მოუძლურდეს“ მართალია დაქვეითებული, მაგრამ ჯერ არ არის ის ზღვარი მიღწეული, რომელსაც მან VIII ს-ის ბოლოს, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს საბოლოოდ ჩამოყალიბების დროს მიაღწია. ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან არ ჩანს არც ეგრისელთა და არც აფხაზეთის საერისთავოს წარჩინებულთა წინააღმდეგობა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისას. ასე რომ, ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება გამოწვეული იყო საერთო ინტერესებით. რაც შეეხება ამ გაერთიანებაში და შემდგომ სამეფოს ჩამოყალიბებაში ხაზართა მონაწილეობას, ამ საქმე შემდეგში: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მატიანე ქართლისაი“

გადმოგვცემს, რომ ლეონ II ხაზართა ძალით „გააძევა ბერძენნი, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა". ამ ადგილის ისე გაგება, თითქოს ლეონ II ხაზარებს იყენებს ეგრისის დასაპყრობად, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია (5; 51), დიდი შეცდომაა. აქ საუბარი სულ სხვა რამეზეა. ამიერკავკასიაში მკვეთრად უპირისპირდებოდა ერთმანეთს ბიზანტიისა და ხაზართა ინტერესები. სწორედ ამიტომ, ლეონ II იყენებს ხაზარებს ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების საქმეში, როგორც ბიზანტიის წინააღმდეგ დასაყრდენ ძალას. ლეონ II ხაზართა ძალას ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებისას უპირისპირებს არა მის მოწინააღმდეგე ეგრისელებს, არამედ ბიზანტიის იმპერიას. რაც შეეხება წყაროში ნახმარ [illegible] „დაიპყრა", აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ძველ ქართულ ენაში სიტყვა „დაიპყრა" [illegible] ქართულის ხშირ შემთხვევაში შეესატყვისება „დაეუფლა".

მაგრამ, მაინც როდის უნდა მომხდარიყო ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება და ლეონის მიერ მეფის ტიტულის მიღება? ლეონის გამეფების თარიღთან დაკავშირებით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი ე. წ. „მეფეთა დივანი", რომელიც წარმოადგენს ეგრის-აფხაზეთის მეფეთა ჩამონათვალს. დოკუმენტში მითითებული მეფეთა ინდიქტიონების მიხედვით ექ. თაყაიშვილმა ბაგრატ III-ის მეფობის წლებიდან უკუანგარიშით მოგვცა ერთგვარი ქრონოლოგია მეფეთა ზეობისა, რომლის მიხედვით ლეონს უმეფია 746-791 წლებში (10; 53). ფაქტიურად ასეთივე ქრონოლოგია გაიზიარა აკად. ივანე ჯავახიშვილმაც (11; 93). მაგრამ „მეფეთა დივანს" ბევრი ნაკლი აქვს და ამის გამო ჩვენ მარტო მის მონაცემებს ვერ დავეყრდნობით.

ლეონ II-ის გამეფებას 786 წლით ათარიღებს ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი (6; 796). მკვლევართა ნაწილი ყოველგვარი დასაბუთებისა და ანალიზის გარეშე პირდაპირ ეყრდნობა ვახუშტისეულ ამ ქრონოლოგიას (12; 174-175; 13; 274;...). ამასთანავე აღვნიშნავთ, რომ ჩვენც ვიზიარებთ ლეონ II-ის გამეფების ვახუშტისეულ თარიღს, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია ამ მოსაზრების არგუმენტირება.

ლეონის გამეფებისა და, მაშასადამე, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების დროის შესახებ საუბრისას შეუძლებელია არ განიხილო ამ პერიოდში ბიზანტიის იმპერიაში არსებული მდგომარეობა, რადგანაც ქართულ წყაროში პირდაპირაა მითითებული, რომ ლეონ II-მ ისარგებლა თავისი აქტის განხორციელების დროს ბერძენთა „მოუძლურებით". ამიტომ გასარკვევია, ბიზანტიის ისტორიის რომელ მონაკვეთზეა საუბარი წყაროში, ანუ როდის „მოუძლურდა" იმპერია ისე, რომ აფხაზეთის ერისთავმა შეძლო ფაქტიურად მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ბიზანტიისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვება.

როგორც ცნობილია, 717-741 წლებში ბიზანტიის იმპერატორი იყო ლეონ III. მან თავისი ვაჟი კონსტანტინე ხაზართა მეფის ქალიშვილზე დააქორწინა, რომელთაც 750 წელს ვაჟი — ლეონი შეეძინათ. ეს ქორწინება შესაძლებელია პოლიტიკური ნაბიჯი ყოფილიყო საერთო მტრის — არაბების წინააღმდეგ ორი მნიშვნელოვანი ძალის — ბიზანტიისა და ხაზარეთის გასაერთიანებლად გადადგმული.

კონსტანტინე V-ის (741-775) და განსაკუთრებით ლეონ IV „ხაზარის" (775-780) იმპერატორობის დროს ბიზანტიამ საგარეო პოლიტიკაში დიდ წარმატებებს მიაღწია. ძალზე მნიშვნელოვანი იყო 778 წელს ბიზანტიელების მიერ არაბებზე მოპოვებული გამარჯვება გერმანიკეასთან.

ლეონ IV-ის დედა ხაზართა მეფის ქალი იყო, ქართული წყაროს მიხედვით აფხაზეთის ერისთავის ლეონ II-ის დედაც ასევე ხაზართა მეფის ასული იყო. აკად. სიმონ ჯანაშიას აზრით, ისინი უნდა ყოფილიყვნენ დები, ხოლო აქედან გამომდინარე, იმპერატორი ლეონ IV და აფხაზეთის ერისთავი ლეონ II — დეიდაშვილები (14; 330).

ბიზანტიაში ლეონ IV-ის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძე კონსტანტინე (15; 140-143), მაგრამ ის 10 წლის იყო მხოლოდ და ამიტომ ქვეყნის გამგებლობას შეუდგა მისი დედა — ირინა. იმპერიაში დაიწყო დიდი არეულობა. სამეფო კარზე არაერთი შეთქმულება მოეწყო. უნდა ითქვას ისიც, რომ გამოთქმული მოსაზრებით ირინას თვითონ უნდა მოეწამლა და მოეკლა საკუთარი მეუღლე — ლეონ IV „ხაზარი". შემდეგ კი ირინამ საკუთარი ვაჟი კონსტანტინე VI ტახტიდან გადააგდო, დასაჯა და თავი ბიზანტიის იმპერატორად გამოაცხადა. 802 წელს ირინა თავადაც შეთქმულების მსხვერპლი გახდა. აკად. სიმონ ჯანაშია ვარაუდობდა, რომ სწორედ ამ დროს უნდა განეხორციელებინა ლეონ II-ს თავისი აქტი (14; 333), რომ სწორედ ირინას ერთმმართველობის პერიოდი (797-802 წწ.) იყო ხელსაყრელი დრო აფხაზეთის ერისთავისათვის. ერთი სიტყვით, აკად. სიმონ ჯანაშია ქართულ წყაროში ნახსენებ ბერძენთა „მოუძლურების" ხანად თვლის VIII ს-ის 90-იანი წლების ბოლოს, კერძოდ, ირინას ერთმმართველობის პერიოდს.

უნდა ითქვას, რომ საგარეო პოლიტიკაში ირინას იმპერატორობამდე იმპერია წარმატებებს აღწევდა. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ქვეყნის შიგნით მიმდინარე რთული პროცესი. ირინას ერთმმართველობამდე გაცილებით ადრე ბიზანტიის წარმატებები არ იყო დამყარებული ქვეყნის შინაგან სიმტკიცეზე. აქ საუბარია იმ მოვლენებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმპერიაში და რომელიც ცნობილია ხატმებრძოლეობის სახელით (16; 59-62). ეს მოძრაობა ჯერ კიდევ VII ს-ის პირველ ნახევარში დაიწყო. ბერძენთა „მოუძლურების" ხანის გარკვევას ხატმებრძოლური მოძრაობასთან კავშირში ყურადღება მიაქცია პროფ. შოთა ბადრიძემ თავის გამოკვლევაში „აფხაზთა სამეფოს წარმოშობის დროისა და პირობების შესახებ". იგი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს წარმოშობას უკავშირებს „დროის დიდ მონაკვეთს: მე-8 საუკუნის სიღრმიდან ამავე საუკუნის ბოლო ხანამდე" (17; 36). მართლაც, ბიზანტიის შინაგანი დასუსტება VIII ს-ის დასაწყისიდან თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შუა წლებიდან ნამდვილად შესამჩნევია. ძლიერი იყო ხატმებრძოლეობის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობაზე. ბერძენთა „მოუძლურება" დაიწყო არა ირინას ერთმმართველობის დროს, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ეს პროცესი თანდათან ძლიერდებოდა და VIII ს-ის ბოლოს უკანასკნელ ეტაპს მიაღწია. ასევე ერთიანი პროცესი იყო ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბებაც, რომელიც ორი ეტაპისაგან შედგებოდა.

უპირველესად მოხდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, ხოლო შემდეგ მისი სამეფოდ გადაქცევა. ეს იყო ორი, სხვადასხვა დროს, მაგრამ ბერძენთა „მოუძლურების" პერიოდში განხორციელებული აქტი.

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბების დროის განსაზღვრის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ქართველი მწერლის იოანე საბანისძის თხზულება „აბო ტფილელის მარტვილობა". მასში აფხაზეთის სათავეში მდგომი პიროვნება „მთავრად" იხსენიება (18; 65). მაშასადამე, ის ჯერ კიდევ არ არის „მეფე". აფხაზეთის მთლიანული დგას დამოუკიდებლობის გზაზე, მაგრამ საბოლოო მიზანი ჯერ არ არის მიღწეული. თხზულების ავტორი აფხაზეთის „მთავარს" იხსენიებს ქართლის ერისმთავრის — ნერსეს ხაზარეთიდან აფხაზეთში ჩასვლასთან დაკავშირებით. ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა 782 წელს, ხოლო თხზულება 80-იანი წლების მიწურულს დაიწერა. ძალზე საინტერესოა, რომ საბანისძეს მინიშნებაც კი არა აქვს ეგრისზე VIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში. უკვე სახელწოდება „აფხაზეთი" ფართო ცნებადაა ქცეული და ფაქტიურად მთელ ლიხთიმერეთს აღნიშნავს, ხოლო ეგრისის თუ აფხაზეთის (საერისთავოს) სახელწოდებანი, როგორც ცალ-ცალკე ადრე არსებულნი, დავიწყებასაა მიცემული (17; 37). მაშასადამე, VIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველო უკვე გაერთიანებულია, მის სათავეში დგას „მთავარი" და არა „ერისთავი", მაგრამ ჯერ კიდევ არა „მეფე". ეს გაერთიანება უნდა მომხდარიყო VIII ს-ის 70-იანი წლების ბოლოდან 80-იანი წლების დაწყებამდე (782 წლამდე).

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება და ეგრის-აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნა ლეონ II-ის მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპებს ასახავს. ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანებით დასავლეთ საქართველოს არ მიუღწევია ბიზანტიის იმპერიისაგან სრული დამოუკიდებლობისათვის. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შექმნა იყო გარკვეული პროცესის დასასრული ეტაპი. ამ პროცესის სახით კი ჩვენ საქმე გვაქვს დასავლეთ საქართველოს ბიზანტიის იმპერიისაგან განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. სწორედ ამ მხრივ ყველაზე მისაღებია პავლე ინგოროყვას დებულება, რომ „მოხდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით განთავისუფლება როგორც აფხაზეთისა, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებისა ბიზანტიის იმპერიის ბატონობისაგან" (7; 116). რაც შეეხება ამ პროცესის უკანასკნელ ეტაპს, ანუ სამეფოს საბოლოოდ ჩამოყალიბებას, ეს უნდა მომხდარიყო VIII ს-ის 80-იანი წლების შუა ხანებში. ჯერ კიდევ პროფ. შოთა ბადრიძემ თავის გამოკვლევაში აჩვენა, რომ აფხაზეთის გაერთიანებული წარმონაქმნი არსებობდა VIII ს-ის 80-იან წლებამდე და ამ წარმონაქმნის მეთაური იმთავითვე იყო ლეონ II, ჯერ მთავარი, შემდეგ კი მეფეც (17; 31-40). მაგრამ ჩვენ გვსურს უფრო დავაკონკრეტოთ ეს საკითხი. ლეონის გამეფებასთან დაკავშირებით „მატიანე ქართლისაის" ავტორი წერს, რომ ლეონმა „სახელ-იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ" (1; 251). ვახუშტის მიხედვით იოანე გარდაიცვალა 786 წელს, ხოლო ჯუანშერი — 787 წელს (6; 127). თუ ვახუშტის ამ ცნობას გავიზიარებთ და შევადარებთ „მატიანე ქართლისაის" ციტირებულ მონაკვეთს, გამოდის, რომ ლეონ II გამეფებულა 786/787 წლებში (იოანეს გარდაცვალებიდან ჯუანშერის გარდაცვალებამდე პერიოდში). მაშასადამე, VIII ს-ის 70-იანი წლების ბოლო პერიოდამდე ან 80-იანი წლების დასაწყისამდე (782 წლამდე) ლეონი იყო აფხაზეთის ერისთავი, ამავე პერიოდიდან დაახლოებით 786/787 წლებამდე —

*ანაკოფია — აფხაზეთის სამთავროს ცენტრი. ციტადელის ნანგრევები.*



გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის მთავარი, ხოლო 786/787 წლებიდან უკვე ეგრის-აფხაზეთის მეფე.

ფაქტიურად არა გვაქვს საფუძველი იმისა, რომ არ გავიზიაროთ ლეონ II-ის გამეფების ვახუშტისეული თარიღი (786 წ.) და არ დავეთანხმოთ იმ მკვლევართ, რომელთაც სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე მიიღეს ვახუშტისეული ქრონოლოგია (19; 222-223; 17; 31-40). ერთი სიტყვით, ეგრის-აფხაზეთის სამეფო საბოლოოდ ჩამოყალიბდა არა იმპერატორ ირინას ერთმმართველობის დროს (797-802 წწ.), როგორც ეს მიაჩნდა აკად. სიმონ ჯანაშიას, არამედ უფრო ადრე, როცა ირინა შვილის — კონსტანტინეს მეურვე-თანამმართველობის გამო ფაქტიურად განაგებდა ქვეყანას. სწორედ ირინასა და კონსტანტინეს ერთად მოღვაწეობის პერიოდში (780-797 წწ.) იყო „მოუძლურებული“ იმპერია შინაგანი არეულობით, რომ ლეონ II-ს მოეპოვებინა სრულიად დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება. ხოლო 797 წლიდან, ანუ ირინას ერთმმართველობის დროიდან, იმპერიის დასუსტებამ VIII საუკუნისათვის უმაღლეს წერტილს მიაღწია, რამაც საბოლოოდ გაამყარა ამ დროისათვის უკვე ჩამოყალიბებული ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მდგომარეობა.

და ბოლოს, გვსურს ერთ საკითხსაც შევეხოთ. ისტორიკოსთა შორის არის აზრთა სხვადასხვაობა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ეს გაერთიანება მოხდა ბიზანტიის იმპერიის სანქციით. როგორც პროფ. ზურაბ ანჩაბაძე წერდა, „Объединение Абхазии и Эгриси под властью Леона Абхазского ... могло в тот период даже соответствовать интересам правящей византийской верхушки, поскольку создавалось относительно мощное, зависимое от Византии, буферное государство между византийской империей, с одной стороны, и хазарским хаканатом и арабскими владениями в восточной Грузии, — с другой“ (11; 101-102). პროფ. ზურაბ ანჩაბაძე ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებას ათარიღებს 778 წლით. მისი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო ბიზანტიის იმპერიის სანქციით, ვინაიდან ამ დროს იმპერიამ დიდ წარმატებებს მიაღწია სამხრეთში, გერმანიკეასთან 778 წელს არაბებთან ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებით და ამის გამო მისცა ლეონ II-ს ეგრისის საზღვრების ხარჯზე სამფლობელოს გაფართოების (9; 102).

მოსაზრებას ეგრის-აფხაზეთის საიმპერატორო კარის სანქციით გაერთიანებაზე არ იზიარებს პროფ. შოთა ბადრიძე (17; 38, სქ.). ჩვენ ზემოთ განვიხილეთ წყაროთა ცნობა ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების თარიღზე. როგორც დავინახეთ, ლეონმა ამ გაერთიანების დროს, ისევე როგორც შემდეგ, თავის მეფედ გამოცხადებისას, გამოიყენა ხაზართა ძალა. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება, ისევე როგორც ეგრის-აფხაზეთის სამეფოს საბოლოოდ ჩამოყალიბება, არ იყო მისაღები ბიზანტიის იმპერიისათვის. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს გაერთიანების კონკრეტულ თარიღს, შეიძლება დავეთანხმოთ პროფ. ზურაბ ანჩაბაძეს, მაგრამ ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ეს მოხდა 778 წელს არაბებთან ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვებით „აღფრთოვანებული“ ბიზანტიის საიმპერატორო კარის სანქციით. პირიქით, ეგრის-აფხაზეთის გაერთიანების დროს ლეონ II-მ ისარგებლა არა ბიზანტიელთა ამ გამარჯვებით, არამედ ამ პერიოდისათვის იმპერიაში უკვე დაწყებული და საგრძნობლად შესამჩნევი „მოუძლურების“, დასუსტების პროცესით, რაზედაც გარკვევითაა საუბარი ქართულ წერილობით წყაროში.

შალვა ბლიოვილი

## ლიტერატურა


1. მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I თბ. 1955.
2. იოანე დრასხანაკერტელი. სომხეთის ისტორია. ე. ცაგარეიშვილის გამოცემა. თბ. 1965.
3. Лордкипанидзе М. Д. Абхазское царство. Очерки истории Грузии. II. Тб. 1988.
4. შოთა ბადრიძე. ახალი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოქმნა VIII-IX სს. გაზ. „ნერგი“. 23 ივლისი. 1993.
5. Каифоглы И. Эллины на Кавказе. Афины. 1908.
6. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. IV თბ. 1973.
7. პავლე ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ. 1954.
8. მარიამ ლორთქიფანიძე. აფხაზები და აფხაზეთი. თბ. 1990.
9. Анчабадзе З. В. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми. 1959.
10. ექვთიმე თაყაიშვილი. მეფეთა დივანი. ძველი საქართველო. II. ტფ. 1913.
11. ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. II. თბ. 1983.
12. M. Brosset. Additions et eclaircissements a l'histoire de la Georgie. 1851.
13. დიმიტრი ბაქრაძე. ისტორია საქართველოისა. ტფ. 1889.
14. Джанашиа С. Н. О времени и условиях возникновения Абхазского царства. შრომები. II. თბ. 1952.
15. Успенский Ф. История Византийской империи. II. Л. 1927.
16. Диль Ш. История Византийской империи. перевод с французского А. Е. Рогинской. под ред. и с предисловием Б. Т. Горянова. М. 1948.
17. შოთა ბადრიძე. აფხაზთა სამეფოს წარმოშობის დროისა და პირობების შესახებ. თსუ შრომები. 1972. B 4 (143).
18. იოანე საბანისძე. მარტვილობა აბო ტფილელისა. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. რედ. კ. კეკელიძე. ტფ. 1935.
19. მიხეილ გუნბა. დასავლეთ საქართველო და ბიზანტია VI-VIII სს. სოხუმი. 1962.

# იოანე ჭყონდიდელი

## (XI საუკუნის ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიისათვის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპარქიათა ისტორიას საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში გასაგები მიზეზების გამო არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. არადა, აუცილებლად უნდა წარიმართოს კვლევა ამ მიმართულებით. საჭიროა მონოგრაფიული შესწავლა საქართველოს ისტორიაში არსებული თითოეული ეპარქიისა, მით უმეტეს, რომ მათი ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებას.



ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეპარქიის ისტორიის კვლევისას თაედაპირველი ამოცანაა საეპისკოპოსო კათედრის ხელმძღვანელთა ქრონოლოგიური რიგის დადგენა (ეპისკოპოსთა პერსონალური შემადგენლობისა და მათი მოღვაწეობის წლების განსაზღვრა).

მღვდელმთავართა ქრონოლოგიური რიგის მეტ-ნაკლებითი სიზუსტით აღდგენილი სურათი ერთგვარი ხერხემალია საეპისკოპოსოს ისტორიისა, მოკლე თავგადასავალია ეპარქიისა, მეორეს მხრივ კი, ამა თუ იმ ეპისკოპოსის მოღვაწეობის ქრონოლოგიის განსაზღვრამ მომიჯნავე საკითხის შესწავლისას შესაძლოა გარკვეული დახმარება გაუწიოს მკვლევარს.

X საუკუნეში დაარსებული ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა ერთ-ერთი გავლენიანი საეკლესიო ცენტრია შუა საუკუნეების საქართველოში. განსაკუთრებით ძლიერდება იგი XII საუკუნეში, როცა დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდელობა და მწიგნობართუხუცესობა ერთმანეთს შეუთავსა. ამიტომ, ცხადია, ნაკლებად გავლენიან ეპარქიებისაგან განსხვავებით, ჭყონდიდის იერარქებზე შედარებით მეტი ცნობებია შემორჩენილი, მეტ-ნაკლები სიზუსტით დადგენილია XI-XIII საუკუნეების ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგიც (2).

კათედრის დაარსებიდან დღემდე (X-XX სს.) ჭყონდიდის ეპისკოპოსთაგან დაახლოებით 50 იერარქის სახელი შემოინახა ისტორიამ. ამჯერად შევეხოთ ერთ-ერთი მათგანის — იოანე ჭყონდიდელის (XI ს.) მოღვაწეობასთან დაკავშირებულ დეტალებს, არსებულ წყაროებზე დაყრდნობით შევეცადოთ განვსაზღვროთ მისი ეპისკოპოსობის წლები.

❖

*1054 წელს* ბაგრატ IV დედამისთან მარიამ დედოფალთან ერთად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა და იმპერატორ კონსტანტინე მონომახს ლიპარიტ ბაღვაშთან შერიგების შუამდგომლობა სთხოვა. ამ დროს სამონასტრო საქმეებზე ათონის მთიდან კონსტანტინოპოლში ჩავიდა გიორგი მთაწმიდელიც. მეფემ მთაწმიდელს ჭყონდიდის კათედრა შესთავაზა („ამის საყდრისა მღდელთ-მოძღუარი მას ოდეს ჟამსა აღსრულებულ იყო"), მაგრამ გიორგიმ უარი განაცხადა ეპისკოპოსობაზე, ვინაიდან ეკრძალვოდა „დიდებასა კაცთასა და შფოთსა სოფლისასა და სიმდაბლესა შეეტკბობდა" (3, 204; 7, 303-304).

კონსტანტინოპოლში გიორგიმ, როგორც ჩანს, ბაგრატ IV-ის დახმარებით, საქმეები „ყოველი კეთილად იურვა" — მონასტერი გაათავისუფლა გადასახადისაგან („დიმოსისაგან"). ამავე დროს მარიამ დედოფალმა მონასტერს ერთი ლიტრა განძი შესწირა. ათონის ერთ-ერთ ალაგში

ვკითხულობთ: „თუესა დეკენბერსა: იგ წმიდათა ევსტრატეთ დღესასწაულსა პეტრიკისა და ძმისა მისისა იოანესდა აღაპად განვაწესეთ: რომელ დედოფალმან ბაგრატის დედამან ლიტრაი ერთი სოლიდი შეგვქმნა და ბაგრატ დიდისა მოგვწყვდა, ორივე ესე დიდი საქმე მათითა თანადგომითა და მოღვაწებითა სრულ იქმნა“ (1, 220; 2, 8-9).

*1060 წელს* ანტიოქიაში, შავ მთაზე მყოფ გიორგი მთაწმიდელს ჩამოსაყვანად ბაგრატ მეფემ გაუგზავნა „საკუთარი თჳსი იოანე“. იმავე წლის სექტემბერში გიორგი მთაწმიდელი საქართველოში ჩამოვიდა. 1060/61 წლის ზამთარი მან თავისი ამალით ჭყონდიდში გაატარა. „...ვითარცა წარმოვემართენით და მივიწიენით ჭყონდიდს, მეფე სრულიად აფხაზეთს შთასლვად წარემართა, ხოლო ჩუენ ეპისკოპოსმან ჭყონდიდელმან არა განგვიტევნა, რამეთუ მოწაფე იყო ბერისაჲ“ — წერს გიორგი მცირე (3, 222).

*1065 წელს* გიორგი მთაწმიდელი ამალითურთ საქართველოდან გაემგზავრა. ეს ის დროა, როცა კონსტანტინოპოლში ჩავიდა მართა უფლისწული (ბაგრატ IV-ის ასული), რათა ცოლად გაჰყვეს იმპერატორ კონსტანტინე X დუკას ვაჟს მიხეილს (მომავალში იმპერატორი მიხეილ VII დუკა). კონსტანტინოპოლში ჩასულ მთაწმიდელს მართა და მისი ამალა უკვე იქ დახვდა. უფლისწულს თან ახლდნენ „ნეტარი ბერი პეტრე პეტრიკ-ყოფილი და იოანე ბედიელი მთავარ-ეპისკოპოსი და სვინგელოზი და სხუაჲ ერი ფრიადი“ (3, 235-236). ჩასვლიდან რამოდენიმე დღეში, 1065 წლის 29 ივნისს გიორგი მთაწმიდელი გარდაიცვალა (4, 86).

ერთი წლის შემდეგ, *1066 წელს* 24 მაისს, როცა გიორგის ცხედარი ხის ზანდუკიდან მარმარილოს ლუსკუმაში გადაასვენეს, „ნეტარმან პეტრე და ძმამან მისმან იოანე ჭყონდიდელმან“ გიორგი მთაწმიდელის ხსენების დღე განაწესეს (3, 257).

გიორგი მცირე თავისი თხზულების დაწერის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ამ იოანე ჭყონდიდელს ასახელებს: „... ჟამსა მას სოფლით განსლვისა და ღმრთისა თანა მისლვისა მისისასა (გიორგი მთაწმიდელისა — ბ. კ.) ... მის თანა დახუედრებულისა, და კუალად ღმრთის-მოყუარისაცა მის, მეორე მთავარ-ეპისკოპოსისა — იოანეს ვიტყჳ ჭყონდიდელისა, ძმისა ნეტარისა პეტრე პატრიკისისა, მო-რაჲ-ვიდა სამეუფოდ ქალაქად, მოციქულად მოვლინებული ბაგრატ აფხაზთა მეფისა მიერ და სევასტოსისა, ამის პირისათჳს დიდად იძულებულ იქმნა უღირსებაჲ ჩუენი ... რათა ყოველი სახე აღსრულებისა და სოფლით განსლვისა წმიდისა ამის მამისა ჩუენისაჲ უნაკლულოდ მოუთხრათ“ (3, 173). მართლაც, მალე, 1066 წლის შემდეგ გიორგი ხუცესმონაზონმა დაიწყო „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ წერა (5, 41-52).

*1085 წელს* ერთ-ერთ ანდერძში ვკითხულობთ: „მე სულითა საწყალობელმან ეგნატი დავწერე ... ესე წიგნი ... სადღეგრძელოდ ღმრთივ-გჳრგჳნოსანთა მეფეთა ჩუენთა გიორგი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა ... და კუალ სადღეგრძელოდ ძმათა ჩემთა იოანე ჭყონდიდელ მთავარეპისკოპოსისა და სვინგელოზისა, პეტრე ვესტისა და მწიგნობართუხუცესისა და ჩემ ცოდვილისაცა ეგნატისათვის ლოცვა ყავთ“ (8, 232; 2, 6-7).

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ წარმოდგენილ წყაროთა ცნობებში (1054 წლის აღაპი; გიორგი მცირის თხრობა 1066 წლის მოვლენებზე; 1085 წლის ანდერძი) ერთი და იგივე ძმებზეა საუბარი (2, 6-9). ესენი არიან: პეტრე (ქრონიკებში — პეტრიკი; ატარებს თავდაპირველად პატრიკის, შემდეგ კი ვესტის საერო პატივს; 1085 წლისათვის უკვე მწიგნობართუხუცესია) და იოანე (ჭყონდიდელად იხსენიება 1066 და 1085 წლებში).

როგორც ვხედავთ, *წყაროთა ცნობები ასეთია* : 1054 წელს კონსტანტინოპოლში ჩასული იოანე ჯერ კიდევ არ არის ჭყონდიდელი, ამ დროს ჭყონდიდის კათედრა ცარიელია, ეპისკოპოსი ახალი გარდაცვლილია. იმავე წელს ბაგრატ IV ჭყონდიდის ეპისკოპოსობას სთავაზობს გიორგი მთაწმიდელს, მაგრამ გიორგი უარს ამბობს ამ პატივზე; 1060-61 წლებში ჭყონდიდის მღვდელმთავრად ჩანს გიორგი მთაწმიდელის მოწაფე, რომლის სახელსაც გიორგი მცირე, სამწუხაროდ, არ იხსენიებს; 1065 წელს იოანე შეესწრო გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალებას კონსტანტინოპოლში (იგი „თანა დახუედრებულია“ გიორგის „სოფლით განსლვისა“); 1066 წელს ბაგრატის „მოციქული“ ბიზანტიაში ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე აწესებს გიორგი მთაწმიდელის ხსენების დღეს. ალბათ ამავე პერიოდში მიმართავს თხოვნით

გიორგი მცირეს, რათა მოძღვრის ცხოვრება აღეწერა; 1085 წლისათვის იოანე ჭყონდიდელი უკვე სვეტიცხოვლის საეკლესიო პატივითაა დაჯილდოებული.

*როდის მიიღო იოანემ ჭყონდიდლობა?*

***ნიკო ბერძენიშვილი*** ვარაუდობს, რომ დაახლოებით 1054-64 წლებში ჭყონდიდის საეპისკოპოსო ეპარქია უცნობ პირს, გიორგი მთაწმინდელის მოწაფეს, რომელმაც 1060/61 წლის ზამთარში უმასპინძლა თავის მოძღვარს („საფიქრებელია, რომ გიორგი ხუცეს-მონაზონი, რომელიც კარგად იცნობს იოანე ჭყონდიდელს და თვით მას სთვლის ამ თხზულების დაწერის ერთ-ერთ მიზეზად, მას სახელდობ მოიხსენიებდა, თუ კი იოანე ყოფილიყო ამ დროს ჭყონდიდის მთ.-ეპისკოპოსი" – 2, 10-11, ხქ). შემდეგ კი ეს ჭყონდიდელი, რომლის სახელსაც გიორგი მცირე არ ასახელებს, დაახლოებით 1061-64 წლებში შეცვალა იოანემ („იოანე კი ჯერ კიდევ 1060 წელს უნდა წარმოედგინოს ბაგრატს გიორგის «მწიგნობრად» ანტიოქიაში" – იქვე, 11, ხქ).

***[illegible]*** აზრით, იოანემ 1059 წელს ბაგრატ IV-ის დავალებით ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოიყვანა გიორგი მთაწმინდელი და მისი ინიციატივით ჭყონდიდელად ეკურთხა (6, 193). ასეთი მოსაზრების საფუძველი მკვლევარს, როგორც ჩანს, აძლევს გამოთქმა, რომელიც ჩვენს მიერ ციტირებულ მონაკვეთში იოანეს შესახებ არის ნახმარი – „მის მიერ მთავარ-ეპისკოპოსი", ე. ი. მთავარეპისკოპოსად წარდგენილი გიორგის მიერ.

უკანასკნელ ხანს საინტერესო მოსაზრება გამოთქვა *[illegible]*. გავიხსენოთ, რომ 1054 წელს ბაგრატმა გიორგი მთაწმინდელს ჭყონდიდლობა შესთავაზა. „რაკი გიორგის უარუყვია შემოთავაზებული თანამდებობა, უნდა ვიფიქროთ, რომ ბაგრატი სხვა პირს ჭყონდიდლად დანიშნავდა მისი რეკომენდაციით" (5, 47-48). სწორედ ასეთი ეპისკოპოსი 1060-61 წლებში ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრაზე მის მოწაფეს. ივ. ლოლაშვილის აზრით, ეს მასპინძელი მოწაფე იყო იოანე. მკვლევარის არგუმენტაცია ასეთია: „[«...მის თანა დახუცებულისა, ... მის მიერ მთავარ-ეპისკოპოსისა – იოანეს ვიტყვ ჭყონდიდელისა...»] იმას ნიშნავს, რომ იოანე ჭყონდიდელი ყოფილა გიორგი მთაწმინდელის მიერ მთავარეპისკოპოსად წარდგენილი და მასვე ჰქონია შესაძლებლობა გიორგის შეხვედროდა (თუ დახვედროდა)" (იქვე, 48).

***ჩვენის აზრით***, მისაღები ჩანს ივ. ლოლაშვილის ვარაუდი, მაგრამ, ვფიქრობთ, მეტ დასაბუთებას მოითხოვს.

როგორც ჩანს, ვითარება ასეთია: 1054 წელს გიორგი უარს ამბობს ეპისკოპოსობაზე და ურჩევს ბაგრატს ჭყონდიდელის ტახტზე დაამტკიცოს იოანე, რომელმაც დიდად გამოიჩინა თავი იმ ხანებში ათონის ქართველთა მონასტრისადმი გაწეული ამაგით (როცა მარიამ დედოფალმა მონასტერს ერთი ლიტრა განძი შესწირა, ბაგრატი კი მონასტერს გადასახადისაგან განთავისუფლებაში დაეხმარა, „ორივე ესე დიდი საქმე" იოანესა და მისი ძმის პეტრეს „თანადგომითა და მოღვაწებითა სრულ იქმნა"). საფიქრებელია, რომ ამ პერიოდში იოანე უახლოვდება გიორგის და ემოწაფება მას. თუმცა, შეუძლებელი არაფერია იმაშიც, რომ პეტრე (რომელიც საქართველოს მეფის წარმომადგენლად ჩანს კონსტანტინოპოლში – 3; 235-236, 241, 251-253, 256-257) და მისი ძმა იოანე ადრეც დაახლოებულნი ყოფილიყვნენ ათონის მთაზე მოღვაწე ქართველ განმანათლებლებთან. გაწეული ამაგისათვის გიორგი მთაწმინდელი, თავის მხრივ, აღაპს აწესებს იოანესა და პეტრეს სახელზე. 1054-57 წლებში იოანე ჩამოდის საქართველოში და ჭყონდიდის ეპარქიას უდგება სათავეში (ბაგრატი 1057 წლამდე დარჩა ბიზანტიაში – 9, 148; იოანე ბრუნდება ან მასთან ერთად, ან მის ჩამოსვლამდე).

1060 წელს (და არა 1059 წელს, როგორც ამას ბ. ლომინაძე მიუთითებს) ბაგრატ IV-ის ნათესავ კაცს („საკუთარი თვსი იოანე") ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოჰყავს გიორგი მთაწმინდელი. 1060/61 წლის ზამთარს გიორგი ატარებს ჭყონდიდში, სადაც ეპისკოპოსად ზის მისი მოწაფე, 1054 წლის შემდეგ მისი რეკომენდაციით დანიშნული იოანე ჭყონდიდელი. „ეპისკოპოსმა ჭყონდიდელმან არა განგვტევნა, რამეთუ მოწაფე იყო ბერისაჲ" – წერს გიორგი ხუცესმონაზონი, რომელიც თან ახლდა მოძღვარს. რაც შეეხება არგუმენტს – ეს ჭყონდიდელი რომ იოანე ყოფილიყო, აუცილებლად სახელით მოიხსენიებდა გიორგი მცირე, რადგან კარგად იცნობს მას და სწორედ მას თვლის თხზულების დაწერის ერთ-ერთ მიზეზად (ნ. ბერძენიშვილი), – ამის საპასუხოდ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ლოგიკით ავტორს იმ „სხვა" ჭყონდიდელის სახელიც უნდა მოეხსენიებინა. იოანეს მსგავსად, მასაც ხომ კარგად იცნობს გიორგი მცირე, მან ხომ მთელი ზამთრის განმავლობაში მასპინძლობა გაუწია მთაწმინდელსა და მის მოწაფეებს.

ჩვენ უნდა გავახსოვდეს, რომ „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა" აგიოგრაფიული თხზულებაა, ავტორის მიზანი არ არის ყველაფერის დოკუმენტურად გადმოცემა. იგი იშვიათად

გვამცნობს პირთა სახელებს, ეს მისთვის „მეორეხარისხოვანია". ასე განსაჯეთ, თხზულების იმ ნაწილში, სადაც გიორგი მთაწმიდელის საქართველოში მოღვაწეობაზეა საუბარი (1060-65 წწ.), ბაგრატ მეფისა და გიორგი უფლისწულის გარდა აგიოგრაფი არავის ასახელებს სახელდებით (გამონაკლისია „მღდელთ-მოძღუარი ქუთათისისა, სახელით ილარიონ", რომელიც ერთ-ერთი პირველი დახვდა საქართველოში ჩამოსულ გიორგის). ავტორი კათალიკოსის სახელსაც კი არ გვამცნობს, მისი თხრობა ზოგადია: „ხოლო მეორითგან იწყეს აღსაარებად და სიხარულად თჳთ მეფემან, კათალიკოზმან, მღდელთა, დიაკონთა, მონაზონთა და ერისკაცთა, დიდებულთა და მთავართა, მდიდართა და გლახაკთა" (3, 223).

ჩვენს შემთხვევაშიც აგიოგრაფისათვის მთავარია არა ჭყონდიდელის სახელი, არამედ ის, რომ იგი „მოწაფე იყო ბერისაჲ". გიორგი მცირე თხრობისას გაკვრით ერთგან კიდეც ახსენებს ჭყონდიდის იერარქს, მაგრამ აქაც უსახელოდ: „... ჟამსა მას, ოდეს-იგი ჩუენ ჭყონდიდს ვიყავით, ვითარცა ზემო ვაჴსენეთ, ვინმე ძმაჲ ერთი საეპისკოპოსოჲსა მას შინა სტუმრად მოსრული მთავარ-ეპისკოპოსისა თანა..." (3, 225)



გავიხსენოთ „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების" შესავალი ნაწილი, სადაც ავტორი გვიხსნის თუ რამ „აიძულა აღეწერა მოძღვრის ღვაწლი, ერთ-ერთ მიზეზად იგი „მის მიერ" (ე. ი. „მთაწმიდელის მიერ", „მთაწმიდელისგან") მთავარეპისკოპოსს — იოანე ჭყონდიდელს ასახელებს. ჩვენის აზრით, გიორგი მცირემ, რომელმაც თხზულების დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნა ჭყონდიდელის ვინაობა, თან ისიც მიუთითა, რომ იგი გიორგი მთაწმიდელის რეკომენდაციითაა დანიშნული, შემდეგ უკვე, თხრობისას, აღარ ჩათვალა საჭიროდ გაემეორებინა მისი სახელი. მან მხოლოდ ის აღნიშნა, ჭყონდიდელი მოწაფე იყო გიორგისა, რაც კარგად ეთანხმება მისსავე ცნობას, რომ იოანე ჭყონდიდელი გიორგის მიერ არის წარდგენილი მთავარეპისკოპოსად.

1065 წელს გიორგი მთაწმიდელი საქართველოდან მიემგზავრება. კონსტანტინოპოლში ჩასულ გიორგის იქ ხვდება სამეფო დელეგაცია — მართა უფლისწული, ნეტარი ბერი პეტრე პეტრიკ-ყოფილი (ძმა იოანე ჭყონდიდელისა), ბედიის მთავარეპისკოპოსი იოანე სვინგელოზი და „სხუაჲ ერი ფრიადი". როგორც ჩანს, მართა უფლისწულს თან ახლავს იოანე ჭყონდიდელიც. მას გიორგი მცირე, მართალია, არ ასახელებს დელეგაციის ამალაში, მაგრამ სხვა ადგილას გვამცნობს, რომ იგი „თანა დაჴუედრებულ[ა]" (ე. ი. შემსწრეა) გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალებისა. გიორგი კი, როგორც აღვნიშნეთ, კონსტანტინოპოლში ჩასვლიდან რამდენიმე დღეში აღესრულა. მაშასადამე, 1065 წლის ივნისში იოანე კონსტანტინოპოლშია. 1066 წლის მაისში „ნეტარმან პეტრე და ძმამან მისმან იოანე ჭყონდიდელმან" ხსენების დღე განუწესეს ახალგარდაცვლილ გიორგი მთაწმიდელს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ არ იხსენიება მართა-მარიამის ამალაში იოანე ჭყონდიდელი? ფაქტია, რომ ამ დროს იგი კონსტანტინოპოლშია. იქნებ იოანე 1065 წლისათვის ჯერ კიდევ არ არის ჭყონდიდელი და უბრალო სასულიერო პირის მოხსენიება დელეგაციის ამალაში აღარ ჩათვალა საჭიროდ გიორგი მცირემ? ვფიქრობთ, ეს მოსაზრება უნდა გამოვრიცხოთ. 1065 წლის ივნისსა და 1066 წლის მაისში კონსტანტინოპოლში მყოფი იოანე (1066 წელს იოანე უკვე ჭყონდიდელად იხსენიება) როდისღა უნდა ეკურთხა ეპისკოპოსად? 1065 წელს ბრუნდება საქართველოში, იღებს ჭყონდიდელობას და ბაგრატ IV მაშინვე მოციქულად გზავნის კონსტანტინოპოლში? საეჭვოა. ვთქვათ, ასეც იყო. მაშ, როგორღა გამოდის იოანე გიორგის „მიერ მთავარ-ეპისკოპოსი"? გიორგი მთაწმიდელი ხომ გარდაცვლილია ამ დროს.

ვფიქრობთ, არ უნდა დავაკავშიროთ იოანე ჭყონდიდელის მოუხსენიებლობა სამეფო

დელეგაციაში. როგორც ითქვა, გიორგი მცირის ნაწარმოები არ არის საისტორიო თხზულება, მას არა აქვს ისტორიული ფაქტების სრულად გადმოცემის პრეტენზია. ცხადია, მართა უფლისწულის პეტრესა და იოანე ბედიელის გარდა სხვაც ბევრი ახლდა („სხუაი ერი ფრიადი“), მაგრამ ავტორი მათაც არ ასახელებს. გავიხსენოთ ბაგრატ IV-ისა და მართა დედოფლის ვიზიტი კონსტანტინოპოლში (1054 წ.). გიორგი მცირე აქაც არას გვამცნობს სამეფო დელეგაციის წევრთა შესახებ. არადა, როგორც დავინახეთ, ამ დროს იოანე და მისი ძმა პეტრე მეფის ამალაში არიან (ათონის აღაპი). მეტიც, ავტორს მეფისა და დედოფლის კონსტანტინოპოლში ჩასვლის მიზეზიც არ აინტერესებს. ამგვარი რამ სრულიად ბუნებრივია აგიოგრაფიული თხზულებისათვის.

ლოგიკა ცდუნება იოანე ბედიელი დავუკავშიროთ იოანე ჭყონდიდელს და ამ ორი იოანეს იგივეობა ვამტკიცოთ. იოანე ჭყონდიდელი ძმაა პეტრესი და თითქმის სულ ერთად იხსენიებიან წყაროებში (1054 წლის აღაპი; გიორგი მცირის თხრობა 1066 წლის მოვლენებზე; 1085 წლის ანდერძი), მართას ამალაში კი გიორგი მცირე პეტრეს გვერდით კვლავ იოანეს, ოღონდ ამჯერად ბედიელ მთავარეპისკოპოსს იხსენიებს. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ორივე იოანე სვინგელოზის საეკლესიო პატივს ატარებს. მათი გაიგივებით თითქოს პრობლემაც იხსნება, მაგრამ რეალური ვითარება, როგორც ჩანს, სულ სხვაგვარია. ჯერ ერთი, იოანე ბედიელი არ იწოდება პეტრეს ძმად, იოანე ჭყონდიდელზე კი ყველგან ხაზგასმულია, რომ იგი ძმაა პეტრე პატრიკისა. მეორეც, იოანე ჭყონდიდელი ამ დროს ჯერ კიდევ არ არის სვინგელოზი, 1066 წლის მოვლენების აღწერისას გიორგი მცირე არ ახსენებს მას ამ პატივით. ორი ეპარქიის მმართველობის შეთავსება გვიანი პერიოდის რეალიაა (დავით აღმაშენებლის დროიდან), თანაც, ტიტულატურაში არ ჩანს შეთავსება — იოანე ჭყონდიდელი არსად იწოდება ბედიელად, იოანე ბედიელი კი — ჭყონდიდელად. ისიც საეჭვოა, რომ იოანე ჯერ ბედიელია (1065 წ.), შემდეგ კი ჭყონდიდელი ხდება (1066 წ.). შეცდომაც გამორიცხულია. საეკლესიო პირი — გიორგი ხუცესმონაზონი, ცხადია, კარგად ანსხვავებს ერთმანეთისაგან ბედიისა და ჭყონდიდის ეპარქიებს.

დავუბრუნდეთ იოანე ჭყონდიდელის საკითხს. ვთქვათ, მთაწმიდელის მოწაფე ჭყონდიდელი სხვა პირია, იოანე კი მის შემდეგ ხდება ეპისკოპოსი (ნ. ბერძენიშვილი). მაშინ ჩნდება კითხვა: როდის მიიღო იოანემ ეს პატივი? 1060/61 წლის ზამთარში იგი ჯერ კიდევ არ არის ჭყონდიდელი. მაშასადამე, იოანე 1061-65 წლებს შორის უნდა ეკურთხათ ეპისკოპოსად. ძნელი წარმოსადგენია, რატომ უნდა მიეცა გიორგი მთაწმიდელს რეკომენდაცია იოანესათვის, როცა ჭყონდიდის კათედრაზე მისი მოწაფე ჩანს? (ის, რომ იოანე ჭყონდიდელი გიორგის ინიციატივით არის ნაკურთხი, ფაქტია, იგი „მის მიერ მთავარ-ეპისკოპოსია“) რა უნდა გამხდარიყო ეპისკოპოსის შეცვლის მიზეზი? „მოწაფე“ ჭყონდიდელის გარდაცვალება ან მისი გადაყვანა სხვა კათედრაზე? წყაროებში არ არის მსგავსი მანიშნება. ასეთი რამ მხოლოდ ჰიპოთეზის სახით შეიძლება დავუშვათ.

როგორც დავინახეთ, არსებობს იოანე ჭყონდიდელისა და ბაგრატ მეფის „საკუთარი თჳსი იოანეს“ გაიგივების ტენდენცია (ნ. ბერძენიშვილი, ბ. ლომინაძე). პირველი იოანე 1054 და 1065-66 წლებში დიპლომატიური მისიით იმყოფება კონსტანტინოპოლში, მეორეს კი ბაგრატი 1060 წელს ანტიოქიაში გზავნის გიორგი მთაწმიდელის ჩამოსაყვანად. ჩანს, გარკვეული მისიით საზღვარგარეთ მივლინება გახდა ამ ორი სხვადასხვა იოანეს გაიგივების მიზეზი. დავუშვათ, 1060 წელს ანტიოქიაში გიორგის „მწოდებლად“ გაგზავნილი იოანე მომავალში მართლაც ხდება ჭყონდიდელი. გავიხსენოთ, რომ იმავე წლის მიწურულს ჭყონდიდში გავლით მიმავალი მთაწმიდელი არ გაუშვა მისმა მოწაფე ეპისკოპოსმა, გიორგიმ ჭყონდიდში გამოიზამთრა. ცხადია, ეს ეპისკოპოსი ვერ იქნება ის იოანე, რომელმაც შემოდგომაზე გიორგი ჩამოიყვანა საქართველოში. გამოდის, რომ იოანეს მთაწმიდელის რეკომენდაციით ამის შემდეგ, 1061-65 წლებში უნდა მიეღო ჭყონდიდელობა, რაც, როგორც დავინახეთ, ჭყონდიდის საეპისკოპოსო ტახტზე გიორგი მთაწმიდელის მოწაფის ყოფნის პირობებში ძნელი წარმოსადგენია. გარდა ამისა, ანტიოქიაში გაგზავნილი იოანე ბაგრატ მეფის ნათესავია („საკუთარი თჳსი“), იოანე ჭყონდიდელი კი, მართალია, რამდენიმეჯერ გვხვდება სამეფო დელეგაციაში, მაგრამ არსად არც იგი, არც მისი ძმა პეტრე არ იხსენიება როგორც ბაგრატის „თჳსი“, იოანე ჭყონდიდელი მხოლოდ მეფის მიერ „მიცემულად მოვლინებულია“ „სამეუფეოდ ქალაქად“.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ, მართალია, 1054-66 წლებს შორის პერიოდში წყაროებში არსად გვხვდება როგორც ასეთი „იოანე ჭყონდიდელი“, მაგრამ ისეთი ცნობაც არა გვაქვს, სადაც ჩვენი იოანე ჭყონდიდელობის გარეშე იხსენიებოდეს.

ბარემ აქვე ორიოდე სიტყვით შევეხოთ გამოთქმას — „მის თანა დახუედრებულისა“

ლოლაშვილისეულ გააზრებას. ამ ადგილის ისე გაგება, თითქოს აქ იოანეს მიერ ჭყონდიდში გიორგი მთაწმიდელის „დახვედრა", მასპინძლობა იგულისხმებოდეს, არა არის მართებული (მიუხედავად იმისა, რომ ტექსტის ამგვარი გაგება ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს). აქ „დახუედრებული" არ უნდა გავიგოთ როგორც თანამედროვე მნიშვნელობით „დახვედრა", „შეხვედრა". კონტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ იოანე „იყანა დახუედრებულიც", თანადამსწრე, შემსწრე გიორგი მთაწმიდელის „სოფლით განსლვისა". ჭყონდიდში გიორგის მასპინძლობის ფაქტი არ ჯდება არც ციტირებული მონაკვეთის კონტექსტში და არც საერთოდ ცხოვრების შესავალი ნაწილის მოდელში. ამასთან, თუკი ამ ადგილის ლოლაშვილისეულ გაგებას გავიზიარებთ, როგორღა შეესწრო იოანე გიორგის გარდაცვალებას 1065 წელს? (5, 46)

1066 წელს, როცა ათონის მთაზე დასვენებული გიორგი მთაწმიდელის ცხედარი მარმარილოს ლუსკუმაში გადაასვენეს, „სამკვდროდ დაკრძალეს" და მისი ხსენების დღე დააწესეს, ამ ცერემონიალის მოთავეებად ჩანან ნეტარი ბერი პეტრე (იგი, როგორც ჩანს, ბაგრატ IV-ის წარმომადგენელია ბიზანტიის საიმპერატორო კარზე) და მისი ძმა იოანე ჭყონდიდელი. ალბათ ამ დროს მიმართავს იოანე თხოვნით გიორგი ხუცესმონაზონს, რათა მთაწმიდელის ცხოვრება აღწეროს. ეს ორი ფაქტი (იოანეს მიერ ხსენების დღის დაწესება და თხოვნა გიორგი მცირისადმი) კარგად ესადაგება მოსაზრებას, რომ იოანე ჭყონდიდელი გიორგი მთაწმიდელის მოწაფე და მასთან დიდად დაახლოებული პირია. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ გიორგი მცირის ცნობით, გიორგი მთაწმიდელი მოძღვარი იყო პეტრე პატრიკისა (3, 251). ესეც ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს.

1085 წლის დოკუმენტში იოანე ჭყონდიდელი ბიზანტიური საეკლესიო ტიტულით — „სვნგელოზით" იხსენიება. მართებულად შენიშნავს ნიკო ბერძენიშვილი: „იოანე ჭყონდიდელ მთ.-ეპისკოპოსს, რომელიც საქართველოს მეფის დავალებით მნიშვნელოვან საელჩო საქმეებს ასრულებს ბიზანტიის სამეფო კარზე, ადვილად შეეძლო ეს მაღალი საეკლესიო პატივი მიეღო" (2, 8). ეტყობა, იოანე 1066 წლის შემდეგ ხდება სვნგელოზი.

როდემდე განაგებდა იოანე ჭყონდიდელი ეპარქიას, არა ჩანს. ვიცით მხოლოდ, რომ XII საუკუნის დასაწყისში ჭყონდიდელობას იღებს დავით აღმაშენებლის მწიგნობართუხუცესი გიორგი. იოანესა და გიორგის შორის, XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე, შესაძლოა, კიდევ ერთი ეპისკოპოსი ვიგულისხმოთ. მართალია, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ თეორიულად დასაშვებია ისიც, რომ იოანე 1054/57 წლებიდან XII საუკუნის დასაწყისამდე ხელმძღვანელობდა ჭყონდიდის კათედრას. იქნებ მოხუცი ჭყონდიდელის გარდაცვალებას უკავშირდება ქრონოლოგიურად დავითის ცნობილი რეფორმა — ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობათა გაერთიანება? (საგულისხმოა ერთი გარემოებაც: XI საუკუნის 80-იან წლებში მწიგნობართუხუცესად და ჭყონდიდელად ჩანან ძმები — პეტრე და იოანე. ამანაც ხომ არ უკარნახა თავდაპირველად დავით აღმაშენებელს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის საჴელოს შექმნის მართებულობა? XII საუკუნის დასაწყისში ორივე თანამდებობა უკვე ერთი პირის ხელშია)

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, იოანეს ჭყონდიდელობა შეიძლება ასე განისაზღვროს: 1054/1057 — 1085...

ბუბა კუდავა
თსუ ისტორიის ფაკულტეტის
V კურსის სტუდენტი

## ლიტერატურა

1. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით. ტფ. 1901.
2. ნიკო **ბერძენიშვილი**. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი). წგნ: საქართველოს ისტორიის საკითხები. III. თბ. 1966.
3. **გიორგი მცირე**. ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბ. 1994.
4. ივანე **ლოლაშვილი**. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების ქრონოლოგია. წგნ: გიორგი მცირე. ცხოვრება...
5. ივანე **ლოლაშვილი**. [„ცხოვრების"] დაწერის თარიღი. წგნ: გიორგი მცირე. ცხოვრება...
6. ბაბილინა **ლომინაძე**. იოანე ჭყონდიდელი. ქსე. 5. თბ. 1980.
7. მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბ. 1955.
8. თედო **ჟორდანია**. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. I. ტფ. 1892.
9. ივანე **ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია. II. თხზ. II. თბ. 1983.

# ცაიშელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი



ცაიშის ტაძრის ხუროთმოძღვრული კომპლექსი მდებარეობს ქალაქ ზუგდიდის სამხრეთ-დასავლეთით, ათიოდე კილომეტრზე, კოლხეთის დაბლობის მომიჯნავე მთების დასაწყისში. ცაიში, როგორც საეპისკოპოსო, ჯერ კიდევ VI-IX სს. ბერძნულ წყაროებში მოიხსენიება, მაგრამ ცაიშელ ეპისკოპოსთა შესახებ ცნობები მხოლოდ XI ს-დან მოგვეპოვება.

პირველი ცაიშელი, რომელიც წყაროებშია მოხსენიებული, არის **ეფრემი**. მისი სახელი დატანილია ცაიშის დიდ საწინამძღვრო ჯვარზე: „წმიდაო ძელო ცხორებისაო, შეიწყალე ეფრემ ცაიშელი.“ მის ზემოთ ვხვდებით წარწერას: „წმიდაო ძელო ცხორებისაო, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და კურაპალატი“ (6; 178). აქ მოხსენიებული მეფე უნდა იყოს ბაგრატ III (978-1014) ან ბაგრატ IV (1027-1072).

ამის შემდეგ XIII-XIV საუკუნეებამდე ცაიშელ ეპისკოპოსთა შესახებ ცნობები აღარ მოგვეპოვება. ცაიშის სამრეკლოში ჩაშენებულ ფრაგმენტულ წარწერაში, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით აღნიშნული საუკუნეებით თარიღდება, მოხსენიებულია ეპისკოპოსი **ბასილი**. წარწერას ზოგი ადგილის აღდგენით ასეთი სახე აქვს: „ ... აღვაშენე წმიდაო ქჲე საყდარი გიორგი წმიდისა ბრძანებითა ვდა მხრ... ბ..ლ ცაიშელისა“ (5; 19-21). ბასილ ცაიშელი სხვა წყაროებით უცნობია.

შემდეგი ცაიშელი, რომელიც წყაროებშია მოხსენიებული, არის **დანიელი**. მის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის სიგელი დანიელ ცაიშელ მთავარეპისკოპოსისა ლაბსყალდიშისადმი. გთავაზობთ ტექსტს შემოკლებით: „ქ. სახელითა ღმრთისაითა, ცაიშისა ღმრთისმშობლისაითა თვესა სეკდემბერსა ათხუთმეტსა მე ცაიშელი მთავარეპისკოპოსი დანიელი ლაბსყალდისა მივედი ვაკურთხე მთავარანგელოზი ლაბსყალდიშისა დემეტრე მეფისა მეფობასა შიგა ერისთავთ-ერისთავისსა დადიანისა ოზბეგისა ბრძანებითა და მოწმებითა...“ (11; 63-64). ვალერიან სილოგავამ დოკუმენტი დაათარიღა 1445-1452 წლებით (იქვე). ამიტომ ჩვენ სავარაუდოდ ვთვლით, რომ დანიელ ცაიშელსაც დაახლოებით ამ პერიოდში უნდა ემოღვაწა.

დანიელის შემდეგ წყაროები მოიხსენიებენ ბედიელ ცაიშელ მთავარეპისკოპოსს **იოაკიმეს**. ეს ის იოაკიმეა, რომელიც ბაგრატ IV-ისა და შამადავლე დადიან-გურიელის ხელშეწყობით 1470-1474 წლებში აფხაზეთის კათალიკოსად აკურთხა იმ დროს დასავლეთ საქართველოში სტუმრად მყოფმა ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქმა მიხეილმა. ამის შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსო დამოუკიდებელ ცხოვრებას შეუდგა“(3; 108). აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ „მცნებაი სასჯულო“: „ ... მაღალმან ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისამან და ცათა მობაძვისა ანტიოქიისამან, და მოვუვლინე ღმრთისა მიერ მე, ყოველთა ნარჩევი, იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქი მიხაილ... ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოსნი ანტიოქიისა პატრიარქისაგან იკურთხეოდიან. ჟამთა სიძველისაგან და სოფლისა სივერაგისაგან იყვნეს მრავალნი წესნი შეშლილ და განქცევით ვნახეთ და შევეთხვიეთ მადლისა, ვითარცა მეუფისა, ცაიშელ-ბედიელ მთავარეპისკოპოსისა იოვაკიმისათა, ... ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ, მარჯვენაი იერუსალიმისა, აფხაზეთისა, კათალიკოზი დავსვით აფხაზეთს, საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა...“ შესაძლოა, იოაკიმე უშუალოდ დანიელის შემდგომი ცაიშელი იყო. მისი ზეობა პირობითად XV ს-ის 50-70-იანი წლებით დავათარიღოთ.

ცაიშის ვერცხლის საწინამძღვრო ჯვარზე დატანილია წარწერა: „წ. ჯვარო ქრისტესო, შეიწყალე და დაიცევ მშვიდობით ლეონ დადიანი ორთავე შინა ცხორებათა“, „ჯვარო ქრისტესო

შეიწყალე მამათ მთავარი კირილე ჟუანიძე..." (6; 177). ხსენებული **კირილე** გვხვდება აგრეთვე ზუგდიდის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში, სადაც იგი ცაიშელ-ბედიელად იხსენიება (ხატი-მაჩაბლე ბედიის მონასტერს ეკუთვნოდა). წარწერაში მოხსენიებულნი არიან გიორგი დადიანი და მისი მეუღლე თამარი. აქედან ირკვევა, რომ კირილე ჟუანიძეს ორი დადიანის დროს უმოღვაწია. ეს დადიანები უნდა იყვნენ ლევან I (✝ 1572) და მისი ძე გიორგი III (✝ 1582). გარდა ამისა, კირილე ცაიშელი დასწრებია იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ XVI ს-ის 50-იან წლებში მოწვეულ საეკლესიო კრებას: „იქმნა განრყვნება ცოლთა, კლვა კაცთა და იდუმალ ტყვის [illegible] სჯულსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა. ამისათვის შეკრბეს ქართლისა კათალიკოზი მალაქია, აფხაზთა კათალიკოზი ევდემონ და ყოველნი ეპისკოპოზნი იმერთ: ოდიშისანი. ხოლო ეპისკოპოსნი ესენი იყვნენ: ქუთათელი სვიმონ, გენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი ფილიპე, ცაგერელი კოზმან, ხონელი ზაქარია, ნიკორწმინდელი იოაკიმ, ჩაისელი კვირილე" (4; 824). აღნიშნული წყაროთა შეჯერების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კირილეს დაახლოებით XVI ს-ის 50-80-იან წლებში უმოღვაწია.

წყაროებით ცნობილი შემდეგი ცაიშელი არის **მაქსიმე** კანდელაკი. მის შესახებ ცნობას გვაწვდის ცაიშის სახარების მინაწერი: „ჩვენო მცველო და მფარველო ცაიშის ღვთის მშობელო, შეიწყალე ორთავე შინა ცხორებათა კანდელაკი მაქსიმე..." იქვე: „დაიწერა წმიდა ესე ოთხთავი ბრძანებითა ჩაისელ მთავარეპისკოპოზისა მაქსიმესათა" (6; 177-178, 189). ეპისკოპოსი მაქსიმე მოხსენიებულია ასევე ცაიშის ჟამნგულანის მინაწერსა (6; 190) და ურკვეთის გულანის წარწერაში (2; 187-188). ეს გულანი აფხაზეთის კათალიკოსს ევდემონ საყვარელიძეს შეუწირავს ცაიშის მონასტრისათვის მაქსიმეს ეპისკოპოსობის დროს. დიმიტრი ბაქრაძის აზრით, მაქსიმე კანდელაკი ის მიტროპოლიტია, რომელიც იყო წინამძღვარი მალაქია გურიელისა და ცაიშელად 1605 წელს ეკურთხა. მაქსიმე ცაიშელი მოიხსენიება აგრეთვე მოგვიანო ხანის (1669-1742 წწ.) საბუთებში (7; 99, 103, 154).



მალაქია გურიელი
(კონდაკის ნახატი)

შემდეგი ცაიშელი ჩვენი ქრონოლოგიის მიხედვით არის **მალაქია** გურიელი. ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის ფრიად ფასეულია მისი წარწერა ცაიშის ჯვარცმის ხატზე: „მას ჟამსა, ოდეს საჭეთ ვიპყრობდი ცაიშის, ჯუმათის საყდარსა ზედა, ჩვენ ძემან გურიელისა პატრონისა გიორგისამან, პატრონმან მალაქია ხელვყავ ცაიშის ტაძრისა შემკობად და დავახატვინეთ, აღვაშენეთ გუმბათი ვიდრე საფუძვლამდე და ქვითკირით შევამკეთ, ყოვლად შვენის სახლსა ღმრთისასა წმინდასა მისთა და განვისვენე წელ ერთ. ეჰა სასწაულებასა და მიუწვდომელობასა ღმრთისასა! შეიძრწუნა და შეარყია ქვეყანა. ქვრივ იქმნა ძვრა დიდი და საშინელი ქვეყანასა ამას ჩვენსა, რომელი არაოდეს ყოფილა. იძროდა ვითარ წელ ერთ და შეიმუსრნეს ეკლესიანი მრავალნი და დაირღვეს დაბანი. ხოლო საყდარიცა ესე ცაიშისა დაეცა, შეიმუსრა თავითგან, ვიდრე საფუძვლამდე გალავნით, ყოვლით შენებით მისითურთ, და დაილეწნეს ყოველნი ხატნი და იარაღნი ეკლესიისანი და არარა დაშთა რა. ხოლო ოდეს მოხედვა ყო ღმერთმან წყალობითა თვისითა და დაცხრა ძვრა იგი, ამისად შემდგომად წელსა მეორესა ჯერჩინებითა ღმრთისათა და მეწმობითა ყოვლისა საქართველოისა ერისათა მეფუეს კათალიკოზ აფხაზეთისა, და ჩვენ დიდმან მთავარმან ყოვლისა ჩრდილოეთისა კეთართა კათალიკოზ-პატრიარქმან, ცაიშელ ჯუმათელმან, ძემან გურიელისა პატრონისა გიორგისამან, პატრონმან მალაქია, მეორედ ხელვყავ აღშენებად ტაძრისა ამისა და შკობად ხატისა. და მოვაჭედვინეთ ძელი ცხოველი... ქორონიკონსა ტზ" (= 1619 წ.) (6; 166-169). მალაქიას ღვაწლის შესახებ მოგვითხრობს აგრეთვე „საცაიშლოს გამოსაღები მოსაკრებლობის დავთარი", სადაც ანალოგიური ინფორმაციაა დაცული (13; 438). როგორც ვხედავთ, სურათი ამგვარია: მალაქიამ შეამკო და მოახატვინა ტაძარი, რის შემდეგაც ერთი წელი „დაისვენა". მალე მოხდარა საშინელი მიწისძვრა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

მიწისძვრის შეწყვეტის მეორე წელს მალაქია აფხაზეთის კათალიკოსად უკურთხებიათ. მას დაუწყია ცაიშის ტაძრის „მეორედ შენება“. მაშასადამე, იმის დასადგენად, თუ როდის გახდა მალაქია ცაიშელი ეპისკოპოსი, საჭიროა ჯერ დავადგინოთ როდის მოხდა მიწისძვრა და როდის აკურთხა მალაქია აფხაზეთის კათალიკოსად. თედო ჟორდანია თარიღად 1605 წელს ასახელებს (12, 455), სარგის კაკაბაძე კი – 1606 წელს (8; 187). პარმენ ზაქარაიას მოაქვს ერკეთის ეკლესიის მინაწერი: „აქა აფხაზეთის ... მიიცვალა და კ-ზად გურიელის შვილი დაჯდა“ (ქორონიკონი უდრის 1616 წ.) ბატონი პარმენის აზრით, „აქ მეორე სიტყვის შემდეგ დასმული სამი წერტილის ნაცვლად უთუოდ ეწერებოდა სიტყვა „კათალიკოზი“ და მისი სახელი „ევთვიმი.“ „გურიელის შვილი“ სხვა არავინ ყოფილა, და იაიც ამ ქორონიკონის ახლო წლებში, თუ არა ისევ მალაქია, რომელიც გარდაცვლილი კათალიკოსად უნდა შეეცვალათ ევთვიმე საყვარელიძე“ (5; 14-15). მაშასადამე, მალაქია კათალიკოსად 1616 წელს უკურთხებიათ. რადგან მიწისძვრა ერთი წლის განმავლობაში პერიოდულად გრძელდებოდა და მისი შეწყვეტის შემდეგ, მეორე წელს, მალაქია კათალიკოსად დაჯდა, გამოდის, რომ მიწისძვრა 1614 წელს მომხდარა, ტაძარი კი 1612 წელს მოუხატავთ. აქედან კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მალაქია გურიელი ცაიშის ეპისკოპოსად 1612 წლის ახლო დროს უკურთხებიათ. გურიელების გენეალოგიური ტაბულიდან, რომელიც „ქართული ანტიკვარული ლექსიკონის“ ავტორის დართული, ირკვევა, რომ მალაქია გურიელს აფხაზეთის კათალიკოსობა 1629 წელს დაუტოვებია. აქედან გამომდინარე, ჩვენც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მალაქია ცაიშს დაახლოებით 1612-1629 წლებში განაგებდა.

შემდეგი ცაიშელი უნდა ყოფილიყო **დავით** ჯოლია. ამ რას მოგვითხრობს მის შეახებ სამღვდელმთავრო ოლარი: „ ... ცაიშის ღმრთისმშობელო, ჩვენ ცუა ფარვათა თქვენთა მინდობილმან დავით ჯოლიამ შრომითა და ხარჯითა თქვენითა ამ ტაძარსა თქვენსა ცაიშს ეპისკოპოსად დავჯედით და ომფორი და შესამოსელი ჩვენით მისლამდის უძალ ღამწვარ იყო, და არას შესამოსლისა იარაღისგან არა დამხვდომია რა, მერე აგარიანთა ხელითა კაძარცვული ომფორი მოიტანეს განახლებულად და ვიყიდეთ...“ (6, 118-119). წარწერას უზის ქორონიკონი ტმ (= 1652 წ.). მაშასადამე, დავით ჯოლიას 1652 წლის ახლო პერიოდში უმოღვაწია.

შემდეგ ცაიშლად წყაროებში გვხვდება ვინმე **სოფრონი**. იგი მოიხსენიება კაცია დადიანის 1766 წლის შეწირულობის წიგნში: „ ... ყოვლად სანატრელი კათალიკოსი ბესარიონ, ყოვლად სამღვდელო ბიძა ჩემი ჭყონდიდელი მიტროპოლიტი მამათ მთავარი გრიგოლ ღ~ მწყემსი და უფლად სახადი ლოცვისა და უდაბნოს ამის ძმა ჩემი ყოვლად სამღვდელო ცაგერელი მიტროპოლიტი ანტონი, ცაიშელი მიტროპოლიტი სოფრონ...“ (7; 30-32). სოფრონ ცაიშელი იხსენიება აგრეთვე კაცია დადიანის 1767 წლის შეწირულობის წიგნსა და ანტონ ცაგერელის 1771 წლის საიმის უდაბნოსადმი შეწირულობის წიგნში (იქვე). ამრიგად, სოფრონ ცაიშელი XVIII ს-ის 60-70-იან წლებში მოღვაწეობდა.

სოფრონის შემდგომ ცაიშის კათედრის ისტორიაში დგება „უეპისკოპოსობის ხანა“ („ტაძარი საეროდ ქმნილია“). ამას ცხადყოფს კაცია დადიანის მიერ 1777 წელს დადებული წიგნი ცაიშის კათედრის აღდგენის შესახებ: „ესრეთ რომელ ეკლესია შენი (ცაიშის ღვთისმშობელო) და მამულიცა ყოველივე ჟამთა რომელთამე საეროდ ქმნილიყო და ეკლესია შენი ქვრივად ეგო და განსაკუთრებულნი შენი ადგილიცა და შვილნი შენისა ეკლესიისანი მიმოდაბნეულ იყვნენ. არცა იყო ეკლესიასა შენსა გამგე ეპისკოპოსი უფროსად სამკვიდროდ, საეროდ ქმნილიყო. ამის თვის მრავალს ჟამითგან მწუხარება არა მცირედი მიპყრობდა... მაშინ იპოვა ყუავ გონებისა ხელითა და საქმითა სათნოებათა შორის წარჩინებული, ღირსი ქებისა მიტროპოლიტი გრიგოლ და დავადგინეთ გამგედ ეკლესიისა შენისა და მას ვარწმუნეთ ეკლესიაცა შენი და ძეხიცა შენისა ეკლესიისანი... ჯერ შჩინებული და მოწამე არს უსანატრელესი კათოლიკოსი მაქსიმე... ძმა ჩემი ყოვლად სამღვდელო ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ანტონი... ცაგერელი მიტროპოლიტი სოფრონ“ (7; 176-177). ეს უცნაურია. შესაძლოა, სწორედ ის სოფრონ მიტროპოლიტი იყოს, რომელიც დაახლ. 1766-1771 წლებში ცაიშის ეპარქიას განაგებდა. 1777 წელს კი იგი, როგორც ჩანს, ცაგერის კათედრის ხელმძღვანელია.

დოკუმენტში მოხსენიებული ეპისკოპოსი **გრიგოლ** ჩიქოვანი ცაიშის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში მოგვითხრობს, რომ კაცია დადიანმა „დასდვა მრავალი ღვაწლი და აღმოიღო საყდარი ესე ხელთაგან ერის კაცთასა და კვალად განაახლა საეპისკოპოსოდ, რომელსა ზედა დაადგინა უღირსება ჩემი, წელსა ჩღოზ“ (= 1777 წ.) (6; 180). გრიგოლ ცაიშელი მოხსენიებულია აგრეთვე ცაიშის ტაძრის წარწერაში: „ცაიშის ღვთის მშობლის ეკლესიისა ამის განმახლებელს ცაიშელ მიტროპოლიტს გრიგოლს მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა“ (5; 31). გრიგოლ ეპისკოპოსი ცაიშში გარდაცვალებამდე (1823 წლამდე) მოღვაწეობდა (6; 181).

1813 წელს ცაიშის ეპარქია, დასავლეთ საქართველოს სხვა ეპარქიათა მსგავსად, გაუქმდა და გურია-სამეგრელოს ეპარქიას დაექვემდებარა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ცაიშელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგს შემდეგი სახე ექნება (ქრონოლოგია საკმაოდ მწირია და, რაღა თქმა უნდა, შემდგომ კვლევა-ძიებას მოითხოვს):

| | |
|---|---|
| ეფრემი | XI ს. |
| ბასილი | XIII-XIV სს. |
| დანიელი | XV ს. 40-50-იანი წწ. |
| იოაკიმე | XV ს. 50-70-იანი წწ. |
| კირილე (ჟვანიძე) | XVI ს. 50-იანი წწ.— 1582.... |
| მაქსიმე (ვანდელაკი) | 1605 ...1612 |
| მალაქია (გურიელი) | ...1612 — 1620 |
| დავით (ჯოლია) | ...1652 — ? |
| სოფრონ | ...1766—1771 |
| ეპისკოპოსობის ხანა | 1771—1777 |
| გრიგოლ (ჩიქოვანი) | 1777—1813 |

გიორგი კალანდია
თსუ ისტორიის ფაკულტეტის
III კურსის სტუდენტი

*მინაწერი*

სტატია უკვე აწყობილი იყო, როდესაც კიდევ ორი ცაიშელის სახელს მივაკვლიეთ. 1701 წელს ცაიშის ეპისკოპოსად იხსენიება სვიმონ ლილაბერიძე (იხ. „საქართველოს სიძველენი", I ტომ. 1899. გვ. 46). მეორე ცაიშელი — დავით, XVI-XVII საუკუნეებში მოღვაწე იოანე ფილოგიანის მიერ მოხატულ სვეტის წმ. გიორგის ხატის წარწერაში (იხ. „ძველი საქართველო". III ტომ. 1913-1914. გვ. 23).

## ლიტერატურა

1. გონელი არახამია. ოდიშის საერისთავო XII-XIV საუკუნეებში. ჟურნ. „გზა ერთობისა". №2. 1990
2. დიმიტრი ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. 1987.
3. ნიკო ბერძენიშვილი. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წინამძღოლება XIV-XVIII სს. საქართველოს ისტორიის საკითხები. V. 1971.
4. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. IV. 1973.
5. პარმენ ზაქარაია. ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი. 1956.
6. ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. „ძველი საქართველო". III. 1913-1914.
7. სარგის კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. I. 1921.
8. სარგის კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. II. 1921.
9. მიხეილ რეხვიაშვილი. დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში. 1978.
10. მიხეილ რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო XVI საუკუნეში. 1976.
11. სვანეთის წერილობითი ძეგლები. I. ვალერი სილოგავას რედ. 1986.
12. თედო ჟორდანია. ქრონიკები. II. 1897.
13. ქართული სამართლის ძეგლები. III. ისიდორე დოლიძის რედ. 1970.

# თამარ მეფის საქმროს ალექსი კომნენოსის ვინაობის საკითხისათვის



1185 წელს, როდესაც სამეფო კარზე სერიოზულად დადგა თამარის დაქორწინების საკითხი, საზოგადოების შეხედულება ორად გაიყო. ერთნი მეფის მომავალ თანამეცხედრედ იური (გიორგი) ანდრიას ძე ბოგოლიუბსკის ამზადებდნენ, მეორენი კი ამ პატივს ვინმე ალექსი კომნენოსს ანიჭებდნენ, რომელიც, მემატიანის თქმით, ბიზანტიის იმპერატორის ახლო ნათესავი ყოფილა. საბოლოოდ, როგორც ცნობილია, იური ანდრიას ძის მომხრეებმა გაიმარჯვეს. მანამდე კი თბილისის სასახლეში, მის კულისებში, მიმდინარეობდა ფარული ჭიდილი ორ დაჯგუფებას შორის. ერთურთთან დაპირისპირებული დასის წევრები ძალუმად ცდილობდნენ საქართველოს მეფის თანამეცხედრედ თავისთვის სასურველი კანდიდატი გაეყვანათ, რომელიც მათი უფლებების დაცვისა და გავლენის ზრდის გარანტი იქნებოდა.

დღეისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილია რა ძალები უჭერდნენ მხარს რუს უფლისწულს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ალექსი კომნენოსზე. მის უკან მდგარი პოლიტიკური თუ სამხედრო მოღვაწეების შესახებ ქართული წყაროები არას მიუთითებენ. ისე კი, უდავოა, ამ დაჯგუფებასაც არანაკლები გავლენით უნდა ესარგებლა სამეფო კარზე, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა თამარის საქმროს შერჩევისას თქვა გიორგი III-ის დამ — დედოფალმა რუსუდანმა. მას მხარი აუბა ჯარმა და სამეფო დარბაზის წევრთა უმრავლესობამ. მათი ერთობლივი მეცადინეობით თამარი გიორგი რუსზე დააქორწინეს.

ვინ იყო „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" მოხსენიებული თამარის საქმრო ალექსი კომნენოსი?

ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეისათვის ამ პრობლემის გარშემო აზრთა სხვადასხვაობაა. პირველად ამ საკითხს შეეხო XIX ს. ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე, რომელმაც მემატიანესთან მოხსენიებული თამარის საქმრო ალექსი გააიგივა იმპერატორ ანდრონიკე I-ის ვაჟთან ალექსისთან.[1] მოგვიანებით ეს მოსაზრება გაიზიარეს ქართულ ისტორიოგრაფიაში. ზურაბ ავალიშვილი თავის ცნობილ გამოკვლევაში „ჯვაროსანთა დროიდან" საგანგებოდ შეეხო ალექსი კომნენოსის ვინაობის პრობლემას და მთლიანობაში გაიზიარა მ. ბროსეს მოსაზრება. ამასთანავე, ზ. ავალიშვილი შეეცადა აეხსნა ალექსი კომნენოსის დამარცხების მიზეზი: „ეს ალექსი, თუმცა დედაც, მამაც კომნენოსები ჰყავდა, უკანონო შვილი იყო. მისმა დაბადებამ მისი საქმე, როგორც თამარის საქმროსი, ხომ არ გააფუჭა? მართლაც, ეკლესიის და კანონთა დამცველების თვალში ეს, ალბათ, დიდი დაბრკოლება იყო. უარის ფორმალური მიზეზი კი სხვა გამოიგონეს: ახლო ნათესავია და არ შეიძლებაო".[2]

უკანასკნელ ხანს აღნიშნული საკითხის ბროსესეული და ავალიშვილისეული გააზრება მართებულად მიიჩნიეს პროფ. ჯემალ სტეფნაძემ[3] და აკად. როინ მეტრეველმა.[4]

1979 წელს ჩვენთვის საინტერესო საკითხს საგანგებოდ შეეხო და ორიგინალური მოსაზრება გამოთქვა დოც. გიორგი გვინჩიძემ. მან თამარის საქმრო ალექსი გააიგივა ალექსი იოანეს ძე კომნენოსთან.[5] ამ ალექსის მანუელ I-ის კარზე საკმაოდ დიდი თანამდებობა ეკავა, მაგრამ ანდრონიკე I კომნენოსის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ის იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა. ერთხანს რუსეთს აფარებდა თავს, მოგვიანებით კი სიცილიაში წავიდა იქაურ ნორმანებთან. 1186 წელს ალექსი იოანეს ძე თანამზრახველებმა შეიპყრეს და სამშობლოს ღალატისათვის დააბრმავეს.

ბ-ნ გ. გვინჩიძის ვარაუდი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ მეცნიერს რამდენიმე პრინციპულ საკითხში ვერ დავეთანხმებით. უპირველესად მატიანისეული ტექსტის წაკითხვაში. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" დაცულია ცნობა, რომ „ალექსი ... მამულად მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა." ბ-ნი გიორგი მემატიანის ამ ადგილს განმარტავს თავისებურად. მისი აზრით, ალექსი მამით (წყაროშია „მამულად") მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა. აქედან გამომდინარე, ალექსის მამის მამა (ე. ი. პაპა) ყოფილა ბიზანტიის იმპერატორის ძმა. სწორედ ტექსტის ამგვარი ინტერპრეტაციის გამო „ისტორიანი და აზმანში" მოხსენიებული ალექსი გაიგივდა ალექსი იოანეს ძესთან. იგი ბიზანტიის იმპერატორის ალექსი II-ის ბიძაშვილის — იოანეს შვილი იყო.

რამდენად გამართლებულია ტექსტის ამგვარი გაგება? „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" გარკვევით წერია, რომ „ალექსი ... მამულად მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა".[6] ე. ი. თამარის საქმრო გვარეულობით, წარმომავლობით (ამ კონტექსტში სიტყვა „მამულად" მხოლოდ ასე შეიძლება გავიგოთ) მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა. ჩვენი აზრით, ალექსი კომნენოსი ბერძენთა მეფის ბიძაშვილის შვილი კი არ იყო, როგორც ეს ბატონ გიორგის მიაჩნია, არამედ იგი ბერძენთა მეფის ბიძაშვილი გახლდათ. საკითხის გარკვევისას ამ ნიუანსის დადგენა პრინციპულად აუცილებელია, ვინაიდან ორივე ამ შემთხვევაში სხვადასხვა პიროვნებაზეა საუბარი.

ჩვენ აქ უპირატესად სიტყვა „მამულის" — „მამულად" შინაარსობრივი დატვირთვა გვაინტერესებს. ძველ ქართულში „მამული" მამისეულის, მემკვიდრეობითობის აღმნიშვნელად იხმარებოდა. ამავე შინაარსიდან გამომდინარე იგი ხშირად შთამომავლობისა და წარმომავლობის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა. საილუსტრაციოდ მოვიხმოთ „ქართლის ცხოვრების" რამდენიმე ადგილი:

ა) „და დაჯდა მეფედ ძმა მისი მირდატ, ასულის წული თრდატისა, ძე ვარაზ ბაკურის, მამულად ბაქარიანი".[7] ამ მონაკვეთში ნათლად ჩანს, რომ მეფე მირდატი ვარაზ-ბაკურის ძეა და მხოლოდ შთამომავლობითაა იგი ბაქარიანი.

ბ) „მამულად ეყვოდეს სომეხნი — სენექერიმ სომეხთა მეფის ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა" (იგულისხმება ბაგრატ IV).[8] აქაც სიტყვა „მამულად" შთამომავლობის მნიშვნელობითაა ნახმარი და არა მამის. მემატიანე, როგორც ვხედავთ, შემდეგ აღნიშნავს, რომ მარიამი სენექერიმ არწრუნის შვილი იყო.

გ) იგივე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" დაცულია ამგვარი ცნობა: „მოვიდა ამირ-მირმან, მამულად ძმისწული სულტნისა, შვილი ფალავანდისა და დედა მისი იყო ასული ინანჯარისი, ხუარასნის მეპატრონისა".[9] ამ შემთხვევაში რომ ბ-ნ გ. გვინჩიძის წინადადება გავიზიაროთ და სიტყვა „მამულად" „მამის" მნიშვნელობით გავიგოთ, მაშინ მივიღებთ, რომ ამირ-მირმანის მამა ყოფილა სულტანის ძმისწული, ე. ი. ამირ-მირმანი სულტნის ძმისშვილი კი არა, არამედ ძმისშვილის შვილი გამოდის. ეს კი არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს. ცნობილია, რომ ათაბაგ ყიზილ-არსლანს მემკვიდრე არ დარჩენია და სამეფო თავის ძმისშვილებს შორის გაანაწილა. მათ შორის იყო ამირ-მირმანიც, რომელსაც წილად ხვდა „არანი გურგენის ხლვით ბელაქუნის ხლუამდე". ამდენად, ამირ-მირმანი ათაბაგ ყიზილ-არსლანის ალალი ძმისშვილი იყო.[10]

და კიდევ ერთი: მკითხველი ადვილად შეამჩნევს „ისტორიანი და აზმანის" ამ ორი ადგილის

მხედველობას. ერთგან თუ მოხსენიებულია ალექსი კომნენოსი, რომელიც თურმე „მამულად" მამის ძმისწული ყოფილა ბერძენთა მეფისა, მეორეგან საუბარია მიდის-ამირ-მირმანზე, რომელიც „მამულად" ხელათის ძმისწული იყო. ამ ორივე შემთხვევაში სიტყვა „მამულად" ერთი და იგივე შინაარსითაა ნახმარი და შთამომავლობის აღმნიშვნელია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" მოხსენიებული ალექსი კომნენოსი წარმოშობით, ნათესაურობით ბერძენთა მეფის — იმპერატორის ბიძაშვილი ყოფილა და არა ბიძაშვილის შვილი, როგორც ეს დოც. გ. გვინჩიძეს მიაჩნია. ამ მომენტის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს ამ პიროვნების ვინაობის დადგენა.

საერთოდ, კომნენოსთა გენეალოგია მეტ-ნაკლებად ცნობილია და ამდენად, არც ამ ალექსის ვინაობის დადგენა უნდა გაჭირდეს.[11] კომნენოსები სამეფო ტახტზე ერთპიროვნულად 1081 წელს დამკვიდრდნენ. მათი მმართველობის სადავეებთან მოსვლა კი ბევრად განაპირობა ბიზანტიაში მყოფი ქართველი მოღვაწეების — მარიამ დედოფლისა და გიორგი ბაკურიანისძის მხარდაჭერამ. 1081-1185 წლებში ამ საგვარეულოს 5 წარმომადგენელი განაგებდა იმპერიას. ქართულ წყაროში მოხსენიებული თამარის საქმრო ალექსი კომნენოსი სწორედ ერთ-ერთი ამ იმპერატორის ბიძაშვილი უნდა ყოფილიყო. თავიდანვე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ვერც ალექსი I-ისა და ვერც იოანე II-ის ბიძაშვილებს თამარის საქმროდ ვერ მივიჩნევთ, რადგან ისინი ამ დროისათვის უკვე საკმაოდ ასაკოვანნი იქნებოდნენ. დაგვრჩა სამი იმპერატორი (მანუელ I, ალექსი II და ანდრონიკე I), ამათგან კი ამ დროისათვის მხოლოდ ალექსი II-ის ბიძაშვილი ალექსი ანდრონიკეს ძე იყო ცოცხალი. ეს უკანასკნელი ბიზანტიის იმპერიაში საკმაოდ კარგად ცნობილი პიროვნებაა. ერთხანს ალექსი იმპერიის ფაქტიური მმართველიც კი გახდა. იგი პროტოსევასტოსის ტიტულს ატარებდა და ამიტომ ისტორიაშიც ალექსი პროტოსევასტოსის სახელითაა ცნობილი. სწორედ იგი უნდა ყოფილიყო თამარ მეფის საქმრო ალექსი კომნენოსი, რომელიც „მამულად მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა."




1180 წლიდან, მანუელ I-ის გარდაცვალების შემდეგ, ბიზანტიის სამეფო ტახტი 11 წლის უფლისწულმა ალექსი II-მ დაიკავა. ჯერაც სიყმაწვილის ასაკში მყოფ იმპერატორს რეგენტად დედოფალი მარიამი მიუჩინეს. ეს უკანასკნელი კონსტანტინოპოლში არ სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით და მასებისათვის არასასურველი კანდიდატურა იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უცხოელი გახლდათ (მარიამი ანტიოქიის გამგებლის რაიმუნდის ასული იყო) და მეორეც, — მარიამი არც თავისი ყოფაქცევით გამოირჩეოდა მაინცდამაინც. მის სასიყვარულო თავგადასავლებზე ბევრს ჭორაობდნენ კონსტანტინოპოლში. მანუელ I-ის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის მმართველობის სადავეები ფაქტიურად იმ დაჯგუფების ხელში მოექცა, რომელიც მარიამ დედოფლის წყალობით სარგებლობდა და რომელსაც ახალგაზრდა ქვრივის ფავორიტი ალექსი

ანდრონიკეს ძე თაოსნობდა. ალექსი პროტოსევასტოსი მანუელ I-ის ძმისშვილი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ნათესაობამ ხელი არ შეუშალა პროტოსევასტოსს სასიყვარულო კავშირი გაება თავის ბიცოლასთან. იმპერატორის გარდაცვალებისა და არასრულწლოვანი ალექსი II-ის გამეფების შემდეგ კი ალექსი ანდრონიკეს ძისათვის გზა ხელისუფლების მწვერვალისაკენ ხსნილი იყო და მალე პროტოსევასტოსი სახელმწიფოს ფაქტიური ხელისუფალიც გახდა.

კონსტანტინოპოლში შეძრწუნებული იყვნენ ალექსის ამგვარი გაძლიერებით. ბიზანტიის მმართველმა ელიტამ არაერთხელ სცადა ალექსის ჩამოშორება. 1181 წლის 17 თებერვალს პროტოსევასტოსის მოკვლაც კი იყო დაგეგმილი, მაგრამ ეს შეთქმულება დროზე ადრე გამჟღავნდა. ამ აქციის ორგანიზატორები იყვნენ მანუელ I-ის ქალიშვილი მარიამი, ქალაქის ეპარქი იოანე კამატირი, ანდრონიკე კომნენოსის შვილები და სხვა გავლენიანი პირები.[12] მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოსვლა უშედეგოდ დამთავრდა, ალექსის პოზიციები კონსტანტინოპოლში დღითიდღე საფუძველს კარგავდა.

1182 წელს პროტოსევასტოსის დაუძინებელი მტერი ანდრონიკე კომნენოსი კონსტანტინოპოლის მისადგომებთან — ქალკედონში იდგა და ქალაქის აღებას აპირებდა. დედაქალაქის მკვიდრნი უკვე არაფრად აგდებდნენ პროტოსევასტოსს და მის ხელისუფლებას. მრავალი ფაქტი იყო ანდრონიკეს ბანაკში გადასვლისა. მალე კონსტანტინოპოლელებმა ქალაქის ჭიშკარიც კი გაუღეს ანდრონიკე კომნენოსს და იგი ახალგაზრდა იმპერატორის რეგენტად მოიწვიეს. ყველასაგან მიტოვებულმა ალექსი პროტოსევასტოსმა კი კონსტანტინოპოლიდან გაქცევა სცადა, მაგრამ იგი დაიჭირეს და ქვეყნის ღალატისათვის თვალები დათხარეს. ასე დასრულდა ალექსი პროტოსევასტოსის პოლიტიკური კარიერა. ამის შემდეგ იგი ბიზანტიურ წყაროებში აღარ იხსენიება. ამიერიდან მისი ბედი ისტორიკოსებისათვის უცნობია. უფრო სწორედ, უცნობი იყო, რამეთუ ამჟამად ქართული წყაროს მეშვეობით უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალექსი პროტოსევასტოსი დაბრმავების შემდეგ აღმოსავლეთში წამოსულა საცხოვრებლად. იგი ცოცხალი ჩანს 1185 წელს, როდესაც მას თამარის საქმროს კანდიდატად ასახელებენ. ამ დროს, შესაძლოა, ალექსი საქართველოშიც იმყოფებოდა.

ამრიგად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ჩვენს მიერ განხილული ცნობა საინტერესო ინფორმაციას შეიცავს არა მარტო საქართველოს ისტორიისათვის, არამედ იგი ძვირფასია ბიზანტინოლოგიისთვისაც. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ბიზანტიის ისტორიის შესწავლა ქართული წყაროების გარეშე არასრულია.

**ჯაბა სამუშია**

შენიშვნები

1. Histoire de la Georgie, depuie L'antiquite jusqu'au XIX siecle. Traduite du Georgien par M. Brosset, I re partie. S. Petersborg, 1849. 412-413. საკითხისათვის იხ. შენიშვ. 1, გვ. 413.
2. ზურაბ ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან. 1989, გვ. 87-88.
3. ჯემალ სტეფნაძე, საქართველო XII ს. და XIII ს-ის პირველ მეოთხედში. 1985, გვ. 108, შენიშვ. 227.
4. როინ მეტრეველი, მეფე თამარი. 1991, გვ. 128.
5. გიორგი გვინჩიძე, თამარ მეფის საქმროს ალექსის ვინაობის საკითხისათვის. აღნიშნული სტატია წაკითხულია მოხსენებად ა. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალგაზრდა მეცნიერთა I სამეცნიერო სესიაზე 1979 წ. 15 მაისს. ხელნაწერი ინახება ავტორთან. აქვე გვსურს დიდი მადლობა მოვახსენოთ ბ-ნ გიორგის, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა გავცნობოდით აღნიშნულ სტატიას. იხ. აგრეთვე გ. გვინჩიძე, თამარ მეფის პირველი დაქორწინების საკითხისათვის. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", № 1, 1981, გვ. 205.
6. ქართლის ცხოვრება. II. 1959, გვ. 188.
7. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. ქართლის ცხოვრება, I. 1955, გვ. 138.
8. მატიანე ქართლისაი. ქართლის ცხოვრება, I. გვ. 299.
9. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. II. გვ. 66.
10. ამ საკითხზე ვრცლად იხ. ჯ. სტეფნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 136-137. აგრეთვე მისივე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. 1974, გვ. 96-99.
11. კომნენოსთა საგვარეულოს შესახებ უამრავი ლიტერატურაა შექმნილი. მათ შორის გამოვყოფდით ფ. შალანდონის ორტომეულ ფუნდამენტურ გამოკვლევას — F. Chalandon. Les Comnene. vol. 1-2. Paris. 1900-1912.
12. К. Н. Юзбашян. Внешнеполитическое и внутреннее положение Византии в конце XII в. четвертый крестовый поход и захват Константинополя. История Византии. Т. 2. ст. 333, М. 1967.

# კიდევ ერთხელ კირმანეული თეთრის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული სამონეტო საქმე სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა უცხო გავლენას განიცდიდა ტიპის, სტილისა და ნომინალის ასპექტით.

საქართველოსა და ტრაპიზონის ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთი საინტერესო ფურცელთაგანია, რაც სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს. ამ ეტაპზე შემოვიფარგლებით ტრაპიზონული ასპრების ტიპოლოგიის ქართულ სამყაროში გადმოტანა-დანერგვის კონკრეტული ფაქტებით. ჩვენი კვლევა შეეხება კირმანეული თეთრის პრობლემის ზოგიერთ მხარეს.

1204 წელს საქართველო იკავებს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს და ქმნის ბუფერულ სახელმწიფოს ტრაპიზონის იმპერიის სახით, სადაც არა მარტო მოსახლეობაში, არამედ თვით მაღალ სამოხელეო აპარატშიც ქართულ ელემენტს წამყვანი ადგილი ეჭირა.

მოგვიანებით, XIII საუკუნის შუა ხანებიდან,

როდესაც საქართველო ორ ნაწილადაა გახლეჩილი, ტრაპიზონის სამეფოსთან კონტაქტს აგრძელებს ლიხთიმერეთის მეფე დავით ნარინი. იგი ყოველნაირად ცდილობს თავისი გავლენის განმტკიცებას სამხრეთ–დასავლეთით. ამ მიზნით შეიჭრა კიდეც ტრაპიზონში და ქალაქი გარემოიცვა (1; 213).

მჭიდრო პოლიტიკურ კავშირს ეკონომიკურიც მოჰყვა. ამ პერიოდის უცხო ქვეყნების სავალუტო შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ტრაპიზონის ფული, რომელიც დაუბრკოლებლივ შემოდიოდა და ბრუნავდა ჩვენში. XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან გვხვდება იოანე I-ის (1235-1238), მანუელ I-ისა (1238-1263) და იოანე II-ის (1280-1297) სახელით მოჭრილი მონეტები.

ტრაპიზონთან ასეთი ძლიერი ურთიერთობისა და საქართველოში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შედეგი უნდა იყოს ტრაპიზონული მონეტების გვერდით ჩვენში ამავე ტიპის ადგილობრივი ფულის გაჩენა, რომელსაც კირმანეულის სახელი დაიმკვიდრა. მიიჩნევენ, რომ ამ ღონისძიებების გატარება ლიხთიმერეთში მყოფ დავით ნარინს მოუხდა (2; 39).

კირმანეული XIII-XV საუკუნეების დასავლურ–ქართული ფულია, მოჭრილი ტრაპიზონის მეფის მანუელ I-ის მონეტის ტიპის მიხედვით, ამაზე მეტყველებენ სასისხლო სიგელები (3; 233). შემდგომში, როცა ურთიერთობა საქართველოსა და ტრაპიზონს შორის არ შეცვლილა, მაგრამ იმპერიას იოანე II მართავდა, დასავლეთ საქართველოში მოჭრილ ფულზე უკვე იოანე II არის აღბეჭდილი, თუმც სახელი ისევ კირმანეული შერჩა. ცნობილია, რომ კირმანეული თეთრის ვარიანტებიდან მაღალი ტექნიკით მოჭრილია იოანე I-ისა და მანუელ I-ის მონეტები. შემდეგში, XIV საუკუნის ბოლოსა და XV საუკუნის დასაწყისისათვის, როგორც დავით კაპანაძე ბრძანებს, „ეს კირმანეულები თანდათანობით უარესდებოდნენ და მათ წონაც უმცირდებოდათ და სინჯადობაც" (4; 207).

ზოგადად კირმანეული თეთრის პრობლემას თავის მონოგრაფიებში ეხება ქ-ნი თამარ აბრამიშვილი. ჩვენი მიზანია ყურადღება შევაჩეროთ კირმანეული თეთრის მონეტათა ერთ ვარიანტზე, რომელიც მეტად განირჩევა თავისი ზედწერილით დანარჩენ ნუმიზმატიკურ ძეგლებისაგან. ამ მონეტის ერთი ცალი ბარათაევის კოლექციიდან ბერლინის მუზეუმშია დაცული, მეორე კი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. მონეტის დიამეტრია 18-19 მმ, წონა-1,2 გ. შუბლზე გამოსახულია ფეხზე მდგომი მეფე თავზე სამკაპიანი გვირგვინით, რომელსაც ორივე მხრიდან სამ-სამი თვლით შემკული საკიდრები აქვს. იგი [illegible] სამოსით არის შემოსილი, წინ თვლებით შემკული ლორონი აქვს ჩამოშვებული [illegible] შემოყრილი. მარცხენა ხელში [illegible] ლაბარუმი უჭირავს, მარჯვენა ხელი თავისუფალი აქვს. მარცხნივ ვერტიკალურად და ორ სტრიქონად ორი ქართული მთავრული ასოთი შესრულებული ზედწერილია:



ასო „თანის" წინ რაღაც ნიშანია, რომელიც შეიძლება ასის კიდური იყოს. მონეტას ნაპირები გაკვეთილი აქვს.

ზურგზე გამოსახულია წმინდა ევგენი [illegible] და გრძელი ნაკეცებიანი სამოსით: მარცხნივ გაურკვეველი ნიშნებია, მარჯვნივ - ზემოთ ორი ქართული მთავრული ასოა:



ხოლო ქვემოთ, ორ სტრიქონად, სამი ბერძნული ასოა:



ორი პირველი ქართული ასო მიგვითითებს „გიორგი"-ს სახელზე, ხოლო ბერძნული კი წმინდა ევგენის ან გიორგის სახელზე.



ვიდრე საკუთარ მოსაზრებებს ჩამოვაყალიბებდეთ, საინტერესოა, რა შეხედულებები არსებობს ამ მონეტის შესახებ.

მიხეილ ბარათაევი მას გიორგი III-ს (1156-1184) მიაწერს. ორივე გვერდის ზედწერილის შეერთებით მან გიორგი მეფის სახელი მიიღო, ხოლო ბერძნული ასოებისაგან კი „Γεώργυς Εὐγενής" ე. ი. „გიორგი კეთილშობილი". მონეტის შუბლზე მეფის გვირგვინის ახლოს „ნარ" ასოს ხედავს და დასძენს, ეს ასო რომ მონეტის ზურგზე წმინდანის გვირგვინის ახლოს ყოფილიყო, წმინდა ნინოს სახელის აღმნიშვნელი იქნებოდა (5; 21).

დევიდ ლენგი ვარაუდობს, რომ ეს

წარწერა შეიძლება რომელიმე წმინდანს ეკუთვნოდეს და წმ. ევგენი საქართველოში პოპულარულ წმინდა გიორგისთან იყოს გაიგივებული (6; 85).

ევგენი პახომოვი ამ მონეტას მიაწერს ქართლის მეფე გიორგი VII -ს (1393-1407), რომელიც დროებით იმერეთში იმყოფებოდა, როგორც კანონიერი მეფე და თავისი სახელით მონეტას ჭრიდა. ბოლოს, იგივე მონეტა დავით კაპანაძემ გამოსცა და იგი გიორგი I ლიხ-თიმერეთის მეფეს მიაკუთვნა, რომელიც 1389-1392 წლებში მეფობდა (7; 76).

მონეტა რომ ვინმე გიორგი მეფეს ეკუთვნის, ამაზე მიგვითითებს შუბლზე და ზურგზე მოთავსებული ასომთავრული წარწერა:



მაგრამ, ვფიქრობთ, გიორგი III უნდა გამოირიცხოს, რადგან მისი მეფობის წლები არ უახლოვდება ამ ტიპის მონეტების გავრცელების პერიოდს - XIII-XV საუკუნეებს. ბერძნულ ასოთაგან იკითხება „Γεώργιος", ხოლო „Εὐγενής" მხოლოდ ვარაუდია, რადგან შეუძლებელია ამ სიტყვის ამოკითხვა შესაბამისი ასოების გარეშე.

ეს წარწერა რომ წმ. ევგენის ეკუთვნოდეს, მას აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს „ὁ ἅγιος" (Εὐγένιος), რაც აუცილებელი ატრიბუტია კომნენული თეთრისათვის. მაგრამ, ვთქვათ, გამოვრიცხეთ ეს ფაქტორი, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზურგზე გამოსახული წმინდანი არის ტრაპიზონის მფარველი წმ. ევგენი, მაგრამ ბერძნული ასოების შინაარსი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ იქ წავიკითხოთ „Εὐγένιος", ის იშიფრება როგორც „Γεώργιος". მაშ, იქნებ მართლაც წმ. ევგენისთან გაიგივებულ წმ. გიორგისთან გვაქვს საქმე? ამ ვარაუდსაც გამორიცხავს თვით მონეტის ზურგის გამოსახულება. აქ გამოსახულია ევგენი მისთვის დამახასიათებელ პოზაში და არავითარი ცვლილება მასზე არა ჩანს. რომ ყოფილიყო წმ. გიორგის თუნდაც ერთი ატრიბუტი მაინც, ან გველეშაპის, ან ცხენის სახით (თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში გვხვდება, წმ. გიორგი ამ ატრიბუტების გარეშეც, მაგალითად, ფარით და შუბით, აგრეთვე მოისარი წმ. გიორგი, როგორც მეომარი), მაგრამ აქ ევგენის გამოსახულებაზე არავითარი ცვლილება არ არის, არ მოიპოვება არც ერთი დეტალი, რომ ვიფიქროთ წმ. ევგენისა და წმ. გიორგის გაიგივებაზე.

ევგენი პახომოვი საპირისპიროდ მიაწერს ამ მონეტას გიორგი VII-ს (1393-1407), რომელიც დროებით იმყოფებოდა იმერეთში და როგორც კანონიერი მეფე საკუთარ მონეტას ჭრიდა. ამ მოსაზრების სამართლიანობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მსგავსი ტიპის მონეტები საქართველოში XIV-XV საუკუნეებში იჭრებოდა. მასზე მოცემული ქართული წარწერა კი უფრო მეტ დაზუსტების საშუალებას იძლევა. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით იგი XIII საუკუნის დასასრულით თარიღდება.

გადასაწყვეტია ერთი საკითხი - რას უნდა ნიშნავდეს ბერძნული ზედწერილი  ? გამოვრიცხეთ მისი წმინდანისადმი მიკუთვნება, მაშ ვის უნდა იყოს „Γεώργιος"?!

XIII-XIV საუკუნეების სამონეტო მიმოქცევაში დომინირებდა მანუელის მონეტები, ხოლო შემდეგ ჩნდება შედარებით ნაკლებ დაზიანებული იოანეს ემისიებიც. როგორც ქ-ნი თამარ აბრამიშვილი აღნიშნავს, კომნენური თეთრი ძირითადად ამ ორი კომნენოსის სახელობისაა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა ტრაპიზონის მეფე გიორგი I კომნენოსს. მისი მეფობა მიქელ პანარეტოსის მიხედვით 1266-1280 წლებით თარიღდება. როგორც ცნობილია, იგი საქართველოს მხარდაჭერით სარგებლობდა. მისი სახელი დაფიქსირებულია კორიდეთის ბერძნული სახარების ქართულ მინაწერში. ამ მინაწერის საფუძველზე გამოიტანა დასკვნა, რომ რიზეს მხარე და მდ. ჭოროხის შესართავის - მუღლიულის ხეობა, სადაც მდებარეობს კორიდეთი, XIII ს-ის ბოლოს წარმოადგენდა საქართველოს მეფისა და ტრაპიზონის მეფის კონდომინიუმს (8; 276).

რაც შეეხება გიორგი კომნენოსის სახელით მოჭრილ მონეტებს, აღმოჩენილია მხოლოდ სპილენძის ასპრები. ო. რეტოვსკის აზრით, ეს მონეტები მიეკუთვნება ტრაპიზონის მეფე გიორგის, რადგან სხვა გიორგი არც ტრაპიზონის და არც ბიზანტიის მეფეთა შორის არ არის (9; 36). მონეტათა ეს გამოშვება ტიპოლოგიურად ძალიან ახლოს დგას ჩვენთვის საინტერესო მონეტასთან. ამიტომ საფიქრებელია, რომ გიორგი კომნენოსის საქართველოსთან მჭიდრო

კავშირმა განაპირობა დასავლეთ საქართველოს სათავსზე „Γεώργιος"-ის დაფიქსირება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჯვარ-ჯვარობით ერთადერთი ვერცხლის მონეტაა, ბერლინის მუზეუმში დაცულ მონეტასთან ერთად, რომელიც არა მანუელის და იოანეს მონეტების, არამედ გიორგი I-ის მონეტათა პროტოტიპია. ამდენად, ვადგენთ, რომ საქართველოში იჭრებოდა არა მარტო მანუელისა და იოანეს, არამედ გიორგი კომნენოსის ზედწერილიანი მონეტებიც.

ძალზე საინტერესოა ის ნიუანსი, რომ ისე ნაკლებად გავრცელებული ნუმიზმატიკურ კატეგორიას, როგორიცაა გიორგის მონეტები, იღებენ პროტოტიპად. ჩვენი თვალსაზრისით, ეს არის ახალი პროტოტიპი კომნენური თეთრის მონეტებიდან.

ჩვენ შევეცადეთ საკუთარი მოსაზრება გამოგვეთქვა ამ მონეტასთან დაკავშირებით, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევა შემდგომში უნდა გაგრძელდეს და ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის საშუალებას ალბათ ისევ და ისევ ამ ვარიანტის მონეტების კარგად შენახული ცალი მოგვცემს.

**მაია პატარიძე**
თსუ ისტორიის ფაკულტეტის
V კურსის სტუდენტი

## ლიტერატურა

1. მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა და გამოკვლევით გამოც. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 33. თბ. 1960.
2. თამარ ბრამიშვილი XIII-XIV სს. ბიზანტიურ-ქართული ურთ. თბ. 1959.
3. თედო ჟორდანია. ქრონიკები. II. 1897.
4. დავით კაპანაძე. [illegible] ქართული ნუმიზმატიკიდან. საქ. მუზეუმის მოამბე. XII-B. თბ. 1944.
5. М. Баратаев. Нумизматические факты Грузинского царства. разд. II. С.-Пет. 1844.
6. D. M. Lang. Studies in the numismatic history of Georgia in Transcaucasia. New-York. 1955.
7. დავით კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1957.
8. [illegible] გიორგი მერჩულე. თბ. 1954.
9. O. Retowski. Die Münzen der Komnenen von Trapezunt. Moscau. 1910.

1994. № 2-3

# 1912 წლის რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები და ნაციონალური საკითხი საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1907 წლის 3 ივნისს ნიკოლოზ II-ის რესკრიპტით დაითხოვეს მემარცხენე განწყობილების II სახელმწიფო სათათბირო, გადაასახლეს რადიკალი დეპუტატები. ახალი საარჩევნო კანონის შემწეობით III სათათბირო მემარჯვენე ტენდენციისა აღმოჩნდა. გაძლიერდა რუსული ნაციონალ-შოვინისტური პოლიტიკა, რომელიც სამეფო წრეებიდან იმართებოდა. განსაკუთრებით მძაფრ ფორმებში ხორციელდებოდა ამგვარი პოლიტიკა კოლონიებში — პოლონეთში, ფინეთში, ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნებში. აქტიურად გამოიყენებოდა „დაყავი და იბატონე" იმპერიული ტაქტიკა: ერების ერთმანეთთან წაკიდების პოლიტიკა. გამკაცრდა სხვადასხვა საეკლესიო რეფორმაც. 1912 წლის ნოემბერში ქართული საზოგადოების მიერ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნის პასუხად „წმინდა სინოდის" წინასწარ თათბირზე მიიღეს ეგზარქოსის პროექტი ქართველი ეპისკოპოსების რუსებით შეცვლის თაობაზე.

განსაკუთრებით მძაფრად გამოვლინდა ცარიზმის ექსპანსიონისტური პოლიტიკა მიწათმფლობელობის საკითხში — 1917 წლის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საქართველოს სახნავ-სათესი სავარგულების 36,5 %, ანუ 6.058 ათასი ჰექტრიდან 2.206 ათასი ჰექტარი ირიცხებოდა საუფლისწულო მამულებში (მეფის ოჯახის პირად საკუთრებაში) (1). საუკეთესო მიწები სომეხი და ევროპელი კაპიტალისტების ხელში იყო. ქართველ ნაციონალისტებს ძლიერ აშფოთებდათ ეს პროცესები, სიტყვით და საქმით ცდილობდნენ მის გადაჭრას, რადგან გაბაშვილის თქმით „ფული, განათლება და ეკონომიური ძალა ხალხისა, შეძლებული ნაციონალური ცხოვრების პირობებით და გრძნობით უნდა გახდეს საქართველოს აღორძინების საფუძველი"(2). ქართველი ნაციონალისტები არ კმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ პრესაში გამოქვეყნებული მოწოდებებით და აგიტაციით. ისინი თავიანთ ნაფიქრ-ნააზრევს ცხოვრებაში ახორციელებდნენ (3, 80-116). ამის დამადასტურებელია „კოოპერაციის", „ქართლის", „კახეთის", „მევენახისა" და სხვა სამრეწველო სინდიკატების მოღვაწეობა XX ს-ის 10-იან წლებში.

1912 წელს მთელი საზოგადოების ყურადღება მიპყრობილი იყო IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისაკენ, რომელიც წინა არჩევნებისაგან განსხვავებით უფრო რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. მრავალსაფეხურიანი საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ოლქების კურიებად დაყოფა, საარჩევნო ცენზის გაზრდა, განაპირა გუბერნიებში (ე. ი. „ნაციონალურ" კოლონიებში) დეპუტატთა რიცხვის შემცირება ხელს უწყობდა მომავალი სათათბიროს შემადგენლობის მემარჯვენეობას, მის რეაქციულ, პრომონარქიულ და ულტრაშოვინისტურ განწყობას. მიუხედავად ამისა, ქართველმა ნაციონალისტებმა ხელიდან არ გაუშვეს შესაძლებლობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფრონტის გააქტიურებისა და აქტიურად ჩაებნენ წინასაარჩევნო კამპანიაში.

საქართველოს ტერიტორიაზე (რუსული ადმინისტრირებით — ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმისა და სოხუმის ოკრუგები) არსებობდა 3 საარჩევნო ოლქი, რომლებიც დაყოფილი იყო კურიებად და მრავალსაფეხურიანი საარჩევნო სისტემით (ქალაქებში — მესამე კურიები მაზრებში — გლეხთა კურიები 3 და 4-საფეხურიანი იყო, ხოლო „რწმუნებულების" — 2-საფეხურიანი. მემამულეები პირდაპირ მონაწილეობდნენ) ხდებოდა ჯერ ამომრჩეველთა არჩევა და შემდეგ — თითოეულ ოლქში თითო დეპუტატისა. ამომრჩევლები გაყოფილნი იყვნენ ორ მთავარ ბანაკად: 1) ქართველი ნაციონალისტები, შემოკრებილნი უმთავრესად საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გარშემო, წინასაარჩევნო კამპანიას უწყობდნენ ჟურნ. „კლდის", გაზ. „იმერეთისა" და „სახალხო გაზეთის" ფურცლებზე; 2) სოციალ-დემოკრატები, რომლებიც აგიტაციისათვის აქტიურად იყენებდნენ ლეგალურ ყოველდღიურ ალიანსებსა და სომხურ ბურჟუაზიულ პრესას („ტიფლისკი ლისტოკ", „ტიფლისკი კურიერ"); ამას გარდა, არსებობდა მესამე, ცენტრისტულ-ბალანსირური მიმართულება, რომელსაც გაზეთ „თემისა" და „ჩვენი დროების" საშუალებით ავრცელებდა თავის შეხედულებებს.

ტფილისის გუბერნიაში ერთმანეთს დაუპირისპირდა დეპუტატობის 2 კანდიდატი — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი (სფპ) და კარლო ჩხეიძე (სდპ). ამ უკანასკნელს აქტიურად ეხმარებოდა სომხური ბურჟუაზიის პარტია „დაშნაკცუთიუნი" და ფინანსური ოლიგარქია ალექსანდრე ხატისოვის (ტფილისის ქალაქის თავი), ტაგიანცის, მანთაშოვისა და სხვათა მეთაურობით. ეს „სომხურ-ჩხეიძური ალიანსი" იმთავითვე ნათელი იყო. ამგვარი გარიგების შესახებ ღიად წერდა იმდროინდელი პრესა და

პრიორიტეტს აძლევდა ვარშავის საარჩევნო ოლქში მოწინავე ინტელიგენტთან.

ვარშავაში, სადაც ამომრჩეველთა 2/3 ებრაელია, მოსალოდნელი იყო დეპუტატად ებრაელის გასვლა. ამის საწინააღმდეგოდ პოლონელები ფიქრობდნენ არჩევნების ბოიკოტირებას. ებრაელმა ლიგამ რუსეთის კადეტთა პარტიის ლიდერის პავლე მილიუკოვის რჩევით, არ წამოაყენა თავისი კანდიდატი. მხარი დაუჭირა



კარლო ჩხეიძე (1864-1926).
რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ტფილისის გუბერნიის საარჩევნო ოლქიდან.



ლუარსაბ ანდრონიკაშვილი (1872-1939).
რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატი ტფილისის გუბერნიის საარჩევნო ოლქიდან.

ავტონომისტ სოციალ-დემოკრატს იაგიელოს პოლონელ ნაციონალისტთა კანდიდატის კუჩარჟევსკის საპირისპიროდ და გაამარჯვებინა. პოლონელთა ნაციონალური გრძნობები ძლიერ შეურაცხყო ამგვარმა ორპირობამ, დაპირისპირებამ საყოველთაო უნდობლობა გამოიწვია.

მსგავსი სცენარი განმეორდა ტფილისის გუბერნიის საარჩევნო ოლქშიც. კარლო ჩხეიძემ თავისი კანდიდატურა წამოაყენა პეტერბურგშიც, რათა იქ გამარჯვების შემთხვევაში ტფილისის ვაკანტური სადეპუტატო ადგილი ალ. ხატისოვისათვის დაეთმო. ამ ნაბიჯით ჩხეიძემ მოიპოვა სომეხ ამომრჩეველთა (ტფილისის ოლქის უმრავლესობა) მხარდაჭერა და საბოლოოდ გადაწყვიტა არჩევნების ბედი. ტფილისში 8 ამომრჩევლიდან ბოლო ეტაპზე მხოლოდ 2 იყო ქართველი: ა. ხატისოვი, დ. კორგანოვი, ა. პაპოვი, გ. გაგლოევი, ა. არუთინიანცი, ა. ბეჟურიშვილი, ი. ჯაბადარი, ნ. ჩხეიძე.

ამგვარი მდგომარეობა იყო სხვა მაზრებშიც. მაგალითად, გორის მაზრის გლეხთა კურიაში 46 რწმუნებულს შორის ერთადერთი სომეხი იყო და ამომრჩევლად სწორედ ის იქნა არჩეული. ასეთი მდგომარეობის მიუხედავად კ. ჩხეიძემ კონკურენტი მხოლოდ 2 ხმის უპირატესობით დაამარცხა და ნომინალურად ეს საკითხი ისევ ერთი ქართველის პოზიციამ გადაწყვიტა, რასაც მოწმობს ტფილისის გუბერნიის არჩევნების შედეგები: კარლო ჩხეიძე — 23 ხმა (15 სომეხი, 7 ქართველი სოციალ-დემოკრატი და ერთიც — ი. ჯაბადარი), ლუარსაბ ანდრონიკაშვილი — 21 ხმა (16 ქართველი, 3 თათარი, 2 სომეხი).

ყოფილი ხალხოსნის ი. ჯაბადარის ნაციონალისტური ბუნება ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში გამომჟღავნდა. 1874 წელს „კავკასიელ მოსწავლეთა კონგრესზე" მან სასტიკად გაილაშქრა კავკასიის ავტონომიის პროექტის წინააღმდეგ. მოგვიანებით მანვე პეტერბურგის „სევერნი ვესტნიკში" გამოაქვეყნა ცნობილი წერილი, სადაც დრეპერის თეორიაზე დაყრდნობით მსჯელობდა ქართველი ერის სიბერეზე. ამას მოჰყვა პასუხად ილიას „აი ისტორია".

ჯაბადარი პავლე თუმანიშვილთან, გიორგი გვაზავასთან და სხვებთან ერთად მხარს უჭერდა ლიანოზოვის პროექტს, რომელიც ითვალისწინებდა თბილის-ბაქოს ახალი სარკინიგზო ხაზის გაყვანას ნუხაზე გავლით (3; 141). ამას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ჟურნალი „კლდე" და გააფთრებული ბრძოლა ჰქონდა გაზეთ „თემის" დაჯგუფებასთან. „კლდეისტები" — ქართველი ნაციონალისტები ფიქრობდნენ, რომ ახალ რკინიგზას (მათი გეგმით უნდა მისულიყო წნორის წყლამდე) უნდა ჰქონოდა შიდაკოლონიზაციური მნიშვნელობა, როგორც საგარეუბნო მიმოსვლისა და ტვირთბრუნვის საშუალებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის იქნებოდა არა

„კახეთის რკინიგზა", არამედ საფრანგეთში ბაქო-ბათუმის გზის ერთი მონაკვეთი, რომელსაც „ბაყლანძე" ეწოდებოდა. რადგან ფინანსური ოპერაციებია აღმოჩნდებოდა მეფისნაცვლისა და სომხური სამრეწველო ოლიგარქიის ხელში, რაც მათ საქართველოს ეროვნული სიმდიდრის უპანგარიშო ექსპლუატაციის საშუალებას მისცემდა.

კონცესიის დაინტერესების პროექტი დაიწუნა, რა თქმა უნდა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე და არა ქართველების „სიყვარულით". 1915 წელს დაიწყეს კახეთის რკინიგზის მშენებლობა. ამ საკითხის აქტუალობას ნათლად მოწმობს იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული წერილები: რეზო გაბაშვილი — „კახეთის რკინიგზა და თავის მოყვარეული ბატონი გ. გვაზავა" („ელდა", 1912, №12), შალვა ამირეჯიბი (ფარსმან ფარეჯის ფსევდონიმით) — „ქართველ-სომეხთა სოლიდარობა და სრულიად საქართველოს დურაკები" („ელდა", 1912, № 10).

სომხური ფინანსური ოლიგარქია ერეოდა ისეთ წმინდა ქართულ საქმეშიც, როგორიც იყო გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლის არჩევნები, სადაც გიორგი ბაგრატიონის საწინააღმდეგოდ ბეჟან ოქროპირიძის კანდიდატურას დაუჭირა მხარი და გაამარჯვებინა.

დავუბრუნდეთ ისევ სათათბიროს არჩევნებს, რომლის შედეგებზეც ტფილისის გუბერნიაში გავლენა იქონია არა მხოლოდ სომხურმა ბურჟუაზიამ, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებმაც მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის მეთაურობით. 1907 წელს თავის „უქვეშევრდომილეს მოხსენებაში", ნიკოლოზ II-ის შეკითხვაზე, თუ რატომ უჭერდა მხარს სოციალ-დემოკრატებს, მეფისნაცვალი დაუფარავად აცხადებდა: „ეს არის ერთადერთი პარტია, რომელიც იცავს რუსეთის იმპერიის მთლიანობას და ებრძვის ქართველ თავად-აზნაურობაში დამკვიდრებულ ქართულ ნაციონალიზმს და სეპარატიზმს" (4; 36). როგორც ვხედავთ ამ ერთი შეხედვით პოლარულ მხარეებს იდეური და სულიერი ნათესაობა აკავშირებდათ ეროვნულ საკითხებთან მიმართებაში.

ქუთაისის გუბერნიაში, რომელიც შედარებით მონოეთნიკურობით გამოირჩეოდა, ცნობილი ეროვნული მოღვაწე კიტა (ივანე) აბაშიძე და III სათათბიროს დეპუტატი ევგენი გეგეჭკორი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სოციალ-დემოკრატები აქაც არ ერიდებოდნენ ბინძური ხერხების გამოყენებას. ევგენი გეგეჭკორმა III სათათბიროში ისიც კი განაცხადა, ქუთათურები მეგრელებს ავიწროებენო და ამით სენაკისა და ლეჩხუმის მაზრების მიმხრობა მოინდომა.

დიდი როლი შეასრულა ისეთი ცნობილი საზოგადო მოღვაწეების პოზიციამ, როგორებიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე (იგი ძლიერ დაუჭირა ფოთში სოციალ-დემოკრატებს) და აკაკი წერეთელი (მოხდა ისე რომ მან არ დაუჭირა მხარი კიტა აბაშიძის კანდიდატურას).

4 ოქტომბერს ქუთაისის გუბერნიაში გაყალბების ფაქტებთან დაკავშირებით გაუქმდა არჩევნების შედეგები. ევგენი გეგეჭკორი ამოიშალა სიიდან, თუმცა 17-ში ხელახალ არჩევნებში კანდიდატმა ლეო ნათაძემ მაინც მცირე კიტა აბაშიძის დამარცხება 370 ხმით. ამან აიძულა სშპ წამოეყენებინა კარლო გელოვანის კან-



კიტა აბაშიძე (1870-1917).
რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატი ქუთაისის გუბერნიის საარჩევნო ოლქიდან.



ევგენი გეგეჭკორი (1882-1954).
რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატობის კანდიდატი ქუთაისის გუბერნიის საარჩევნო ოლქიდან.

დიდატურა, რომელმაც შეძლო ევგ. გეგეჭკორის დამარცხება (18 ხმით 17-ის წინააღმდეგ) (5. 279).

სოხუმისა და ბათუმის ოლქშიც გამარჯვება წილად ხვდა სოციალ-დემოკრატიის კანდიდატს — აკაკი ჩხენკელს. საბოლოოდ IV სათათბირომ ამგვარი სახე მიიღო:



კარლო გელოვანი (1878-1915)
რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ქუთაისის გუბერნიის საარჩევნო ოლქიდან.



აკაკი ჩხენკელი (1874-1959).
რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სოხუმისა და ბათუმის ოკრუგების საარჩევნო ოლქიდან.

*143 — მემარჯვენე*
*59 — ნაციონალისტი*
*78 — ოქტიაბრისტი*
*11 — პოლონეთის „კოლო"*
*1 — ქართველი ნაციონალისტი (კ. გელოვანი)*
*5 — „ბელარუს-პოლონელ-ლიტველთა ჯგუფი"*
*3 — მაჰმადიანი*
*6 — უპარტიო*
*46 — პროგრესისტი*
*60 — კადეტი*
*13 — მემარცხენე*
*14 — სოციალ-დემოკრატი (ფრაქციის ლიდერი ე. ჩხეიძე)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს 4 ძირითადი მოთხოვნა, რასაც ქართველი საზოგადოება უყენებდა თავის წარმომადგენლებს სათათბიროში — 1) სოხუმის ოლქიდან ქართული მოსახლეობის აყრის კანონიერების საკითხი. 2) ქართველი კაცისათვის სამხედრო ბეგარის საქართველოში მოხდა; 3) საშუალო და უმაღლესი განათლების ქართულ ენაზე დაწესება;4) ქართველი გლეხის მეურემიწაობა (1) — კარლო ჩხეიძეს და ევგენი გეგეჭკორს არც III და არც IV სათათბიროში არ განუხილავთ. რაც შეეხება კარლომ გელოვანს, მან თავის პირველსავე გამოსვლაში 1912 წლის 13 დეკემბერს, ისეთი პოლიტიკური მოწიფულობით და საზრიანობით დააყენა საქართველოს ავტონომიის საკითხი, რომ მემარცხენე დეპუტატების ტაშიც კი დაიმსახურა. მისი სიტყვა წარმოადგენდა პასუხს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ კოკოვცევის დეკლარაციაზე. დეკლარაციაში კავკასია მიჩნეული იყო თვითმმართველობის უუნარო რეგიონად, კიდევ ერთხელ იყო აღნიშნული „ნაცმენთა" II ხარისხი და იმპერიის ძირითადი პრინციპი, რომ „რუსეთის ორთავიანი არწივის ფრთებქვეშ ყველა ეროვნება იპოვის ადგილს მშვიდობიანი ცხოვრებისათვის". ამ ფონზე კარლომ გელოვანის სიტყვა საკმაოდ რადიკალურად ჟღერდა (6-7).

**ბონდო კუპატაძე**
თსუ ისტორიის ფაკულტეტის
IV კურსის სტუდენტი

## ლიტერატურა

1. გაზ. „ქართველი ერი". ბერლინი. 1944. № 10-11.
2. ჟურნ. „კლდე". 1912. № 1.
3. რევაზ გაბაშვილი. რაც მახსოვს. თბ. 1991.
4. დავით ვაჩნაძე. რუსული ბოლშევიზმის ძირები.- თბ. 1993.
5. გიორგი ლასხიშვილი. მოგონებანი. თბ. 1934.
6. გაზ. „იმერეთი". 1912. 25 დეკემბერი. № 75.
7. ლეილა ნანიტაშვილი. ერის წყლული მარადის წყლულად. თბ. 1993.

ბონისტიკა ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგია. იგი შეისწავლის ქაღალდის ფულსა და ბონებს, როგორც ისტორიულ საბუთებს.

ქართული ბონისტიკის საკითხები დღემდე არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი და ჩვენი ისტორიოგრაფიის თეთრ ლაქად რჩება[1]. არადა საქართველოსაც აქვს საკუთარი ქაღალდის ფულის ნიშნების — ბონების ტრადიცია, რომელიც 1918 წლის დასაწყისიდან იღებს სათავეს. აქვე შევნიშნავთ, რომ ბონი ეწოდება სახელმწიფო ხაზინის, მუნიციპალური ორგანოების ან ცალკეული კერძო გაერთიანება-დაწესებულებათა მიერ გამოშვებულ მოკლევადიან სავალო ვალდებულებას. იგი ჯერ როგორც მიმოქცევისა და გადახდის დროებითი საშუალება, შემდეგ გამოსყიდულ უნდა იქნეს ნამდვილი ფულის ნიშნებით. ბონი მიმოქცევიდან ამოღებულ ქაღალდის ფულის ნიშანსაც ეწოდება.

# მასალები ქართული ბონისტიკის ისტორიისათვის

*(ნაწილი პირველი)*

შეგვიძლია გამოვყოთ ქართული ბონების შემდეგი ძირითადი ჯგუფები:

*1. ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები;*

*2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები;*

*3. საქართველოს სსრ-ის ბონები;*

*4. ამიერკავკასიის სფსრ-ის ბონები;*

*5. საქართველოს ტერიტორიაზე გამოშვებული ქაღალდის ფულადი სუროგატები.*

ქვემოთ შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ ქართული ბონების თითოეული ჯგუფი. პარალელურად შევეხებით 1918-24 წლების საქართველოში მომხდარ ზოგიერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოვლენასაც.

## ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო ბანკიდან იმპერიის განაპირა რეგიონებში და მათ შორის ამიერკავკასიაშიც გართულდა რუსული ფულის ნიშნების მიწოდება.

ფულის ნიშნების დეფიციტის აღმოსაფხვრელად ამიერკავკასიის კომისარიატმა 1918 წლის 29 იანვარს დაამტკიცა დებულება ბონების შესახებ. მასში ნათქვამი იყო:

„1. ამიერკავკასიის კომისარიატი უშვებს 100 მილიონი მანეთის ბონებს.

2. ბონები მოქმედებაში იქნებიან დროებით, ვიდრე მოისპობოდეს ის მიზეზები, რომლებიც ქაღალდის ფულის ნაკლებობას იწვევენ. შემდეგ ბონები გაბათილდება.

3. ამიერკავკასიის ბონებს ისეთივე ღირებულება ექნებათ, როგორც ქაღალდის ფულებს. მას მიიღებენ როგორც საზოგადო დაწესებულებები, ისე კერძო პირები.

4. ბონები გამოიცემა: 1 მანეთიანი, 3 მანეთიანი, 5 და 10 მანეთიანი, 50 მანეთიანი და 100 მანეთიანი.

5. ბონები მზადდება ფინანსების სამინისტროს კომისრის განკარგულებით და გადაეცემა სახელმწიფო ბანკის კანტორას ხმარებაში გამოსაშვებად.

6. თბილისის სახელმწიფო ბანკის კანტორა ბონებს უშვებს ამიერკავკასიის სახელმწიფო ბანკის განყოფილების საშუალებით.

7. ბონი არ მიიღება თუ აკლია ნამდვილი ზომის ერთი მესამედი და ან ნუმერაცია“[2].

დებულებით გათვალისწინებული ბონების გამოშვება 1918 წლის თებერვლის პირველ ნახევარში დაიწყო. მალე გამოვიდა 250-მანეთიანი ბონის კუპიურებიც.

ამიერკავკასიის კომისარიატის ბონების ესკიზების ავტორია არქიტექტორი გ. მ. ტერ-მიქელიანი. ეს ბონები თავიანთი შინაარსითაც და გარეგნული სახითაც სინთეზურია, ატარებს ზოგადამიერკავკასიურ ხასიათს და ამდენად, თანაბრად მიეკუთვნებიან როგორც ქართულ, ასევე




ამიერკავკასიის კომისარიატის 100-მანეთიანი




სომხურ და აზერბაიჯანულ ბონისტიკას. ყველა ბონის კუპიურაზე გვხვდება ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული წარწერები, აგრეთვე ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის — ევგენი გეგეჭკორისა და ფინანსთა კომისრის — ქრისტეფორე კარჩიკიანის ხელმოწერათა ფაქსიმილეები რუსულ ენაზე[3].

ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები იბეჭდებოდა თბილისში, დღევანდელ თავისუფლების მოედანთან მდებარე ყოფილი სამხედრო შტაბის შენობაში. აქ მზადდებოდა ქართული ბონები 1924 წლის 15 აპრილამდე.

რუსეთის ცარისტული იმპერიის დანგრევიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

ალდგენამდე (26 მაისი, 1918 წ.) ამიერკავკასიაში მიმოიქცეოდა რამდენიმე ტიპის ვალუტა:

1. რუსეთის მეფისდროინდელი სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები;
2. რუსეთის დროებითი მთავრობის ფულის ნიშნები;
3. ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები.

ნაწილობრივ მიმოიქცეოდა საზღვარგარეთული ვალუტაც, ძირითადად — ოსმალური ლირა, რომელიც 1918 წლის ივლისისათვის 16 ამიერკავკასიურ მანეთს უდრიდა.

1918 წლის 28 მაისიდან გერმანიასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ფოთში გაფორმებული შეთანხმებით დაკანონდა „გერმანიის ვალუტის, როგორც გადახდის საშუალების დროებითი დაშვება ადგილობრივ ფულთან ერთად განსაკუთრებული კურსით და ამ კურსის დადგენა მთავრობათა შორის საგანგებო შეთანხმების საფუძველზე“[5].

1918 წლის ივლისის მიწურულს ამიერკავკასიის რესპუბლიკები შეთანხმდნენ, რომ საკუთარ ფულად სისტემებზე გადასვლამდე მიმოქცევაში შეენარჩუნებინათ კომისარიატის ბონები და შეემუშავებინათ ერთიანი ფინანსური პოლიტიკა. ეს შეთანხმება პირველად აზერბაიჯანის მუსავატურმა მთავრობამ დაარღვია, რომელმაც ბაქოს ბოლშევიკთაგან განთავისუფლების შემდეგ თვითნებურად დაიწყო საკუთარი ფულის ემისია.

ზემოთ აღნიშნულმა და კიდევ მრავალმა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა მიზეზმა განაპირობა ის, რომ საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა საკუთარი ფულის ნიშნების შემოღებაზე ეზრუნა.

## საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები

1919 წლის 11 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი საქართველოს ბონების გამოშვების შესახებ. დეკრეტის მიხედვით გამოვიდა 1, 3, 5, 10, 50, 100 და 500-მანეთიანი ბონის კუპიურები. 1919 წელსვე გამოვიდა 50-კაპეიკიანი, ხოლო 1920-21 წლებში – 1.000 და 5.000-მანეთიანები.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ზოგიერთი ბონის ჭვირნიშანი

საქართველოს ბონების ესკიზების ავტორია მხატვარი იოსებ შარლემანი (1880-1957). მის მიერ შესრულებული ბონები ფრიად ორიგინალურია მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს 500-მანეთიანი კუპიურა. მის ავერსზე (წინა მხარეზე) აღბეჭდილია შუა საუკუნეთა არქიტექტურული სტილით ნაგები პომპეზური თაღი, რომლის ქვეშ მდგარ საკარცხულში ამაყად დაბრძანებულა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი პირმშვენიერი ახალგაზრდა მანდილოსანი. მისგან მარჯვნივ არის ოვალური ფარის, ხოლო მარცხნივ – საბრძოლო შუბის გამოსახულება. ფარზე ამოტვიფრულია სამი ასო: „სდრ“.

500-მანეთიანზე აღბეჭდილი მანდილოსნის მსგავსი გამოსახულება იმავე პერიოდში გამოშვებული ქართული საფოსტო მარკების ზოგიერთ სერიაზეც გვხვდება. ბ-ნ პაატა ნაცვლიშვილის აზრით, „საფიქრებელია, რომ ეს ქალი საქართველოს სიმბოლოდ ჰქონდა წარმოდგენილი მარკების მხატვარს, დაახლოებით ისე სიმბოლოდ, როგორც ცნობილი მარიანა საფრანგეთის მარკებზე“[6].

უდავოდ საინტერესოა აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის 5.000-მანეთიანი ბონის კუპიურა. მასზე გამოსახულია ოთხთაღოვან ჩარჩოში ჩახატული საქართველოს მთავრობის სასახლე, რომლის ფლაგშტოკზეც ეროვნული სამფეროვანი დროშა ფრიალებს. ამ ბონის კუპიურაზე გვხვდება ფრიად საინტერესო ჭვირნიშნები (გამჭვირვალე გამოსახულებანი ქაღალდზე). ეს ჭვირნიშანი წარმოადგენს ოთხთაღოვან ჩარჩოში ჩასმული სამი ქართული ასოს (ს დ რ) ერთმანეთში ჩაგვირისტებულ კომბინაციას. ამ ტიპის ჭვირნიშნებით მოფენილია მთელი ბონი. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ 5.000-მანეთიან ბონზე არ გვხვდება ჭვირნიშნები.

საქართველოს ბონებზე ცენტრალური წარწერები ყველგან ქართულია. ისინი გვაუწყებენ, რომ ეს არის „საქართველოს რესპუბლიკის ბონი“, რომლის „ძილება სავალდებულოა თანაბრად რუსეთის სახელმწიფო საკრედიტო ბილეთისა“, რომ „ბონისათვის პასუხისმგებელია საქართველოს რესპუბლიკა მთელი თავისი ქონებით“ და რომ „ყალბი ბონის დამზადებისათვის ან გასაღებისათვის დამნაშავე დაისჯება სისხლის სამართლის წესით“. რუსულ და ფრანგულ წარწერებზე, რომლებიც ბონების



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 500-მანეთიანი





საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 50-კაპეიკიანი



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 5000-მანეთიანი




რევერსზე გვხვდება, აღნიშნულია, რომ ეს ფულის ნიშანი „მიიღება რუსეთის საკრედიტო ბილეთების თანაბრად“.

დანარჩენი ბონებისაგან განსხვავებით, 50-კაპეიკიან ბონის კუპიურაზე მხოლოდ ქართული წარწერებია, რომლებიც გვაუწყებენ, რომ მისი „მიღება სავალდებულოა, როგორც ხურდა ფულის“. იქვე ვხვდებით წარწერას — „საქართველოს რესპუბლიკა“.

ყველა ბონზე (გარდა 50-კაპეიკიანისა) გვხვდება მთავრობის თავმჯდომარის — ნოე ჟორდანიასა და ფინანსთა მინისტრის — კონსტანტინე კანდელაკის ხელმოწერათა ფაქსიმილეები ქართულ ენაზე.

საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ ცნობილ სახელმწიფო მნიშვნელობის დანაშაულს — ყალბი ქაღალდის ფულის ბეჭდვას ადგილი ჰქონდა დამოუკიდებელ საქართველოშიც. 1918 წლის 28 მაისს, თბილისში, ვერის დაღმართზე მდებარე სასტუმრო „ბელვიუში“ ქალაქის პოლიციამ მიაკვლია ვინმე ტერ-არუთინოვის კვალს, რომელსაც აღმოუჩინეს ფულის საბეჭდი მანქანა, სხვადასხვა ხელსაწყოები და ყალბი რუსული ფულის ნიშნები. ყალბისმქმნელი თურმე დღეში ასიათასობით რუბლს ბეჭდავდა და ვინმე ჩერნიშევას აქტიური ხელშეწყობით ასაღებდა რუსეთისაკენ დაძრულ

ლტოლვილთა შორის[7]. ყალბისმქნელები არც ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს ბონების გაყალბებას ერიდებოდნენ[8].

საქართველოს ბონების კურსი ეკონომიკური კრიზისის გამო არამყარი იყო და გაუფასურებას განიცდიდა, თუმცა არანაკლებ და ზოგჯერ გაცილებით სწრაფ გაუფასურებას განიცდიდა იმდროინდელი მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ვალუტაც[9].

აღსანიშნავია, რომ ბონის გაუქმებისა და სრულფასოვანი ფულადი ერთეულის შემოღების სურვილი საქართველოს მთავრობას ადრევე ჰქონია. მან პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა ამ მიმართულებით.

1920 წლის 21 ივნისს მხატვარმა ევგენი ლანსერემ მთავრობის დავალებით შეასრულა 25 მარჩილის ღირებულების სახელმწიფო საკრედიტო ბილეთის ესკიზი[10]. პროფ. დავით კაპანაძის ცნობით, „მარჩილის, როგორც ფულის ერთეულის (ტერმინის) აღდგენის ცდა, როგორც ეტყობა,



საქართველოს სსრ-ის 10.000-მანეთიანი






*საქართველოს სსრ-ის 5.000.000 მანეთის ვალდებულება*

ადგილი ჰქონდა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს; ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მხატვარ ლანსერეს ოცდახუთ მარჩილიანის (ე. ი. 15 მანეთიანის) პროექტი, მაგრამ ამ ღონისძიების განხორციელება მენშევიკურ მთავრობას არ დასცალდა"[11].

აღსანიშნავია, რომ როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, მას ერთ მილიონ ფრანგულ ფრანკზე მეტი ვალი არ დარჩენია გასასტუმრებელი, რაც 300 მილიონ ქართულ მანეთს არ აღემატებოდა[12]. პირიქით, საქართველოს რკინიგზებით სარგებლობისათვის დიდი ბრიტანეთის ჯარებს ეწერათ 78 ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი, რაც მაშინდელი კურსით 1 მილიარდ 404 მილიონ მანეთს უდრიდა! ამ მართლაც რომ პარადოქსული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი ლევილის ქართული მამულის ასოციაციის თავმჯდომარემ მამია ბერიშვილმა 1987 წელს გადასცა პროფ. გურამ მარაძეს[13].

## საქართველოს სსრ-ის ბონები

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ მის თვითმარქვია ხელისუფლებას — ე. წ. „რევკომს" არა მარტო არ შეუწყვეტია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონების მიმოქცევა, არამედ მთელი 1921 წლის მანძილზე განაგრძობდა 5-ათასმანეთიანი ბონის კუპიურების ემისიას. ეს ბონები ისეთივე სახით გამოდიოდა, როგორც დამოუკიდებლობის ხანაში, ოღონდ ჭვირნიშნების გარეშე.

გასაბჭოების შემდეგ ქართული მანეთის გაუფასურების ტემპი დაჩქარდა. ეს იყო პირდაპირი შედეგი სახელმწიფო ხარჯების დაფარვის ცდისა ბონების ემისიით. გაიზარდა ისედაც უზარმაზარი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი.

ქართული მანეთის კურსი მტკიცე უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში თანდათან ქვეითდებოდა. მაგალითად, თუკი 1921 წლის თებერვალში ინგლისური გირვანქა სტერლინგი საშუალოდ 11-18 ათასი მანეთი ღირდა, მარტში მისმა ფასმა შეადგინა 66.500, აპრილში – 116.000, მაისში – 198.300, ივნისში – 282.500, ივლისში – 379.000, ხოლო აგვისტოში – 422.600 მანეთი[14].

ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ანუ ე. წ. „ნეპზე" გადასვლამ ხელი შეუწყო საქართველოს ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. საქართველოს თავისი ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით მნიშვნელოვანი სატრანზიტო ფუნქცია დაეკისრა ევროპასა და საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ამის შედეგად მოხდა ქართული ბონის კურსის გამყარება. შეინიშნა მისი მატების ტენდენცია ინგლისურ გირვანქა სტერლინგთან შედარებით. კერძოდ, 1921 წლის სექტემბერში გირვანქა სტერლინგის ფასი გაუტოლდა 357.000, ხოლო ოქტომბერში – 327.500 ქართულ მანეთს[14].

ამრიგად, 1921 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე გირვანქა სტერლინგის ფასმა 95.100 მანეთით დაიკლო. მიუხედავად ამისა, ქართული მანეთის კურსის სტაბილიზაცია დროებით ხასიათს ატარებდა. 1921 წლის ნოემბრიდან კვლავინდებურად მატულობს გირვანქა სტერლინგის ფასი, რომელმაც 438.000, ხოლო დეკემბერში 858.125 ქართული მანეთი შეადგინა![14] პარალელურად იმატა

ფულის ემისიამაც, რომელმაც 1921 წლის მარტიდან წლის ბოლომდე 195 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

1922 წლის საქართველოს სსრ-ის მთავრობამ დაიწყო საკუთარი 10.000-მანეთიანი ბონის კუპიურების ემისია. ეს ბონი გარეგნულად ძალიან ჰგავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 5.000-მანეთიანს.[15] მასზე შეცვლილია მხოლოდ სიმბოლიკა (დროშა, გერბი), წარწერები და ხელმოწერები.

1922 წლის31 მაისს საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ბანკმა გამოუშვა ოთხი ვალდებულება: 100.000, 500.000, 1.000.000 და 5.000.000 მანეთის ნომინალით. ეს ვალდებულებები მხოლოდ ერთ გვერდზეა დაბეჭდილი. მათი მეორე გვერდი აბსოლუტურად ცარიელია. ვალდებულებათა ქართული, ფრანგული და რუსული წარწერები გვამცნობენ, რომ ეს არის „საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ბანკის ვალდებულება". მხოლოდ ქართული წარწერა გვაუწყებს, რომ „ამ ვალდებულების წარმომდგენს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო ბანკი დაუყოვნებლივ აძლევს ასი ათას (ან ხუთასი ათას, ერთ მილიონ, ხუთ მილიონ) მანეთს ქართული ბონებით". ვალდებულებათა მარცხენა მხარეზე გამოსახულია საქართველოს სსრ-ის გერბი. აქვე გვხვდება ბანკის მმართველის ივანე ლორთქიფანიძის, მთავარი კონტროლიორისა და მთავარი მოლარის ხელმოწერათა ფაქსიმილეები ქართულ ენაზე. მითითებულია აგრეთვე ვალდებულებათა სერია ქართული ასოთი და ხუთნიშნა ნომერი — არაბული ციფრებით.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა რესპუბლიკებმა უარი თქვეს ევროპასთან ვაჭრობაზე, მთავარი მომწოდებლის როლში გამოდის რუსეთი. ამან გამოიწვია საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლის ნიველირება და პარალელურად — ქართული მანეთის კურსის დაცემა.

ქართული მანეთის გაუფასურება განსაკუთრებით დაჩქარდა 1922 წლის დეკემბერში. ამას დაერთო აჟიოტაჟური მოთხოვნილება ყველა სახის საქონელზე. პანიკას კიდევ უფრო აძლიერებდა საბჭოთა საქართველოს მესვეურთა მიერ კრემლის კარნახით გაჩაღებული პროპაგანდა ქართული ბონის გაუქმებისა და ამიერკავკასიის ერთიან ფულად ერთეულზე გადასვლის შესახებ.

ფედერალურ ფულის ნიშანზე გადასვლა, ამ საქმის ინიციატორთა აზრით, მრავალ სასიკეთო შედეგს გამოიღებდა. „განზრახული რეფორმის განხორციელებით სამ სხვადასხვაგვარ ფულის მეურნეობის ნაცვლად ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე შეიქმნება მთლიანი საფინანსო სისტემა, ერთიანი ფულის ნიშნით: ცალკე რესპუბლიკების შეუთანხმებელ და უსისტემო ხარჯების ნაცვლად შეიქმნება მთლიანი ბიუჯეტი და ერთიანი საემისიო ცენტრი" — წერდა გაზეთი „კომუნისტი" 1922 წლის 17 დეკემბერს.

ამრიგად, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფინანსური უნიფიკაცია1923 წლის დასაწყისისათვის ბოლშევიკებმა პროპაგანდისტული მეთოდებითაც შეამზადეს.

*(გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)*

**ნიკო ჯავახიშვილი**
თსუ ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი

## ლიტერატურა

1. ნიკო ჯავახიშვილი. ქართული ბონისტიკის ისტორიისათვის. გაზ. „ქართული ქრონიკა". №17. 1993.
2. გაზ. „საქართველო". 4 თებერვალი. 1918.
3. ნიკო ჯავახიშვილი. ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. გაზ. „ქართული ქრონიკა". №30. 1993.
4. გაზ. „მანსი". №3. 1990.
5. ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. I. თბ. 1990. გვ. 88.
6. პაატა ნაცვლიშვილი. დემოკრატიული საქართველოს მარკები. ჟურნ. „კავკასია". თბ. № 1. 1990.
7. გაზ. „ერთობა". №110. 1918.
8. ნიკო ჯავახიშვილი. ყალბი ფულის ისტორიიდან. გაზ. „ბანკი". №27. 1993.
9. ნიკო ჯავახიშვილი. დამოუკიდებელი საქართველოს ბონები. გაზ. „ქართული ქრონიკა". №37. 1993.
10. ნიკო ჯავახიშვილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფული. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა". №236. 1991.
11. დავით კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969. გვ. 175.
12. კონსტანტინე კანდელაკი. საქართველოს ეროვნული მეურნეობა. II. პარიზი. 1960. გვ. 182.
13. გურამ მარაძე. უცხოეთის ცის ქვეშ. III. თბ. 1993. გვ. 327.
14. გაზ. „კომუნისტი". 28 აპრილი. 1922.
15. ნიკო ჯავახიშვილი. ქართული ბონები საბჭოთა პერიოდში. გაზ. „უწყებანი". №48. 1993.



# შილერი და ნაპოლეონი



შილერი იყო ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეს აღზევების პირველი ნაბიჯების თვითმხილველი და თანამედროვე. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება შევეხოთ ამ რთული პიროვნებისადმი თვალსაჩინო გერმანელი ისტორიკოსის დამოკიდებულებას. ამ საკითხის შესახებ ქართულ ენაზე თითქმის არაფერი დაწერილა. პროფესიონალ ისტორიკოსთა შორის ხშირად გაიგონებთ განცხადებას, რომ ნაპოლეონის შესახებ ამ ორი საუკუნის განმავლობაში იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ სათქმელი და გამოსაკვლევი თითქმის აღარაფერი დარჩა. დაწერილი და თქმული მართლაც ბევრია, მაგრამ ეს არ ამართლებს ამ პრობლემისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას. მანფრედის, ტუგან-ბარანოვსკის მონოგრაფიები და სხვა უახლესი გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტეს მრავალმხრივი მოღვაწეობა კვლავ რჩება საინტერესო გამოკვლევებისა და დაკვირვებების საგნად. ერთ-ერთი ასეთი თემა, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს, არის ნაპოლეონ ბონაპარტეს მოღვაწეობისადმი XIX საუკუნის დიდი მწერლების დამოკიდებულება. შილერის შეხედულებები ნაპოლეონზე ამ რთული პრობლემის ერთ-ერთი საინტერესო მხარეა.

არ დარჩენილა XIX საუკუნის თითქმის არცერთი რამდენადმე გამოჩენილი მწერალი — ბალზაკი, ჰიუგო, სტენდალი, ბერანჟე, დე მიუსე, გოეთე, ჰაინე, ბაირონი, სკოტი, მიცკევიჩი, პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, ბარათაშვილი — რომელსაც თავისი აზრი არ გამოეთქვას ნაპოლეონის შესახებ. როგორც ირკვევა, შილერი ამ მხრივ სულაც არ წარმოადგენს გამონაკლისს. მართალია, მას ამ საკითხის შესახებ საგანგებო ნაშრომი ან მხატვრული ნაწარმოები არ დაუწერია, მაგრამ თავის კერძო წერილებში გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებებს ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეზე.

XIX საუკუნის ცნობილი გერმანელი პუბლიცისტი იოჰან შერი თავის ნაშრომში „შილერი და მისი დრო" გაკვრით ეხება ამ საკითხს და მას მეტად სქემატურად, სათანადო კრიტიკისა და შეფასების გარეშე წარმოგვიდგენს. ნაპოლეონისადმი სიძულვილი არ აძლევს საშუალებას ი. შერს ბოლომდე პირუთვნელი იყოს შილერის შეხედულებების შეფასებისას. მისი მოსაზრება როგორც წყლის ორი წვეთი, ისე ჰგავს შილერის თვალსაზრისს. შესაძლოა, ეს შერზე შილერის გავლენის შედეგიც იყოს. აღნიშნულ საკითხს ეხებიან თავის შრომებში საბჭოთა შილეროლოგები ფრანც შილერი და ლ. ლოზინსკაია. ეს არის ლიტერატურათმცოდნეობითი გამოკვლევები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ისტორიული და ისტორიოგრაფიული შეფასების პრეტენზია არა აქვთ. თუმცა მათ საკმაოდ დამაჯერებლად უჩვენეს, რომ შილერი არასოდეს ყოფილა უსაზღვროდ აღტაცებული ნაპოლეონის პიროვნებით. შილერის ისტორიული შეხედულებების ის მკვლევარებიც კი, რომლებიც ეხებიან პრობლემას — „შილერი როგორც ისტორიკოსი", რატომღაც დუმილით უვლიან გვერდს აღნიშნულ საკითხს, რაც, ჩვენი აზრით, იმით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა შილერის ცალკეულ გამონათქვამებს, შეფასებებს, კერძო წერილებს.

ვერ ვიტყვით, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ ჩვენს ხელთ საკმაოდ მდიდარი ინფორმაცია არსებობდეს, მაგრამ ის მცირერიცხოვანი მასალა, რაც მოვიძიეთ, საგულისხმოა და ვფიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ორ პრინციპულ საკითხზე: 1) შილერის დამოკიდებულება ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეს აღზევებისადმი; 2) შილერის დამოკიდებულება საფრანგეთის (ნაპოლეონის) საგარეო პოლიტიკისადმი.

სრულიად ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეს ტრიუმფალური წარმატებები უმალ

აღმოჩნდა თანამედროვეთა ყურადღების ცენტრში. 30 წლის გენერალი ევროპის უდიდესი სახელმწიფოს — საფრანგეთის ბატონ-პატრონი გახდა. მის ასეთ ელვისებურ აღზევებას მართლაც ჰქონდა რაღაც რომანტიკული შირმა, მაგრამ შილერი ახალგაზრდა გენერლის წარმატებებს, როგორც წყაროებიდან ჩანს, სკეპტიკურად შეხვდა. ერთხელ, კოლცოგენის წრეში, როდესაც ყველანი აღფრთოვანებით იხსენიებდნენ ნაპოლეონს, შეფიქრიანებულ დრამატურგს უთქვამს: „ჰო, მეც რომ შემეძლოს აღფრთოვანებული ვიყო ამ პიროვნებით, მაგრამ არა: მე ეს არ შემიძლია. ეს ხასიათი ჩემთვის სრულიად მიუღებელია. მე მასში ვერ ვხედავ ვერც ერთ სასიხარულო შტრიხს" (ეს ფრაზა შილეროლოგიაში ცნობილია და იგი მოჰყავს ზოგიერთ ავტორს, თუმცა მას განიხილავს ძალზე ზედაპირულად და სქემატურად). ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა — რით იყო გამოწვეული შილერის ასეთი გულგატეხილობა? შილერი ნაპოლეონს მიიჩნევდა დამპყრობლად, მტარვალად და ამიტომ „ვერ ხედავდა მასში ვერც ერთ სასიხარულო შტრიხს". ნაპოლეონისადმი ასეთი დამოკიდებულება ძალზე პესიმისტურია და ჩვენი აზრით, იმით შეიძლება იყოს განპირობებული, რომ შილერს, შესაძლოა, სათანადოდ არ ჰქონდა გაცნობიერებული ნაპოლეონისეულ ომებში პროგრესული ელემენტის არსებობა. შილერმა საკითხს გერმანელი პატრიოტის პოზიციიდან შეხედა და გენერალ ბონაპარტეს მოღვაწეობა ცოტა ცალმხრივად წარმოაჩინა.

რა თქმა უნდა, შილერის გულგატეხილობა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მას თავისი საფუძველი გააჩნდა. ნაპოლეონისადმი შილერის ამგვარი დამოკიდებულების გასაღები დამპყრობითი ომებისადმი მის უარყოფით დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ. ისეთ დიდ ჰუმანისტს, როგორიც შილერი იყო, ბუნებრივია, არ შეეძლო შეგუებოდა ერთი ერის მიერ მეორის ჩაგვრას, დამონებას. ამიტომ შილერი გენერალ ბონაპარტეს მიიჩნევდა დესპოტად, მტარვალად, ტირანად, დამპყრობლად, რაც ნაპოლეონის შესახებ დიდი გერმანელი მოაზროვნის მსჯელობის პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს. შილერის კრიტიკული გამონათქვამი ბონაპარტეს მიმართ მით უფრო საგულისხმოა, რომ იგი 1805 წელს გარდაიცვალა და ვერ მოესწრო იმ პერიოდს, როდესაც ნაპოლეონის ომებმა აშკარად გამოკვეთილი დაპყრობითი, მძარცველური ხასიათი მიიღო. ეს მოხდა ესპანეთში 1808 წელს და ცოტა მოგვიანებით 1812 წელს რუსეთში. შთამომავლობას შემორჩა მხოლოდ იმ პერიოდის შილერის დაკვირვებები, როდესაც ნაპოლეონის სახელი ყველას პირზე ეკერა და დიდების შარავანდედით იყო მოსილი. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, შილერის პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობაზე უნდა მეტყველებდეს. მაგრამ მარტო ამის თქმა საკმარისი არ არის და ამომწურავ სურათს ვერ გვიხატავს. აღნიშნულ საკითხზე შილერის შეხედულებების ანალიზის დროს აქ წერტილის დასმა, რომ ნაპოლეონი იყო მხოლოდ დამპყრობელი და ტირანი, როგორც ამას აკეთებს ზოგიერთი შილეროლოგი (ი. შერი, ფრანც მილერი, ლ. ლოზინსკაია), ნაადრევად მიგვაჩნია. შილერი მეორე უკიდურესობაში ვარდება და, ალბათ, ცოტათი ამძაფრებს ვითარებას.

დირექტორიის, განსაკუთრებით კი ნაპოლეონის დროს ომის ხასიათში არსებითი ცვლილება ხდება. მართალია, იგი კვლავ ატარებს პროგრესულ ხასიათს, მაგრამ ომი საფრანგეთის ტერიტორიაზე აღარ მიმდინარეობს, ეს არაა სამართლიანი, თავდაცვითი ომი. საფრანგეთის არმია ხელს უწყობდა დაპყრობილ ტერიტორიებზე ძველი რეჟიმის დანგრევას და ამ მხრივ ის ახორციელებდა ისტორიულად პროგრესულ მისიას. ამავე დროს ის მოსახლეობას ადებდა უზარმაზარ კონტრიბუციას და რეკვიზიციას. ფრანგი ისტორიკოსის ანრი კალვეს თქმით „სამოქალაქო სულისკვეთება სულ უფრო უკან იხევს დაპყრობის სულისკვეთებასთან. რევოლუციის ჯარისკაცის ზურგს უკან სულ უფრო ხშირად ჩანს კონდოტიერი". ნაპოლეონის ომები მიუხედავად მისი დაპყრობითი ხასიათისა, მაინც ინარჩუნებდა პროგრესულ ელემენტს, რაც იმით გამოიხატება, რომ „ნაპოლეონი წმენდდა ევროპის ფეოდალიზმის ავგიას თავლებს". ნაპოლეონი იცავდა რევოლუციის მონაპოვარს ევროპის ფეოდალური რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ შილერს შეიძლება სათანადოდ არ ჰქონდა გაცნობიერებული ნაპოლეონის მოღვაწეობის ორმაგი მისია — უსამართლო-დაპყრობითი და ისტორიულად პროგრესული. ამიტომ იგი ბოლომდე პირუთვნელი ვერ იყო ახალგაზრდა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეს აღზევების შეფასებისას.

მეორე საკითხი — „საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ნაპოლეონის დროს" უშუალოდ არის დაკავშირებული პირველთან. თუ კარგად ჩავუკვირდებით შილერის ცალკეულ მხატვრულ ნაწარმოებებს, განსაკუთრებით კი ლექსებს, რაღაც ინფორმაციას აღნიშნული საკითხის შესახებ მოვიძიებთ. შილერი საფრანგეთის სწრაფი აღზევების უშუალო თვითმხილველი და თანამედროვე იყო. ამიტომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკით, საერთოდ საერთაშორისო ვითარებით, შილერის დაინტერესება სავსებით კანონზომიერია.

**XIX-XX** საუკუნეების მიჯნაზე, პირველი მსოფლიო ომის წინ, ფრანგულ ისტორიოგრაფიაში მკაფიოდ იგრძნობა პატრიოტული აღტყინება, რაც 1870 წელს პრუსიასთან დამარცხების შედეგი იყო. ხდება საფრანგეთის სამხედრო წარსულის პოპულარიზაცია და განდიდება. ამ მხრივ ნაპოლეონის ომები



*ნაპოლეონი იენასთან ბრძოლის დროს, 1806 წლის 14 ოქტომბერი.*

გამონაკლისს არ წარმოადგენდა. ფრანგი ისტორიკოსები (ა. ტიერი, ა. სორელი, ა. ლევი, ა. ვანდალი, ლ. მადლენი) გუნდრუკს უკმევენ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას.

საინტერესოა ფრ. შილერის დამოკიდებულება საფრანგეთის საგარეო პოლიტიკისადმი XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის დასაწყისში. მას გააჩნია როგორც თავისი ღირსებები, ისე სუსტი მხარეები. ყურადღებას იპყრობს შილერის ლექსი „ანტიკური ქანდაკებები პარიზში". შილერს აქ მხედველობაში აქვს 1796 წელს იტალიაში 27 წლის გენერალ ნაპოლეონის ლაშქრობა. ზოგიერთი ისტორიკოსი (ა. პენგო) ეწევა იტალიაში საფრანგეთის პოლიტიკის იდეალიზაციას. ამ პროგრესული გარდაქმნების გადაჭარბება, რომელსაც ფრანგები ნერგავდნენ დაპყრობილ ტერიტორიებზე, ცხადია, არ ღირს. ფრანგები მხოლოდ პროგრესულ გარდაქმნებს როდი ატარებდნენ. ამის ერთ-ერთი კარგი საბუთია შილერის აღნიშნული ლექსი, სადაც ის სასტიკად ამხელს ფრანგ დამპყრობლებს იტალიის ძეგლებისა და კულტურული სიმდიდრეების გატაცების გამო. შილერს კარგად ესმოდა, რომ ფრანგებს იტალიისათვის თავისუფლება კი არ მოჰქონდათ, როგორც ეს გულუბრყვილოდ სჯეროდა ზოგიერთ თანამედროვეს, არამედ ტიპიური დამპყრობლები იყვნენ, რომლებსაც დიდად არ აღელვებდათ იტალიის ბედ-იღბალი. ეს იყო მედლის ერთი მხარე, რომელიც შილერის პოეტურმა გენიამ ზუსტად დაიჭირა. მაგრამ მედალს აქვს მეორე მხარეც. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, როგორც დამაჯერებლადაა ნაჩვენები ე. ტარლესა და ა. მანფრედის გამოკვლევებში, ფრანგებმა იტალიაში მნიშვნელოვანი სიახლეები დანერგეს, რამაც დიდად შეუწყო ხელი იტალიის პროგრესულ განვითარებას. ხედავდა თუ არა შილერი მედლის მეორე მხარეს, ძნელი სათქმელია. გავითვალისწინებთ რა ნაპოლეონისადმი შილერის უარყოფით დამოკიდებულებას, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მას საკითხის ეს მხარე შეიძლება სუსტად ჰქონოდა გაცნობიერებული.

ფრანგების ხელი შილერის მშობლიურ შვაბიასაც შეეხო. 1796-97 წლებში რაინის არმიამ ფართო სამხედრო ოპერაციები წამოიწყო. ომმა თან მოიტანა სიკვდილი და უბედურება. როგორც წყაროებიდან ირკვევა, იგი პირადად შეეხო შილერსაც. 1796 წელს ოკუპირებულ შტუტგარტში გარდაიცვალა შილერის მამა იოჰან კასპარ შილერი და უმცროსი და ნანეტა. პოეტის გამწარება სავსებით გასაგებია. თუ რამდენად სრული წარმოდგენა ჰქონდა შილერს ფრანგების ოკუპაციის შედეგების შესახებ, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ერთი წერილის მიხედვით. აი, რას წერდა ერთ-ერთი ახლობელი ანა გელცლი შილერს: „2 მარტს შემოვიდნენ ფრანგები. ყოველმა მოქალაქემ უნდა უზრუნველყოს 6 კაცი. წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა, ვერავინ ვერ ხედავს ამ გაჭირვების დასასრულს, რომელიც ომმა მოგვიტანა". აი, რას წერდა 1796 წლის დეკემბერში შილერის დედა დოროთეა კოდვეისი თავის შვილს: „შენი წინა წერილი, საყვარელო შვილო, ჩვენთან დიდი გაჭირვების ჟამს მოვიდა. ფრანგები აქედან სამი საათის სავალზე არიან. ყველანი შიშმა მოიცვა და გარბიან... ოჰ, რა ბედნიერნი არიან ის ქვეყნები, რომელთაც შეუძლიათ იცხოვრონ მშვიდობიანად. ჩვენი გლეხები პირდაპირ წელში არიან გაწყვეტილი. წაართვეს გლეხებს

მარცვლეული და დაუტოვეს მხოლოდ მიმქრალი სიკვდილის ჟღერება". შილერს ეს ინფორმაცია, რა თქმა უნდა, მაჟორულ განწყობილებას ვერ შეუქმნიდა. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ის დიდი უბედურება, რომელიც ომმა მოუტანა გერმანიას. ამავე დროს ფრანგ დამპყრობლებს თან მოჰქონდათ ახალი იდეები, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი დემოკრატიული მოძრაობის გაძლიერებას, ხოლო შემდგომში ნაპოლეონმა გაატარა პროგრესული გარდაქმნები, რომლებმაც მძლავრი სტიმული მისცა გერმანიაში ძველი რეჟიმის ლიკვიდაციას. გერმანელი ისტორიკოსის გეორგ [illegible] სამართლიანი შენიშვნით, ნაპოლეონი ასრულებდა პროგრესულ როლს გერმანიაში ფეოდალური ურთიერთობების მოსპობის საქმეში, თუმცა შილერი 1805 წელს გარდაიცვალა და ამ რეფორმებს ვეღარ მოესწრო.

საგულისხმოა შილერის ლექსი „ახალი საუკუნის დასაწყისი" (1801 წ.). იგი უმთავრესად იმით იპყრობს ყურადღებას, რომ შილერი ორი საუკუნის მიჯნაზე შექმნილი საერთაშორისო ვითარების საინტერესო მიმოხილვას იძლევა. ამ ლექსს ყურადღება მიაქცია მკვლევარმა ფრანც მერინგმა. მისი მსჯელობა ამ საკითხზე სავსებით მისაღებად მიგვაჩნია. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ შილერს საერთაშორისო საკითხებში მთავარ წინააღმდეგობად სავსებით სამართლიანად მიაჩნდა ინგლის-საფრანგეთის მეტოქეობა. ეს ორი ქვეყანა იბრძვის მსოფლიოს ბატონობისათვის — საფრანგეთი ხმელეთზე, ინგლისი კი ზღვაზე და „არ არის დედამიწის ზურგზე ქვეყანა, სადაც ჰყვავის თავისუფლება" — გულისტკივილით დასძენს დიდი გერმანელი დრამატურგი და თვალსაჩინო ისტორიკოსი ფრიდრიხ შილერი. მართალი იყო ფრიდრიხ შილერი, რომელმაც ინგლის-საფრანგეთის ბრძოლაში ორივე მხრიდან უსამართლო ომს ხედავდა. ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო ევროპაში სისხლის წვიმები დადგა. შილერი დააფიქრა იმან, რომ პროგრესის დამკვიდრება ხორციელდებოდა სისხლითა და მახვილით და სულაც არ შეესაბამებოდა ფრანგი განმანათლებლების დაპირებულ „გონის სუფევას". შილერი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დაკარგული ილუზიების" წინაშე აღმოჩნდა, რამაც გამოიწვია მისი გულგატეხილობა, ზოგიერთ შემთხვევაში კი ზედმეტი პესიმიზმი. პროგრესი რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევის თვალსაზრისით საგულისხმოა შილერის დრამა „ორლეანელი ქალწული". შილერის ნაწარმოების ყურადღების ცენტრში დგას ძალზე აქტუალური თემა. აქ მან კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება დამპყრობითი ომებისადმი. აქ შილერს პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მისი თანადროული ნაპოლეონის საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის გაკრიტიკება უნდა ჰქონოდა მხედველობაში. მან შესანიშნავი კონკრეტულ-ისტორიული მაგალითი მოძებნა თვით საფრანგეთის ისტორიაში. დამპყრობითი ომების წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. არსებობს საფუძველი „ორლეანელ ქალწულში" დავინახოთ საფრანგეთის დამპყრობებისადმი შილერის უარყოფითი დამოკიდებულების არაპირდაპირი გამოვლინება. ახალგაზრდა დამპყრობელს, ნაპოლეონ ბონაპარტეს, უპირისპირდება სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი ჟანა დ'არკი. ამით შილერმა დახატა თავისი ეპოქის იდეალი. თუ ვის მხარეზეა მისი სიმპათიები, კომენტარს არ საჭიროებს. ამავე დროს შილერის „ორლეანელი ქალწული" იყო რეაქცია ლუნევილის ზავზე (1801 წლის 9 თებერვალი), რომლის თანახმადაც საფრანგეთმა მიიღო გერმანიის ტერიტორიის დიდი ნაწილი — მდ. რაინის მარცხენა ნაპირი. შილერის დრამა გახდა როგორც მშობლიური ტერიტორიის ოკუპაციით გამოწვეული პროტესტი. მან დიდად შეუწყო ხელი ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას. დიდი გერმანელი დრამატურგი და ცნობილი ისტორიკოსი ფრიდრიხ შილერი იდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეებთან და თუ შეიძლება ასე ითქვას, იყო მისი ერთ-ერთი წინასწარმეტყველი, რომლის აღმავლობას 1813-14 წლებში ის ვეღარ მოესწრო. სავსებით კანონზომიერი იყო, რომ 1813-14 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს შილერის დრამა „ორლეანელი ქალწული" დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ნიშანდობლივია, რომ შილერი შორს იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში პრუსიის სახელმწიფოს როლის გაიდეალებისაგან, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი XIX საუკუნის გერმანულ ისტორიოგრაფიაში. ასე რომ, არ არის მართებული ზოგიერთი შილეროლოგის მოსაზრება, თითქოს შილერის ისტორიული დრამები თანამედროვეობას მოწყვეტილი იყოს.

როგორც ირკვევა, ნაპოლეონ ბონაპარტის შეფასებისას სამი დიდი გერმანელი მწერალი — გოეთე, შილერი და ჰაინე — სხვადასხვა პოზიციებზე იდგნენ. ამის ძირითად მიზეზად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ისინი ნაპოლეონის მოღვაწეობის შეფასებისას სხვადასხვა კრიტერიუმით ხელმძღვანელობდნენ. გოეთე და ჰაინე ნაპოლეონს აღმერთებდნენ, მიიჩნევდნენ მას ღვთაებად, რომელიც „წმინდა ფეოდალიზმის ავგიას თავლებს", ხოლო შილერი კი პირიქით, ნაპოლეონში ხედავდა მტარვალს და დამპყრობელს. ჭეშმარიტება კი სადღაც შუაში უნდა ვეძიოთ. ეს საკამათო საკითხის გამოძებნა ძალ ნაპოლეონისადმი სიმპათიის ან ანტიპათიის გამო, როგორც ჩანს, გაუმართლებლად.

**მერაბ კალანდაძე**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

# SUMMARIES

## One more barbaric imitation from Colchis

p. 25

The phenomenon of the imitations is a very common one for the [illegible] regions of the Antique World. Alexander and Lysimachus type stater's Georgian immitations put Colchis among those countries.

The author considers this series to be 1) the realization of the de facto right of the Colchian sceptuchoi (the princes); 2) the money facilitated the declining economics of the Western Georgia; 3) the general chronology is the following – the II c. B. C. – I c. A. D. (the first half); Then it was revival and correspondingly no more need of an inflationary money; 4) Colchian immitations also circulated in Iberia and here they stimulated the activity of the local counterfeiters.

Recently we got the information about the very interesting acquisition which took place some times ago. The gold pieces were purchased and among them – Alexander and Lysimachus type stater's inmitations (1+1). The Colchian origin of the last one seems to be uncertain. Its description is like this – Alexander/Athena, both schematized; the legend – distorted (see the plate). In addition, we have no idea about the location.

But still for several reasons the author is inclined to think about this piece as a Colchian product: first of all, the coin was bought together with the really Georgian sample. What does it mean? Simply that maybe they were found together. And second, the hair style is an archaistic atavism, the fact that is very much symptomatic for Colchis – the famous local hemidrachms also bear this typological mark even in the III c. B. C. The considered piece is thought to be issued in the very beginning of the II c. B. C.

*Tedo Dundua*

## The question of Armenia in Roman Eastern policy and Iberia

p. 27

The political contradictions between the Roman Empire and Parthia in the I c. A. D. determined the principal task of imperial policy – to establish the roman supervision over Armenia. On the agenda of Iberian kingdom with significantly developed state power appears a trend towards expansion to the south and therefore the question of political dependance of Armenia acquires the great importance. The collision of coinciding aggressive intensions of Rome and Iberia with Parthian political interests resulted in bloody and severe battles on the territory of Armenia. At a certain period of time the prince of Pharnabazid dynasty Mithridates had occupied the Armenian throne but soon he was summoned to Rome and imprisoned.

In the paper an attempt is made to revise the regard towards these historical events. The different interpretation of the cause of Mithridates' imprisonment is suggested. The author shares the assumption that the Armenian king conveyed proparthian politic in his country. His punishment is explained by the desire of the emperor Gaius Kaligula to replace Mithridates by more faithful client. The new nominee is supposed to be the King of Armenia Minor Kotis II.

*Nino Mitsishvili*

## To the history of establishment of Egris-Abkhazeti Kingdom

p. 31

The paper deals with the problem of unification of the Western Georgia and the establishment of Egris-Abkhazeti Kingdom. The author supports the opinion of Prof. Badridze that the genesis of the political unity of Abkhazeti should be considered as the synchronous process to the formation of the marginal themes throughout the empire. Byzantium encouraged the development of political strength of Abkhazeti to counter-balance Egrisi and the Arabs in general.

On the grounds of the evidence of "Matiane Kartlisa" (XI c.) the author concludes that the unification of the Western Georgia appeared to be a voluntary act. Leon II's accession to the throne of Abkhazeti is dated by 786 (Prince Vakhusht's chronology). The "weakening" of the Greeks, mentioned in the Georgian source is dated and linked with the period of the coregency of queen Irene and Konstantinus VI (780-797). An attempt is made to show the development of the power

of the ruler of Abkhazeti in the 70-80 s of VIII c. (Leon II was Duke-"Eristavi" till 782 or the end of 70 s and till 786/87 he appeared to be the Prince-"Mtavari").

*Shalva Gloveli*

## Ioane Chkondideli

### (To the question of the chronology of bishops of Chkondidi Cathedral in XI c.)

*p. 35*

Founded in Xc. Chkondidi Cathedral was one of the most influential ecclesiastical centres of Georgia in the Middle Ages. The authority of Chkondidi bishop was greatly enhanced in XII c. when King David IV the Builder united this office with that of "mtsignobartukhutsesi" (chief of the royal chauncellory). From the time of its foundation up to now about fifty names of the bishops of this diocese are known.

The article deals with the question of activity of one of the bishops – Ioane Chkondideli (XI c). An attempt is made to revise and determine the chronological limits of his political and ecclesiastical activity and the associated details are considered.

Ioane Chkondideli accompanied the King of Georgia Bagrat IV and his mother – Queen Mariam in 1054 attending the court of the emperor Constantine IX Monomakh (1042-1056). In 1065-1066 he appears to be again in Constantinople with a diplomatic mission. At this time he accompanies the daughter of Bagrat IV Mariam (Martha) who married soon the emperor Michael VII Duka (1041-1078). In Constantinople he was granted with the ecclesiastical rank of "suingelos".

The conclusion is made that Ioane became bishop of Chkondidi in 1054-1057. In 1085 he still appears to be in charge of Chkondidi Cathedral.

*Buba Kudava*

## The chronological list of the bichops of Tsaishi

*p. 41*

The architectural complex of Tsaishi monastery is situated in Western Georgia, near the town Zugdidi. Tsaishi monastery as the centre of diocese is mentioned already in VI-IX centuries Greek narrative sources, but the evidence of bishops of Tsaishi is found only from XI c.

On the grounds of monastery documents and articles, epigraphic data, the author deals with the problem of personality of the bishops of Tsaishi and the chronology of thier ecclesiastical activities from XI c. up to 1813 when Russian rule abolished autonomous dioceses of Western Georgia.

Because of scarcity of sources only approximate dates are represented. Nevertheless the personality of ten bishops of Tsaishi and the period of thier activities are determinited. The chronology is not complete and requires further researches.

*George Kalandia*

## To the question of personality of Alexius Comnenus the fiance of Queen Tamar

*p. 45*

The paper deals with the problem of personality of Alexius Comnenus one of the fiances of Queen Tamar, who was identified in georgian historiography with the illegitimate son of Andronikus I – Alexius Comnenus, mentioned by the Tamar's historian. In 1979 George Gvinchidze tried to revise the above mentioned assumption and suggested that Alexius Comnenus was the grandson of Andronicus I (the child of the son of Andronicus).

In the paper an attempt of critical approach to the problem and interpretation of the chronicler's information is made. On the grounds of source data the fiance of Queen Tamar – Alexius Comnenus is identified with Alexius Protosevastos.

*Jaba Samushia*

## Once more about "Kirmaneuli tetri"

*p. 49*

The problem discussed in the paper is one variation of "Kirmaneuli tetri" coins type, which differs significantly from the other variations of "Kirmaneuli".

According to the shared assumption three variations of "Kirmaneuli tetri" circulating in XIII-XV centuries Western Georgia are determined. They are as follows: the coins with the legend of Manuil, those with the legend of Ioanes and "new variation".

An attempt is made to distinguish this new variation – the coins with the legend of George Comnen. It should be noticed that the final clarification of the question is upon the well preserved sample of this variation.

*Maia Pataridze*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## The fourth State Counsel elections in Russia in 1912 and national problem in Georgia

*p. 53*

The paper represents the analysis of the general political background of Georgia in 1912. The contradictions between Georgian national forces on one hand and imperial rule, as, well as the local antigeorgian groups – RSDMP Caucasian Committe and Armenian industrial bourgeoisie on the other.

The concealed ally of Georgian social-democrats and the government of viceroy of Caucasia is shown. The political activity of Armenian financial oligarchy is outlined which was revealed during the press campaign concerning the construction of new Tbilisi-Backhu railway track.

The crucial problem of the paper is the IV State Counsel elections in Russia in 1912, which attracted the great interest of georgian society. On the grounds of Georgian right-wing press information (newspapers "Imereti", "Temi", magazin "Klde") the author shows the aspects of ideological struggle during election campaign in Tbilisi province where mutual forces of social-demokrats and Armenian bourgeoisie defeated the nominee of Georgian nationalists Luarsab Andronicashvili and won the seat for Karlo Chkheidze. In Kutaisi province the member of the party of social-federalists Varlam Gelovani was elected against the nominee of social-democrats – Eugeni Gegechkori. Varlam Gelovani in his first speech at the counsel on december 13 in 1912 demanded the autonomy for Georgia.

*Bondo Kupatadze*

## The materials for georgian bonnistique history

(part one)

*p. 57*

The historical discipline of georgian bonnistique is not well studied yet. Though the emission of georgian paper-money took place in 1918-1924.

The author outlines five principal groups of georgian bonnes: 1) The bonnes of the *Transcaucasian Commissariat; 2) The bonnes of the Democratic Republic of Georgia;* 3) The bonnes of the Georgian Soviet Socialist Republic; 4) The bonnes of the Transcaucasian Soviet Socialist Republic; 5) The substitute of paper-money issued in Georgia.

The paper deals only with the first three groups of georgian bonnes.

*Niko Javakhishvili*

## Shiller and Napoleon

*p. 65*

The topic Shiller as historian was not considered even in the German historiography as an important problem up to now. The aim of this paper is to clarify this aspect of his activity.

Shiller's attitude towards Napoleon is one of the crucial points of this problem. The paper represents the analysis of his assumptions, it's strong points and gaps, premises and cause of his conclusions.

According to the author's hypothetical deduction, shiller hadn't realized well the double character of Napoleon's policy it's expansionistic, agressive and at the same time progressive aspects. He faught against Europian feudal reaction "Napoleon cleansed the Augean stables of Europian feudalism". Thus, the author suggests that Shiller was not truely objective while appreciating Napoleon's political activity. He regarded Napoleon from the German patriot point of view and found in his person nothing but conqueror and tyrant.

*Merab Kalandadze*

XX საუკუნის საქართველოს ისტორია ჯერაც არ არის საითანადოდ შესწავლილი. კვლავაც მრავალი საყურადღებო ფაქტია გამოსამზეურებელი ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულიდან. ბურუსითაა მოცული მეორე მსოფლიო ომში გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლი ქართველი ემიგრანტებისა და ქართული საჯარისო შენაერთების ჭეშმარიტი ისტორიაც.

ჩვენი საზოგადოების ნაწილში ეჭვს იწვევს გერმანელ ნაცისტებთან ქართველ მამულიშვილთა ერთი ჯგუფის თანამშრომლობის სამართლიანობა, მეორენი კი ფიქრობენ, რომ უაზროდაა დაკარგული ის ზღვა სისხლი, რომელიც ქართველმა ერმა გაიღო ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენი აზრით, გაუმართლებელია ცალმხრივი მიდგომა საკითხისადმი. ქართველთა ნაწილს გულწრფელად სჯეროდა, რომ ომში გამარჯვებული გერმანია სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას აღუდგენდა საქართველოს. წითელი დროშის ქვეშ მებრძოლ ქართველებს კი სწამდათ, რომ საქართველოს იცავდნენ.

ორ საპირისპირო მხარეზე მებრძოლი ქართველობა – ეს ჩვენი ტრადიციული, ისტორიული ტრაგედიაა. ასე ყოფილა ოდითგან, ასე იყო მეორე მსოფლიო ომშიც. ორივე მხარე თავისი მრწამსითა და სინდისის კარნახით ემსახურებოდა სამშობლოს. 1941-1945 წლები ზოგისთვის „სამამულო ომი" იყო, ზოგისთვის კი „ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის".

ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ დღესდღეობით, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გამომზეურდა ბოლო წლებში, გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლ ქართველ სამხედრო პირთა და ქართულ საჯარისო შენაერთთა შესახებ თითქმის არაფერი იცის ფართო საზოგადოებამ, მეტიც – გვრჩება შთაბეჭდილება, რომ მათი მოღვაწეობის ისტორია შეგნებულად და გეგმაზომიერად იჩქმალება ვიღაცის მიერ, რაც, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულია.* ქართველთა ის ნაწილიც ხომ საქართველოს კეთილდღეობისათვის იბრძოდა... მათ ასე სწამდათ...

მეორე მსოფლიო ომში გერმანული დროშის ქვეშ მებრძოლ ქართველ სამხედრო პირთაგან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გენერალი შალვა მაღლაკელიძე (სხვათა შორის, გერმანელთა მხარეზე მებრძოლ ქართველთაგან სხვას არავის ჰქონია გენერლის ჩინი), რომელსაც ამა წლის მაისში დაბადებიდან 100 წლისთავი შეუსრულდა. ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის იუბილეს დუმილით შეხვდა ჩვენი საზოგადოება. მხოლოდ უნივერსიტეტში, ერთ პატარა აუდიტორიაში გაიმართა მცირე ღონისძიება, ისიც – ახალგაზრდობის ინიციატივით (იხ. ქრონიკა, გვ. 128)...

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მკითხველს ვთავაზობთ შალვა მაღლაკელიძის პორტრეტს – მოკლე ბიოგრაფიასა და ინტერვიუს გენერლის ასულთან – ქ-ნ თამარ მაღლაკელიძესთან.

ხაზგასმით აღვნიშნავთ: ამ მასალის გამოქვეყნებით აზრადაც არ მოგვსვლია დაგვეკნინებინა იმ ასეულათასობით ქართველ მეომართა ღირსება, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს ჰიტლერული გერმანიის განადგურებაში.

## მაშ, ასე: გენერალი შალვა მაღლაკელიძე...

* ჟურნალის წყობა უკვე მთავრდებოდა, როცა გამოვიდა შესანიშნავი, 600-გვერდიანი წიგნი – „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ" (მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ), რაც პირველი სერიოზული ცდაა აღნიშნული ხარვეზის შევსებისა.

# შალვა მაღლაკელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1894



1976

პოლონეთი. 1941.

შალვა ნიკოლოზის ძე მაღლაკელიძე დაიბადა 1894 წელს სოფელ დიხაშხოში (დღევანდელი ვანის რაიონი). 1914 წელს დაამთავრა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია. იმავე წელს შევიდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის დამთავრებაშიც მას ხელი შეუშალა I მსოფლიო ომის დაწყებამ.

1915 წელს შ. მაღლაკელიძე ეწყობა თბილისის სამხედრო სასწავლებელში, ამთავრებს მას და მიდის კავკასიის ფრონტზე, სადაც ჯილდოვდება გიორგის ჯვრით.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ შ. მაღლაკელიძე ინიშნება ახალციხის გენერალ-გუბერნატორად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ კი თბილისის გენერალ-გუბერნატორად. საბჭოთა რუსეთის ჯარების საქართველოში შემოჭრის შემდეგ ნიშნავენ აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად. მას დაეკისრა IX წითელი არმიისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

1921 წელს შალვა მაღლაკელიძეს აპატიმრებენ და ექვსი თვით ათავსებენ „ჩეკა"-ში. ქართველ მამულიშვილთა ხელშეწყობით იგი ჯერ მეტეხის ციხეში გადაჰყავთ, ხოლო მალე ათავისუფლებენ კიდეც.

1923 წელს მეუღლესთან და სამი წლის ვაჟიშვილთან — გაიოზთან ერთად მიემგზავრება საზღვარგარეთ, ამთავრებს პრაღის უნივერსიტეტს და ხდება იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, შემდეგ კი ნაფიცი ვექილი.

ემიგრაციაში ყოფნისას შ. მაღლაკელიძე სხვადასხვა დროს თავმჯდომარეობდა არაერთ ქართულ პატრიოტულ ორგანიზაციას, კერძოდ — „ორნატს", „ქართლოსსა" და „თეთრ გიორგის". იყო აგრეთვე „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის" ერთ-ერთი დამფუძნებელი. ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ეროვნების ემიგრანტულ წრეებთანაც.

II მსოფლიო ომის დაწყების წინ შალვა მაღლაკელიძე ინიშნება „მილიტერბერატერად" (სამხედრო მრჩევლად) გერმანიის გენერალურ შტაბში, ობერსტის (პოლკოვნიკის) ჩინით. გერმანიის სამხედრო წრეებთან მის სიახლოვეს ჯერ კიდევ 1918 წელს, საქართველოში ყოფნისას ეყრება საფუძველი.

1941 წლის ზაფხულიდან შვილთან — ლეიტენანტ გაიოზ მაღლაკელიძესთან (1920-1989) ერთად იბრძვის აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანული ჯარების მხარდამხარ. შალვა მაღლაკელიძის თაოსნობით ქართველ სამხედრო ტყვეთაგან ჩამოყალიბებულმა სამხედრო ნაწილებმა ბრძოლით მიაღწიეს საქართველოს საზღვრამდე და იქ დაჰყვეს 1943 წლის 3 იანვრამდე.



შალვა მაღლაკელიძე და სიმო ლომთათიძე.
ვეხელბ. პოლონეთი, 1943.

1943 წლის ბოლოს პოლონეთში იქმნება ქართული ლეგიონი შვიდი ბატალიონის შემადგენლობით, რომელთაგან პირველს შალვა მაღლაკელიძის სახელი მიეკუთვნა.

შ. მაღლაკელიძე სათავეში ედგა გენერალ ვლასოვის ანუ ე.წ. „რუსეთის ხალხთა განმათავისუფლებელ კომიტეტში" შემავალ „კავკასიის კომიტეტს". 1944 წელს მაღლაკელიძეს ენიჭება გენერლის სამხედრო წოდება.

II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შ. მაღლაკელიძეს, როგორც საბჭოთა კავშირისათვის გადასაცემ გენერალს, აპატიმრებენ ამერიკელები, მაგრამ შვილის დახმარებით იგი ახერხებს გაქცევას და შვეიცარიის გავლით ჩადის რომში.

მალე შალვა მაღლაკელიძე პაკისტანის პრეზიდენტმა აიუბ-ხანმა აიყვანა სამხედრო მრჩევლად. ცხოვრობდა ქ. ყარაჩიში მეორე ცოლთან — მარიამ ცოტაძესთან და ქალიშვილთან — თამართან ერთად.

1953 წლის დასაწყისში ბრუნდება ევროპაში და გერმანიის კანცლერის კონრად ადენაუერის სამხედრო მრჩეველი ხდება. ამავე წელს შ. მაღლაკელიძის ცოლი და მცირეწლოვანი ქალიშვილი საბჭოთა დაზვერვამ აღმოსავლეთ გერმანიაში გაიტაცა.

1954 წლის ზაფხულში საბჭოთა აგენტურამ დასავლეთ ბერლინში მყოფი შალვა მაღლაკელიძეც მოიტაცა და



გერმანიის მხარეზე მებრძოლი ქართული ბატალიონი.
მარცხნივ – ხოხიხანი შალვა მაღლაკელიძე. პოლონეთი. 1943 წლის 24 ივნისი

აღმოსავლეთ გერმანიაში გადაიყვანა. შემდეგ იგი ცოლ-შვილთან ერთად ჯერ მოსკოვში, იქიდან კი თბილისში ჩამოიყვანეს. იმავე წლის დეკემბერში შალვა მაღლაკელიძის სახელით ქართულ პრესაში ქვეყნდება წერილი, თითქოს იგი გმობდეს ემიგრაციის წლების მოღვაწეობას.

საქართველოში ჯერ ადვოკატად მუშაობდა, შემდეგ კი დაატოვებინეს ეს თანამდებობა, ვინაიდან გენერალი წინ აღუდგა საბჭოურ სასამართლო სისტემაში გამეფებულ კანუკითხაობას. ამის შემდეგ იგი იძულებული გახდა მინიმალური გასამრჯელოს საზღაურად ემუშავა იურისკონსულტად მწერალთა კავშირში.

არაერთგზის თხოვნის მიუხედავად შალვა მაღლაკელიძეს არ მისცეს [illegible] გერმანიაში მცხოვრები უფროსი შვილის — გაიოზის ნახვის საშუალება, რამაც მძიმედ იმოქმედა მოხუცებულ გენერალზე. აქვე უნდა ითქვას, რომ გაიოზ მაღლაკელიძის ვაჟი ვამეხი, რომელიც დღეს აშშ-ში ცხოვრობს, სამხედრო მფრინავი და ვიეტნამის ომის ვეტერანია.

თავისი სიცოცხლის დასალიერს შალვა მაღლაკელიძემ ბ-ნ ვიქტორ რცხილაძეს ჩააწერინა მოგონებები, რომელიც საკმაოდ ვრცელ პერიოდს მოიცავს და ანგარიშგასაწევ საისტორიო წყაროს წარმოადგენს. ეს მოგონებები 1991 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ყანთიადის" ფურცლებზე.

გენერალი შალვა მაღლაკელიძე გარდაიცვალა 1976 წლის 7 ნოემბერს, 82 წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

# ინტერვიუ

## ქ-ნ თამარ მაღლაკელიძესთან



◆ *ქ-ნო თამარ, გთხოვთ ცოტა რამ მოგვიყევით თქვენს შესახებ "არდანუჯის" მკითხველებს.*

— მოგეხსენებათ, მამაჩემი შალვა მაღლაკელიძე 1917-21 წლებში გახლდათ ჯერ ახალციხის, შემდეგ თბილისისა და ბოლოს აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორი. ემიგრაციაში ყოფნისას მან დაამთავრა პრაღის უნივერსიტეტი, მინიჭებული ჰქონდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

დედაჩემი — მარიამ ცოტაძე დედით პოლონელი, ხოლო მამით ქართველი იყო. დამთავრებული ჰქონდა ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენებისა და ისტორიის ფაკულტეტები, აგრეთვე რომის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მასაც მინიჭებული ჰქონდა დოქტორის ხარისხი.

მე და ჩემი მეუღლე ფიზიკოსები ვართ, ხოლო შვილები — ლაშა და რუსუდან ლაგვილავები ენერგეტიკოსები არიან. მყავს ხუთი წლის შვილიშვილიც, რომელიც ჩემს სახელს ატარებს.

◆ *როგორი იყო გენერალი შალვა მაღლაკელიძე, როგორც მამა?*

— ძნელია საკუთარ მამაზე საუბარი. ერთი კი შემიძლია ვთქვა, — როგორც ჩვენში ამბობენ, შვილებზე გადაყოლილი მამა გახლდათ. ჩვენს ოჯახში ყოველთვის იყო ბავშვის კულტი. ვიდრე მე ვიყავი პატარა, მთელი ყურადღება ჩემსკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ როგორც კი ვაჟიშვილი — ლაშა შემეძინა, იგი აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში, მე კი მოულოდნელად მეორე პლანზე გადავინაცვლე.

მამაჩემი მეტისმეტად მანებივრებდა. ძირითადად მისი აღზრდილი ვარ. მას დავყავდი სკოლაში, ის მამეცადინებდა და ჩემთან ერთად წყვეტდა ჩემს ყველა პრობლემას. მამის ერთადერთი მოთხოვნა სწავლა იყო. სკოლაში ჩემს მიერ მიღებულ ყოველ ოთხიანს მამა საშინლად განიცდიდა, ჩემს მცირე-ოდენ წარმატებას კი იგი აღტაცებაში მოჰყავდა.

ეს რაც შემეხება მე. მაგრამ ალბათ მამა-შვილობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ის ურთიერთობა, რაც არსებობდა მამაჩემსა და ჩემს ნახევარძმას — გაიოზ მაღლაკელიძეს შორის. ასაკობრივი განსხვავება მათ შორის მცირე იყო, რაც განაპირობებდა მამა-შვილის განსაკუთრებულ სიახლოვეს. ამის შესახებ ბევრი მსმენია. მაქვს ჩემი ძმის მიერ გერმანიიდან თბილისში — მამასთან გამოგზავნილი წერილებიც. ისინი მეტყველებენ გაიოზის უდიდეს პატივისცემაზე მამისადმი.

აი, ორი ნაწყვეტი გაიოზის წერილებიდან. 1957 წლის 25 აპრილით დათარიღებულ წერილში



შალვა მაღლაკელიძე თავის საყვარელ ცხენთან — „შარისთან" ერთად. 1943 წლის 5 ივლისი.



შალვა მაღლაკელიძე
(უცნობი ქართველი ემიგრანტის ნახატი)

გვითხულობთ: „ჩვენ სულ შენზე ვფიქრობთ და ილოცე, რომ ყველანი ვგრძნობთ უღრმეს მადლობას ყველაფრისათვის, რაც მოგვეცი და გვაძლევ. განსაკუთრებით — მე.

რაც გავიზარდე, როგორც ვატყობ, ეს სულ შენი უდიდესი ზრუნვისა და ალერსის შედეგია, მუდამ ერთად ვაზროვნებთ და ასეა და ასე დარჩება, დარწმუნებული ვარ".

1961 წლის 2 ივლისს გაიგზავნა მამას წერილი: „ჩვეულებრივ მართალია, არ გწერ, მაგრამ იცოდე — ყოველდღე ფიქრებში შენთან ვარ და არაფერს არ ვაკეთებ, რომ არ გკითხო შენ აზრი. ყოველ წელს მეტად ვგრძნობ, რამდენად ჩვენ გულით და სულით გაერთიანებული ვიყავით და ვართ."

ასეთი გულწრფელი და ამაღლებული იყო მამა-შვილის ურთიერთობა ყოველთვის.

◆ *როგორ შეხვდნენ საქართველოში შალვა მაღლაკელიძისა და მისი ოჯახის დაბრუნებას?*

— ზოგი სიხარულით, ზოგი ცრემლით, ზოგი კი შიშით შეგვხვდა. ალბათ იცით, რომ მამას სახელით ოფიციალურ პრესაში გამოქვეყნდა ფალსიფიცირებული „მონანიება", სადაც შალვა მაღლაკელიძე თითქოსდა დაბრუნების ნებართვას ითხოვდა საბჭოთა მთავრობას. ეს წერილი აღმოსავლეთ გერმანიის გაზეთებმაც გამოაქვეყნეს. მამამ ამის შესახებ მხოლოდ თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გაიგო და ძალიან აღშფოთდა, მაგრამ რას იზამდა? ერთადერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მამა ნამდვილად მოტყუებული იყო, გახლდათ მისი უცხოური პასპორტი. ამ საბუთიდან ჩანდა, რომ მამას არც გერმანიის და არც საბჭოთა კავშირის საზღვრები არ ჰქონდა ოფიციალურად გადალახული, მაგრამ ამ პასპორტს ყველას ხომ ვერ აჩვენებდა...

ყველაზე საინტერესო ალბათ მამაჩემისა და ჩემი ბაბუის — ნიკოლოზ მაღლაკელიძის შეხვედრა იყო. ბაბუა უკვე 90 წელს იყო მიღწეული, როდესაც მამაჩემი მის სანახავად სოფელში ჩავიდა. ბაბუამ ჭიშკართან შეაჩერა შვილი და უთხრა: სანამ დედაშენის სულს არ დაიფიცებ, რომ ის გაზეთში დაბეჭდილი მონანიება შენ არ დაგიწერია, არ შემოხვიდეო. მამამაც დაიფიცა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეხვია ბაბუა თავის 33 წლის უნახავ შვილს.

◆ *თბილისში იძულებითი დაბრუნების შემდეგ ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი შალვა მაღლაკელიძეს ემიგრაციაში დარჩენილ მეგობრებთან?*

— რამდენადაც ვიცი, მეგობრებიდან მიმოწერა ჰქონდა ბ-ნ ვიქტორ ნოზაძესთან. წერდა აგრეთვე კალისტრატე და ნინო სალიებს, ძირითადად, გრიგოლ რობაქიძის შვეიცარიაში დარჩენილი არქივის თაობაზე.

◆ *გქონიათ თუ არა ურთიერთობა თქვენს ძმასთან და ძმისშვილთან?*

— ჩემს ძმასთან — გაიოზთან, რომელიც 1989 წელს გარდაიცვალა, მხოლოდ ტელეფონით მესაუბრია. მის მეუღლეს — ჰანნეს კი პირადად ვიცნობდი. 1980 წელს იგი მესტუმრა თბილისში.

ჩემი ძმისშვილი ვამეხ მაღლაკელიძე არქიტექტორია და ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი ვიეტნამის ომის ვეტერანია. შალვა მაღლაკელიძისადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი წერდა: „ბაბუა, რუსის სახელს სადაც გავიგებ, ყველგან შევებრძოლები მათ, რადგან შენ მათ ორჯერ დაგამარცხეს" (იგულისხმება 1921 წლის თებერვალ-მარტი და მეორე მსოფლიო ომი). სამწუხაროდ, ვამეხ მაღლაკელიძესთან ურთიერთობა არა მაქვს.

◆ *მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მამათქვენმა არაერთი ქართველი სამხედრო ტყვე გადაარჩინა დაღუპვას. ხომ არ მოგვითხრობთ მათგან რომელიმე ფაქტზე?*

— მრავალჯერ მსმენია სხვადასხვა პიროვნებისაგან, რომ მათი ახლობელი ან ნათესავი ომის დროს მამაჩემმა ან ჩემმა ძმამ გადაარჩინა დაღუპვას. სახლში რომ ვინმე მოსულიყო, მართალი გითხრათ, არ მახსოვს. მაგრამ, ერთხელ, მარჯანიშვილის მოედანზე მამასთან ერთად ველოდებოდი ტროლეიბუსს. უეცრად მოგვიახლოვდა უცნობი წითური კაცი, დაიჩოქა მუხლებზე და მამაჩემს ხელებზე დაუწყო კოცნა. თან განუწყვეტლივ იმეორებდა: „ბატონო შალვა, თქვენ გადამარჩინეთ სიკვდილს." აღმოჩნდა, რომ იგი ქართველი ებრაელი იყო, რომელიც მამაჩემმა საკონცენტრაციო ბანაკიდან დაიხსნა და ამით სიკვდილს გადაარჩინა.

◆ *რა იყო გენერალ შალვა მაღლაკელიძის მთავარი საფიქრალი?*

— მამაჩემზე ბევრს და ზოგჯერ დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგოსაც ლაპარაკობენ. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ის არის, რომ მამას უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და სწამდა, რომ რასაც აკეთებდა თავისი სიცოცხლის მანძილზე, ყველაფერი საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა. იგი ყოველთვის ატარებდა სამკერდე ნიშანს საქართველოს ეროვნული დროშის გამოსახულებით, რომელსაც გასაგები მიზეზების გამო საყელოს ქვეშ მალავდა. მახსოვს, ერთხელ მან დაკარგა ეს ნიშანი, რაც ძალიან განიცადა. მამა ოცნებობდა ეხილა თავისუფალი და ერთიანი საქართველო. ამ სულისკვეთებით აღზარდა მან ჩემი ძმა გაიოზი და ამასვე შთამაგონებდა მეც.

ესაუბრა ნინო ჯავახიშვილი.



ვამეხ შალვას ძე მაღლაკელიძე. 1963.



გაიოზ ვამეხის ძე მაღლაკელიძე 11 წლის ასაკში. 1958.

ნაწილი ფოტოებისა ქვეყნდება პირველად.



რატომ გვიყვარს ახალგაზრდობას განსაკუთრებულად გურამ რჩეულიშვილი? თაობას, რომელსაც თვალით არ უნახავს 26 წლის ჭაბუკი.

მხოლოდ [illegible] [illegible] გამო?

იქნებ იმიტომ, რომ მერაბ კოსტავას თქმისა არ იყოს, უკიდეგანობის ჟინს იკლავდა იგი მთებით — ვერტიკალში და ზღვით — ჰორიზონტალში?

იქნებ იმიტომაც, რომ სისხლაჩქროლებულ ჭაბუკებს მასავით გვიყვარს უსასრულობისკენ მიმქროლავი ჯიშიანი ულაყები?

იქნებ იმიტომ, რომ მხოლოდ გურამ რჩეულიშვილს შეუძლია დღისით, მზისით, რუსთაველის გამზირიდან თოფი ესროლოს ლენინის ძეგლს და წამით მაინც დააფრთხოს ზევიდან ჩამომზირალი სიჩუმე და უძრაობა?

ლამაზი სული, მშფოთვარე ცხოვრება და ბირთვისის ციხესავით აუღებელი ჯიში ქართული! — აი, გურამ რჩეულიშვილის ფენომენი. აი, რატომ გვიყვარს ასე ძალუმად ახალგაზრდა მწერალი...

გურამს, მისი დის ქ-ნ მარინეს გადმოცემით, ბავშვობიდანვე ისტორიკოსად ამზადებდნენ. სწორედ ისტორია ყოფილა სკოლაში მისი საყვარელი საგანი. უნივერსიტეტში ჯერ აღმოსავლეთმცოდნეობის, შემდეგ კი ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა. მისთვის ისტორიკოსობა სრულიად ბუნებრივი, ოჯახური ტრადიციებიდან გამომდინარე, თითქოსდა მემკვიდრეობით მიღებული პროფესია იყო (გურამი ხომ იმ სახლში იზრდებოდა, სადაც მისი ბებოს ძმა, დიდი ივანე ჯავახიშვილი — პაპა ივანე — ცხოვრობდა). მის ისტორიკოსობაში არაფერი ყოფილა მოულოდნელი. აი, გურამის მოღვაწეობას მწერლობაში კი ნამდვილად არ ელოდა თურმე არავინ...

მიუხედავად ასეთი გადაწყვეტილებისა, — მწერალი გამოსულიყო, იგი ძალიან ამაყობდა თავისი ისტორიკოსობით. ერთხელ უთქვამს კიდეც დისთვის: „მე იმით განვსხვავდები სხვა მწერლებისაგან, რომ ისტორიკოსი ვარ." ძნელია ახლა იმის თქმა, თუ რას გულისხმობდა გურამი — ისტორიკოსობის გამო დაკისრებულ მეტ პასუხისმგებლობის გრძნობას, თავის უპირატესობას სხვა მწერლებთან შედარებით თუ სხვას რაიმეს. ერთი რამ კი ფაქტია: ისტორიამ ბევრი რამ მისცა გურამს და აქედან გამომდინარე, — მის შემოქმედებას.

ახალგაზრდები ვართ და ალბათ გასაგებია ახალგაზრდული ჟურნალის ერთგვარად „ტენდენციური" ინტერესი გურამ რჩეულიშვილის მიმართ. ვასრულებთ დანაპირებს და გურამის დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით ვაგრძელებთ მისადმი მიძღვნილი მასალების ბეჭდვას.

ამჯერად გთავაზობთ გურამ რჩეულიშვილის თანაკურსელების — ერლომ ახვლედიანისა და თეიმურაზ ბერიძის მცირე მოგონებებს. ბ-ნი ერლომი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა გურამთან ერთად, ბ-ნი თეიმურაზი კი — ისტორიის ფაკულტეტზე.

# როგორ ვერ გავხდით ისტორიკოსები

თუმცა ამით დავიწყეთ გურამ რჩეულიშვილმაც და მეც. ორივენი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ისტორიის კაბინეტში დავდიოდით. იქ გავიცანით ერთმანეთი. ჩვენი პედაგოგი იყო ყველასათვის ერთგული და საყვარელი ირინე მიქელაძე, აწ კეთილად მოსაგონარი.

გურამი ჩემზე ერთი წლით უმცროსი იყო.

ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ უკვე მაშინ, ჩემგან განსხვავებით, ის იყო დამოუკიდებელი, პიროვნული თავისებურებებით გამორჩეული.

ხევსურეთში ვიყავით. გურამი მეორე კლასში გადადიოდა, მე — მესამეში. ახლა, როცა იმდროინდელ გურამ რჩეულიშვილს ვიგონებ, შემდგომ ცოტა რამ თუ შეიცვალა მასში: ხშირად ეფარებოდა თვალს, უცებ გამოჩნდებოდა ხევსურულ ტანსაცმელში გამოწყობილი (შემორჩენილია რამდენიმე ფოტო იმ პერიოდისა). აწყობდა ცეკვას, უკრავდა, ჩხუბობდა, ეჭიდებოდა ადგილობრივ ბიჭებთან და ძნელად თუ გამოარჩევდი მათგან.

ფეხით მოვიარეთ ფშავ-ხევსურეთი და როცა თბილისში დავბრუნდით, ჩვენი ექსპედიციის შემაჯამებელ კონფერენციაზე მისი მოხსენების თემა ფშავ-ხევსურეთის საბრძოლო იარაღები იყო, ხოლო ჩემი — შრომის იარაღები.

შემდგომ, უნივერსიტეტამდე, მე და გურამი იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. მახსენდება მხოლოდ ერთი შეხვედრა. გურამი ჩემთან მოვიდა. მე მაშინ კამოს ქუჩაზე ვცხოვრობდი. მანამდე ის არასოდეს ყოფილა ჩემთან. იყო 1951 წელი. მისი მოსვლის მიზეზი გამხდარა ირინე მიქელაძის ოჯახის გადასახლება შუა აზიაში. გურამი ფულს აგროვებდა მათთვის. მე ვერ შევძელი ფულის მიცემა. ეს აქამდე ტკივილად დამრჩა.

მერე იყო უნივერსიტეტი.

მე გავხდი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი. განხრა — ირანის ისტორია. ძალიან მომწონდა ჩემი არჩევანი და, სკოლისაგან განსხვავებით, აქ მონდომებითაც ვსწავლობდი.

ერთი წლის შემდეგ, ამავე ფაკულტეტზე, ოღონდ ძველი ისტორიის განხრით, აღმოჩნდა გურამიც. მოგვიანებით გურამმა მითხრა, რომ ისიც თურმე დიდი მონდომებითა და წარმატებით ეუფლებოდა „ლურსმულს" ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის გიორგი მელიქიშვილის ხელმძღვანელობით.

მაშ ასე, ჩვენ თითქოს არაფერი გვიშლიდა ხელს გავმხდარიყავით ისტორიკოსები.

მაგრამ თავად ისტორიამ სულ სხვაგვარად განსაზღვრა ჩვენი ბედი.

1953 წელს გარდაიცვალა სტალინი.

ხოლო 1954 წელს უნივერსიტეტს „ესტუმრა" ვინმე სმირნოვი თუ სიმონოვი (თუ რაღაც ამგვარი). მან საჯარო ლექცია წაიკითხა შამილზე, როგორც თურქეთისა და ინგლისის აგენტზე, ადრე, სტალინის დროს, ეს ომი, ასე თუ ისე, ინტერპრეტირებული იყო, როგორც მთიელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

ინტერპრეტაცია ინტერპრეტაციად, ხოლო სინამდვილეში, ამხანაგი სმირნოვი თუ სიმონოვი სულ სხვა მისიით იყო მოვლინებული საქართველოში. კერძოდ, უნივერსიტეტში. ცნობილია, რომ ქართული ორიენტალისტური სკოლა ერთ-ერთი უძლიერესი იყო კავშირში. ეს, ეტყობა, არ მოსწონდა მოსკოვს. არ მოსწონდა უფრო პოლიტიკური მოსაზრებებით. „სტუმარმა" აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის გაუქმება მოითხოვა. უნივერსიტეტის მესვეურები მედგრად დაუდგნენ „მოძალადეს", გამონახეს კომპრომისული ვარიანტი. ფაკულტეტი დარჩა, ოღონდ ზედმიწევნით გაკრეჭილი. დაიხურა ბევრი ჯგუფი, მათ შორის, მაინცდამაინც, ირანისა და ძველი აღმოსავლეთისა. ჩვენ მექანიკურად გადაგვანაწილეს ზოგადი ისტორიის ჯგუფებში. მე აკადემიური ავიღე. მომდევნო წელს მე და გურამი ერთ კურსზე აღმოვჩნდით. სწავლაზე გული ავიყარეთ. ლექციებს ვაცდენდით. იმ პერიოდში გურამი და მე იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს და სასახლისეული ურთიერთობიდან კვალიც აღარ დარჩა.

ასე გრძელდებოდა 1956 წლამდე.

9 მარტის ტრაგიკული მოვლენების შემდეგაც კარგად მახსოვს, ჩვენ ვისხედით მეორე კორპუსის ვრცელ აუდიტორიაში, ბატონ ილია ტაბაღუას ლექციაზე. სტუდენტები დაზაფრულები ისხდნენ. ამ დაძაბულ სიჩუმეში ლექტორის ხმა გარკვევით ისმოდა. მერე ორი სტუდენტი აუდიტორიიდანვე გაიყვანეს (რამდენიმე ჩვენი მეგობარი წინა დღეებში დააპატიმრეს).

მე ბოლო მერხზე ვიჯექი. რამდენიმე მერხით წინ იჯდა გურამი და რაღაცას წერდა. შემდეგ მობრუნდა და მანიშნა — შენთან საქმე მაქვსო.

ლექცია დამთავრდა. გურამი ჩემთან მოვიდა და მითხრა: ჩემთან ავიდეთ, რაღაცეები მინდა გაჩვენოთო.

ავედით ლარსის ქუჩაზე, პირველად აღმოვჩნდი მის ახალ ბინაში. რჩეულიშვილები ადრე რუბინგერზე (ამჟამად ჩუბინაშვილის ქუჩა) ცხოვრობდნენ.

გურამმა თავისი პირველი მოთხრობები და ჩანაწერები წამიკითხა.

მერე მეც ვთხოვე წამოსულიყო ჩემთან.

ახლა მე წავუკითხე ჩემი ნაწერები.

ასე დაიწყო ჩვენი ახალი ურთიერთობები, რომელიც სიკვდილითაც არ თავდება...

ორივემ ვიგრძენით, რომ საჭირო გახდა ამ დღის აღნიშვნა.

ფული არც მე მქონდა და არც მას. გადავწყვიტეთ ჩემი მაჯის საათის დაგირავება.

ვერის ბაზართან, ლომბარდში დავაგირავეთ დედისეული საჩუქარი — „ზარია" და იქვე დავაბანდეთ, კარგადაც დავლიეთ.

მეორე დღეს ერთად დავეძებდით საათის გამოსახსნელ ფულს. მოვიშოვეთ, დაპლიდარის და... ხელახლა დავაგირავეთ. ასე გაგრძელდა ხუთჯერ, სანამ თავგაბეზრებულმა დაპლიდარმა თავად არ იყიდა დანახარჯი, ოღონდ მომეშვითო.

ხოლო რაც შეეხება ჩვენს ისტორიკოსობას, მისგან არაფერი დარჩა, გარდა რის ვაივაგლახით აღებული ორი დიპლომისა.

ერლომ ახვლედიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურამი თბილისში აღარ დაბრუნებულა...

გურამის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე არ ვაპირებ საუბარს, ეს სხვათა საქმეა. მე მინდა მოვიგონო ჩემთან ერთად ქუჩაში მოსიარულე გურამი. ახლაც ძალიან ბევრი შეიძლება ითქვას, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ.

ახლა ზუსტად აღარ მახსოვს, 1954 თუ 1955 წელი იყო, მე და თამაზ ჭილაძემ (ისიც ჩვენი უნივერსიტეტელი ძმაკაცი და თანაკურსელი) ცოტაოდენი ფული ვიშოვეთ და უნივერსიტეტიდან მელიქიშვილის ქუჩას გავუყევით. როგორც კი ლენინის ქარხანას მივუახლოვდით, დავინახეთ პეტრიაშვილის ქუჩიდან ჩვენსკენ მომავალი გურამი. საით მიდიხართო, გვკითხა. ჩვენ არცთუ დიდი ხალისით ვუპასუხეთ, რომ დასალევად მივდიოდით (ვიცოდით, ბახუსმოშორებულ გურამს ხშირად ახირებული ხასიათი ჰქონდა). ოჯახიდან კარაქის საყიდლად გამოგზავნილმა გურამმა თავისი წილი შეუმატა ჩვენს თანხას და სამივენი გავეშურეთ რესტორან „ინტურისტისაკენ".

დავსხედით რესტორანში და დავიწყეთ პურის ჭამა. ცოტა რომ შევზარხოშდით, დავინახეთ ჩვენგან მოშორებით მსხდომი ჩვენი ლექტორები — თამარ ჯაფარიძე, გივი კილურაძე და სხვები. გურამმა როგორც კი ლექტორებს მოჰკრა თვალი, გვითხრა — ახლა მათთან უნდა მივიდეთ და დავულოცოთო. მე და თამაზს გვერიდებოდა, მაგრამ გურამი მაინც არ მოგვეშვა. ბოლოს ჭიქებით ხელში, დიდი რიდითა და მოკრძალებით, ვეახლეთ ჩვენს პატივცემულ ლექტორებს და დავულოცეთ.

საკმაოდ შეზარხოშებულებმა დავტოვეთ რესტორანი და გავუყევით რუსთაველის გამზირს. გზაში გურამი მოუსვენრად იყო, თითქოს მარს ეძებდა. მე და თამაზი ვამშვიდებდით, მაგრამ [illegible] მაინც ვერ ავცდით — სასტუმრო „თბილისთან" ჩხუბი მოგვივიდა ჩვენზე ასაკით უფროს ორ ბიჭთან...

1960 წლის 5 აგვისტოს გურამი ჩემთან ამოვიდა „კომკავშირის ხეივანზე". მაშინ იქ მდებარე თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ვმუშაობდი. გადაწყვეტილი მქონდა მეგობრებით წავსულიყავი გაგრაში, სადაც ექიმად მუშაობდა მუზეუმის თანამშრომლის ვივი მექველიას ძმა დიმა (დიმიტრი).

ჩემი გადაწყვეტილება რომ გაიგო, გურამმა გაკვირვებით შემომხედა და მკითხა: „როგორ, მერე მე აქ მტოვებ?" მაგრამ ჩემი სურვილი არ იყო საკმარისი, ამას დედა მარიას (გურამის დედა) თანხმობა სჭირდებოდა. მივედი რჩეულიშვილებთან ლარსის ქუჩაზე. დედა მარია დავითანხმეთ. 6 აგვისტოსთვის ავიღე ბილეთები, მაგრამ გურამი იმ დღეს სადგურზე არ მოსულა, ერთი დღით გვიან ჩამოვიდა გაგრაში.

გაგრაში მე და გურამი თითქმის ორი კვირა ვიყავით ერთად. ამ ხნის განმავლობაში გურამი ორჯერ თუ სამჯერ ჩავიდა ზღვაში საცურაოდ. ზღვას არ ეკარებოდა, წყლის ტკივილს იმიზეზებდა.

გადავწყვიტეთ სოხუმში წასვლა.

მე შვებულების ფულიდან თითქმის არაფერი დამრჩენოდა. გივიმ თავის მამას გამოართვა ფული და მატარებლით სოხუმში გავემგზავრეთ. სოხუმში ორი დღე დავრჩით. ბოლოს აღმოვაჩინეთ, რომ გაგრაში დასაბრუნებელი ფული აღარ გაგვაჩნდა.

გაგრაში გამომგზავრების „მოგვარება“ გურამმა იკისრა.

საღამოს ხანი იყო. გურამმა მსუბუქი მანქანა გააჩერა და წინ, მძღოლის გვერდით დაჯდა. „გურამ რჩეულიშვილი“ — წარუდგინა თავი მძღოლს. მე და გივი უკან ვისხედით. მძღოლი, როგორც გზაში გავარკვიეთ, სოხუმელი აფხაზი იყო.

მთელი გზა გურამი მძღოლს ებაასებოდა, მე კი უფულობაზე ვდარდობდი, იმას ვფიქრობდი, როგორ დაგვეღწია თავი ამ სიტუაციიდან.

გზაში გავწვიმდა.

შუაღამეს კარგა გადაცილებული იყო, გაგრას რომ მივაღწიეთ. მძღოლმა მანქანით სახლამდე მიგვიყვანა. „ჩადით! მე მალე მოვალ“ — გვითხრა გურამმა და მანქანა სიბნელეში გაუჩინარდა.

ეს იყო ლოდინის ჯოჯოხეთური წუთები. თითქოსდა დრო გაჩერდაო. გონებაში ელვის სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს სხვადასხვა საშინელი სურათები.

ღამემ ნელ-ნელა იწყო გადაქრთაღება. გურამი ისევ არ ჩანდა.

გათენდა.

და აი, ეზოს მოპირდაპირე მხრიდან გაისმა მამის ნაბიჯების ხმა და ძახილი — „თუთუში!“ ეზოში გავიჭრეთ და დავინახეთ ხარხარში ჩაბნილი, მომღიმარი გურამი, რომელსაც რაღაც ტვირთი ჰქონდა ზურგზე მოკიდებული.

ჩვენ ისე შევხვდით ერთმანეთს, როგორც ფრონტიდან დაბრუნებულს ხვდებიან ხოლმე. გადავეხვიეთ ერთმანეთს და ვკოცნიდით. ისე გამოხარდა ხალი, მრთელი და ცოცხალი გურამის დანახვა, რომ არც კი შევეკითხივარ თუ რატომ დაიგვიანა. მოგვიანებით მითხრა, რომ აფხაზი მძღოლის ოჯახში მასპინძლობდა, მაგრამ ზოგიერთ იქ დავიძმაკაცე, რომ რამდენიმე ნიგვი და საზამთროც მაჩუქაო.

ღამენათევს ცოტა ხნით წამოწოლა მინდოდა, მაგრამ გურამმა არ მომცა ამის საშუალება, თვითონ მოიკალათა ჩემს საწოლზე. გურამი იმ დღის გმირი იყო და ეს „უპირატესობა“ ხელიდან არ გაუშვა. მე კი სხვა დამრჩენოდა, ბუზღუნით გავცლოდი მას.

გურამს საოცარი ხიბლი ჰქონდა. იმ საშინელ ღამესაც რომ სოხუმიდან გამოვემგზავრეთ, სწორედ მისმა ხიბლმა გვიხსნა და გადაგვარჩინა.

დღე დღეს მისდევდა. და აი, გაგრიდან ჩემი წამოსვლის დროც დადგა.

იყო 1960 წლის 21 აგვისტო.

მე და გურამი სახლის პატარა ეზოში ვისხედით მოლზე და ფაიუზრობდით. გურამმა თითქმის ყველა მოგონები გაიხსენა. მერე თითქოს ხუმრობით მითხრა — იცი, ერთხელ თავს ვიკლავდი და შენ გადამარჩინეო. საოცარი რამ არის ბედისწერა. მე თურმე ერთხელ თვითმკვლელობაზე ხელი ავაღებინე გურამს, მაგრამ ისევ მე გამომყვა იქ, სადაც ჩემი წამოსვლის მეორე დღეს ტრაგიკულად უნდა დაესრულებინა სიცოცხლე.

ჩემდა სამწუხაროდ, გურამის წასვლამდე მის მოთოგ ოლიმოსამ ჩავთვალე, არც ისე დიდ დანაშაულად ჩავთვალე და არც შევეკითხე საუბრის გაგრძელება თბილისისათვის გადავდე.

გურამი თბილისში აღარ დაბრუნებულა...

თეიმურაზ [illegible]

# ანდრო ბიწაძე



ფოტო გურამ თავანაძისა. 1963 წელი. ნოვოსიბირსკი.

...გამოჩენილ მათემატიკოსს ილია ვეკუას ერთ-ერთი სტუდენტის გამოცდა საკმაოდ დიდხანს გაუგრძელებია. ბოლოს ცოდნა ფრიადზე შეუფასებია. გამოცდის შემდეგ დამსწრე ასისტენტს უკითხავს:

— ბატონო ილია, თავიდანვე ხომ ჩანდა, რომ სტუდენტმა ყველა საკითხი ბრწყინვალედ იცოდა, რატომღა ცდიდით ასე დიდხანს?

— ნიჭი კმაყოფილებას მგვრიდა, ჩემი სიამოვნებისთვის ვცდიდი, — უთქვამს პედაგოგს.

ეს სტუდენტი მომავალში ცნობილი მათემატიკოსი ანდრო ბიწაძე ყოფილა...

ანდრო ბიწაძე დაიბადა 1916 წელს, ზემო იმერეთის სოფელ ცხრუკვეთში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1940 წელს დაამთავრა. ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთში გაატარა. ფართო სამეცნიერო ერუდიციის მქონე სწავლული მოღვაწეობდა მოსკოვისა და ნოვოსიბირსკის სამეცნიერო ცენტრებში. მისი ხალასი ნიჭის დასტურია მრავალი მნიშვნელოვანი შედეგი მათემატიკაში. სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებულია ტერმინები: „ბიწაძის განტოლება", „ბიწაძის ექსტრემუმის პრინციპი", „ლავრენტიევ-ბიწაძის განტოლება", „ბიწაძე-სამარსკის ამოცანა"...

1979-1983 წლებში აკადემიკოსი ანდრო ბიწაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-ხელმძღვანელი და

1994. №2-3

დოქტორი იყო. ქართველი მეცნიერი ხანგრძლივად ყოფილა მიწვეული ლექციების წასაკითხად მუნხენში, პარიზში, ოქსფორდსა თუ კემბრიჯში.

სამშობლოსთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია, ერის ინტელექტუალური ცხოვრობდა. სიტყვითა და საქმით ამტკიცებდა ამას... 1991 წლის ივნისში, ნიკო მუსხელიშვილის ასი წლის იუბილეზე თბილისის ოპერის თეატრში წარმოთქმული მისი პატრიოტული სიტყვა კლასიკური ნიმუში იყო ორატორული ხელოვნებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერი დაითანხმა მისი მოგონებებიდან ერთი ვრცელი ნაწყვეტის გამოქვეყნებას. ამ მრავალმხრივ საინტერესო ნარკვევში მოთხრობილია ერთი შესანიშნავი ქართველი ქალის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის ღვაწლი კარგად არის ცნობილი ყოველი ქართველისათვის. მაგრამ ერთეულებმა თუ იციან დღეს საქართველოში, რომ კოტეს უფროსი და — თამარ მარჯანიშვილი (დედა ფამარი) ცნობილი სასულიერო მოღვაწე იყო. იგი ერთ-ერთი დიდი ფიგურაა XX საუკუნის რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქებს შორის.

„დაკარგული სახელები"... ხშირად უძღვარებენ ისტორიულ პორტრეტებს ამგვარ ზედწერილს. დედა ფამარის სახელი მართლაც რომ დაკარგული იყო ჩვენთვის. მაგანიც და მაგანიც არარსებულს იჩემებენ, ჩვენ კი არსებულსაც ვკარგავთ. იმედი გვაქვს, აკადემიკოს ანდრო ბიწაძის ამ შესანიშნავი ნარკვევის გამოქვეყნებით გზას გაუხსნით დედა ფამარის „შემოსვლას" ჩვენში და მალე მისი შთამბეჭდავი სახეც ღირსეულ ადგილს დაიჭერს უცხოეთში მოღვაწე სახელოვან ქართველთა გალერეაში.

ერთი რამ გვინდა „ფამარის" წაკითხვისას: ანდრო ბიწაძეც ხომ ერთი დიდი პორტრეტია ამ გალერეაში... წერდა ამ ნარკვევს და ალბათ თავისი ცხოვრება ედგა თვალწინ სამშობლოს მოშორებულ მეცნიერს. ამიტომაც დაჰყვება ფარული სევდა ანდრო ბიწაძის დახატულ პორტრეტს დედა ფამარისას...

„"ფამარის" დასტამბვას თუ გადაწყვეტთ, კარგი იქნებოდა, გავეცნობოდი სარედაქციო დამუშავების შედეგად დადგენილ საბოლოო ვარიანტს" — წერდა ბატონი ანდრო.

...სამწუხარო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: 1994 წლის 6 სექტემბერს აკადემიკოსი ანდრო ბიწაძე გარდაიცვალა...

„დედა ფამარის" გამოქვეყნებაში გაწეული დახმარებისათვის
მადლობას ვუხდით მათემატიკოსებს —
პროფ. ელენე ობოლაშვილსა და პროფ. გიორგი ჯაიანს.



# დედა თამარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსა პრწმენეს ჩემი,
აქუნდეს ცხოვრება საუკუნოჲ
(იოანე 6, 47)

მოსკოვში, 1981 წლის 13 თებერვალს, დილით, მაშინდელი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, პროფესორმა ს. ზახაროვმა ბინაზე ტელეფონით მწუხარებით შემატყობინა აკადემიკოს კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილის გარდაცვალება. თან მთხოვა, შევსულიყავი დამკრძალავი კომისიის შემადგენლობაში, რომელსაც მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ქმნიდნენ.

დამკრძალავი კომისია თავიდანვე სიძნელეს წააწყდა. განსვენებულის მეუღლემ ელენე ბულგაკოვამ აუცილებლად მიიჩნია ქმრის ცხედარი მოსკოვიდან თბილისში გადაესვენებინათ და იქ დაეკრძალათ.

## შეხვედრა მათემატიკის ინსტიტუტში

15 თებერვალს ინსტიტუტის კანცელარიიდან მაცნობეს, რომ დირექტორის კაბინეტში იმყოფება სტუმარი, რომელსაც სურს კონსტანტინე მარჯანიშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებით ჩემთან, როგორც პასუხისმგებელ პირთან, შეხვედრა. სტუმარი დაუყოვნებლივ მივიღე. იგი ღრმად მოხუცებული მანდილოსანი აღმოჩნდა.

— მაპატიეთ შეწუხებისათვის, — ასე დაიწყო სტუმარმა.

— ხომ ვერ მეტყვით, ვინ ბრძანდებით, რისთვის მეწვიეთ?

— მე ახლა უკვე არარაფერს წარმოვადგენ, ერთ დროს კი მოსკოვის საიმპერატორო მცირე თეატრის მსახიობი ვიყავი. მწყალობდნენ დაუვიწყარი მარჯანოვები — კონსტანტინე ალექსანდრეს ძე და ნადეჟდა დიმიტრის ასული. სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა კარიერა გამეკეთებინა, მით უფრო, რომ 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ სოციალური წარმოშობაც არ მიწყობდა საამისოდ ხელს. მოკლედ, ვერ აეწყო ჩემი ცხოვრება. ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვმეგობრობდი, იყო კონსტანტინე ალექსანდრეს ძის მეუღლე-ყოფილი, ჩემსავით უბედური და ახალგაზრდობიდანვე ცალად დარჩენილი ნადეჟდა დიმიტრის ასული მარჯანოვა (ქალიშვილობაში ქუვოკინა), ჩემი კუზინა. მისი გარდაცვალების შემდეგ ჩემდამი მზრუნველობას იჩენდა კონსტანტინე კონსტანტინეს ძე. უბედურებად დამატყდა თავს მისი ამქვეყნიდან წასვლა, რაც გუშინ გაზეთის საშუალებით შევიტყვე.

მამის მხრიდან, რამდენადაც ვიცი, მას ახლო ნათესავი არ დარჩენია. ქუვოკინების გვარის წარმომადგენელი რუსეთში მარტო მე ვარ. ახლა ამ ქვეყანაზე ნათესავთაგან არავინ დამრჩა. მოწყალება არ მჭირდება, პენსიას ვღებულობ და ეს მყოფნის. უწყვემოდ ველი მარტოობაში აღსასრულს. რას ვიზამ, ასეთი აღმოჩნდა ჩემი ხვედრი. მე თქვენთან მოვედი კონსტანტინე კონსტანტინეს ძის დაკრძალვის თაობაზე. ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, საბოლოო განსვენების ადგილი ახლო ნათესავთა საფლავების ახლოს მოძებნილიყო, — ღელვით წარმოთქვა ქუვოკინის ასულმა.

— მერწმუნეთ, თქვენს რჩევას უთუოდ გაითვალისწინებს დამკრძალავი კომისია.

— თუ არ ვცდები, ურნა მამამისის ფერფლით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღშია დაკრძალული.* ხომ არ აჯობებდა, შვილიც მის მახლობლად დაკრძალულიყო?

— დიახ! კოტე მარჯანიშვილი დასაფლავებულია თეატრის ეზოში, როგორც უდიდესი ქართველი ხელოვანი — რეჟისორი. შვილიც სახელგანთქმული პიროვნება გახლდათ, მაგრამ მეცნიერი — მათემატიკოსი. ვშიშობ, რომ ეს გამოიწვევს გარკვეულ გაუგებრობას. თქვენ ალბათ იცით, სადაა დასაფლავებული ნადეჟდა დიმიტრის ასული.

---

* კოტე მარჯანიშვილის ფერფლი მოგვიანებით მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს (რედ.).

— ჩემი ნადიას საფლავს რა დამავიწყებს. ის მოსკოვის კათოლიკეთა და პროტესტანტთა ვვედენსკოეს ე. წ. გერმანელთა სასაფლაოზე განისვენებს. იქ არის ფიულკინების მცირე საგვარეულო საძვალე. კონსტანტინე კონსტანტინეს ძის მშობლები სამოქალაქო წესით იყვნენ დაქორწინებულნი. მართალია, ორივე ქრისტიანი იყო, მაგრამ კოტე მართლმადიდებელი, ნადია კი — კათოლიკე სარწმუნოების აღმსარებელი. რამდენადაც არცერთმა არ მოისურვა რელიგიის გამოცვლა, არ შესრულდა მათი ჯვრისწერა. საკვირველია მაშინ ეკლესიის ნებართვის გარეშე იმყოფა, თუმცა ეს ზეიმი ხანგრძლივი არ გამოდგა. თეატრალური ხელოვნებით გატაცებული ცოლ-ქმრის ოჯახმა ქალაქიდან ქალაქში ხეტიალს ვერ გაუძლო და, სამწუხაროდ, დაიშალა. თბილისში დაბრუნებულმა კონსტანტინე ალექსანდრეს ძემ მეორე ცოლად შეირთო ადგილობრივი მსახიობი ქალი ელენე დონაური. ბედმა არც ეს აცალა ნადეჟდა დიმიტრის ასულს. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე უდროოდ გარდაიცვალა.

მამის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ შვილი თბილისიდან მოსკოვში გადმოსახლდა, რათა დედის მძიმე ხვედრი შეემსუბუქებინა. ნადეჟდა დიმიტრის ასული დარდობდა, რომ მისი ერთადერთი ვაჟი უცოლშვილოდ რჩებოდა. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ უკვე ორმოცი წლის გადაცილებული შვილს როგორმე ექორწინა. ახლაც მახსოვს, რა სიხარულით მოელოდა ნადია თავისი შთამომავლობის გაგრძელებას, ოცნებობდა იმაზე, რომ პირველი სიტყვა, რომელსაც მისი შვილიშვილი წარმოთქვამდა, ყოფილიყო ქართული სიტყვა „ბებია“. სამწუხაროდ, არც აქ დაინდო ბედმა იგი. მისმა ერთადერთმა შვილიშვილმა სულ რამდენიმე თვე იცოცხლა. დედას შვილის მეცნიერული მიღწევებიღა ახარებდა. მახსოვს, რა აღფრთოვანებით შეხვდა იგი კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სადოქტორო დისერტაციის დაცვას. იმასაც მოესწრო, რომ შვილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

თეატრალურ ცხოვრებას ნადია ფიულკინა გათხოვებისთანავე მოწყდა, მაგრამ ყოველთვის თეატრით ცხოვრობდა. ბუნებას ასე დაუდგენია — ამ ქვეყანაში ყველაფერი წარმავალია. ნადეჟდა დიმიტრის ასულმა ქმრის გარდაცვალების შემდეგ თითქმის ოცდაათი წელი იცოცხლა. ახლა ორივე — კონსტანტინე ალექსანდრეს ძე და ნადეჟდა დიმიტრის ასული უკვე იმ ქვეყანას ეკუთვნიან. მეუღლეთა საფლავები ათასეული კილომეტრებითაა დაშორებული ერთმანეთს, მაგრამ მჯერა, მათი სულები ერთად არიან.

კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, მართალია, ძალზე დაკავებული იყო, მაგრამ დედის საფლავს უყურადღებოდ არ ტოვებდა. მე, როგორც ხედავთ, ღრმად მოვხუცდი, მაგრამ წელიწადში რამდენჯერმე მაინც ვინახულობ ჩემი ნადიას საფლავს. სამწუხაროდ, იქ აღარ დარჩა ადგილი ახალი სამარის გასათხრელად. ვთქვათ, კარგად გამიგეთ, იქ აღარ არის ადგილი არც ჩემთვის. გერმანელების სასაფლაოზე არსებობს კიდევ ერთი ადგილი, სადაც მარჯანიშვილების უახლოესი ადამიანი განისვენებს — კონსტანტინე კონსტანტინეს ძის მამიდა. — ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ფიულკინა ქალი თითქოს შეყოვნდა და თანაც დაძაბული ყურადღებით მომაპყრო მზერა.

— კონსტანტინე კონსტანტინეს ძეს თუ მამიდა ჰყავდა, არც კი ვიცოდი, — წარმოვთქვი გაკვირვებით.

— ჩვენ კი ვიცოდით, მაგრამ ვდუმდით. სასაფლაოს ის უბანი ეკუთვნის მოსკოვის საპატრიარქოს და თუ იქ ამჟამად ვინმეს ასაფლავებენ, უთუოდ მაღალი ჩინის სასულიერო პირს.

სტუმარს განვუცხადე, რომ კომისია ყველაფერს გააკეთებს კონსტანტინე კონსტანტინეს ძის ღირსეულად დასაკრძალავად, მადლობა მოვახსენე რჩევისათვის და დავემშვიდობე.

ცნობისმოყვარეობამ წამძლია და მეორე დღესვე საგანგებოდ წავედი მოსკოვის გერმანელთა სასაფლაოს მოსანახულებლად. ფიულკინების საფლავთა უბანს ვერაფრით მივაკვლიე, სამაგიეროდ ადვილად მოვძებნე მოსკოვის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული უბანი, სადაც წავაწყდი ერთ ძალზე უბრალოდ გაფორმებულ საფლავს, რომელზეც აღმართულია ხის დიდი თეთრი ჯვარი წარწერით:

**Тамара Александровна Марджанова**

1. IV. 1869

23. VI. 1936

Веруяй в Мя

Имать живот вечный

Иоан. 6. 47.

გუმანით ვიგრძენი, დიდი საიდუმლოება უნდა ყოფილიყო დამარხული მოსკოვის გერმანელთა სასაფლაოზე ალექსანდრე მარჯანიშვილის ასულთან ერთად.

ამასობაში დამკრძალავმა კომისიამ ვერ მიიღო ნებართვა კონსტანტინე მარჯანიშვილის მოსკოვის პრესტიჟულ ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დასაკრძალად. შემდგომ შემოგვთავაზეს ადგილი მეცნიერებათა აკადემიის რიგით წევრთათვის განკუთვნილ კუნცევოს სასაფლაოზე, რომელიც ნოვოდევიჩის სასაფლაოს ფილიალადაა მიჩნეული. ასეთ ვითარებაში თბილისში დაკრძალვის ვარიანტს გარკვეული უპირატესობა აღმოაჩნდა. პანაშვიდი გადაიხადეს სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, ხოლო კრემაცია მოხდა დონის მონასტრის მახლობლად მდებარე კრემატორიუმში. ფერფლიანი ურნის ჭირისუფლებისადმი გადაცემა კრემაციის დღიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ მოხდებოდა. გამოჩენილი ქართველი მეცნიერის სამშობლოში გადმოსვენების თაობაზე დამკრძალავი კომისიის დავალებით დავუკავშირდი საქართველოს მინისტრთა საბჭოს მაშინდელ საქმეთა მმართველს ირაკლი ანდრიაძეს თბილისში. მინისტრთა საბჭომ შექმნა დამკრძალავი კომისია, რომლის შემადგენლობაში მეც შემიყვანეს.

აპრილში ურნა გამოჩენილი მეცნიერის ფერფლით ოფიციალურად გადაასვენეს მოსკოვიდან თბილისში. პანაშვიდი გაიმართა ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. კონსტანტინე მარჯანიშვილი დაკრძალეს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## ფესვები

აკადემიკოს კონსტანტინე მარჯანიშვილის გარდაცვალებიდან თითქმის ცხრა წლის შემდეგ შემთხვევით მომეცა შესაძლებლობა გავცნობოდი მის უახლოეს წინაპართა გენეალოგიას.

მარჯანიშვილების გვარი საქართველოში საკმარისად ყოფილა გავრცელებული ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. მათ შორის იყვნენ აზნაურებიცა და გლეხებიც. აზნაური მარჯანიშვილები ქუთაისში ცხოვრობდნენ. ბაგრატის ტაძრის ახლოს მდებარე სასაფლაოზე დღესაცაა შემორჩენილი წარწერიანი ძეგლები: აქ განისვენებს სეკუნდ-მაიორი... მარჯანიშვილი... საიდუმლო მრჩეველი... მარჯანიშვილი...

მარჯანიშვილებმა სამშობლოს არაერთი სახელოვანი შვილი აღუზარდეს. მათ შორისაა საკმაოდ მაღალი რანგის სამხედრო ინჟინერი ალექსანდრე მარჯანიშვილიც. ერთხელ, კახეთში, თავის ყვარლელ მეგობრებთან სტუმრობისას, მას გაუცნია ადგილობრივი მდიდარი მემამულის სოლომონ ჭავჭავაძის ასული ელისაბედი (ლიზა), რომელზეც ერთი წლის შემდეგ იქორწინა კიდეც. ალექსანდრე და ელისაბედ მარჯანიშვილებს 1869 წელს შეეძინათ ქალიშვილი, რომელსაც თამარი დაარქვეს, სამი წლის შემდეგ — ვაჟი კოტე (კონსტანტინე), მოგვიანებით კი — ზედიზედ ორი ქალიშვილი. სამსახურებრივი მდგომარეობა აიძულებდა ალექსანდრე მარჯანიშვილს ხშირად ცოლ-შვილისგან მოშორებით ეცხოვრა, რაც ალბათ უარყოფით გავლენას ახდენდა მისი ოჯახის ბედნიერებაზე.

1884 წელს მამის რჩევით ელისაბედმა ითავა აღნიშნა მისი პირმშოს — თამარის დაბადებიდან 15 წლისთავი: ისე მოხდა, რომ ამ ზეიმს ალექსანდრე მარჯანიშვილი ვერ დაესწრო. იუბილარისადმი

*სოლომონ ჭავჭავაძის სახლი ყვარელში (ამჟამად კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმი).*



განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა ილია ჭავჭავაძემ (ძია ილიამ), რომელიც სოლომონ ჭავჭავაძის კარის მეზობლად ითვლებოდა. ზეიმის დამთავრების შემდეგ დედამ თამარს გაანდო საიდუმლო, რომელსაც ოცი წლის განმავლობაში ინახავდა.

კახეთის თავადთა შორის ჭავჭავაძეების გვარი უკვე რამდენიმე საუკუნეა ქება-დიდებით მოიხსენიება. ამ გვარს სამი შტო ჰქონია. პირველ მათგანს შეადგენდნენ წინანდლის მფლობელი ჭავჭავაძეები, რომელთა შორის პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდრე ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიაში კარგადაა ცნობილი. მეორე შტოს განეკუთვნებოდნენ ყვარლისა და მიმდებარე სოფლების მებატონე ჭავჭავაძეები. ყვარელში ყველაზე მდიდარი მემამულე გახლდათ თამარის პაპა, სოლომონ ჭავჭავაძე. ამბობენ, რომ ჭავჭავაძეების მესამე შტო კახეთის მთიანეთიდან ჩამოსახლებულა ყვარელში. ადგილ-მამულისა და სიმდიდრის მიხედვით ისინი ჭავჭავაძეთა მეორე შტოს საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ. ჭავჭავაძეების ამ შტოს წარმომადგენელი იყო ილიას მამა გრიგოლი.*

ახლო მეზობლები ლიზა და ილია ერთად იზრდებოდნენ, ყრმობის წლებში მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. სოლომონი ახალგაზრდა ქალ-ვაჟის შეუღლების წინააღმდეგ წავიდა იმ მიზეზით, რომ გრიგოლ ჭავჭავაძე ხელმოკლედ ცხოვრობდა. ამ საქმის ჩაშლაში ეტყობა მთავარი როლი ილიას ხანგრძლივი ვადით პეტერბურგში წასვლამ შეასრულა. ილიამ პეტერბურგში ოთხი წელი დაჰყო. ერთი წლის განმავლობაში მას სისტემატური მიმოწერა ჰქონდა ლიზასთან. განშორების წლებმა ჭაბუკსა და ქალიშვილს შორის სიყვარული საგრძნობლად შეანელა და ბოლოს ჩააქრო კიდეც.

დედამ თამარს აჩვენა ილიას მიერ პეტერბურგიდან მისთვის გამოგზავნილი რამდენიმე წერილი, მათ შორის განსაკუთრებით სათუთად შენახული ლექსი „გახსოვს, ტურფავ". დედის ამ საიდუმლოს გაგებამ ილია თამარის თვალში სათაყვანებელ არსებად აქცია. თორმეტი წლის კოტე მარჯანიშვილმა ამ საიდუმლოს შესახებ, რასაკვირველია, არაფერი იცოდა. შემდეგ... შემდეგ კი დედის უდროოდ გარდაცვალების გამო ყველაფერი დისგან შეიტყო.


ილია ჭავჭავაძე

გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?
ნეტა იმ დროს!.. სიყვარულის
მეტ არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით!
შენ მოსწყვიტე ქორფა ვარდი,
გადმომიგდე საყვარელსა
და მითხარი: „ჩემო-გიჟო!
ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა!.."

---

* აქაც და ქვემოთაც მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ანდრო ბიწაძის აღნიშნული ნარკვევი არ არის სამეცნიერო-კვლევითი ხასიათისა. არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთი ფაქტი მასში არაზუსტად იყოს მოცემული. თავად ავტორი ამბობდა, რომ „თამარი" ძირითადად ყურძი პირთა მოგონებებსა თუ გადმოცემებზეა აგებული (რედ.)

ჯერ დედ-მამის, ხოლო შემდეგ ქმრის უდროოდ გარდაცვალებამ ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილისას ოჯახის მეთაურის მძიმე მისია დააკისრა. ვრცელი, მდიდარი მამული მამაკაცურ პატრონობას საჭიროებდა, კოტე კი ჯერ კიდევ ყრმა იყო და თანაც, მას არ გამოჰყოლია მეურნეობისადმი მიდრეკილება. ამ პირობებში ელისაბედმა ყველაფერი გააკეთა, რომ შვილებისათვის ობლობა შეემსუბუქებინა. თბილისიდან, რუსეთიდან, საზღვარგარეთიდანაც კი საუკეთესო [illegible] მოიწვია შვილების აღსაზრდელად. თამარს აღმოაჩნდა მუსიკალური ნიჭი, საუკეთესო ხმა, კოტე სასცენო ხელოვნებამ გაიტაცა, პატარა გოგონები კი გუვერნანტების ხელმძღვანელობით [illegible].

ბიბლიოთეკა

## ცხოვრების ქარიბჭესთან

სილამაზითა და ჭკუა-გონებით განთქმული თამარ მარჯანიშვილი მოსკოვის კონსერვატორიაში გაემგზავრა სასწავლებლად, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო გადაიფიქრა და გადაწყვიტა პეტერბურგში ქალთა უმაღლეს (ბესტუჟევის) კურსებზე შესვლა. იმ დროს პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში ხუთასამდე ქართველი ქალიშვილი და ჭაბუკი იღებდა განათლებას. სატახტო ქალაქში მათ სათვისტომოც კი დააარსეს, რომელსაც მზრუნველობას არ აკლებდნენ იმპერატორთან დაახლოებული ისეთი გავლენიანი პირები, როგორიც იყვნენ მ. ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი), ი. ნაკაშიძე, ნ. ი. და ნ. ნ. ჩოლოყაშვილები და სხვ. ქველმოქმედებით მათ ამ საქმეში არც ქართული წარმოშობის ფრეილინები ჩამორჩებოდნენ. სწორედ ამ უკანასკნელთა მეშვეობით თამარმა გაიცნო დედოფალი მარიამ თევდორეს ასული (იმპერატორ ალექსანდრე მესამის მეუღლე და მომავალი იმპერატორის ნიკოლოზ მეორის დედა), ცარევიჩ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის მეუღლე ალექსანდრა თევდორეს ასული (ჰესენ-დარმშტადტის პრინცესა), მისი და ელენე და უმაღლესი წრის სხვა მანდილოსნები.

მეოცე წელში გადამდგარმა თამარმა პეტერბურგში შეიტყო საყვარელი დედის გარდაცვალება და დაუყოვნებლივ მიაშურა ყვარელს.

თეატრით გატაცებული უკვე სრულწლოვანი ძმის დაჟინებული სურვილით თამარი იძულებული გახდა მარჯანიშვილების მამულის ერთმმართველობა ეთავა. აქ იგი აღმოჩნდა საქართველოში მოქმედ იმ „რევოლუციონერთა" პირისპირ, რომლებმაც ჯერ დაიყოლიეს მისი პაპის ყოფილი ყმები, უკვე თავისუფალი გლეხები, მემამულეთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რის გამოც მათთან აშკარა მტრობა დაიწყეს. „რევოლუციონერთა" მიერ მოსყიდული ჩრდილოკავკასიელ მთიელთაგან შემდგარი ბანდები აწიოკებდნენ ყვარლელ გლეხობას. თამარ მარჯანიშვილი მეზობელ გლეხთა დაცვის ორგანიზატორი გახდა. „რევოლუციონერებთან" მისი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაართულა სამწუხარო ცნობამ იმის შესახებ, რომ ელისაბედ თევდორეს ასულს (ჰესენ-დარმშტადტის პრინცესას) ტერორისტებმა თითქმის თვალწინ მოუკლეს მეუღლე — სერგი რომანოვი.

ძალზე განიცადა თამარმა ქართველი ერის სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობა წიწამურის გზაზე. ეს აქტი იმ რევოლუციონერებს მიეწერებოდა, რომლებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში იყვნენ გაერთიანებული. „რევოლუციონერ" ტერორისტთა წინააღმდეგ მეფის მთავრობის რეაქციას თან მოჰყვა გაუთავებელი სისხლისმღვრელი შეტაკებები. ამ ვითარებაში სულიერი სიმშვიდის აღსადგენად თამარმა ეკლესიას მიაშურა.

არც სიყვარულში გაუმართლა თამარს. ერთი ქართველი ვაჟკაცი უყვარდა, მაგრამ იგი არ თანაუგრძნობდა მას, ხოლო ის, რომელსაც თამარი მოსწონდა და თავდავიწყებით უყვარდა, ქალზე გაცილებით, უმცროსი იყო...



ელისაბედ ჭავჭავაძე

## ბოდბე... სერაფიმო-ზნამენსკოე...

თამარ მარჯანიშვილმა ყველასათვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — თავისი სიცოცხლე მონასტრულ ღვთისმსახურებაში გაეტარებინა. ის კარგად იცნობდა ბოდბის წმ. ნინოს ქალთა მონასტრის იღუმენს და სწორედ მასთან მოუხშირა სიარულს. მონასტერს ჯერ მატერიალური და ფულადი დახმარება აღმოუჩინა, შემდეგ იქვე აღიკვეცა მონაზვნად. რამდენიმე წლის შემდეგ უკვე დედა ფამარად წოდებული თამარ მარჯანიშვილი ბოდბის ქალთა მონასტრის წინამძღვარი გახდა.

მალე ფამარი მოსკოვში გადავიდა და იქ შეუდგა გახდევილ ქალთა [illegible] საქმეს. გავლენიანი მევობრების მხარდაჭერით მოსკოვის მახლობლად მის განკარგულებაში აღმოჩნდა შესანიშნავი ადგილი სერაფიმო–ზნამენსკოეს სახელწოდებით. მდინარის მახლობლად ფიჭვისა და ნაძვის ტყეებით მოსილ გორაკებზე მან რამდენიმე ჰექტარი ფართობი გამოუყვეს, კორომა და ავურით ნაგები მაღალი კედლით საგულდაგულოდ შემორაგვული. იქვე ერთი წლის შემდეგ აღმართეს მშვენიერი ტაძარი, ხოლო მის გარშემო — თორმეტი სახლი (რიცხვი თორმეტი ქრისტეს მოციქულთა რაოდენობას მიანიშნებდა). ამასთან, იმპერატორ ნიკოლოზ მეორის განკარგულებითა და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის შემწეობით გამოიყოფა სახსრები 33 მონაზონი ქალის მისაღებად გახდევილთა უდაბნოში (რიცხვი 33 აღნიშნავდა იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების წელთა რაოდენობას). იღუმენად (მონასტრის წინამძღვრად) ხელდებულ იქნა დედა ფამარი.

იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ოჯახს დიდი უბედურება ეწია. მის ერთადერთ ვაჟს, ალექსის, უკურნებელი სენი — ჰემოფილია აღმოაჩნდა. ვერც მეცნიერულმა და ვერც სახალხო მედიცინამ მას ვერ უშველა. ისღა დარჩათ, მიემართათ ექსტრასენსებისათვის. სწორედ ამ გზით ტობოლსკელმა გაუნათლებელმა, უმნიშვნელო რანგის სასულიერო პირმა გრიგოლ რასპუტინმა ითავა ცარევიჩის განკურნება და შეუდგა „სასწაულმოქმედებას". სულ მალე იგი დედოფალთან „უცნაურ" სიახლოვეში აღმოჩნდა, რაც „საფრთხეს უქადდა" იმპერიას. ამით შეშფოთებული მაღალი წრეების წარმომადგენლები შეეცადნენ მეფის სასახლიდან რასპუტინის გაძევებას. „შეთქმულთ" ეკუთვნოდნენ: ქვრივი დედოფალი მარიამ თევდორეს ასული, სერგი რომანოვის ქვრივი ელისაბედ თევდორეს ასული, დიდი მთავარი დიმიტრი რომანოვი, რუსეთის თავადთა შორის ყველაზე მდიდარი — ფ. იუსუპოვი და სხვ. რუსეთში მოღვაწე გავლენიან ქართველთაგან ამ საქმის კურსში იყვნენ მ. ანდრონიკოვი, ი. ნაკაშიძე და, რაც მთავარია, იღუმენი ფამარი. რასპუტინის გავლენის გასანეიტრალებლად ფამარმა ავადმყოფი ცარევიჩი დალოცა ღვთისმშობლის პატარა ქართული ხატით. ამბობდნენ, რომ ცარევიჩს ეს ხატი მუდამ თან დაჰქონდა და ღამით სასთუმალთან ეკიდა.

სიფხიზლე არც რასპუტინს აკლდა. მან საიდუმლოდ დაიახლოვა ანდრონიკოვი და მისი საშუალებით ბალზაკურ ასაკში შესული ლამაზი ქვრივი დედოფალი მარიამ თევდორეს ასული ინტიმურ ვითარებაში არაერთხელ შეახვედრა რუსეთის არმიის სამედიცინო სამსახურის უფროსს ახოვან გენერალ ნაკაშიძეს. ამან არანაკლები მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ვიდრე რასპუტინის „საქმემ". საზოგადოებრივი აზრის დასამშვიდებლად მარიამ თევდორეს ასული და ი. ნაკაშიძე იძულებული გახდნენ, მორგანატული (ტახტის მემკვიდრეობის უფლების გარეშე) ქორწინებით შეუღლებულიყვნენ.

ამ მდგომარეობას განსაკუთრებით განიცდიდა დედა ფამარი, რომელიც ქალიშვილობაში მეტად სიმპატიურად იყო განწყობილი ი. ნაკაშიძისადმი. რასპუტინის მომხრეებმა ეს იცოდნენ და ცდილობდნენ, როგორმე ჩრდილი მიეყენებინათ იღუმენის რეპუტაციისათვის. ალბათ ამიტომ იყო, რომ ამ პერიოდის მოვლენათა გახსენება სასტიკად არ უყვარდა დედა ფამარს.



პირველი მსოფლიო ომის დროს ფრონტებსა თუ ღრმა ზურგში განლაგებულ სამხედრო ჰოსპიტალების საქმიანობაში უდიდესი როლი შეასრულა ღვთის მსახურად ქცეულმა რუსეთის მართლმადიდებლურმა

მონაზვნობამ. მრავალი მათგანი განგმირა მტრის ტყვიამ, როცა მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცები ზურგზე მოკიდებული გამოჰყავდათ ცეცხლის ხაზიდან. უშიშრად, თავდადებით, თითქოს სიკვდილმოწყურებულნი ტრიალებდნენ ისინი ბრძოლის ქარცეცხლში. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სერაფიმო-ზნამენსკოელი განდეგილები. სამხედრო ნაწილებში, სადაც კი გამოჩნდებოდა ფამარის ამალა, რომელსაც ხშირად თან ახლდნენ ნიკოლოზ მეორის უფროსი ქალიშვილებიც — ოლღა და ტატიანა, ყველას აცვიფრებდა მონაზვნის სამოსელში გახვეული ამ მშვენიერი ქალის გონიერება და სიმშვიდე. აქ არავინ უწყოდა, ვინ იყო იგი ერისკაცობაში, რამ აიძულა, ხელი აეღო ამქვეყნიურ ცხოვრებაზე და ღვთისმსახურებისათვის შეეწირა თავისი ქალობა. „დედა ფამარი მობრძანდა"... „დედა ფამარი დაგვპირდა"... „დედა ფამარი გვიშველის"... — გაისმოდა ფრონტზე თუ ფრონტისპირეთში მოფუსფუსე მონაზონთა შორის სასოებით წარმოთქმული სიტყვები. მისი გამოჩენა დიდი ამბავი იყო...

სერაფიმო-ზნამენსკოეს უდაბნოს მეზობლად გაშენებულ სავანეში ომის დაწყებისთანავე განათავსეს არმიის ერთ-ერთი მთავარი ჰოსპიტალი. აქ უკვე ფამარის ავტორიტეტი ჰოსპიტალის უფროსის ავტორიტეტსაც არ უდებდა ტოლს. 1914 წლის აგვისტოში ფრონტზე დაჭრილთა პირველი ეშელონი, რომელიც ჰოსპიტალმა მიიღო, შედგებოდა ეგრეთწოდებული „მეგრელთა პოლკის" ერთი ასაკის, გუშინ ერთნაირად ახოვან, დღეს კი დაუნდობლად დაგლეჯილ და დასახიჩრებულ ქართველ ვაჟკაც მხედართაგან. ფამარმა ყველაფერი იღონა მათ გადასარჩენად. რამდენიმე დღის განმავლობაში მათთვის ქირურგიული ოპერაციების ჩატარებისას ასისტენტობდა კიდეც.

იმ დღეებში არმიის მთავარსარდლობის დავალებით ჰოსპიტალს ესტუმრა გენერალი ი. ნაკაშიძე. იგი არ მოელოდა ფამართან შეხვედრას. გენერალს მოსწონდა სერაფიმო-ზნამენსკოეს უდაბნო, განცალკევებულად მდგარ მაღალ გორაკზე გაშენებულ ტყეთა შორის ციხესიმაგრის მსგავსი კედლებით გარშემორტყმული. მარიამ თევდორეს ასულისაგან იცოდა, რომ უდაბნო მოქმედებს საგანგებო წესდებით (ტიპიკონით), რომ უდაბნოს მისი დაარსებიდანვე (1912 წლიდან) წინამძღვრობს დიდი სასულიერო გამოცდილების მქონე დედა ფამარი. უდაბნოს ტაძრის ირგვლივ მდგარ პატარა სახლებში იმყოფებიან განდეგილი დები, სამ-სამი ყოველ სახლში. მათი საერთო რაოდენობაა 33. დათა შორის უხუცესთაგან სამს ექვემდებარება ათ-ათი განდეგილი და რომ დები საუბრობენ მხოლოდ უხუცეს სულიერ დასთან, ერთმანეთს შორის კი — საგანგებო ნიშნებით. ყოველ დას აქვს თავისი საკანი. დები უფლებამოკლებულნი არიან, ესტუმრონ ერთმანეთს საკანში. გარედან მოსულ ღვთისმოსავ ქალებს უფლება აქვთ უდაბნოში შევიდნენ მხოლოდ სადად ჩაცმულნი, თავსაკრავით. მამაკაცები ამ უფლებას მოკლებულნი არიან. სამარხვო დღეებში გარედან შემთხვევით მოსულ ღვთისმსახურ ქალთათვისაც კი უდაბნოს კარი დაგმანულია. ვადის გასვლის შემდეგ განდეგილი ქალები ნაღვლიანად აღებენ უდაბნოს კარს. ხანდახან დებს მორიგეობით უწევთ გარკვეული დანიშნულებით უდაბნოდან დროებით გასვლა, რაც მათთვის სასჯელის ტოლფასია.



განდეგილთა ღვთისმსახურება იწყება საღამოს თერთმეტ საათზე და მთავრდება ნაშუაღამევს, სამ საათზე. დილის ღვთიური ლიტურგია იწყება ექვს საათზე, საღამოს საერთო ღვთისმსახურება კი — წესდებით (ტიპიკონით) ნაჩვენებ საათებში, რომელიც სეზონური დროის მიხედვითაა დადგენილი. ლოცვა და მიწიერი ყოფისაგან სრული განდგომაა განდეგილთა ცხოვრების შინაარსი. მათზე ზრუნავენ უდაბნოს მახლობლად საგანგებოდ გაშენებული დედათა მონასტრის მონაზვნები.

სერაფიმო-ზნამენსკოეს უდაბნოს დიდხანს არ უარსებია. საბჭოთა ხელისუფლებამ იგი გააუქმა 1924 წელს. განდეგილი ქალები მიმოიფანტნენ. მოსკოვისა და

სრულიად რუსეთის პატრიარქის მხარდაჭერით ფამარს გამოუყვეს პატარა აგარაკი მოსკოვის მახლობლად, სოფელ პერხუშკოვოში.

საბჭოთა ორგანოების წარმომადგენელთა მიერ არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, ფამარმა ახალ საცხოვრებელშიც სცადა პატარა უდაბნოს მოწყობა, რაც ძვირად დაუჯდა. ბოლშევიკური რეპრესიების პირველი სუსხი იგემა ძირითადად იმ კავშირის გამო, რომელიც მას დაბრალდა 1924 წლის საქართველოში საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებულებთან.

ძნელია ახლა იმის დადგენა, თუ რა პოზიციაზე იდგა მაშინ დედა ფამარი [illegible] კი ცხადია: იგი არ თანაუგრძნობდა სოციალ-დემოკრატებს. პირიქით, როგორც უკვე [illegible] ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან მოჰყვებოდა. სურდა მათ წინააღმდეგ გალაშქრა, ეძებდა მოკავშირეს...

საქართველო? ნუთუ დაივიწყა მან სამშობლო? არა, ის ზრუნავდა საქართველოზე, სწორედ მის დასახსნელად ესაჭიროებოდა მოკავშირე, მაგრამ მოკავშირე არ ჩანდა...

## გადასახლება

რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია არ მიიღო. მეტიც, ანტაგონისტურად შეხვდა მას. 1918 წელს ეკატერინბურგსა და ალაპაევსკში მეფის ოჯახისა და ნათესავების ამოჟლეტის შემდეგ ბოლშევიკების წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ათობით ყველა გამორჩეულმა სასულიერო პირმა. ამას თან მოჰყვა მთავრობის მხრიდან სასტიკი რეპრესიები. ეკლესიას ბევრი მსახური დაეხოცა, უფრო მეტი საპატიმროებსა და გადასახლებებში აღმოჩნდა. დაიხურა სერაფიმო-ზნამენსკის განდეგილ ქალთა უდაბნო, მისი წინამძღვარი კი, როგორც უკვე ითქვა, ჯერჯერობით მოსკოვიდან არცთუ ისე შორს, პერხუშკოვოში გადაასახლეს.

თითქოს დაუჯერებელია, რომ ესოდენ სასტიკ დიქტატორულ რეჟიმს წინ აღუდგა მონასტრის წინამძღვარი და ისიც ქალი. მაგრამ დედა ფამარს სათნოებასთან ერთად ბუნებამ უხვად მისცა სიმართლისათვის ბრძოლის ნიჭი და გაქანება.

1927 წლის ოქტომბრის რევოლუციის მეათე წლისთავთან დაკავშირებით ზოგიერთი პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლეს, ბევრი დაბრუნდა გადასახლებიდან. ფამარმაც მოინდომა სერაფიმო-ზნამენსკოეში დაბრუნება. მაგრამ ამაოდ. ამჯერად მას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსული გლეხებისადმი თანაგრძნობა დაბრალდა, რის გამოც დააპატიმრეს და 1931 წელს ციმბირში გადაასახლეს.

## ძმა — კოტე მარჯანიშვილი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კოტე მარჯანიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და შეუდგა ახალი ქართული თეატრის შექმნას. ქართული საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით შეხვდა ლოპე-დე-ვეგას „ფუენტე ოვეხუნას" („ცხვრის წყარო") მარჯანიშვილისეულ დადგმას რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე 1922 წლის 25 ნოემბერს. შემოქმედებითი წარმატებები კოტე მარჯანიშვილს ძალ-ღონეს მატებდა, მაგრამ ახლობლები ამჩნევდნენ, რომ მას რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მოსვენებას არ აძლევდა. არავინ იცოდა, რაში იყო საქმე, კოტეც დუმდა.

იდგა მაისის მშვიდი, მზიანი, მაგრამ ჯერ კიდევ გრილი დილა. მარჯანიშვილის ბინას თბილისში საშუალო ასაკის ფერმკრთალი ქალი მიადგა. კარი ელენე დონაურმა გაუღო.

— ქალბატონო! ბოდიშს ვიხდი თქვენ წინაშე, მე... — წინადადების დამთავრებაც ვერ მოასწრო უცნობმა, რომ გაისმა დიასახლისის ლმობიერი ხმა:

— აქ მოიცადეთ! ახლავე მოვალ. — ის იყო, კარი უნდა მიეხურა და მოწყალების მოსატანად ბინაში დაბრუნებულიყო, რომ კვლავ გაისმა:

— ქალბატონო! მოწყალებისათვის არ მოვსულვარ. ბატონი კოტე მინდა ვნახო, — როგორც ჩანს, უცნობის ხმამ სასტუმრო ოთახშიც შეაღწია.

— მე ვარ კოტე. თქვენ ჩემი ნახვა გსურთ?

— დიახ, ბატონო!

— მობრძანდით! — კოტემ კარი ფართოდ გააღო. ელენე დონაური სტუმარს მისაღებ ოთახში შეუძღვა. დიასახლისმა მოიბოდიშა, რომ გადაუდებელი საქმის გამო იძულებულია სტუმარი მეუღლესთან მარტო დატოვოს.

— რამ შეგაწუხათ და რით შემიძლია გემსახუროთ? ჰკითხა კოტემ სტუმარს.

— მე ამქვეყნად აღარაფერი მაინტერესებს, გარდა ერთისა, მოვიხადო ჩემი მოქალაქეობრივი ვალი.

— მოქალაქეობრივი ვალი? მითხარით, რა ვალი გადევთ და ვის წინაშე დაგჭირდათ მისი მოხდა?

— მე ერთადერთი ვალი დამრჩა მოსახდელი, ვალი თქვენი დის წინაშე.

— ჩემი დის წინაშე? რომელი და გყავთ მხედველობაში?

— ვიცი, რომ გყავთ უფროსი და თამარი, მაგრამ ვაი იმ ყოფას, რომელშიც ახლა ისაა ჩავარდნილი.

კოტემ პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა.

— ქალბატონო! რაიმე დავალებით ხომ არა ხართ ჩემთან მოგზავნილი?

— დიახ! ღვთის დავალებით!

— ბრძანეთ, ქალბატონო, ბრძანეთ!

— მე ქუთაისის მახლობლად მდებარე მღვიმევის დედათა მონასტრის მონაზონმყოფილი ლოლუაშვილის ქალი გახლავართ ზემო იმერეთიდან. 1924 წლის გამოსვლების დამარცხებისთანავე დამაპატიმრეს. ბრალად დამდეს ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყებულთა საბრძოლო იარაღით მომარაგება, გაუსამართლებლად გადამასახლეს. ერთი წლის წინათ ჩვენთან ციმბირში მოიყვანეს სერაფიმო-ზნამენსკოეს განდეგილ ქალთა უდაბნოს წინამძღვარი, ყოვლად უწმინდესი იღუმენი თამარი...



კოტე მარჯანიშვილი

— წინადადების დამთავრებაც კი ვერ მოასწრო ქალმა, რომ კოტეს ფერი ეცვალა. ჯერ გაფითრდა, შემდეგ კი მთლად აენთო.

— თქვენ ამბობთ, რომ იცნობთ იღუმენ თამარს, ჩემს დას?

— დიახ! ვიცნობ დედა თამარს, ერისკაცობაში თამარ მარჯანიშვილს, რომელიც 1912 წლიდან მეთაურობდა განდეგილ ქალთა სერაფიმო-ზნამენსკოეს უდაბნოში მოსკოვის მახლობლად. მან საკუთარი ნიჭისა და უერთგულესი ღვთისმსახურების შედეგად სწრაფად მოიპოვა უსაზღვრო ავტორიტეტი და 1914 წელს იღუმენი გახდა. 1917 წელს ეშმაკეული წინ აღუდგა ღვთის განგებას და რუსეთს თავს დაატყდა უდიდესი უბედურება. ეკონომიკურად გაპარტახდა და ზნეობრივად დაეცა ერთ დროს უძლიერესი ქვეყანა. ყველა, ვინც კი წინ აღუდგა ბოროტებას, გაწირეს. არ დაინდეს ისეთი უწმინდესი ადამიანიც კი, როგორიცაა დედა თამარი.

— თქვენ ამბობთ, რომ ჩემი დის დავალებით მობრძანდით?

— ბატონო კოტე! ორი კვირაა, რაც გადასახლებიდან გამათავისუფლეს. თქვენმა დამ არც კი იცის, რომ გადავწყვიტე მომეძებნეთ. მთელმა მონასტერმა უწყის, როგორი გავლენიანი პიროვნება ბრძანდებით. გთხოვთ, იხსნათ თამარი განსაცდელისაგან. თქვენ ეს შეგიძლიათ! — წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, ლოლუაშვილის ქალი ფეხზე წამოდგა, მარჯვენა ხელით გადაწერა კოტეს პირჯვარი და დალოცა — ღმერთი იყოს თქვენი შემწე ამ საქმეში! — სტუმარმა მარჯანიშვილების ბინა ისე სწრაფად დატოვა, რომ კოტემ მადლობის თქმაც კი ვერ მოასწრო.

1932 წლის ზაფხულში, მოსკოვში ყოფნისას, კოტე მარჯანიშვილმა საგანგებოდ მოინახულა განათლების სახალხო კომისარი ანატოლი ლუნაჩარსკი. საიდუმლოდ გაანდო მას, რომ ჰყავს სამი წლით უფროსი და — თამარი, რომლის ბედიც მას ძალზე აღელვებს.

ლუნაჩარსკი შეაწუხა კოტე მარჯანიშვილის გულახდილმა საუბარმა. არ დაუმალა მდგომარეობის სირთულე, თუმცა კი აღუთქვა დახმარება „შესაძლებლობის ფარგლებში". სამწუხაროდ, ეს „ფარგლები" საკმაოდ ვიწრო აღმოჩნდა. სერგო ორჯონიკიძემ, რომლის იმედითაც ლუნაჩარსკი მოქმედებდა, კატეგორიული წინააღმდეგობა გაუწია თამარის გადასახლებიდან დაბრუნებას, უფრო მეტიც, უთქვამს: „გადაეცით რეჟისორ მარჯანოვს, რომ ურჩევნია სრულიად დაივიწყოს, და რომ ჰყავს."

კოტე დაბრუნდა თბილისში. მეორე ქართული დრამატული თეატრი მისი ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ აგვირგვინებდა თავის პირველ თეატრალურ სეზონს ქუთაისიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ. წარმატებებით აღსავსე კოტეს მაინც არ შორდებოდა სევდა. მოსიყვარულე ელენე დონაურმა აღარ იცოდა, რა გზით დახმარებოდა მეუღლეს.

1931 წლის აპრილში სამკურნალო მიზნებით ხანგრძლივად გერმანიაში მყოფი მეუღლის სამშობლოში დაბრუნებით გამოწვეულმა სიხარულმა თითქოს გაახალგაზრდავა კოტე. პოლიტიკისაგან შორს მდგარი მათემატიკოსი მეუღლე საიმედო მდგომარეობაში იყო და ენერგიულად შეუდგა ახალ თეატრალურ პროექტებზე ფიქრს. სულიერი სიმშვიდის ეს პერიოდიც მისთვის, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა ხანგრძლივი.

კონსტანტინე მარჯანიშვილი მიჩნეული იყო რუსული სცენის წამყვან რეჟისორად [illegible] სამშობლოში დაბრუნებამდე. საქართველოში მოღვაწეობის არცერთ ისე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მან წარმატებით განახორციელა არაერთი ახალი დადგმა მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრებში. 1932 წლის შემოდგომიდან დაწყებული კოტე მარჯანიშვილი საგანგებო მიწვევით ამზადებდა „დონ კარლოსს" მოსკოვის მცირე თეატრის, ხოლო „ლეტუჩაიას" („მფრინავ თაგვს") ოპერეტის თეატრის სცენაზე დასადგმელად. ამ საქმეში მას გვერდში ედგნენ თეატრალური მხატვრობის შესანიშნავი ოსტატი ელენე ახვლედიანი და გამოჩენილი თეატრალური მუსიკოსი თამარ ვახვახიშვილი, რეჟისურაში კი ასისტენტობდნენ დავით მაჭავარიანი და სერგო ჭელიძე. კოტე მოსკოვში ჯანმრთელობას თითქმის აღარ უჩიოდა, მაგრამ მას მუდამ თან სდევდა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი დასის ბედზე წუხილი.

კოტე მარჯანიშვილმა გადაწყვიტა მიემართა საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის აბელ ენუქიძისათვის, რომელიც ცნობილი ყურადღებით ადევნებდა თვალს შემოქმედებითი კავშირების საქმიანობას. იგი აღფრთოვანებული იყო ქართული თეატრალური ხელოვნების მიღწევებით, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის ფანტაზიით. პირადადაც კარგად იცნობდა კოტე მარჯანიშვილს. ენუქიძე ჯერ კიდევ გასულ წელს შეიყვანა ლუნაჩარსკიმ კოტეს სულიერი განცდების კურსში. ახლა კი უკანასკნელი შეხვედრის დროს მან მარჯანიშვილს უთხრა: „ჩემო კოტე! როცა წვიმს, ღია ცისქვეშ ყველა ერთნაირად სველდება უქოლგობის შემთხვევაში. მესმის, თამარის მდგომარეობა როგორ გაწუხებს. შევეცდები, რაიმე ვიღონო, მაგრამ სჯობს ამის თაობაზე ჩემთან შეხვედრებს მოერიდო. მე უკვე პოლიტიკურად სანდოდ აღარ მცნობენ და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფები. საქმის კურსში შეიყვანე ანატოლი ლუნაჩარსკი და მისგან ყველაფერს შეიტყობ."

ამ სიტყვებმა კოტე თითქოს დაამშვიდა, მაგრამ არცთუ ისე დიდი ხნით. მალე პარტიისა და ხელისუფლების სახელით საგანგებოდ შეთითხნილი „პოლიტიკური" ბრალდებები წაუყენეს ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრ ნიჭიერ მოღვაწეს. მათ შორის კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა კოტეს სახელგანთქმული კოლეგა და მეგობარი ვსევოლოდ მეიერხოლდიც.

კოტემ იცოდა, რომ საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ წლებში თეატრალური შემოქმედების წამყვანი თემატიკა თანამედროვეობის ამსახველი უნდა ყოფილიყო. ოცდაათიან წლებში კი კლასიკური ხელოვნების უარყოფა მას ბოროტებად მიაჩნდა. ერთი შეხედვით, გარეგნულად მაინც, „დონ კარლოსსა" და „ლეტუჩაიას" თანამედროვეობასთან უშუალო კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ ეს იყო და არის ჭეშმარიტი ხელოვნება. თანაც სჯეროდა, რომ ქართულმა თეატრმა რევოლუციის წინაშე ხარკი უკვე გადაიხადა „ჩვენი ოქროფენიასა" და „ანზორის" დადგმით.

1933 წელი... „დონ კარლოსის" დადგმის ყველა სამზადისი წარმატებით მიმდინარეობდა. დღე-დღეზე ელოდნენ გენერალურ რეპეტიციას... 16 აპრილს, საღამოს, ლუნაჩარსკიმ კოტე მარჯანიშვილი ბინაზე მიიწვია. 17 აპრილის გამთენიისას კოტე მარჯანიშვილმა თავისი ავტომანქანით გაისეირნა. არავინ იცის, თუ რა მიზეზით გაგრძელდა თითქმის დილამდე შეხვედრა საბჭოთა სახელმწიფოს განათლების სახალხო კომისართან... სასტუმროსაკენ მიმავალი კოტე მარჯანიშვილი მანქანაში გარდაიცვალა.

ქართველ ერთან ერთად ამ უბედურებას დიდი მწუხარებით შეხვდა საბჭოთა კავშირის თეატრალური საზოგადოება. გულისტკივილი და სამძიმარი გამოთქვეს აბელ ენუქიძემ და ანატოლი ლუნაჩარსკიმ. კოტეს ცხედართან გამოთხოვების შემდეგ მოსკოვის კრემატორიუმიდან ორივე ერთი მსუბუქი ავტომანქანით დაბრუნებულა. გზაში ენუქიძეს უთქვამს ლუნაჩარსკისათვის: „ანატოლი ვასილის ძევ! გამოდის, რომ მე და შენ გავხდით კოტეს დაღუპვის მიზეზი. კარგად იცი, ჩვენს თავზე რა უბედურებაც ტრიალებს. არც ჩემი საქმე მიდის კარგად, მაგრამ პირობას გაძლევ, თამარს გადასახლებიდან დავაბრუნებ." მოგვიანებით ეს სიტყვები შინსახკომში დაკითხვისას გაუმეორებია ენუქიძის მანქანის მძღოლს.

## განთავისუფლება

გადასახლებაში ყოფნის პირველი წლის განმავლობაში ოფიციალური მეთვალყურეთა დამოკიდებულება ფამარისადმი აშკარად მტრული იყო. სიცივესა და შიმშილში კვლავ თავი იჩინა ახალგაზრდობისდროინდელმა სენმა. ყელის ტუბერკულოზმა სუნთქვისა და კვების შესაძლებლობა მოუსპო დედა ფამარს.

1933 წლის ზაფხულიდან ფამარისადმი დამოკიდებულება სასიკეთოდ შეიცვალა. მისი გარდაცვალებისა გამო მოუსვენრობის კიდეც. საგულისხმოა, რომ ამელ ცნობილმა მოახერხა შეესრულებინა ლიტანარისკაიათვის მიცემული პირობა.

1934 წლის გაზაფხულზე ფამარი გაათავისუფლეს გადასახლებიდან. დედა ფამარმა [illegible] ბინა დაიდო სადგურ პოპრისკაიას (ბელორუსიის რკინიგზის მიმართულებით) მახლობლად მდებარე პატარა ქოხში. ჯანმრთელობაგამოფიტული ქალი 1936 წლის 23 ივნისს, 67 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თავის დროზე ალბათ ბევრი აღიარებული შეხვდა თამარ მარჯანიშვილს — ლამაზი, ნიჭიერი, განათლებული სასულიერო მოღვაწის ასეთ აღსასრულს. მართალია, მას პირადი შთამომავალი არ დარჩენია, მაგრამ უნაყოფოს ვერ ვუწოდებთ მის მეტწილად მარტოობაში გატარებულ სიცოცხლეს. ის იყო ერისკაცობაშიც და მონაზვნობაშიც აქტიური პოლიტიკური მებრძოლი. საქართველოს თავისუფლებაზე მეოცნებე პატრიოტი იზიარებდა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრინციპებს, იყო მისი მიმდევარი. ევროპაშემოვლილმა ქალმა იცოდა კულტურული, კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი ცხოვრების არსი. ოცნებობდა ასეთივე ცხოვრებას საკუთარი სამშობლოსთვის. მას, რა თქმა უნდა, ჰყავდა თანამებრძოლებიც, რომელთა რიგებს მიეკუთვნებოდა მისი გულითადი მეგობარი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი.

## „უყვარდა სამშობლო, მონაზვნები და ბავშვები"...

დედა ფამარის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დღემდე მოღწეული ცნობები ძალზე მწირია. ვრცელ ტრაქტატში „რუსეთის მართლმადიდებელი მონაზვნობა XVIII-XX საუკუნეებში" (აშშ, ჯორდანვილი, 1985 წ.) მონაზონმა ტაისიამ მას სულ რამდენიმე წინადადება უძღვნა.

1989 წელს დედა ფამარის შესახებ უცხოეთში რუსულ ენაზე დაისტამბა მონაზონ სერაფიმას ბროშურა. როგორც თავად წერს, ავტორი იცნობდა ფამარს მისი პეტერბურგული ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში. იღუმენის დაპატიმრებამდე იგი ემიგრაციაში (საფრანგეთში) წავიდა და იქ გააგრძელა სასულიერო მოღვაწეობა. ცნობები, რომლებიც მას მოჰყავს, გარკვეულად თითქოს დოკუმენტური წყაროებიდანაა აღებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ფამარის წერილებს ახლავს მხოლოდ თარიღი (უმისამართოდ). აი მაგალითად:

[illegible], 26 აპრილი, 1933 წ.

მადლობა ჩემი ანგელოზის დღის მოლოცვისათვის. გუშინ მივიღე დაწვრილებითი ცნობები ჩემი ძმის კონსტანტინე ალექსანდრეს ძის გარდაცვალების შესახებ. ადრე მწერდნენ, რომ ის შეუძლოდ იყო. მიიხვდებოდნენ სინამდვილეს. ვწუხვარ, რა თქმა უნდა, თუმცა ვხვდები, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ადამიანისათვის აუცილებელი ამქვეყნიდან გადასახლება. ბევრ რამეს მიანიშნებს ის ფაქტი, რომ კონსტანტინე ალექსანდრეს ძე აღესრულა აღდგომის მეორე დღეს. ამაში მაინც აღმოაჩნდა ჩემს ძმას ბედი.

მწერთ, რომ თქვენთან უკვე მოვიდა კვირი გადასახლებულთა დასაბრუნებლად. მეც ველოდები ამ დღეს. ო, როგორ მინდა ვიხილო ჩემი ახლობლებიდან ვინმე!

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

დედა ფამარი.

[illegible], 14/27 ოქტომბერი, 1934 წ.

დიდად ვემადლი ყოვლადსამღვდელო მამა სერაფიმს, რომელიც სასწაულებრივ მომევლინა ჩემი ცხოვრების მძიმე წუთებში და მაჩუქა ღვთიური ჭეშმარიტებანი. არ ვიცი, ვისგანა ვარ დავალებული გადასახლებაში ჩემი ხვედრის შემსუბუქებაში. ვცხოვრობ ახლა ამ პატარა ქოხში ბელორუსიის რკინიგზის სადგურ პოპრისკაიას მახლობლად და აქედან [illegible] კი არ მინდა, თუმცა ისიც ვიცი, რომ ამის საშუალებას არ მომცემენ.

რა ვთქვა ჩემს თავზე? სიმშვიდით და ტანჯვით ისე ავიტანე ამქვეყნიური ცხოვრება, რომ მხოლოდ სიცოცხლეღა შემრჩა. აი, ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, ჩემი აზრი და გრძნობები თითქოს ყველაფერით სავსეა და თანაც ცარიელი.

დედა ფამარი.

უთუოდ დაეჯერება მონაზონ სერაფიმას: „დედა ფამარი იყო ტანად დაბალი, ოდნავ გამხდარი და თანაც უზარმაზარი ნებისყოფის ადამიანი. კანი მას ჰქონდა თეთრი, ხელები ლამაზი, თვალები შავი, ელვარე, მაგრამ ლოცვის დროს მიბნედილი. უყვარდა სამშობლო, მონაზვნები და ბავშვები...“

## ინფორმაცია განსჯისათვის

დიდ რელიგიურ სადღესასწაულო თარიღებთან დაკავშირებით მართლმადიდებელი ეკლესია ახდენს განსაკუთრებული დამსახურების სასულიერო პირთა კანონიზაციას, ანუ წმინდანად შერაცხვას.



წმ. იოანე კრონშტადტელი ([illegible])

რუსეთის მართლმადიდებლურმა საეკლესიო კრებამ („სობორომ“) რუსეთის ქრისტეს სარწმუნოებაზე მოქცევის ათასი წლისთავის ზეიმის დღეებში წმინდანად შერაცხა მხატვარი ანდრეი რუბლიოვი. 1990 წლის 14 ივნისს კი სრულიად რუსეთისა და მოსკოვის უწმინდეს პატრიარქად ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტის ალექსის არჩევასთან დაკავშირებით საეკლესიო ყრილობის მოსამზადებელმა კომისიამ განიხილა სქიიღუმენ ფამარისა და მამა იოანე კრონშტადტელის კანონიზაციის საკითხი.

იოანე კრონშტადტელის შესახებ საზღვარგარეთ გამოქვეყნდა მწერალ ბორის ზაიცევის რამდენიმე ვრცელი წერილი. იგი ავტორს კალუგის გიმნაზიაში საღმრთო სჯულს ასწავლიდა. „მამა იოანე კრონშტადტელი გვაფრთხილებდა, რომ „უწმინდურება შემუსრავს კეთილმეფობას და მოგვიელის საშინელებას სისხლითა და ცრემლით“... ახლაც თვალწინ მიდგას მამა იოანე ღვთისკენ ზეციური კიბით მიმავალი ისე, თითქოს ადიოდეს კალუგაში ჩვენი გიმნაზიის კიბეზე...“

იოანე კრონშტადტელი რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა...

დედა ფამარს პატივი ასცდა...

საეკლესიო კრების მოსამზადებელი კომისიის გადაწყვეტილებაში ნათქვამია:

„სქიიღუმენი ფამარ, ერისკაცობაში თამარ ალექსანდრეს ასული მარჯანოვა, მართლმადიდებელი ქრისტიანი, წარმოშობით ქართველი. 1912 წელს მისი თაოსნობით დაარსდა განდეგილ ქალთა სერაფიმო-ზნამენსკის უდაბნო, რომელსაც ის თორმეტი წლის განმავლობაში წინამძღვრობდა. სასახელოდ განვლო მონაზვნური ღვთისმსახურება იერარქიის უმაღლეს საფეხურამდე. დამსახურებულად სარგებლობდა პატივისცემითა და დიდებით, მაგრამ ჩვენთვის უცნობია მისი ადრინდელი სამოქალაქო ცხოვრება. ამის გამო კომისია მოკლებულია შესაძლებლობას, მისცეს დედა ფამარს საკანონიზაციო რეკომენდაცია“...

P. S. გამოჩენილმა რუსმა მხატვარმა პაველ კორინმა შექმნა ფამარის შესანიშნავი პორტრეტი, რომელიც ტრეტიაკოვის სურათების გალერეაში ინახება (სერიით „Русь уходящая“). ხელოვანს კარგად გადმოუცია ფამარის შთამბეჭდავი სახე.*

1990 წელი

* პაველ კორინს სერიით „Русь уходящая“ დახატული ჰყავს XX საუკუნის I ნახევრის რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის თითქმის ყველა გამოჩენილი იერარქი, მათ შორის დედა ფამარიც („Схиигуменья матушка Фомарь“). აღნიშნული პორტრეტის რეპროდუქციის მოძიებაში დაგვეხმარა ახალგაზრდა ბიბლიოფილი ლევან თათარაშვილი, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას (რედ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა საქართველოში

მართლმადიდებლური ქრისტიანობის და მისი მატარებლის, მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია საქართველოში, თავისი შინაგანი და გარეგანი მდგომარეობითა და გარე-სამყაროსადმი ზეგავლენით, ხასიათით და დროის ხანგრძლივობით სავსებით განსხვავებულ ოთხ ძირითად ეტაპს მოიცავს.

პირველი ეტაპი — ყველაზე ხანგრძლივი, IV საუკუნიდან XVIII-XIX საუკუნის მიჯნამდე გრძელდება. მას შეიძლება ეწოდოს: „საეკლესიო ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოში“.

ამ პერიოდში საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მოიპოვა ავტოკეფალია, საკუთარი კათალიკოს-პატრიარქის არჩევა დაიწყო. რამოდენიმეჯერ აღზევდა იგი და განიწმინდა უღირს მღვდელთმსახურთაგან, განსაკუთრებით ვახტანგ გორგასლანის, დავით აღმაშენებლისა და თამარის ხანაში.

მეორე ეტაპი საქართველოს ეკლესიის ისტორიისა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან 1918 წლამდე გრძელდება და მოიცავს საქართველოს ისტორიას, როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალი გუბერნიის პერიოდს. იმჟამად, რუსეთის მიერ რუსეთ-საქართველოს 1783 წლის დადებული შეთანხმების ხელყოფისა გამო, საქართველო ძალმომრეულად შეუერთდა რუსეთის იმპერიას და სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან ერთად საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამაც დაკარგა დამოუკიდებლობა, ავტოკეფალია. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ნაცვლად მას რუსი ეგზარხოსი მართავდა.

მესამე ეტაპი საქართველოს ეკლესიის ისტორიისა ყველაზე ხანმოკლეა. 1918 წელს, ორი რევოლუციის შედეგად რუსეთის იმპერია დაეცა და მის ნანგრევებზე საქართველომ კვლავ დაიბრუნა დამოუკიდებლობა, აღიდგინა სახელმწიფოებრიობა. საქართველოს ეკლესიამ კი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მოიპოვა ავტოკეფალია, რითაც დაამტკიცა, რომ მუდამ იყო და არის ერთიანი, სუვერენული საქართველოს იდეის გამომხატველი. რუსეთის დროებითი მთავრობისა და სინოდის წინააღმდეგობის მიუხედავად, რომლებიც საქართველოს ეკლესიის არა ტერიტორიულ, არამედ მარტოოდენ ნაციონალურ ავტოკეფალიაზე აცხადებდნენ თანხმობას, საქართველოს საეკლესიო მოღვაწეებმა — კირიონ საძაგლიშვილმა და ლეონიდე ოქროპირიძემ საქართველოს ეკლესიის ტერიტორიალური ავტოკეფალია გამოაცხადეს, რითაც თავის ყველა უფლებაში აღადგინეს მისი უკანონოდ წართმეული დამოუკიდებლობა. ამით მღვდელთმსახურებმა ბრწყინვალე მაგალითი მისცეს იმჟამინდელ პოლიტიკურ მოღვაწეებს და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება მოამზადეს. ეპისკოპოს კირიონის კათალიკოს-პატრიარქად კურთხევისას მცხეთაში, 1917 წლის 1 ოქტომბერს შემთხვევით როდი წარმოთქვა მრავალრიცხოვან თანამემამულეთა წინაშე მღვდელმა ბ. ჯაფარიძემ შემდეგი სიტყვები:

„საქართველომ, საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ფაქტიურად პოლიტიკური თვითგამორკვევაც უნდა განახორციელოს.“ მღვდელთმსახურთა ქმედება მალე კულტურტრეგერებისათვისაც მაგალითად იქცა, რომელთაც 1918 წლის 26 იანვარს საქართველოს დამოუკიდებელი კულტურის კერა, თბილისის უნივერსიტეტი დააარსეს.

მხოლოდ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საქართველოს ნაციონალური საბჭოს მიერ.

ასე რომ, საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირველ მერცხლად, მის მესაყვირედ საქართველოს ეკლესია იქცა. თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტს მამულის მტრები, ჩანს იქიდან, რომ ავტოკეფალიის გამოცხადებისთანავე მისი მთავარი მომპოვებელი, კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II ვერაგულად იქნა მოკლული მარტყოფის მონასტერში დაუდგენელი ტერორისტების მიერ.

საქართველოს ეკლესიის მეოთხე პერიოდი გასაბჭოებისთანავე, 1921 წლიდან იწყება და გრძელდება დღემდე. მისი ბედი და მდგომარეობა ასევე არ გახლავთ ერთფეროვანი. მეთერთმეტე არმიის შემოჭრამ რუსეთიდან აზერბაიჯანის გავლით, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაუქმებამ და ძალმომრეობამ, რითაც იგი სსრკ-ს შემადგენლობაში იქნა შეყვანილი, ქართულ საზოგადოებაში საპროტესტო რეაქციის ქარიშხალი გამოიწვია, რაშიც უკანასკნელ როლს როდი თამაშობდა საქართველოს

ეკლესია. 1922 წელს, საქართველოს კათალიკოსმა ამბროსი ხელაიამ თხოვნით მიმართა გენუაში ჩატარებულ ხალხთა საერთაშორისო კონფერენციას, საქართველოს ბედ-იღბლისათვის მიეხედა. საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარის გაყვანას, უცხო თესლის ძალმომრეული „მფარველობისაგან" სახალხო საგანძურის დაცვას, ნაციონალურ დამოუკიდებლობას მოითხოვდა იგი, ეროვნული ხასიათის, ზნე-ჩვეულებებისა და კულტურის შესატყვისი პოლიტიკურ-სოციალური წყობის დამყარებას. საუბრობდა ეკლესიის მძიმე მდგომარეობაზე, რელიგიის დევნაზე, სინდისის თავისუფლების ხელყოფაზე. ამ მიმართვისათვის კათალიკოსი ამბროსი დააპატიმრეს და დიდხანს ამყოფეს საპყრობილეში. ცნობილია სასამართლოზე ნათქვამი მისი ფრთიანი სიტყვები: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული — საქართველოს, ხოლო გვამი — თქვენ გქონდეთ, ჯალათებო." მის გარდა მემორანდუმს ხელი მოაწერეს ეკლესიის მსახურებმა კალისტრატე ცინცაძემ და თოთიბაძემ, რის გამოც რამდენიმე ხანი პატიმრობაში იმყოფებოდნენ.

უნდა აღინიშნოს: გასაბჭოების შემდეგ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია არ დაუკარგავს. მებრძოლი ათეიზმი თუმცა არ დაინტერესებულა ეგოდენ კერძო საკითხებით, მაგრამ რელიგიის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა მისი სამოქმედო პროგრამის უმთავრეს პუნქტად იქცა. საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებით მარტოოდენ რუსეთის შოვინისტურად განწყობილი სინოდი არ იყო კმაყოფილი, რომელიც ორმოციან წლებამდე არ სცნობდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას. მხოლოდ 1943 წელს აღდგა კავშირი რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის, ხოლო 1945 წელს, რუსეთის ეკლესიამ პირველად სცნო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და შესაბამის ეპისტოლეებში აუწყა ამის შესახებ აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქებს.

გასაბჭოებისთანავე ქართული ეკლესია უმძიმესი, ჯერ არნახული განსაცდელის წინაშე დადგა. იმხანად რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა როდი ამოიწურებოდა ანტირელიგიური პროპაგანდითა და მატერიალიზმის ქება-დიდებით. იდეოლოგიის, პრესისა და ტრიბუნის გარდა მთელი ძალით მოქმედებდნენ დამსჯელი ორგანოები, ღვთისმსახურთა ფიზიკურ განადგურებასაც რომ არ ერიდებოდნენ. ზოგჯერ რელიგიასთან ბრძოლის ლოზუნგით ისინი აწამებდნენ მღვდელთმსახურებს, ცხვირის საკრეჭი მაკრატლით აჭრიდნენ ცხვირს, ყურებს, უსვებდნენ თვალებს. ამ საუკუნის ოციან წლებში, ფანატიურად განწყობილმა კომუნისტებმა დახვრიტეს ქ. ქუთაისის ალექსანდრე ნევსკის ეკლესიის წინამძღვარი, მიტროპოლიტი ნაზარ ლეჟავა, კაცი ღირსეული და ზნემაღალი. სიკვდილის წინ იგი ლოცავდა ჯარისკაცებს, რომლებსაც მისმა სპეტაკმა და სხივმოსილმა სახემ ისეთი მოწიწება აღძრა, რომ ცრემლმორეულებს ხელები აუკანკალდათ. „ნუ გეშინიათ, ისროლეთ, ბიჭებო", ამხნევებდა და ლოცავდა იგი მათ. მცირეოდენი შემთხვევები თუ არის ფიქსირებული დამსჯელთა აღვირახსნილობისა და იმ წინააღმდეგობის, ძლიერი და უშიშარი ბუნების ღვთისმსახურნი რომ უწევდნენ მათ. მაგალითად, აწ გარდაცვლილ ლევან ტყლაშაძეს, შემდეგ თბილისის სამების ეკლესიის მღვდელი რომ გახდა, უბრძანეს, გაეხადა ანაფორა. იგი აწამეს, ცხენს გამოაბეს და დიდხანს ათრიეს, მაგრამ ვერ გატეხეს.

მღვდელს სოფელ ეწერბამიდან, იოსებ ნაცვლიშვილს, 1924 წელს მრევლის წინაშე ანაფორის გახდა და სარწმუნოების უარყოფა შესთავაზეს. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დახვრეტით ემუქრებოდნენ. სულის უდრეკობამ მისი მოძალადენი განაწყენა. ჯვარშემართული გამოვიდა იგი მრევლის წინაშე და ცეცხლოვანი სიტყვით სარწმუნოებაზე მტკიცედ დგომა უანდერძა მას. საკუთარი ხელით გაათხრევინეს საფლავი და სხვა ტუსაღებთან ერთად დახვრიტეს საფიჩხიაზე, ქუთაისის გარეუბანში. სულის ამგვარი სიმტკიცისა და მოწამეობრიობისათვის უწინ ეკლესია წმინდანად რაცხდა და დიდსაც. საბჭოთა პერიოდში რწმენისათვის წამებულთაგან როდესმე ჩვენში უთუოდ შეირაცხება ვინმე წმინდანად. იმჟამად მრავალ მღვდელთმსახურს აპატიმრებდნენ და იძულებით კრეჭდნენ, აფეთქებდნენ და ანგრევდნენ ეკლესიებს, გუმბათებიდან ხსნიდნენ ჯვრებს, კრძალავდნენ ღმრთისმსახურებას, ეკლესიებს საწყობებად იყენებდნენ. ზოგიერთ კომუნისტსა და კომკავშირელს ხატები გამოჰქონდა ეკლესიიდან, სხვების დასანახად ჭრიდა, ან ხვრეტდა მათ რევოლვერით. თან გაჰყვიროდა: „თუ ღმერთი არსებობს, დამ, დამსაჯოს." მაგალითად, გურიაში, სოფელ ცხემში არსებული ეროსთავების ეკლესიიდან კომკავშირლებმა გამოიტანეს სასწაულმოქმედი ხატი „ლომისკარილი" და რაიონის ცენტრში, ჩოხატაურში წაასვენეს, სადაც იგი რევოლვერით დაცხრილა აგიტატორმა, შემდგომში ცკ-ს წევრმა, თენგიზ ჟღენტმა, რომელმაც სულ მალე იმავე რევოლვერით მოიკლა თავი. აგრეთვე მოიკლა თავი ხატების შეურაცხმყოფელმა კომუნისტმა, ალექსანდრე გვაცჯკორმა.

ჯერ კიდევ 1964 წელს, ზედაზნის მონასტერში ესვენა კომუნისტებისა და უსულგულო ათეისტების მიერ დანით უმოწყალოდ დაჭრილი და ტყვიით დაცხრილული უამრავი ხატი, მორწმუნეების მიერ რუდუნებით შეგროვებული და გულმოდგინედ დაკემსილი. მძიმე, უსიამოვნო განცდებს იწვევდა იმათი ჭვრეტა, ბოლოს 60-იანი წლების ხელმძღვანელობამ რესპუბლიკისა სადღაც გადამალა გასაბჭოების შემდგომი ვანდალიზმის ეს დამადასტურებელი საგნები.

ამ საუკუნის იმავე ოციან წლებში მხეცურად შეურაცხყვეს არგვეთელი მთავრების, ქართველი წმინდანების, დავით და კონსტანტინე მხეიძეების წმინდა ნაწილები — ძვლები მოწამეთის ტაძრიდან,

რომლებიც დააწყვეს ურემზე და ხალხის საჩვენებლად დაატარებდნენ ქუთაისსა და მის შემოგარენში. შემდეგ ისინი რიონში გადაყარეს, მაგრამ მორწმუნეებმა იპოვეს და გამოიტანეს იქიდან. ამ ულირს საქმიანობაში განსაკუთრებულ აქტივობას კომუნისტი ვალია ბახტაძე იჩენდა, რომელიც შემდგომ ისევ თავისიანებმა დახვრიტეს. აი, როგორ ეწეოდნენ ანტირელიგიურ პროპაგანდას, შეურაცხყოფდნენ რა ქართველებისათვის წმინდათა წმინდას, იმ გმირთა წმინდა ნაწილებს, ვაჟკაცურად რომ ეწირებოდნენ არაბ დამპყრობლებს ქრისტიანული სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის თავდადებულნი. ეს ნაწილები გადაარჩინა ქუთაისის მუზეუმის დირექტორმა ტრიფონ ჯაფარიძემ. მან ჯერ მუზეუმში [illegible], ხოლო შედარებით მშვიდობიანი დროის დადგომისთანავე კვლავ მოწამეთაში დააბრუნა [illegible]

1937 წელს, დახვრეტებისა და დაჭერების, აგრეთვე ათეისტური ხუთწლედის ორომტრიალში, როდესაც მიზნად რაც შეიძლება მეტი ეკლესიის დახურვა განიზრახეს, რათა აღარ აღვლენილიყო სარ-ში სახელი ღვთისა, უფლისა ჩვენისა ბაგეთაგან კაცთა, სამღვდელოებასაც დაუნდობლად აპატიმრებდნენ. დააპატიმრეს სიონის ტაძრის პროტოიერეი მიხეილი (ნაცვლიშვილი), რომელიც უკვალოდ დაიკარგა. უკვალოდ დაიკარგა იმავე წელს დაპატიმრებული პროტოპრესვიტერი ალექსანდრე ნეველის ეკლესიისა იოანე (სმირნოვი). დიდხანს სტანჯეს ციხეში იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის პროტოპრესვიტერი იოანე (ლაზოვი), მიტროპოლიტი ეფრემი (შემდგომში კათალიკოსი ეფრემ II), დიაკვანი ამბროსი (ხოზაძე). დიაკვანი ამბროსი თითქმის 7 წელი იჯდა (1937-1943 წწ.) სვერდლოვსკის კოლონიაში, ურალ ტაიგაში რომ მდებარეობდა. გამოძიებაზე მას წიხლებს სთავაზობდნენ სახეში, გახურებული შანთით აწამებდნენ, რის გამოც დაუზიანდა მარცხენა ხელი და ეპილეფსიით დაავადდა. თუმცა იმ პერიოდის რეპრესიები სიკვდილის შემდეგ მხოლოდ სტალინს შეახოცეს, რის შედეგადაც შეწყდა პოლიტიკით მოტივირებული განუწყვეტელი დაჭერები სასულიერო პირებისა, მაგრამ საეკლესიო საქმეებში სახელმწიფოს ფარული ჩარევა ოდნავადაც არ შენელებულა, თუმცა ოფიციალურად ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. სახელმწიფოს ამგვარი ჩარევა ვრცელდებოდა თავად ღვთისმსახურთა კურთხევაზე და თვით სასულიერო სემინარიის მისაღებ გამოცდებზე მათი მთანაფიქრისათვის შესატყვისი კონტინგენტის შერჩევის მიზნით. მიზანი კი გახლდათ მრევლზე ზემოქმედება მათ მიერ შერჩეულ ღვთისმსახურთა ურწმუნოებისა და ამორალიზმის მეოხებით, რასაც ნაწილობრივ აღწევდნენ კიდეც. რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს მეთოდად სტალინის შემდგომ პერიოდში რელიგიური დღე-



სასწაულების წინააღმდეგ მასიური ღონისძიებების ჩატარება მიიჩნეოდა. ჯერ კიდევ 70-იან წლებში, რელიგიური დღესასწაულების დროს, განსაკუთრებით აღდგომა ღამეს, კომკავშირის, რაიკომისა და მილიციის მუშაკების მიერ ტარდებოდა თავისებური ადმინისტრაციული რეიდები ღმრთისმსახურებაზე დასასწრებად მოსული მორწმუნეების წინააღმდეგ. აღდგომა ქართველი ხალხის უსაყვარლესი დღესასწაულია, რამეთუ იგი ქრისტიანული რელიგიის ძირეულ, გარდამწყვეტ მომენტს წარმოადგენს. სიცოცხლის სიკვდილზე, ხოლო ნათლის ბნელზე გამარჯვება, აი, რა აღავსებს იმედით და განმსჭვალავს ოპტიმიზმით როგორც სახარებას, ქრისტეს ცხოვრებისა და ქმედების ამ დიად ეპოპეას, [illegible] ქრისტიანობის მთელს ევოლუციას. ქართველი ხალხი განსაკუთრებით გრძნობს აღდგომის დღესასწაულზე [illegible] უკვდავების იმპულსებს და ამადაც აღდგომა ღამით აწყდება ევროდენი გულმოდგინებით ეკლესიათა კარიბჭესა და შემოგარენს ლიტურღიის მოსასმენად. ქართულმა ეკლესიამ არ იცის სხვა უფრო მრავალრიცხოვანი დღესასწაული. კარგად უწყოდნენ რა ყოველივე ეს, ეკლესიის მოწინააღმდეგენი სწორედ ამ დღეს ძაბავდნენ მთელს ყურადღებას. კომკავშირის, პარტიისა და მილიციის გადაცმული მუშაკები აკავებდნენ ლიტურღიაზე მოსულ ახალგაზრდებს და მიჰყავდათ ეკლესიების მახლობლად მოწყობილ სპეციალურ შტაბში. იქ მათ აშინებდნენ, იწერდნენ სახლის მისამართს, სამსახურის ტელეფონის ნომერს, მეორე დღეს მათ სახელებს გაზეთებშიც აქვეყნებდნენ და დასძენდნენ: „თუმცა საბჭოთა კონსტიტუცია სინდისის თავისუფლებისათვის ღაღადებს, მაგრამ ჩვენ ვერ შევურიგდებით რელიგიურ დღესასწაულებში ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი კომკავშირლების მონაწილეობას." როგორც ჩანს, ამგვარ სტატიათა ავტორებს საბჭოურ კონსტიტუციაში კორექტივის შეტანა განუზრახავთ, სადაც განურჩევლად ცხადდება ყველასათვის სინდისის თავისუფლება. განა კულტების ინსტრუქციათა შესახებ კანონებში, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რელიგიურ კულტებთან დაკავშირებულმა საბჭომ რომ დაადგინა, მოსკოვში 1961 წელს, არ ეწერა შავით თეთრზე რომ „ხელისუფალთა ადგილობრივი ორგანოების აღმასრულებელი კომიტეტები, სსრკ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებული კომიტეტი, რომელიც რელიგიურ კულტების ქმედებას უწევს ზედამხედველობას, ასევე მათ მიერ ნდობით აღჭურვილი პირები ადგილზევე მკაცრად უნდა ადევნებდნენ თვალყურს, რათა სსრკ-ს კონსტიტუციის მიერ დადგენილი სინდისის თავისუფლებით უზრუნველყოფილ იქნას ნებისმიერი მოქალაქე; არ უნდა დაიშვას ბრძოლის ადმინისტრაციული საშუალებები რელიგიის წინააღმდეგ (უკანონოდ დახურვა სამლოცველო შენობებისა და ა. შ.), რელიგიურ გაერთიანებათა საქმეებში ადმინისტრაციული ჩარევა, სასულიერო პირების მიმართ უხეში მოპყრობა და მორწმუნეთა რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა."

**მერაბ კოსტავა**

1988 წ. (?)

რედაქციისაგან

კომუნისტური პერიოდის საქართველოში ჩვეული მოვლენა იყო სასულიერო პირთა თუ რიგით მორწმუნეთა შეურაცხყოფა, მათი დაპატიმრება, წამება, სიკვდილით დასჯა, ეკლესია-მონასტერთა ნგრევა, ძარცვა, შელახვა, წაბილწვა, ფრესკების, ხატების, ჯვრებისა და წმინდა რელიქვიების შეურაცხყოფა, იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ბრძოლა ქრისტიანობის წინააღმდეგ...

ეს უკვე ისტორიაა... ჩვენი სამარცხვინო, მაგრამ სასახელო ისტორიაც. სასახელო, ვინაიდან ჩვენში მძვინვარე წითელი ტერორის პირობებში ქართველმა ერმა ქრისტესათვის წამებულთა კიდევ ერთი დიდი პლეადა შემატა ზეციურ საქართველოს. მართებულად შენიშნავდა მერაბ კოსტავა: „სულის ამგვარი სიმტკიცისა და მოწამეობრიობისათვის უწინ ეკლესია წმინდანად რაცხდა და დიახაც, „საბჭოთა პერიოდში რწმენისათვის წამებულთაგან როდესმე ჩვენში უთუოდ შეირაცხება ვინმე წმინდანად."

დღეს კი ზედმიწევნით და გამოწვლილვით უნდა შევისწავლოთ აქამდე მიჩქმალული თემა — „ბრძოლა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ საბჭოთა საქართველოში". საკითხის დასმის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა მერაბ კოსტავას აღნიშნული პუბლიკაცია. სამწუხაროდ, ძალზე ცოტაა ამ მხრივ გაკეთებული. საჭიროა სათანადო ინსტანციების არქივებსა თუ ზეპირსიტყვიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ცნობების მოძიება, გამომზეურება, შემდეგ კი კომპლექსური, მონოგრაფიული შესწავლა საკითხისა.

ეს ჩვენი ვალია... ვალი არა მხოლოდ ისტორიული, „მეცნიერული", არამედ ვალი წმინდა ქრისტიანული, მოსახდელი მოწამეობრივად აღსრულებულთა წინაშე...

# გრიგოლ რობაქიძე



ათი წელიც არ არის, რაც დაგვიბრუნდა გრიგოლ რობაქიძის სახელი.

მაგრამ ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის, ეს სახელი **შეძენილი** უფროა, ვიდრე **დაბრუნებული**. ალბათ ამიტომაა, რომ ჩვენმა თაობამ უკეთ **მიიღო**, უკეთ **გაიგო**, უკეთ **გაითავისა** იგი, ვიდრე უფროსმა თაობამ.

ქართველმა სისხლით თუ არ შეიგრძნო, ისე ვერ გაიგებსო ჩემს ნაწერებს — ამბობდა გრიგოლ რობაქიძე. კითხვისას ტანში ერთხელ მაინც თუ არ დაგიარა ჟრუანტელმა, ე. ი. ვერ **მიიღე** რობაქიძე. ჩვენმა თაობამ სისხლით უნდა იგრძნოს რობაქიძე, ვით რობაქიძემ იგრძნო როკვა ქართული. ჩვენი თაობა უნდა კითხულობდეს ცეცხლოვან რობაქიძეს და ელვა უელავდეს ტანში.

გვახსენდება რობაქიძისეული „მისალმება ქართველი ახალგაზრდობისადმი". რატომ მიმართა სამშობლოდან შორს გადახვეწილმა მწერალმა ახალგაზრდობას? ალბათ სწორედ ახალგაზრდობაში ხედავდა იმ ძალას, რომელსაც **ახალგაზრდობა** ჰყოფნის, რომელსაც **სისხლი** ჰყოფნის, რათა გაიგოს მისი ნაწერები.

ბევრი რამ გამოქვეყნდა ჩვენში რობაქიძისა, ბევრიც ჯერ კიდევ უცნობია მკითხველთა ფართო წრისათვის. თითქოს **დავიბრუნეთ** (**შევიძინეთ**) გრიგოლ რობაქიძე, მაგრამ ვთქვათ თამამად: ქართველი ჯერაც ვერ ხედავს მის სიღრმეს! კი ვაღიარებთ, მაგრამ მხოლოდ „ვაღიარებთ", კი ვკითხულობთ, მაგრამ არ ვიგებთ, კი ვუსმენთ, მაგრამ არ ვისმენთ...

არადა დღეს (სწორედ დღეს!) გვჭირდება მისი ნააზრევი, მწყურვალის გახელებით უნდა ვეწაფებოდეთ წყაროსთვალს რობაქიძისას!..

◆

რობაქიძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა ერთი დიდი სამყაროა. არადა, იგი თითქოს იჩაგრება მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის ჩრდილქვეშ. ადრეული

ხანის (20-იანი წლების) პუბლიცისტიკა კი თითქმის უცნობია ქართველი მკითხველისათვის.

ახალგაზრდულია ჩვენი ჟურნალი.

და სწორედ ახალგაზრდობას ეკუთვნის დღეს ყველაზე მეტად გრიგოლ რობაქიძე. ამიტომ გადავწყვიტეთ რეგულარულად დავბეჭდოთ რობაქიძის პუბლიცისტური წერილები.

ამჯერად გთავაზობთ მწერლის მიერ დახატულ ორ განსხვავებულ პორტრეტს — „გიორგი შერვაშიძე" და „ევგენი გეგეჭკორი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შერვაშიძე პოეტი, მწერალი და პუბლიცისტი იყო, ევგენი გეგეჭკორი კი — პოლიტიკოსი (საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა). აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის — მიხეილ შერვაშიძის ვაჟი ილიასა და აკაკის თანამოაზრე იყო, ევგენი გეგეჭკორი კი — სოციალ-დემოკრატი გახლდათ. განსხვავებულია თარიღებიც: პირველი წერილი სამშობლოში დაიწერა (გაზეთი „საქართველო", № 45, 1918 წ.), მეორე — უცხოეთში (ჟურნალი „ბედი ქართლისა", № 18, 1954 წ.). განსხვავებულია პორტრეტთა ჟანრებიც: პირველი უფრო ესეისტურია, მეორეს დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება „ისტორიული ნარკვევი" ვუწოდოთ.

ერთი სიტყვით, წარმოდგენილი პორტრეტები სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. საერთო კი ისა აქვთ, რომ გიორგი შერვაშიძეც და ევგენი გეგეჭკორიც საქართველოს სასახელო შვილები იყვნენ და ორივეს ამქვეყნიდან წასვლამ დიდად დასწყვიტა გული გრიგოლ რობაქიძეს (ორივე პორტრეტი ხსენებულ მოღვაწეთა გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაიწერა).

მკითხველი კარგად შეამჩნევს: როგორც რობაქიძის წერის სტილი ვერ იტანს ჩვეულ არტახებს (არადა, როგორ ესიამოვნება კითხვისას მისი „ენობრივი ლაფსუსები"), ისე რობაქიძისეული პორტრეტებიც ვერ ჯდება ტრაფარეტული ნეკროლოგის ჩარჩოებში. ეს წერილები არ არის უბრალო „გახსენება", მოღვაწეობის მთლის მიხედვით დაწერილი. პიროვნების მახასიათებელ საოცარ ნიუანსებს (ერთი შეხედვით, უმნიშვნელოს) იჭერს ხოლმე მახვილი მზერა მწერლისა. საოცრად მძლავრ შტრიხს გააელვებს ხოლმე ერთი სხარტი მოქნევით. ამასთან, განთითოებული ადამიანი როდი აინტერესებს რობაქიძეს, არამედ პიროვნების არსში სიღრმისეული და ფესვეული წვდომაა მწერლის მთავარი ამოცანა...

აი, ეს არის მნიშვნელოვანი და არა ის, რომ უბრალოდ გავიხსენოთ გიორგი შერვაშიძე ან ევგენი გეგეჭკორი...

◆

ლამაზი ანდერძი დაგვიტოვა იმსოფლად მიმავალმა მწერალმა...

მაგრამ მისი სულის საოხად მწუხრობისას სულეთსოფელში დანთებული ერთი სანთლით ვერ ავასრულებთ მის ანდერძს.

ვერც იმით, ჟურნალ „არტანუჯს" გრ. რობაქიძის სიტყვებს რომ წავუმძღვარებთ ეპიგრაფად.

უნდა ვეზიაროთ რობაქიძის ნააზრევს, უნდა მოვუსმინოთ მისი სულის ხმებს, თამამად უნდა შევაბიჯოთ მწერლის სამყაროში...

◆

მასალის მოძიების საქმეში გაწეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებთ
უცხოეთში ქართველ მოღვაწეთა გრ. რობაქიძის სახელობის ფონდის
პრეზიდენტს — ბ-ნ ავთანდილ ჩხიკვიშვილს,
ვიცე-პრეზიდენტს — ბ-ნ ზურაბ ანთელავას
და ფონდის თანამშრომლებს —
ეკა ქარქაშაძეს, ბექა მესაბლიშვილს, დავით კალანდაძეს.

# გიორგი შარვაშიძე*

◆



სოხუმის ნაპირები. გაზაფხულის ხალასი ჰირი. მზე ვაჟური სიუხვით აყრის მიწას ნაკვერცხლებს. ალმურის მარმაშით ლაღდება ყოველი. ზღვის ფართო ზედაპირი ფირუზის ატლასით გადაშლილა. მისი ნელი მოსურთქვა სიგრილით ეჭრის სიცხის სივარვარეს. ბუნება ზანტი თვლემით ნებივრობს. სიკვდილის ლანდი სირცხვილით მიმალულა სადღაც და უძირო სამოს წიაღით ამოზეთქილი ხალისობს წყაროსთვალა სიცოცხლე. ქუჩებზე უდარდელობა დასეირნობს. ყავახანებში ზოგი ნარდს თამაშობს, ზოგი ყალიანს ეწევა ოდნავ გაწოლილი, ზოგი უსაქმო მსმენელებს ოქმულებას უყვება გმირულს. შორი-ახლო ტალღების შუილი გაისმის.

მთავარ ქუჩაზე მოდის ვინმე ცხენოსანი. უკან მცველი მოჰყვება ისიც ცხენზე მჯდარი. ცხენოსანი ნამდვილი მხედარი: მოხდენილი ჯდომა, — თითქო მბძანებელია მგრძნობიარე ცხოველის, მაგრამ თითქო მას ძალას არც კი ატანს, — მარჯვე დაკავება სადავის, ხოლო, სრულიად თავისუფალი, — რიტმით მიშვება ცხენის სიარულის, გარნა არც თუ მარღვებდაჭიმულობა მხედარის: — ყოველი, რაც რომ სამხედრო ჯიშს მემკვიდრეობით გადაუცია ადამიანისათვის. გამახსენდა არჩილ ჯორჯაძის სიტყვა: ქართველი ბელლეტრისტისათვის ისიც არის საკმაო, რომ რომელიმე აბხაზის ცხენოსნობა აღწეროსო.

გადმოხტა. გავიცანი: გიორგი შარვაშიძე, შვილი აბხაზეთის უკანასკნელი მთავრისა. რა შესანიშნავად ადგას ჩოხა! ტანი მაღლად არის აყვანილი სილაღით კიდევ, — თუმცა ეტყობა ქქვს ათეულს გადასცილებია. ასეთი მოხდენილი ჩაცმულობა არავიზე მინახავს საქართველოში: აქ იყო ესთეტიკა ოსკარ უაილდის ყელსახვევისა: ქართული ყაიდა ჩაცმულობის მძაფრი სტილით ჩამოკვეთილი: სადა მალზე და ამასთანავე რჩეული მეტად. დასხდა რესტორანის ღია ფარდულში. ჩვეული მუსაიფი ნაცნობებში. რაოდენი სიმაღლე და რაოდენი თავაზი. საოცარია მეტად ხმა: ნელი, ტკბილი, მელოდიური. კილოც ლამაზი, უცნაური ჯადოთი გაჟღენთილი. ხანდახან ოდნავი აცეცხლება. — ხოლო არც ისეთი, რომ ღია პათოსში გადავიდეს. სიტყვასა და სიტყვას შუა ნელი ოდნავ ასახული ირონია მეგობრულის ტონით ამახვილებული. პაპიროსს აკეთებს: როგორი თლილი თითები: — მოქნილობა სინელეში და სინელე მოძრაობაში: ხელებზე რაღაც ნათელი ეფინება ჭვირვალი. ამართა სახე: — სილამაზე ივერიული: ხაზების სისწორე და სირბილე, სწორუპოვარი პროფილი: — აქაც სისადავე და რჩეულობა თან. მთელი საუკუნოებია საჭირო, რომ ბიოლოგიურმა შერჩევამ ასეთი სრული ტიპი წარმოშობოს. უბრალო მიმოხვრაც მოწმობს მისა, რომ მის გვარში ასი წლობით ყოფილა შეუცნობელი ფიქრი ბიოლოგიური რჩეულობისა. არაფერში ეტყობა ძალდატანება: მოძრაობა, თავისდაჭერა, სიარული, ბაასი — თავისუფალი მეტად და ამასთანავე მალზე წარჩინებული. რაც უნდ მოიქმედოს, ყველაფერი ლამაზი გამოუვა, — გიელვებთ ფიქრი.

მეორე დღეს სადილი ნ. თ-თან. გიორგი შარვაშიძეც იქ არის, ეხლა ევროპიულად ჩაცმული სტილით: მარტო ყელსახვევი რად ღირს?! ნამდვილი ქართული სუფრა, ქართული სილამაზის ერთი საუკეთესო ხატება. სუფრული ბაასი. მთავრის შვილის სიტყვა მოხდენილია ფრიად. იცის ევროპიული ენები: ფრანგული, ინგლისური, გერმანული, — განსაკუთრებით ფრანგული. ზედმიწევნით იცის რუსული, — რუსის სასახლესთან სიახლოვეც ჰქონებია. იცის მშვირფასად ქართული, აფხაზური,

---
* წერილს ხელს აწერს „ბიძი გოლლენდ". ამ ფსევდონიმით გრ. რობაქიძე ხშირად აქვეყნებდა წერილებს 10-20-იანი წლების ქართულ პერიოდულ პრესაში.

მეგრული იტყვიან ლექსებს. მთავრის შვილი ოდნავი სიამაყით გადმოსძახებს: მე, რომელიც ალფრედ დე მიუსსესა და ვიქტორ ჰიუგოს ზეპირად წარმოვთქვამ, მაინც და მაინც არაფერი გამაკვირვებს, — მაგრამ - და ღიმილით ათავებს ფრაზას. იგი თვითონ მწიგნობარია: რუსთაველი ზედმიწევნით იცის. თვითონაც სწერს ლექსებს, პოემებს, დრამებს, მაგრამ ამაებში არ ეტყობა ბარბაროსული მაღ-აყრილობა: ეს მხოლოდ გასართობია მისთვის, — თუმცა ისეთივე ლამაზი მოხდენილობით აღვივებული, როგორც ქორითა და მეძებრებით ნადირობა, — რომელიც მას უყვარს ძალზე და შნოიანადაც ეხერხება.

ბაასის საგანი ხშირად საქართველოა. გაბედულება მისი საკითხის გადაწყვეტაში, არავითარი კომპრომისი, სრული თავისუფლება — აი მისი ფიქრის ზეეული. ხოლო აქაც ნელი, რბილი, აუღელვებელი. ხანდახან ოსმალეთისაც ჩააყენებს საქართველოს საკითხში, — და ეს იმ დროს, როცა თურქეთს მოსწყდა — საგანგებოთ უგზავნის სტამბოლიდან [illegible]ქმალი, არ შეუძლია: მისთვის [illegible]ქენელოვანია, თუ მას სილამაზე ახლავს. ნამდვილი არისტოკრატია (— ამ სიტყვის რჩეული მნიშვნელობით).

მესამე დღეს ვიყავ რესტორანის ფარდულში ქანზე, — ხოლო ეხლა უბრალო მწვანე ბლუზით". მაგრამ ესეც რომ უხდებოდა! არა: ნამდვილი არისტოკრატობა ყველგან გამოჩნდება.

ამ დღეებში ამბავი მოვიდა მისი სიკვდილის — მოკვდა ქართული რასის ნამდვილი ვაჟი.

◆

# ევგენი გეგეჭკორი

## (სილუეტი)

### 1

გამიგონია: ზოგიერთნი თანამემამულენი ალმაცერად უცქერენ თურმე დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით განაპირა მხარეებს მისსა: გურიასა და სამეგრელოს. ასეთ „მამულიშვილებს" ვერ გაუგიათ ალბათ, რომ ყოველი ტომი ქართველთა სხეულის ასპექტია მთელის: საქართველოსი, ესე იგი, ისეთი ნაწილი, რომლის თავისებურებაში მთელი ცნაურდება: საქართველო. ამით აიხსნება, რომ ყოველი ნამდვილი გურული ნამდვილი ქართველია. ასევე მეგრელი, ასევე სვანი და სხვა. ჩვენ, ქართველებს, კიდევაც შეგვიძლია ვიამაყოთ სხვა ხალხთა პირისპირ, რომელთაც ასეთი შესხმულება ერისა და ტომის იშვიათად მოეპოვებათ. საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა ცოცხალ თავისებურებაშია. მე იმის მომხრეც ვიქნებოდი, მწერლობა აყვავილებულიყოს მეგრულად — რა საკვირველია, არა „მაფალუს" ხაზით.[1] (არსებობს ხომ პროვანსალური მწერლობა გვერდით ფრანგულისა ერთის მთლიან რკალში საფრანგეთისა.) ქართული მწერლობა ამით არას დაჰკარგავს რა — პირიქით: კიდევაც მოიგებს. მეგრულში მრავალი სიტყვაა ზეგამოჭრილი და მრავალი თქმა მოხდენილი. ეს შესაძლოა საზრდოდ იქცეს ქართულისათვის. სვანურზედაც ესევე ითქმის.

### 2

სამეგრელო, ლეჩხუმი და მამული ევგენი გეგეჭკორისა, ძველი კოლხეთის ნაშიერია. აქ იყო „ოქროს ვერძი", რომელმაც მთელს მსოფლიოში „ოქროს მატყლი" განფინა. უკანასკნელის ფესვეული გაგება მხოლოდ კოლხეთის „ვერძის" მიხედვით შეიძლება. კოლხეთმა მოავლინა მედეა: უნივერსალურ ქალთა შორის ყველაზე უფრო თავისებური. მზის ასული, იგი მძაფრ უხვია თავის ქალურობით, გარნა მზიურადვე გახელებულიც: თუ მას მიერ შეყვარებულმა ვაჟმა ქალურობა მისი ოდნავაც შელახა. (ჩემი რომანი „მეგი", ვიტყვი აქ, ერთგვარი ცდაა რეალურ ქალწულში კოლხელი მითიური ქალის განცხოველებისა: მედეასი.)

---

[1] *ეს წერილი ჩვენში პირველად პროფ. ილია გაბალუამ გამოაქვეყნა (იხ. გაზ. „კომუნისტი", 26 აგვისტო, 90 წ.).*

სამეგრელო, არა მარტო გეოგრაფიულად, მითური გაგრძელებაა სვანეთისა, სადაც „მითის" უმრეტ ბუდობადაა განვრცობილი. იქ მელია — აქ დალი: დობილი ქალღვთისა არტემისის და რომაელთა დიანასი. ორივეზე უფრო მომჯადოებელი და უფრო საცნაური. სამეგრელოში დალს „ტყის დედოფალი" ეხატყვება, ვისაც ნიჭი აქვს მისავანი ხილვისა. დაინახავს: რომ კოლხეთის ნაშვილში მითური ფესვები დღემდე უჭკნობად იმშვენებიან. წაიკითხეთ ვრცელი მოთხრობა დემნა შენგელაიასი „სანავარდო". მოთხრობას ემჩნევა ჩამოსხმის მხრით, ვიქვათ მეტაფორით: „მალარია" — ხოლო მოთხრობილი თვითონ ფასდაუდებელი განძია.[2]

ვახსენოთ კიდევ მეგრელთა ქალნი. ქალთა შორის „ქალურობით" ყველაზე უფრო აესებულნი და აღზნებულნი? ცისვინის ჟნება-ატეხილობა, ჩემს ზემოხსენებულ რომანში, ზოგიერთებს — საბედნიეროდ არც ერთ არა-ქართველს — ჩვეულებრივ „აღხორცებად" მოჩვენებიათ: მაშინ როდესაც იგი ამორძალური აცეცხლებაა. ამორძალთ ძველად კოლხეთშიაც იგულვებდენ.

სამეგრელომ მოგვცა სახელოვანნი მწერალნი: იონა მეუნარგია, დუტუ მეგრელი, შალვა დადიანი, ალ. აბაშელი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, ჯაჯუ ჯორჯაძა, ტერენტი გრანელი და სხვანი.

## 3

„ზრდილნი არიან იმერნი", ცნობილია ძველთაგან. მეგრელთა ზრდილობა მეტად ნიუანსიანია. „ზრდილობა" გულისხმობს „ზრდას" და „ზრდა-ქცევას" — ქცევა კი თავდაჭერას. გ. ჩიხუა ებაასებოდა გლეხს ვითარ თანასწორს — ამავე დროს გლეხი გრძნობდა, რომ მობაასე თავადი იყო.[3] ასეთი თავდაჭერაა ნამდვილი ნიშანწყალი ხეობარის თავადისა. შალვა დადიანის სიტყვა იმღერება როგორც მისალმება დარბაისელისა: ნელიად, დაბალი ტონით. შიგადა-შიგ ჩაცინვითაც — ეს მაშინ, თუ მიმგების სიტყვა შეუხამებელია. მუშნი დადიანი — ნამდვილი ძმა მელიასი: სილამაზით, ნატიფ-ვოიერებით, ელეგანტით — ასეთი მორიდებით კოცნით ჩამოართმევდა ხელს რომელიმე მანდილოსანს და თანვე ისეთი გულავსილობით, რომ ეს შნო თვით მეფისწულსაც შეეხარბებოდა.[4] ტფილისში თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი ალ. აბაშელს: ყოველთვის გულგახსნილი მეფინებოდა წინ: ულრესად სათნო, ამავე დროს მტკიცე, მალულ თვინიერი მაკვირვებდა მისი ნათელი გონი: ეს კაცი, რომელსაც საშუალო სკოლაც არ გაევლოს, წამსავე ბჭობდა რომელიმე ფილოსოფიურ პრობლემაზე. ჩემ მიერ გაკვრით ნახსენებულს და თავი-და-თავი თავდაჭერა მისი: ზომის დაცვა ყველაფერში, როგორიც [illegible] ხელოვნებაში. ასეთი [illegible] მის, რასაც ევროპიელნი [illegible] უწოდებენ. აბაშელთან ერთად ლეო ქიაჩელიც უნდა ვახსენო ამ მხრით: ნელი, დინჯი, დაფიქრებული. ერთხელ გაწყენინე მას გაცხარებულმა: ყელში არ მეცემია და არცა უთქვამს რა. მხოლოდ გადმომხედა. გადმოხედვა არაქმული სიტყვა იყო: „არ გეკადრებაო!" რამოდენიმე დღის შემდეგომ — ეს წყნა ჩემი — ბოდიში მოვიხადე მის წინაშე. ასეთივე ტაქტის იყო სპირიდონ კედია. აგრეთვე: შეფრქვევითი შეგებება მეგრელთა: შეხვედრა და დახვედრა მანდილოსნის თავგამოდებით გაცემა: ამის მაგალითისათვის არ მჭირდება საქართველოს თელი გავიარო შორეთითგან. აქ, [illegible] მახლვავს ამ მაგალითის კიდევ სადაა და სანდრო კორძაია.

მკითხველს არ ეგონოს: თითქოს ვუმღეროდე მეგრელებს. ზემოთ ხაზგასმული „ზრდილობა" სხვა ქართველებსაც გვაქვს. ნათქვამი მხოლოდ ნიუანსს გულისხმობს ამ ზრდილობისა მეგრელთა ხასიათში. ამას ერთი რამ უნდა მივუმატოთ: მეგრელი ზრდილია ამ ნიუანსით, თუ — თუ იგი არაა „ჭიორკული", რაიც, უნდა ითქვას ესეც, სამეგრელოში ხშირი მოვლენაა.

ევგენი გეგეჭკორი ზრდილ იყო მეგრული ნაირობით. ზრდილობა უმთავრესად თავდაჭერაა და თავდაჭერა მანძილის დაცვა: „დისტანსის". ევგენი ხელქვეითს ექცეოდა როგორც თანასწორს — ხელქვეითი ხედავდა არა-თანასწორს: მანძილი თავის-თავად გაჩენილი ხდებოდა, რადგან არ იყო ხაზგასმული. გახურებისას ამრიგ გაქრება მანძილისა კიდევ უფრო ძნელია: ერთი მცირე გადაჭარბება და „თანასწორობა" შესაძლოა „გაკადრებად" იქცეს. ევგენი აქაც ოსტატი იყო. ვიქვათ: ვინმე კაცი რომელიმე ვარდად გაშლილ ტერფის ეკურკურება. გეკვირება, რა საკვირველია, ლოდინ სიცილი „დაცინვაში" არ უნდა გადავვარდე: თორემ უმჯობესი კაცია დაცინვითვე გამოეხმაურება რომელიმე შენს ნაკლს და გადამასხარავებს. „დისტანსი" უმალვე გაქრება. ევგენი ასეთ შემთხვევაში შეცინვით გადაუკრავდა მოკურკურეს: „რა გუნებაზეა შენი ჯინჯგლა, ა?" თუ იგი მეგრელი იყო, მეკითხვას ჩაუმეგრულებდა. „შეცინვა" სახაცილოს „დაცინვად" არ ხდებოდა და ახლა იგი

თვითონ იცინოდა: „ის კი კაი გუნებაზეა, მაგრამ მე კი, რა მოგახსენო!“ ზღვარის დაცვა ქცევაში ბეწვზე ჰკიდია, როგორც ზომა ხელოვნებაში. ახასიათებდა ევგენის აგრეთვე „Desinvolture“, რუსულად: „ნეპ-რინუჟდიონნოსტ“. ერთი ბეწვი წამლევა აქ და ეს, რუსულადვე, „რაზვიაზნოსტად“ გამოვა. ამ საფრთხეს ევგენი მარჯვედ იცილებდა.

თავდაჭერაში მას ხელს-უწყობდა სახის მიმიკა. თვალში თვალს მაშინ გიყრიდა, როცა გაიცინებდა. უმეტეს წილ განზე იხედებოდა. ეს უფრო არიდება იყო ვიდრე მორიდება — არიდება „რიდე“ ზღვარგადალახვისათვის. გწადდა ფარული ფიქრი გაეგო მისი, წამსვე იგნებდა ამას და ფართო და ზრქელ ქუთუთოებს — ასეთი ქუთუთოები მოგვასილობით აფხაზებსა და მეგრელებსა აქვთ აქა-იქ — ნელიად ჩამოუშვებდა. თვალთა ცეცხლს კვლავ „იჭერდა“. გაიკვირვებდა რაიმეს, წარბებს, ისედაც მაღლა აშართულთ, გადამეტებით მაღლა ასწევდა. გსურდა ან „ჰო“ ეთქვა ან „არა“, მაშინ თვალებს ხან აქეთ აბრუნებდა ხან იქით, თითქოს მახეს გაურბოდა.

„დისტანსი“ მართავს ურთისურთქცეობას, რომლის გარეშე სწორი ურთიერთობა წარმოუდგენელია. ევგენი იცავდა მას. მახსოვს ერთი შემთხვევა. 1943 წელს, აპრილში, გრიგოლ დიასამიძე და მე პარიზში ვიყავით. ევგენიმ გაგვიმართა საპატიო სადილი. მივედით თუ არა, უმალვე შეგვეკითხა: „მოხუცი ხომ ინახულეთ?“ მკითხველი მიხვდება, ვინ იყო გულისხმული: ნოე ჟორდანია. გავშრით: დარბაზობა ლაგურჩა მოუხდელი. ევგენი მოილუშა. ამასობაში ნოეც გამოჩნდა. ევგენი შეეგება, რაღაც ჩაუჩურჩულა: მოგვხადა სირცხვილი.

4

მარქსისტობა განსვენებულს არ ემჩნეოდა. პოლიტიური რწმენა ადამიანის ბუნების ზედა-ფენებში რჩება, თუ, რა საკვირველია, ძაბრად არ იქცა იგი "Infra - Humain"-ისა,[5] რაც ბოლშევიზმის სახით გვევლინება. 1918 წელი, მაისის 26. ცხადდება აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა. ზეიმი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ერთი მოხუცი მირბის „მამა დავითისაკენ“, ექსტაზით აღვსილი და აელვარებული. უახლოვდება სალოცავს. აცრიდება სამრეკლოზე და ზარების რეკვით ამცნევს სამშობლოს: „აღსდგა საქართველო!“ მე არ მეგულვება არც ერთის უნივერსალურ ეპოქში მამულიშვილური აქტი, ეგზომ აღვსილი მითიურ სიმაღლემდე. ყველამ იცის, ვინ იყო ეს მოხუცი: ვლასა მგელაძე: მარქსისტი ვლასა. ხედავთ, ძირა-ფენებში ქართველი მარქსისტისა რა სიძლიერით აღძრულან გრძნობები საქართველოსი? მარტოოდმარტო ეს ფაქტი საკმაოა, რომ ვლასა შევიყვანოთ „ქართველთა ცხოვრებაში“: როგორც რაინდი, მხოლოდ [illegible] მოსილი. არ ემჩნეოდა მარქსიზმი [illegible] და აქ მას ვეხები არა როგორც პარტიულ კაცს.

5

ევგენი ვაჟკაცი იყო, გულადი რაინდი. რუსეთის სახელგანთქმული ტრიბუნი, მოგვითხრობს: ერთხელ „სახელმწიფო დუმაში“, პურიშკევიჩის ჯგუფი რომ გადმოუშვა ჩემკენ თავდასაცემად, უეცრად გამოჩენილი ამეფარა მძლავრი ტანით და მოსულები უკუიქცნენ. გულადი ევგენი გამბედავიც იყო, არა მხოლოდ კერძო ცხოვრებაში, პოლიტიკაშიაც.

უკანასკნელი ომის დროს იგი გერმანიისაკენ გადაიხარა, რა საკვირველია, არა იდეოლოგიურად. ორიოდე წლის წინათ, ქუჩაში ყოფნის დროს, მითხრა: „ჰიტლერის გერმანია ერთადერთი რეალური ძალა იყო ბოლშევიზმის დასამხობად“. თუ რის გამო ვერ დაამხო, ეს ყველამ იცის. ომის პირველ წლებშივე მიხვდა ევგენი ჰიტლერის საბედისწერო პოლიტიკას. მითხრა მაშინ, 1943 წელს, პარიზში: „ერთი ხალხის ბედი ჩვენი ხალხის ბედს ნუ გადავაბამთ.“ მკითხველი მიხვდება, თუ რომელ ხალხს ჰგულისხმობდა სიტყვით „ერთი“. ჯერ გამოიჩინა შორსმჭვრეტელობა? მასუხად მხოლოდ ეს: ვინ წარმოიდგენდა, რომ ჰიტლერი საბჭოეთში ისეთ რამეს ჩაიდენდა, რაც სტალინისთვის იყო ხელსაყრელი?

„გამბედაობა“ ევგენისა კიდევ უფრო საკვირველად მოგვეჩვენება, თუ შემდეგსაც მოვიგონებთ: ევგენი მასონი იყო, დიდი. თუ ვის მხარეზე იქნებოდნენ მასონები ომის დროს, ეს ყველასთვის აშკარა უნდა იყოს. ჩემთვის პირადად საოცარია: როგორ გაბედა მასონმა ევგენიმ გადაედგა ზემოხსენებული ნაბიჯი? გაჰკიცხეს მასონებმა? არ ვიცით. ვიცით მხოლოდ აი რა: მასონებმა მორთეს ევგენის კუბო მკერდას გვირგვინებით, შეიძლება წარწერით: „დიდ ოსტატს და მეგობარს“. ამბავი, პირდაპირ საარაკო. არ მოწმობს ეს ევგენის მარჯვე თავდაჭერას და „მოქნეულის“ „მოზომილში“ მოხვედრას?

6

ევგენიმ ბევრი რამ გააკეთა. თუ რა, ამის შესახებ სიტყვა სხვებს ეძლევათ, ჩემზე უფრო მცოდნეთ ქართული საქმისა. პოლიტიურის

უფრო მეტს გააკეთებდა, საკუთრივ უცხოეთში, რომ — რომ ერთის დეტალს არ ჰქონოდა ადგილი.

„მაისის 26". ეს დღე ჩვენმა მესვეურებმა მონათლეს „დღედ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა". „ნათლულის" სახელში აქ სიტყვა „დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ა" მიუღებელია. საქართველოს მოქცევა რუსეთის იმპერიაში სრულიად სხვა რიგისა იყო ვიდრე რომელიმე სხვა მხარისა. პოლონეთი „შეიერთა" რუსეთმა — ეს იყო ცალმხრივი აქტი, ძალმომრეობითი. საქართველო „შეუერთდა" რუსეთს — ეს იყო ორმაგი აქტი, ხელშეკრულებითი. რუსეთმა გააბათილა ხელშეკრულება, ძალმომრეობით — ხოლო თვითონ აქტი, საქართველოს მხრით, ძალაში დარჩა. დორპატის უნივერსიტეტის პროფესორი ერთაშორისო უფლებისა შალლანდ — გაიხსენებს ამას რაჟდენ არსენიძე, გაიხსენებს ამას აკაკი პაპავა — იტყოდა ხოლმე: თვით პოლონეთსა და ფინნეთს არ აქვთ ისეთი უფლება ავტონომიისათვის, როგორიც აქვს საქართველოსო. როცა ამას ამბობდა, ჰგულისხმობდა სწორეთ იმ არა-ცალმაგ აქტს საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. დაემხო ძალმომრევი: იმპერატორთა რუსეთი — აღდგენილ იქმნა ხელმწიფება უფლება-აყრილისა: საქართველოსი. მართებული იქნებოდა ეთქვათ ჩვენებს: „აღსდგა გაუქმებული სუვერენობა ჩვენი" და არა: „ვაცხადებთ საქართველოს დამოუკიდებლობას". მეტყვიან: „მაისის 26" სასწრაფოდ მოხდაო. მივუგებ: ეს ბრალდებაა უფრო ვიდრე თავის-მართლება — „უცებურად" მოგვარება სახელმწიფო საქმისა უმეტეს წილ საბედისწეროა.

გამოსწორება ამისა ახლა გვიანაა. დღეს ჰლამის „უმცირესობადაც" ჩაგვთვალონ. საქართველო კი „უმცირესობა" არ ყოფილა და არც იქნება.

## 7

„ჰლამის უმცირესობად ჩაგვთვალონ". აქაც ერთი დეტალი. გავიხსენოთ „საკოორდინაციო ცენტრი ანტიბოლშევისტური ბრძოლისა", უკვე დაშლილი. შეკავშირდენ ბოლშევიზმის დასამხობად რუსები და არა-რუსები, ამათ შორის ქართველებიც. გამოაქვეყნეს სტატუტი შეკავშირებისა. წინაალმდეგნი ყოფილი „ცენტრისა" სტატუტში ეძებენ მარცხს არა-რუსთა. საქმათ, შეკავშირებულთა დასახელებას გავავლოთ თვალი, რომ არა-რუსთა მარცხი დავინახოთ. გაერთიანდნენ, ნათქვამია: „როსსიისკიე ორგანიზაციი i ნაციონალნიე ორგანიზაციი", თითქოს რუსეთის [illegible]ლობანი არ იყვნენ „ნაციონალურნი". დააკვირდით აგრეთვე: ნათქვამია „როსსიისკიე" და არა „რუსსკიე". გამოდის: ერთი მხრით რუსეთი: იმპერია, მეორე მხრით სხვები: უმცირესობანი. მეტყვიან: ამას ორგანიზაციათა „ჩამოთვლა" მოითხოვდაო, რადგან რუსთა ორგანიზაციები ამ სახელს ატარებენ: „როსსიისკიე". მივუგებ: სწორედ ეს არ უნდა მიეღოთ არა-რუსებს. ნამდვილი „პრეცედენტი" — ერთი მხრით რუსეთი: იმპერია, მეორე მხრით „ნაციონალები": უმცირესობანი — თუ გნებავთ სწორედ აქაა მალულად მოქცეული.

ამას ხელი მოაწერეს „ქართული ეროვნული საბჭოს" წევრებმა: ნოე ცინცაძემ და დავით სხირტლაძემ. მამულიშვილობას და გონიერებას, ვერც პირველს წავართმევ და ვერც მეორეს, ვიტყვი მხოლოდ: შეცდომა დაუშვეს.

## 8

ევგენი არ იყო წევრი კომიტეტ-ის ეროვნული საბჭოსი როგორც მინისტრი მთავრობისა ვერც იქნებოდა. თანამშრომლობდა კი მასთან. მას ევალებოდა, ვფიქრობ ასე, არ ყოფილიყო დაშვებული ხსენებული შეცდომა. ალბად აქ ფეხი აუცდა. გასაგები იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში ყოველივე მას, რისი გადატანა ხვდა მას წილად ომის შემდგომ. ჟენევაში ყოფნისას მითხრა: „მოვიღალე, მოვიქანცე. ამას თან ემატება ათასგვარი წყენა სხვა-და-სხვა მხრიდგან. ხან-და-ხან იმასაც კი ვფიქრობ, ხელი ავიღო ყოველ საქმეზე". ამგვარ გუნებაზე განწყობილი, წინგრძნობდა მოახლოვებულ სიკვდილსაც. სთქვა: ვატყობ, მალე გავესტუმრები იქითაო.

ვსცადე გადმომეცა პერსონალური თვისებები ევგენისა — თვისებები, რომლებიც უნდა ახასიათებდენ პოლიტიკოსს, საკუთრივ თუ იგი თანვე დიპლომატია. ევგენის შეფასება ამ მხრით ძნელი იქნება.

◆

# შენიშვნები

(რედაქციისაგან)

1) „მაფალუ" იყო მეგრულ ენაზე გამომავალი გაზეთი XX საუკუნის 20-იან წლებში.

2) დემნა შენგელაიას რომანი „სანავარდო" გამოქვეყნდა 1924 წელს ჟურნალ „მნათობში". ნაწარმოების მოქმედების დრო გასული საუკუნის 60-იანი წლებია. რომანის მთავარ გმირს ბონდო ჭილაძეს წარსული დიდებიდან მხოლოდ მოხათხრობი და გენერლის სურათებიღა დარჩა. რომანი ფიზიკური და არა მხოლოდ ფიზიკური გაქრობის აუცილებლობის წინაშე მდგარი ადამიანის ტრაგედიაა, რომელშიც მინიატურულადაა ასახული ისტორიის მიერ უკანა პლანზე გადაწეული და დასაღუპად განწირული კლასის სასიკვდილო აგონია.

ბონდო ჭილაძის მამა-პაპანი სამეგრელოს განთქმული თავადები იყვნენ, მაგრამ სოციალურ-პოლიტიკურმა ქარტეხილებმა მისი გვარის დამცრობა გამოიწვია. ბონდო ჭილაძე განათლების მისაღებად ჯერ თბილისს, შემდეგ კი პეტერბურგს მიემურება, მაგრამ იგი უკვე „მალარიაშეყრილია", ვეღარ ეგუება ახალ დროს. მას კარგად შეუგრძვნია საკუთარი ტრაგედია: „ჩემი სული დამძიმდა ცოდვებით!... ცოდვებით, რომელიც მე არ ჩამიდენია! რისთვის უნდა ვზღო მე, მამაჩემო, ის ცოდვები, რომლებიც იქნებ ჩემ მამა-პაპას ჩაუდენია... მე მინდა, მამა, სიცოცხლე და სიცოცხლე ჩემი გამაძღლებულია!.. მე მინდა, მამა, სიყვარული და ნიათი არა მაქვს..."

3) გიორგი ჩიჩუა — ქართველი თავადი, ებრძოდა საბჭოთა რეჟიმს, დახვრიტეს 1924 წელს.

4) მუშნი დადიანი იყო ოტიას (სამეგრელოს მთავარი 1728-1758 წწ.) შთამომავლის ნიკოლოზ დადიანის შთამომავალი. მისი მამა იყო კოწია დადიანი (1847-1903). ძმები მუშნი და ოთარ დადიანები თავისი დროისათვის გამორჩეული პიროვნებები იყვნენ, სარგებლობდნენ ხალხის დიდი სიყვარულით. მუშნი დადიანი ახალგაზრდობის წლებში იბრძოდა რუსული რეჟიმის წინააღმდეგ, რის გამოც რამოდენიმეჯერ გადაასახლეს ციმბირში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ძმები დადიანები ებრძოდნენ უკანონო რეჟიმს. ოთარი მონაწილეობდა სვანეთში (იგი გიორგის ჯვრის ოთხზის კავალერი იყო). 1924 წლის აჯანყების შემდეგ მუშნი და ოთარ დადიანები დახვრიტეს. ერთ ბორკილში ჩაბმულმა ძმებმა დახვრეტის წინ სხვა პატიმრებთან ერთად ხელები მაღლა შემართეს და ომახიანად შესძახეს: „დიდება საქართველოს!" (ქ-ნ ბაბო დადიანის მოგონებიდან)

5) Infra-Humain (ლათ.) — ქვეადამიანური, ქვეცნობიერი.



კონსტანტინე გამსახურდია

ამას წინად პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ გვაუწყა: სახალხო განათლების მინისტრს მანუილოვს განუცხადებია: საჭიროა ტფილისში დაუყოვნებლივ უნივერსიტეტი გავხსნათო. ეს განცხადება ჩემის აზრით გამაფრთხილებელი პაროლი უნდა იქმნეს ქართველებისათვის, რადგან რუსული უნივერსიტეტის დაარსება ტფილისში სხვა მოსაზრებით არც ისე საზეიმოა როგორც ბევრსა ჰგონია. უწინარესს ყოვლისა იგი განზრახულ ქართულ უნივერსიტეტს ფუძეს გამოაცლის, მეორეს მხრით: დღეს უკვე სადავო დებულება არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ერთი ერი მეორეს ებრძვის არამარტო ხიშტებითა, საახალშენო ანტერპრიზებითა და აშკარა ასიმილიაციისაკენ მიმართულ ინსტიტუტებით, არამედ მეორე უფრო ძლიერი და უფრო მჭრელი ძარაღი პოლიტიკურად გაბატონებულ ერის ხელში

## ქართული უნივერსიტეტისათვის

ეს კულტურული ზეგავლენის ბერკეტია. მართალია კულტურული ზეგავლენა თანამედროვე ადამიანობის ფსიხიურად გაერთიანების ეპოქაში თავისთავად ხდება.

კულტურული იდეები მართლაც ბაცილებს თუ ჰგავს გამჭვირვალე ჰაერით რომ გადადის ერთი მხრიდან მეორეზე; მათთვის ხელოვნურის ზღუდვის შექმნა შეუძლებელიცაა და არა სასურველიც, მაგრამ არის მეორე პოლიტიკური მისწრაფების ხაშოდან შობილი ზეგავლენა — რომლის მფარველობაც კი ჩრდილავს და უნდილადა ჰხდის პოლიტიკურად დამონებულ ერის სულიერ ვითარებას და ანელებს მის შემოქმედებითს ენერგიას. ეს იარაღი სკოლების, პოლიტიკური სადიზმით გამსჭვალულ ჟურნალ-გაზეთებისა და აშკარა ფსიხიურ ასიმილიაციის მიზნით გახსნილ სკოლებითა და უნივერსიტეტების სახით სცელავს და ჩრდილავს მეორე სხვა ზნე-ჩვეულების, ხასიათის, კულტურის მცირე ერს. ამგვარ სკოლებს, ამგვარ უნივერსიტეტებს ჩვენ მრავლად ვიცნობთ, ვიცნობთ მათ ღირსებას და მათ აღმოჩენის საკმაოდ მღვრიე წყაროებს.

ასეთი უნივერსიტეტი დაუარსებიათ თავის დროს ინგლისელთ კალკუტა-ბომბეაში და კაიროში ჰინდუსა და არაბისტანის ერებისათვის. აქ მუდამ ინგლისურ ენას უმეფნია. ესენი მუდამ ინგლისური კულტურის კერად და მეჩირაღდნედ ყოფილან აღმოსავლეთში. ასეთი კოლეჯები არა მარტო კულტურულ ჰინდუს ერებისათვის, ბრიტანელებმა კაპშტატისა და სხვა სამხრეთ აფრიკელ ქვეყნებში დაუარსებიათ ისეთი ერებისათვის, როგორიც არიან ცულუ, ცუცუტუ და ძმანნი მათნი, რომელნიც ათზე მეტს ველარ ითვლიან და მოშინაურებულ ზებრებზე დაჯირითობენ აფრიკის უდაბნოებში.

რუსეთის ცენტრში კულტურული კერა არასოდეს არ ყოფილა ეგზომ გაღვივებული, რომ მას კულტურული ზედგავლენა, ცივილიზაციის შუქი მოეფინა განაპირა ქვეყნებისათვის. ამ გავლენის ტენდენციას ჩვენდა საბედნიეროდ რუსეთის ცენტრისაგან დაშორებამ გადაგვარჩინა. ეს ჩვენთვის, რუსის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ არა რუსთათვის ერთგვარი ბედიც იყო და უბედობაც. ნახევრად „ევროპიულმა" რუსეთმა დღემდის ვერ შესძლო მასზე ნაკლებ კულტუროსან არა რუს ერთა ცხოვრებისათვის ერთგვარი რუსული სული და რუსული სტილი ესესხებია.

დღეს ხმები გვესმის: ჩვენში რუსული უნივერსიტეტის დაარსებას აპირობენ. ეს თავმოყვარე კულტურული ერისათვის ერთგვარი შეურაცყოფაც არის, რომ მისთვის უმაღლეს სასწავლებელს „აარსებენ". მისი მიზანი და მისი ფუნქციის შედეგების გათვალისწინება არც ისე საძნელოა, რუსული უნივერსიტეტის დაარსება ტფილისში კიდევ ერთი ზედმეტი მარჭვალის გაყრაა იმ ჯაჭვში, რომელიც ზღუდავს და ჰბორკავს ჩვენს თავისებურ შემოქმედებას.

იმათ, ვისაც განზრახული აქვთ ფუძე და საძირკველი ჩაუყარონ ტფილისში ქართული უნივერსიტეტის იდეას, ყურად იღონ ეს მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი ცნობა და ჩვენ გვგონია: საჭიროა მამულის მომავლისათვის მზრუნველმა ხელმა დააჩქაროს გაწამებული ერის ნაზრახი გულისნადების სისრულეში მოყვანა.

*„სახალხო ფურცელი", № 875, 30 მაისი, 1917 წ.*

(1917 წლის შემდეგ ქვეყნდება პირველად)

# გრიგოლ ლორთქიფანიძე

## შტრიხები ისტორიული პორტრეტისათვის



გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო მოღვაწე გრიგოლ* სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე დაიბადა 1881 წელს ქუთაისის მაზრის სოფ. ისრითში სპირიდონ თეიმურაზის ძე ლორთქიფანიძისა და მართა თადეოზის ას. პაპავას ოჯახში. 7 წლისა შევიდა სოფ. ამაღლების ოთხწლიან დაწყებით სკოლაში, რომელიც დაასრულა 1892 წელს, შემდეგ კი სწავლა განაგრძო ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

გიმნაზიაში სწავლის პერიოდში გრიგოლ ლორთქიფანიძე აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც იგი არაერთხელ დააპატიმრეს და გარიცხეს კიდეც გიმნაზიიდან, რომელიც საბოლოოდ 1901 წელს დაამთავრა. 1902 წლიდან სწავლა განაგრძო ნოვოროსიისკის საიმპერატორო უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე. სტუდენტთა ანტისამთავრობო გამოსვლებში აქტიური მონაწილეობისათვის 1904 წელს კვლავ აპატიმრებენ და რიცხავენ უნივერსიტეტიდან. გრიგოლი პატიმრობიდან 1907 წელს განთავისუფლდა და სწავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ამ დროიდან გრიგოლს ოდესაში იცნობენ როგორც აქტიურ პრაქტიკულ რევოლუციურ მოღვაწეს. ოდესის ოლქის პოლიციის დეპარტამენტის არქივში ინახება გრ. ლორთქიფანიძის საქმე. პოლიციის უფროსი ნიკოლოზ II-ს ატყობინებს: გრ. ლორთქიფანიძე ამ მხარეში ერთ-ერთი ყველაზე საშიში რევოლუციონერიაო.

1911 წელს გრიგოლი ისევ დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოათავსეს. აქ, მეტეხის ციხეში ყოფნისას, გრ. ლორთქიფანიძემ თარგმნა პროფ. ვებერის „ახალი ისტორია".

1912 წელს გრიგოლი საქართველოდან გაასახლეს, ხოლო 1913 წლიდან რუსეთის ერთი ქალაქიდან მეორეში ასახლებენ, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებას. ასე მოხვდა იგი 1916 წელს ვორონეჟის გუბერნიის დაბა ვალუევოში, სადაც კომერციული სასწავლებლის პედაგოგად მუშაობდა.

1917 წლის თებერვალში გრიგოლ ლორთქიფანიძე თავის თანამოაზრეებთან ერთად აარსებს გაზეთს „Валуйская Народная Земская Газета".

1918 წლის დასაწყისში გრ. ლორთქიფანიძე ბრუნდება* საქართველოში. მისი მოღვაწეობის შესახებ 1918-19 წლების ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. ცნობილია მხოლოდ ერთი პატარა მოგონება დავით კლდიაშვილისა, რომელიც 1918 წელს თელავში დასწრებია გრ. ლორთქიფანიძის ლექციას. იგი აღნიშნავს: „საღამო ახლოვდებოდა. ლექციის სათაური იყო „დღევანდელი რუსეთი და მისი მომავალი". კლუბის მოზრდილი დარბაზი ხალხით გაივსო. ამ ლექტორის მიმოხვლა, რაც შეიძლება მეტ ადგილებში, ჩემის აზრით, უაღრეს საჭიროებას წარმოადგენს, რადგან სურათებით ნათლადაა გამოხატული, თუ რა არის დღეს რუსეთი და რამდენად უნიადაგოა ის წარმოდგენა, რომელიც სამწუხაროდ ხშირად გაისმის, განსაკუთრებით სოფლად, ვითომც თუ რუსეთი მოვიდა, ჩვენი მდგომარეობა გამოკეთდებაო...ამ ილუზიას მშვენივრად აქარწყლებს ლექტორის გადმოცემი და ამიტომ ვიმეორებ, საჭიროა მისი გავრცელება რაც შეიძლება მეტ მიყრუებულ ადგილებში. ცრუმატყველი დაგიელით ნახატი სურათების აღწერის შემდეგ და უნებლიედ წამოიძახებთ: არა, არა... რუსეთი მშვიდობით, მას არ შეუძლია არავითარი ნესიერება სადმე დაამყაროს, ისევ ჩვენ ჩვენი მეცადინეობით უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს."

1920 წლის დასაწყისში გრ. ლორთქიფანიძე დაინიშნა საქართველოს დემოკრატიული



გრიგოლ ლორთქიფანიძე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში.

რესპუბლიკის სამხედრო მინისტრად. იგი იყო აგრეთვე მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. მისი ხელმძღვანელობით კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს სამხედრო მდგომარეობა. ქართულმა მხედრობამ სძლია მოხალისეთა არმიის ნაწილებს და სოჭის ოლქი დაიკავა, საბოლოოდ დაამარცხა სარკარ ბეგის მეამბოხენი და მესხეთის დიდი ნაწილი ბათუმთან ერთად საქართველოს შემოუერთა. წარმატებით მოიგერია წითელი არმიის შემოტევა აზერბაიჯანის მხრიდან და სასტიკად ალაგმა ხელახლა აჯანყებული ოსების თარეში. მაგრამ ნაკლიც ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა ნორჩი რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, რომელთაგან უმთავრესი იყო ერთმანეთის გვერდიგვერდ ორი სახის სამხედრო ორგანიზაციის არსებობა.

მეტად მნიშვნელოვანია გრ. ლორთქიფანიძის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით: *„სახელმწიფოს დაცვის ინტერესებს უფრო შეეფერებოდა, რომ ორი სამხედრო სისტემა აღარ დარჩენილიყო პარალელურად. საჭირო იყო რეგულარული ჯარის დისციპლინასა და სიცოცხლეზე სახალხო გვარდიის პოლიტიკური შეგნებისა და მოქალაქეობრივი ენთუზიაზმის დამყნობა და ამრიგად, ამ ორი სამხედრო ორგანიზაციის სინთეზი და შეღულება, მათი ერთ მთლიან და ჩამოსხმულ ორგანიზმად გადაქცევა. აი, ეს რეფორმა დაგვიანდა და ამ დაგვიანებას კი არ ჰქონდა საკმაო გასამართლებელი საბუთი, ვინაიდან მას შემდეგ, რაც რესპუბლიკა შიგნით უკვე ჩამოყალიბდა, ორსისტემიანობამ საფუძველი დაკარგა, რადგან საქართველოს ჯარი და საქართველოს გვარდია, ერთ მხედრობად გადაქცეული, იქნებოდა უფრო ძლიერი, ვინემ მათი მექანიკური ჯამი. წარმოიდგინეთ რეგულარული ჯარისა და მის ხელმძღვანელების ცოდნა, წყობა და დისციპლინა გამრავლებული სახალხო გვარდიისა და მის მეთაურთა პოლიტიკურ შეგნებაზე, მოქალაქეობრივ სიმხნევა და აღტკინებაზე, რომ ნათელი გახდეს თუ რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანი იყო ეს რეფორმა."*

სამწუხაროდ, ამ რეფორმის განხორციელება ვერ მოხერხდა. ამის მიზეზი უმთავრესად ის გარემოება იყო, რომ სახალხო გვარდიის მესვეურნი, ძველ მუშა-რევოლუციონერებს, ეთაკილებოდათ სახელმწიფო პოლიციასა და ჯარში სამსახური. ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული სრული ურთიერთობა გვარდიისა და ჯარის ხელმძღვანელობას შორის. 1920 წლის მიწურულს გრ. ლორთქიფანიძე სამხედრო მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და განათლების სამინისტრო ჩააბარეს, ხოლო მის ადგილზე დანიშნეს პარმენ ჭიჭინაძე.

1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის ჯარებთან უთანასწორო ბრძოლაში საქართველო დამარცხდა. დამფუძნებელი კრება და მთავრობა იძულებული გახდა ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი ბათუმში გადასულიყო. *„რუსეთი როგორც იმის დროს, ისე მას შემდეგ ოკუპაციის ხანაში, მუდამ ცდილობდა ქვეყნისათვის ისე მოეჩვენებინა თავი, თითქოს რუსეთი კი არ იპყრობს საქართველოს, არამედ საქართველოში სამოქალაქო ომი წარმოებს და რუსის წითელი მხედრობა მხოლოდ და მხოლოდ დახმარებას უწევს ამბოხებულ ქართველ მუშებსა და გლეხებსაო"* — იგონებს გრ. ლორთქიფანიძე.

გამარჯვებულ მტერთან მოსალაპარაკებლად და დროებითი ზავის დასადებად მთავრობა ქუთაისში გრიგოლ ლორთქიფანიძეს აგზავნის. მოლაპარაკება შედგა 1921 წლის 17-18 მარტს. შეხვედრაზე რუსეთი წარმოდგენილი იყო ე. წ. საქართველოს რევკომით (აბელ ენუქიძე, მამია ორახელაშვილი, ალექსანდრე სვანიძე, შალვა ელიავა). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდან კი მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ გრიგოლ ლორთქიფანიძე, სამხედრო საქმეთა მრჩეველი ი. გედევანიშვილი, პოლიტიკური მრჩეველი ალ. დგებუაძე და დელეგაციის მდივანი დ. შარაშიძე.

მოლაპარაკებაზე გრ. ლორთქიფანიძე ამგვარად აფასებს მომხდარ მოვლენებს: *„მოქ. ორახელაშვილმა დაიწყო და გაათავა იმით, რომ შექმნილ მდგომარეობას უწოდა მომხდარი გადატრიალება. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ჩვენს დავას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ კვალიფიკაციას ჩვენ ვერ დავეთანხმებით. უდავოა, რომ ერთმა პოლიტიკურმა ჯგუფმა საქართველოში უცხოეთის*

*ძალების დახმარებით ხელისუფლება ჩაიგდო ხელში. რასაკვირველია, ჩვენ ამას ყურსით როგორც ფაქტს, მაგრამ ვიმეორებთ – არ მომხდარა შინაური გადატრიალება. ეს რომ ასე მომხდარიყო, ამას, რასაკვირველია, ჩვენც გავუწევდით ანგარიშს."*

იმ ხანებში რეალურად იდგა თურქეთის მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის საშიშროება. საინტერესოა გრ. ლორთქიფანიძის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. მან მოლაპარაკებაზე განაცხადა: *„დღეს ჩვენთვის გასაზიარებელ პირობებში მისაღები იქნება არა მარტო ის, რომ თქვენი ჯარები შემოვიდნენ ბათუმის ოლქში, არამედ ისიც, რომ ჩვენმა ჯარმა თქვენს ჯართან ერთად დაიწყოს საბრძოლო მოქმედება, თუკი ქემალი ოკუპაციას დაიწყებს. როგორიც არ უნდა იყოს საქართველო, იქნება იგი დემოკრატიული რესპუბლიკა, თუ საბჭოთა რესპუბლიკა, როგორიც არ უნდა იყოს სახელმწიფოებრივი ფორმა, ჩვენი მოვალეობაა, მოვალეობა სახელმწიფოებრივი, ეროვნული და ყოველგვარი, რომ ვეცადოთ ეს ოლქი დარჩეს საქართველოს. ვიმეორებ, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ეს არის ჩვენი სახელმძღვანელო დევიზი."* ამ სიტყვებში ნათლად ჩანს გრ. ლორთქიფანიძის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი შეგნების მაღალი დონე. გრიგოლისათვის უცხოა ვიწრო პოლიტიკური ამბიციები, მისთვის უზენაეს ცნებას ერის ინტერესები წარმოადგენს.

მოლაპარაკების შემდეგ მხარეები მივიდნენ შეთანხმებამდე: 1. დაუყოვნებლივ მოხდეს საომარი მოქმედების ლიკვიდაცია; 2. დემოკრატიული მთავრობა ხსნის თავის ფრონტს საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ, სცლის საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში მყოფ ჯარებს შევიდნენ ბათუმის ოლქში მის დასაკავებლად და დასაცავად გარეშე მტრების შემოსევისაგან. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც უკვე ბათუმში იმყოფებოდა, სპეციალურად გამოგზავნიდა ცარიელ ვაგონებს, რათა რკინიგზით დაჩქარებულიყო წითელი არმიის ნაწილების შეყვანა ბათუმში და შეენარჩუნებინათ საქართველოს მთლიანობა.

გრ. ლორთქიფანიძე ემიგრაციაში არ გაჰყოლია მთავრობას. იგი სამშობლოში დარჩა და მშობლიურ სოფელ ისრითში დასახლდა თავის ცოლ-შვილთან ერთად. მაგრამ სულ რამოდენიმე თვის შემდეგ, 1921 წლის 13 მაისს, ვანის რევკომის მესვეურებმა იგი საეჭვო პირად მიიჩნიეს და დააპატიმრეს. თავდაპირველად ვანის საპყრობილეში ჰყავდათ, შემდეგ კი ქუთაისსა და თბილისში, სადაც რამდენჯერმე მოუსაჯეს სამ-სამი თვით პატიმრობა. აი, როგორ აღწერს გენერალი შალვა მაღლაკელიძე მისი, გრიგოლ ლორთქიფანიძისა და პარმენ ჭიჭინაძის დაპატიმრების პირველ დღეებს: „1921 წლის 13 მაისს ლორთქიფანიძეც დაიჭირეს „გრუზჩეკის" პირველი ბრძანებით, პირველი ორდერით. მეტეხში ყოფნის დროს გრიშა ლორთქიფანიძემ წამოაყენა იდეა „თეთრი გიორგის" დაარსების შესახებ და იქ იყვნენ

*მარცხნიდან მესამე გრიგოლ ლორთქიფანიძე. საქართველოს დამფუძნებელი კრება. 1920. ფრაგმენტი.*



იმ დროს დაჭერილი სტუდენტები, ერთ-ერთი იყო სალია. ამ სალიამაც მოისმინა გრიშას იდეა, კიდევ ნაკაშიძე იყო, გიორგი ხიმშიაშვილი ეხლა არგენტინაში არის, ამანაც მოისმინა, როცა ვიზა მიიღეს, რომ გადაასახლეს ეს ბიჭები და მოხვდნენ საზღვარგარეთ, ეს იდეა განახორციელეს, დააარსეს ქართველ პატრიოტთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, მაგრამ ვინაიდან ახალგაზრდები იყვნენ, თავმჯდომარედ აირჩიეს ლეო კერესელიძე, დუშეთში რომ იყო და გაიქცა მერე საზღვარგარეთ.“*

1922 წლის ბოლოს დაიწყეს მეტეხის ტყვეთა ჯგუფ-ჯგუფად რუსეთში გადაყვანა. ერთი ასეთი ჯგუფი, რომელშიც გრ. ლორთქიფანიძეც შედიოდა, 16 დეკემბერს გაისტუმრეს მოსკოვისაკენ. აქ ისინი მოათავსეს ვლადიმირის გუბერნიის ქ. სუზდალის სამონასტრო საპყრობილეში, საიდანაც შემდეგ განსაკუთრებულ ზანაკში გადაიყვანეს (სწორედ აქ დაიწერა გრ. ლორთქიფანიძის შესანიშნავი ნარკვევი — „ფიქრები საქართველოზე“).

საინტერესოა ამ პერიოდის პირადი წერილები. აი, რამდენიმე შტრიხი გრ. ლორთქიფანიძის ნააზრევიდან:

*„როცა ბოლშევიკები ამბობენ, რომ ბრძოლა მიდის საკითხის გარშემო — საბჭოთა ხელისუფლება თუ დემოკრატიული კონსტიტუცია, — ეს სიცრუეა. ბრძოლის საფუძველია ეროვნული ჩაგვრა და ეროვნული თავისუფლება.“*

*„კომუნიზმი და მასთან ერთად კომუნისტური რუსეთი კრიზისს განიცდის. ადრე იქნება თუ გვიან, საქმე დამთავრდება კომუნისტური რუსეთის სრული კაპიტულაციით. ამ წყობილებას მომავალი არა აქვს, ის წინასწარ განწირულია.“*

შეუძლოობის გამო გრ. ლორთქიფანიძე ერთგან წერს: *„რა წამალი დაეხმარება მძლავრად იმ გულს, რომელსაც წვეთავენ ისარივით სისხლიანი ყოველ დღე საქართველოდან მოსული საშინელი ამბები. მით უმეტეს, რუსული წამალი არ მოარჩენს ამ გულს. მას არც წამალი უნდა. მომეცით საქართველო და მის ცის ქვეშ მე გავმრთელდები, თქვენი წამალი კი რუსულ გაქვავებულ გულზე მიიღეთ, იქნებ გავათბოთ.“*

გრ. ლორთქიფანიძესთან ერთად გადასახლებაში იყო მისი მეგობარი ლეო რუხაძეც. მის დღიურში ვკითხულობთ: „დღეს უკვე მაქვს წარმოდგენილი, რომ სამეგრელო განადგურებულია, აფხაზეთს არბევენ, გურია ჯარების ბანაკადაა გადაქცეული, ზემო იმერეთი განიცდის საშინელ ტერორს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში საოკუპაციო ხელისუფლება ხელმძღვანელობს თითქოს „თავადაზნაურების“ წინააღმდეგ „გლეხთა მოძრაობას“ და არბევს საქართველოს კულტურულ ძალას, ფიზიკურად სპობს ერის გონებრივ საუნჯეს. თითქოს ისტორიამ დასცინა ეხლანდელ კომუნისტურ რუსეთს, რომ რომანოვთა დინასტიის ნაკვთები პოგრომების პოლიტიკით ეხლა საქართველოში კომუნიზმის სახელით გამეფდნენ. ამაზე უდიდეს დასამარებას, ამაზე სამარცხვინო საქმეს ვერ გაუკეთებდა ვერც ერთი მტერი რუსულ კომუნიზმს. მან ამით პირწმინდად მიიკრა შუბლზე გაშიშვლებული ძარღა რუსული შოვინიზმისა და ქართველი ხალხის გულიდან აღმოფხვრა ყოველგვარი ნდობა რუსეთისადმი. გაივლის დრო და რუსული ტირანია ისტორიას ჩაბარდება. მომავალი თაობა შეუდგება შეფასებას წარსულისა და ამ შეფასებაში საქართველოს ეხლანდელი ტრაგედია იქნება ყველაზე სასირცხვო რუსის ხალხის ღირსებისათვის... დღეს მიღებულ ქართულ „კომუნისტში“ მოთავსებულია პროფესორების დეკლარაცია, სადაც გმობენ მომხდარ ამბებს (იგულისხმება 1924 წლის აჯანყება — გრ. ზ.), მას „ავანტიურას“ უწოდებენ და ქვიან, „ერი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგაო“. ამ დეკლარაციაში შეიძლებოდა ბევრი რამ ეთქვა კაცს, რომ დარწმუნებული ვიყო, ის მართლაც გამოხატავს ქართველ პროფესორთა გულისნადებს, რომ ასეთი გამოსვლა მომხდარიყო ოდნავ მაინც თავისუფალ პირობებში, მაგრამ აბა რა უნდა თქვა მაშინ, როცა მთელი ერი კანონგარეშეა გამოცხადებული და ტერორის ქვეშ ქვეყანა იძულებულია დაწიხლოს ის, რაც მას უყვარს და რისთვისაც წამებას განიცდის. ერი იბრძვის, ის მარცხდება, მისი მხედრობა წყდება, მაგრამ ნურამც მოისწრებოდეს ჩვენი მტერი იმას, რომ საქართველოს მხედრობასთან ერთად საქართველოს ტვინიც გასრესილიყვეს! არა, ტვინმა უნდა განაგრძოს მუშაობა ერისათვის, დღეს დახოცილებს ახალი თაობები შესცვლიან, ერის თავი და მისი აზროვნება მუდამ უნდა სდარაჯობდეს ეროვნული მეცნიერების ჭურჭელს.“

1925 წელს სუზდალის ქართველ პატიმართა ჯგუფი გაათავისუფლეს, მაგრამ საქართველოში დაბრუნება აუკრძალეს. გრ. ლორთქიფანიძე სამი წლით გადასახლებულ იქნა ქ. კურსკში. ამ პერიოდისათვის აღსანიშნავია გრ. ლორთქიფანიძის ცნობილი „პოლიტიკური ანდერძი“ („საქართველოს განვითარების გზები“). იგი წერს: *„ვინიცობაა უცხოეთში სამშობლო მიწის გულში ჩასვენებას, მე აღიჩნეული დავფლილიყავი არა იქ, სადაც მე დავიბადე, არც საქართველოს დედაქალაქში, ჩვენს ძვირფასს და სანუკვარ თბილისში, არამედ იმ მხარეში, სადაც დაიბადა და დაიწრთა ქართველი ხალხის კულტურის აკვანი და რომლის ნახვას მე ვერ მოვესწარი, სახელდობრ,*

---

* „თეთრი გიორგის“ მოძრაობას ერთი პერიოდი თვით შალვა მაღლაკელიძე ედგა სათავეში.



ლეო რუხაძე და გრიგოლ ლორთქიფანიძე. ვორონეჟი, 1935.

*დიდ ისტორიულ მხარეთის რომელიმე ნაწილში, სადაც მე გადავესახლებოდი, რომ საერთოდ ამის შესაძლებლობა მქონოდა.“*

1928 წელს გრ. ლორთქიფანიძის დაჟინებული თხოვნის საფუძველზე მას ნება დართეს საქართველოში ჩამოსულიყო ოჯახისა და მოხუცი მშობლების სანახავად. საქართველოში სტუმრად ყოფნისას გრ. ლორთქიფანიძეს შეხვედრები ჰქონდა მთავრობის წევრებთან — მიხეილ კახიანთან, ლევან ღოღობერიძესთან და სხვებთან, რომელთაგან ბევრს პირადად იცნობდა ერთობლივი რევოლუციური მოღვაწეობიდან. მას თხოვეს დაეთვალიერებინა საქართველო და დაეწერა თავისი შთაბეჭდილებანი იმდროინდელი ვითარების შესახებ. გრ. ლორთქიფანიძემ ეს თხოვნა შეასრულა, თუმცა მეტად მწვავედ გააკრიტიკა საქართველოს პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა სხვადასხვა საკითხებში დაშვებულ შეცდომათა გამო, რისთვისაც დაგმეს საქართველოს კპ(ბ) ცკას პლენუმზე.

1929 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძე იძულებული ხდება დაბრუნდეს კურსკში გადასახლების ადგილზე, სადაც განაგრძობს პუბლიცისტურ მოღვაწეობას. საინტერესოა მისალოცი დეპეშა, რომელიც გრიგოლ ლორთქიფანიძეს კურსკიდან 1929 წლის 21 დეკემბერს გაუგზავნია მოსკოვში, სტალინის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით. მისი დეპეშა სტალინისადმი საინტერესო პოლიტიკური და ლიტერატურული დოკუმენტია. გთავაზობთ ნაწყვეტს ამ დეპეშიდან:

*„დღეს თქვენ ტრიუმფატორი ხართ. რომის ტრიუმფებში მონაწილეობდა საგანგებო მონა, რომელიც დიად გამარჯვებულს შეახსენებდა მის ცალკეულ შეცდომებსა და ბედის ცვალებადობას. შუა საუკუნეების რუს მეფეებს კრიტიკოსებად სალოსები ჰყავდათ.*

*არ ვდგავარ რა ტრიუმფატორის უკვდავყოფისა ეტლის ძარის უკანა საფეხურზე და არც კარის სალოსი გახლავართ, მაგრამ მინდა შეგახსენოთ, რომ თქვენს იუბილეს დაემთხვა ერთი ამაშფოთებელი წინააღმდეგობა: გაჯაკუბისათვის მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების მატება და იმავდროულად საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ავტონომიის ნაშთთა საბოლოო ლიკვიდაცია და მათი გადაქცევა რუსულ საბჭოთა საადგილმამულოდ კრიცკის მეთაურობით.*

*საუკეთესო საიუბილეო მისალმებებთან ერთად ვისურვებდი, რომ თქვენ და თქვენი თანამებრძოლები საბოლოოდ არ დატყვევდეთ ძველრუსული კრემლის ისტორიულმა აჩრდილებმა და მოსკოვის დიდმპყრობელობამ მეტად ვერ შეძლოს ინტერნაციონალიზმის დიადი იდეის მეწამულ ტოგაში გახვევა.“*

ვინ შეარჩენდა ამას და აი, დეპეშის გაგზავნის მეორე დღესვე გრ. ლორთქიფანიძე დააპატიმრეს და გაგზავნეს ქ. ვორონეჟის საპყრობილეში, სადაც 6 თვე დაჰყო. გათავისუფლების შემდეგ მიესაჯა ვორონეჟში ცხოვრება სამი წლით. აქ იგი მუშაობდა განათლების განყოფილების ინსპექტორად.

1935 წლის მარტში გრ. ლორთქიფანიძემ, დგებუაძემ და კანდელაკმა საერთო წერილით მიმართეს საბჭოების VII ყრილობის მიერ შექმნილ საკონსტიტუციო კომისიას (თავმჯდომარე —

სტალინი, წევრები — მოლოტოვი, ლიტვინოვი, რადეკი...). მათ წარადგინეს თავიანთი შენიშვნები, რადგან ახალი კონსტიტუციის პროექტი საჯაროდ იხილებოდა. წერილში აღნიშნული იყო, რომ მართლაც, ერთის მხრივ, საბჭოთა ხელისუფლება ხელს უწყობდა მცირერიცხოვან ხალხებს და ეთნიკურ ერთეულებსაც კი სოციალურ და კულტურულ განვითარებაში, მაგრამ ამის თქმა შეუძლებელი იყო უძველესი კულტურის მქონე ზოგიერთი ისტორიული ქვეყნის მიმართ, როგორიც იყვნენ, მაგალითად, საქართველო და სომხეთი, სადაც ეროვნული საკითხი იმთავითვე განხორციელდა უკიდურესად თურქულ-მუსულმანური ფორმებით. წერილში ვრცლად იყო დახასიათებული საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობის თავგადასავალი.

ამ წერილმა გააძლიერა ეჭვები გრ. ლორთქიფანიძის პიროვნების მიმართ. ვითარება გამწვავდა იმითაც, რომ 1936 წელს გრ. ლორთქიფანიძემ ცხარე კამათი გაუმართა სსრ კავშირის განათლების სახალხო კომისარს ანდრეი ბუბნოვს. გრიგოლი ათი თვის განმავლობაში არ ზოგავდა ცოდნასა და ენერგიას, რომ ბუბნოვთან დავაში თავისი სიმართლე დაემტკიცებინა. დავა კომპარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის დონეზე გადაწყდა. გრ. ლორთქიფანიძე გაამართლეს, სამსახურში აღადგინეს და გაცდენილი დროის ხელფასიც აუნაზღაურეს. გახარებული გრიგოლი ელოდა სრულ თავისუფლებას და სამშობლოში დაბრუნების ნებართვას.

მაგრამ ეს დავა და საერთოდ, აქტიურობა პოლიტიკურ ასპარეზზე გრიგოლს ძვირად დაუჯდა. 1937 წლის 13 იანვარს გრ. ლორთქიფანიძე გამოიძახეს ქ.ვორონეჟის „ჩეკაში“-ში, 14 იანვარს კი ხუთი წლის ვადით გადაასახლეს ციმბირში. იგი ჩაიყვანეს ქ. კუზნეცკში. დიდი კონსპირაციით გამოგზავნილი ბარათიდან ჩანს, რომ უმძიმეს პირობებში ჩავარდნილს უპირებენ გრიგოლისას რკინიგზის მშენებლობაზე სამუშაოდ გაგზავნას, სადაც „ამქვეყნიური ჯოჯოხეთია“.

ამის შემდეგ გრ. ლორთქიფანიძისაგან ოჯახს არავითარი ცნობა არ მიუღია. მხოლოდ 1955 წლიდან, როცა რეპრესირებულთა საქმეების გადასინჯვა მიმდინარეობდა, ცნობილი გახდა, რომ 1937 წლის მარტ-აპრილში ბერიას განკარგულებით გრ. ლორთქიფანიძე საქართველოში ჩამოუყვანიათ. ბერია თურმე ცდილობდა გამოეყენებინა იგი, როგორც წამყვანი ძალა ვითომც დივერსიული ჯგუფის აღმოსაჩენად. მის საქმეში ინახება ბერიას გაქნილი ლაქიის ქობულოვის დასმენა იმის თაობაზე, რომ თითქოს ნოე ჟორდანიას პარიზში უთქვამს, თუ საქართველოში შესაძლებელია ვინმეზე დაყრდნობა, ეს გრ. ლორთქიფანიძეაო. გრიგოლი სასტიკად აწამეს, მაგრამ ამ მითიური ჯგუფის არსებობაზე ხელი ვერ მოაწერინეს. ასეთ წამებაში 1937 წლის 2 სექტემბერს გრ. ლორთქიფანიძე თბილისის საპყრობილეში გარდაიცვალა.

1955 წელს გრიგოლ ლორთქიფანიძე რეაბილიტირებულ იქნა.

გრიგოლ ზარქუა

## ლიტერატურა


1. გრიგოლ ლორთქიფანიძე. პირადი არქივის მასალები.
2. გრიგოლ ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. ჟურნ. „მნათობი“. № 1. 1991.
3. გრიგოლ ლორთქიფანიძე. პოლიტიკური ძალები საქართველოს განვითარების გზაზე. ჟურნ. „საისტორიო მოამბე“. № 1. 1991.
4. გრიგოლ ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. სუზდალის ციხე. 1922-24.
5. „გრიგოლ ლორთქიფანიძე გავყვრიალდეთ“. გაზ. „ერთობა“. 1991. იანვარი.
6. ლევი რუხაძე. პოლიტიზოლატორებში ნაწერი დღიურები. 1924-25.
7. ზურაბ ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. პარიზი. 1924.
8. მიხეილ ბაქრაძე. ფიქრები საქართველოზე. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1991. 19 აპრილი.
9. მიხეილ ბაქრაძე. მძიმე ჯვარი (თარგმანი). გაზ. „სახალხო განათლება“. 1989. 23, 30 აგვისტო.
10. ლევან თოიძე. ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება; ფაქტობრივი ანექსია. 1991.
11. იოსებ ირემაშვილი. სტალინი და საქართველოს ტრაგედია. გაზ. „ერი“. 1991. ივლის-სექტემბერი.
12. დავით კლდიაშვილი. ოთხი დღე კახეთში. ჟურნ. „განთიადი“. № 4. 1987.
13. შალვა მაღლაკელიძე. მოგონებანი. ჟურნ. „განთიადი“. № 4. 1987.
14. ალექსანდრე მანველიშვილი. რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა. სან-ფრანცისკო. 1984.
15. ავთანდილ მენთეშაშვილი. საქართველოს პოლიტიკური ისტორია 1917-21 წწ. 1991.
16. ნოე ჟორდანია. ჩემი წარსული (მოგონებანი). პარიზი. 1953.
17. აკაკი სურგულაძე. ფიქრები საქართველოზე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1989. 27 ოქტომბერი.
18. პაატა სურგულაძე. უნივერსიტეტი და მეცნიერება. გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“. 1991. 25 ოქტომბერი.
19. გრიგოლ ურატაძე. საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1918-1921 წწ. პარიზი. 1939.
20. დავით ქარჩავაძე. დღის მეტეხიც მოგონებანს. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“. 1989. 22, 29 სექტემბერი.
21. გივი ლომსაძე. უცხოეთში ნაბრიალები ბორბალი წელიწა დაბრუნებისა. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1992. 3 დეკემბერი.
22. გურამ შარაძე. 1921 წლის ქუთაისის სანაპირო ხელისუფლებისა. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“. 1992. 14 მარტი.

ცოტაა საქართველოში ისეთი მამულიშვილი და საკუთარი ერის ისეთი მოამაგე, როგორიც ჯურხა ნადირაძე იყო. იგი მთელი სიცხადით ხედავდა იმ სიდიადესა და ბრწყინვალებას, რასაც ერის ისტორია და წარსული ჰქვია.
ადამიანს, როგორც პიროვნებას, ყველაზე უკეთ მისი ოჯახის წევრები იცნობენ. ტკივილით ნაწერი ამ მოგონების ავტორი ჯურხა ნადირაძის ქალიშვილია. ნათია ნადირაძემ წლეულს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.



*ნათია ნადირაძე*

# მამაჩემი – ჯურხა ნადირაძე

ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც მამა ამ ქვეყნიდან წავიდა, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ სრული სიცხადით შემეგრძნო, რას წარმოადგენდა იგი ჩვენთვის.

მასთან ცხოვრება ხომ გამუდმებული დღესასწაული იყო, – მუდამ მოცინარი, სახლ-კარზე მზრუნველი, სავსე ზარაჭითა და პატიოსნებით. აკი უთხრა ბატონმა მუხრან მაჭავარიანმა: „ჯურხა ნადირო, კლდის წყარო, ადამიანო ცინცხალო". მას არასოდეს უძებნია თანამდებობა, არც არასდროს მიუღწევია მისთვის და ალბათ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმ უშუალობისა, რითაც ასე გულწრფელად ხიბლავდა ხალხს.

მამაჩემს ყოველთვის დაეძებდნენ მისი მეგობრები – დილით, საღამოს, შუაღამისას. დაეძებდნენ იმიტომ, რომ უღალატო, თავდადებული მეგობარი იყო. მაგრამ უხეშობასა და ზედმეტობას არავის აპატიებდა, განსაკუთრებით შვილებს მოვეწოდებდა ზომიერებისაკენ.

ხშირად გამოთქვამდა სინანულს, რომ ცხოვრების პირობებით ხელშეშლილმა ბევრი რამ ასე ვერ გააკეთა, როგორც თავად სურდა. მიუხედავად ამისა, არასდროს მოშორებია ვალდებულების გრძნობა, რომელმაც შეაძლებინა დასახული მიზნის განხორციელება.

მამაჩემის სამეცნიერო მოღვაწეობისა და არქეოლოგიური მიღწევების ჩემეულ შეფასებას, ვფიქრობ, ნაკლები მნიშვნელობა აქვს მკითხველისათვის. სჯობს ამ საკითხზე არქეოლოგებმა ისაუბრონ. ისე კი უნდა ვთქვა, რომ მისი ცხოვრების საუკეთესო წუთები სწორედ არქეოლოგიურ აღმოჩენებთან იყო დაკავშირებული.

ახლაც თვალწინ მიდგას, თავისი ყავისფერი დერმატინის „პაკით" ველიდან დაბრუნებული. მოდის ჩვენსკენ (გაზაფხულის საღამოა და მთელი ოჯახი დიდ მაგიდასთან ვსხედვართ კაკლის ხის ქვეშ) ერთობ სერიოზული, მაგრამ რაღაც იდუმალებით მოსილი. ჩვენს ტრადიციულ შეკითხვაზე – „ხომ არაფერი გინახავს ახალი", იგი მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმებს, შემდეგ გამარჯვებული იერით გადმოგვხედავს და ამ დერმატინის ჯადოსნური „პაკიდან" ნელ-ნელა ამოაცურებს თეთრსა და მრგვალ ყუთს. მივეჯარებით გარშემო. სათუთად ახდის ყუთს სახურავს, გადააცლის ბამბის ერთ ფენას და ბამბისავე საფენზე დაფენილი ოქროს ნივთები გაბრწყინდებიან.

ჩვენ უკვე კარგა ხანია ვიცით, რომ ხელით შეხება სასტიკად აკრძალული გვაქვს და ასე ნახვრად წახრილები, აღტაცებული შეძახილებით, ხარბად დავცქერით საგნებს, რომელთაც წარსულის სურნელი გამოჰყოლიათ. მამა ასევე სათუთად ჩაალაგებს მათ უკან, „პაკას" დახურავს და დიდი ზარ-ზეიმით გადასცემს „უფროს მცველს" – ბებიაჩემს, რომლის კონსპირაციულობას საზღვარი არ უჩანს. ეს სიხარული გამუდმებული იყო ჩვენი სახლისათვის.

მამაჩემს იღბლიან არქეოლოგს ეძახდნენ, მან უძვირფასესი ნივთები შესძინა ქართული კულტურის საგანძურს და ახლა ხელოვნების მუზეუმში დაცული ეს ნივთები ერთიორად საყვარელნი არიან ჩემთვის. სწორედ რომ საყვარელნი, რადგან მათთან ჩემი ბედნიერების დიდი ნაწილიცაა დაკავშირებული.

ყოველი გაზაფხული მისთვის ბრძოლით იწყებოდა — ეს იყო საექსპედიციო სამუშაოებისათვის მზადების პერიოდი. მცირე გარჯა არ ესაჭიროებოდა აშკარად ეროვნული საქმისათვის საჭირო თანხების გამოძებნას. მამა წერდა მოხსენებით ბარათებს, ახსნა-განმარტებებს, დადიოდა სხვადასხვა ინსტანციებში. ამ დროს მისი ნაკვალევი მეგობართათვის დროებით იკარგებოდა. ეძებდნენ [illegible] ბოდნენ, მას უკვე არავისთვის ეცალა, დაკავებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფიქრით [illegible] ემოვა საჭირო თანხა, რომ ექსპედიცია არ ჩაშლოდა და არ მოწყვეტოდა იმ საქმეს, რომელიც აყალიბებდა მას, როგორც პიროვნებას. მამას არქეოლოგიამ მისცა ყველაფერი, სწორედ ამიტომ, შეუძლებელია, უმადური დარჩენილიყო საკუთარი პროფესიის მიმართ.

ჯურხა ნადირაძე, როგორც პირადი დღიურებიდან ირკვევა, დიდი ხანი მდგარა არჩევანის წინაშე — არქეოლოგია თუ მწერლობა. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა ხომ სწორედ ამ უკანასკნელით დაიწყო. მას გამოუქვეყნებია რამდენიმე მოთხრობა 50-60-იანი წლების ლიტერატურულ ჟურნალებში, ხელმოკლეობით შეჭირვებულს ხუთწლედის გმირებზეც უწერია მაშინდელ პერიოდულ პრესაში.

მწერლობა საოცრად ახლოს დგას არქეოლოგიასთან. ერთიცა და მეორეც ხომ საკუთარი ერის სულიერ ლაბირინთებში ეძებს სათავეს, საძირკველს, ცდილობს უფრო ღრმად ჩასწვდეს საფუძველს, ამოსავალს.

არქეოლოგიაც შემოქმედებაა — დაუწერელი, მაგრამ ცხადი და თვალნათელი. ეს იყო სწორედ ჯურხა ნადირაძის ბობოქარი სულის გამოხატულება — ახლის ძიება და ისტორიის ნაკვალევზე სიარული.

უნივერსიტეტი და უნივერსიტეტის ბაღი აყალიბებდა მის ჩვევებსა და მისწრაფებებს, აქვე შეიძინა საუკეთესო მეგობრები, რომლებთანაც გარდაცვალებამდე არ გაუწყვეტია ურთიერთობა. ყველაზე მეტად გურამ რჩეულიშვილთან მეგობრობის ამსახველი მომენტები იპყრობს ჩემს ყურადღებას.

მამა და გურამ რჩეულიშვილი უცბად არ დამეგობრებულან. თავდაპირველად ყოფილა უნდობლობა, კამათი, ჩხუბიც კი, რომელიც ხშირად მეგობრობის საფუძვლადაც იქცევა ხოლმე. შემდეგ ურთიერთობის გარკვევის, მისწრაფებათა თანაზიარობის კვალობაზე, ერთმანეთის პატივისმცემელნი და მოყვარულნი გამხდარან. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა გურამ რჩეულიშვილს ვინმესთვის გაეზიარებინა ის ფაქიზი გრძნობები, რომელიც მისი ჯურხასადმი გამოგზავნილ წერილშია გამჟღავნებული.



ზღვის პირას მჯდარი და მისი გრანდიოზულობით მოხიბლული გურამი მეგობარს ასეთ სიტყვებს წერს: „ნამდვილად ამშვენებს ადამიანი ბუნებას, ვუყურებდი ზღვას და ვერ წარმომედგინა, რომ ამ სიმშვენიერეში კაცმა კაცს აწყენინოს, შემიყვარდა ამ საღამოს ჩვენი პლანეტა, ალბათ მოვა დრო, როცა (შეიძლება ჩვენ ვეღარ მოვესწროთ) განვითარდება ასტრონომია, საპლანეტათაშორისო მოძრაობა, მაგრამ ადამიანი ისე დაიცავს და ისე შეიყვარებს მთელ დედამიწას, როგორც ჩვენ — მე და შენ საქართველო გვიყვარს" (1956 წელი).

მოსკოვში გურამი კითხულობს ტოლსტოის და თავის აღტაცებას ბარათით აცნობს ჯურხას. ახალ ათონში უჩხუბია და გმირად კი არ წარმოუდგენია თავი, — წერილიდან ისმის თავგანწირული, მაგრამ ნაწყენი ადამიანის კვნესა.

ეტყობა გურამ რჩეულიშვილი ბევრ რამეში ენდობოდა ჯურხას, ბევრ რამეს უზიარებდა მას, რის საფუძველსაც მათი საერთო მისწრაფება — სამშობლოს სიყვარული წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ მამამ არჩევანი არქეოლოგიის სასარგებლოდ გააკეთა, ქართულ მწერლობასთან ურთიერთობა მის სულიერ მოთხოვნილებას წარმოადგენდა. სიტყვის ოსტატმა, დიდოსტატმა, როგორიც რევაზ ინანიშვილი იყო, მისი ნაწერების სტილს „სინათლით სავსე [illegible]" უწოდა, ხოლო პოეტმა ბელლა შენგელაიამ ასეთი აღტაცებული სიტყვები უძღვნა მის „არქეოლოგიურ ნარკვევებს": „ეს ხომ პოეზიაა! ნამდვილი მხატვრის პოეტური თვალი გხიბლავთ ამ სტრიქონებში და მთელი წიგნი ერთი მთლიანი და დიდი სიმღერაა. ერთი უკვდავი ლექსია საქართველოზე, მის დიდებულ წარსულზე, მის დიდებულ ადამიანებზე, რომლებიც ათასი წლების მიღმა ქმნიდნენ უდიდეს კულტურას და ქართველი ხალხის ბრწყინვალე ისტორიას."

ბავშვი პატარა ადამიანია — უმანკო, სათნო, მან ჯერ კიდევ არ იცის, რა არის კარგი და ცუდი, რა არის ქვეყნიერება, სიცოცხლე. რასაც ჩაუნერგავ, ის გაღვივდება და შესაფერის ნაყოფსაც მოისხამს.

სწორედ ბავშვების დიდმა სიყვარულმა განაპირობა წიგნის შექმნა, რომელსაც ჯურხა ნადირაძემ „მოთხრობები მორჩილ წარსულზე" უწოდა. ახალი თაობა საყვარელი ქვეყნის მომავალი ბედის განმსაზღვრელია, ამიტომ საჭიროა მისი აღზრდა, განვითარება, საზრდოობა სიყვარულით და სიწმინდით, სამშობლოსა და მისი ისტორიისადმი სიყვარულით. ჯურხა ნადირაძე ცდილობს სწორედ ამ გზით წაიყვანოს ბავშვის ცნობიერება და სათუთი გულისხმიერებით ჰყვება უძველეს ამბებს:

„მდინარეების — ხრამსა და მაშავერას შორის გაშლილ ველზე, მზისფერ ხოდაბუნებში და ლურჯად მოსხმულ ხეებში არქეოლოგებმა მიაკვლიეს მწვანე ბორცვებს. საუკუნეების მანძილზე ხალხი ამ გორებზე ნახნავს ახოვებდა და აზრად არავის მოსვლია, რომ მათ ყურქვეშ უძველესი სოფლები იმალებოდა. არქეოლოგებმა გათხარეს ეს სოფლები და ათასწლეულების წინათ მიწაში ჩამარხულ საცხოვრისებმა ისევ დაიბრუნა ამქვეყნიური სახე. დაუბერა ნიავმა, მზიანი წვიმა ახმაურდა პატარა ქუჩებში და ვიწრო შუკებში. გუმბათგადახურული სახლების სარკმლებზე გუგული დადგა და მინიდან შემშრალ მიწაზე ადამიანის ნაკვალევები გამოისახა..." (ჯ. ნადირაძე)

მამას წესად ჰქონდა წელიწადში ორჯერ ოჯახური წვეულების გამართვა. ეს იყო უბედნიერესი დღეები, როცა ჩვენი სახლი ივსებოდა ცნობილი და პატივსაცემი ადამიანებით. ეს იყო პოეზიის, სიმღერისა და ურთიერთპატივისცემის ნამდვილი დღესასწაულები. სუფრის გაწყობაში მამა ხშირად თვითონ იღებდა მონაწილეობას. მას სძულდა ხორაგით სავსე მაგიდა და თუ შესაძლებელია ბარაქიანობა, ზომიერებით იყოს წარმოდგენილი, ეს სწორედ მისი ზედამხედველობით გაშლილ პურ-მარილს ეთქმოდა.

ჯურხას სიყრმის მეგობარს, იორამ ქემერტელიძეს დავესესხოთ: „ყველაფერი ლამაზად და ბუნებრივად გამოსდიოდა, რადგან თვითონ იყო ლამაზი და ფაქიზი საქციელის კაცი, ჭეშმარიტი შვილი ბუნებისა, არავინ მასავით არ იცოდა სუფრის ფასი, არავისი სუფრა ისე ლამაზი არ იყო, როგორიც მისი, რადგან ეს სუფრა იყო მეგობრობისა და სიყვარულის ზეიმი და არა მხოლოდ პურ-მარილი. ასე და ამიტომ მისგან სიყვარულიც ვისწავლეთ (თურმე სიყვარულის სწავლაც შეიძლება)."

მუშაობით მამა ნელა მუშაობდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მხატვრულად წერდა არქეოლოგიის შესახებ. ეს ხდებოდა ძირითადად გვიანი შემოდგომიდან გაზაფხულის დადგომამდე. ზამთარში იგონებდა, ეალერსებოდა და ქაღალდზე ალაგებდა ყვავილებს, მზის, ცისა და ხოდაბუნების ფერებს, რომლებიც ზაფხულში ბარაქიანად შეესრუტა მის არსებას. ამით გაჰყავდა ზამთარი, რომელიც მისთვის საოცრად გაუსაძლისი იყო.

მამამ არქეოლოგიაში ოთარ ჯაფარიძე მიიჩნია თავის მასწავლებლად და გზის მიმცემად. დიდად აფასებდა აგრეთვე იმ ამაგს, რომელიც ბატონ შალვა ამირანაშვილს მიუძღოდა მის სამეცნიერო ასპარეზზე გამოყვანაში.

ჯურხა ნადირაძის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური ექსპედიციები განხორციელდა მცხეთიჯვარში (ქართლი), მოდინახეზე და საირხეში (იმერეთი).

მისი საყვარელი მარშრუტი თბილის–საჩხერის გზა იყო. ჭერათხევის ხეობიდან გასული გორაძირზე გააჩერებდა მანქანას, გადმოვიდოდა იქ, სადაც ყველაზე შემაღლებული ადგილი იყო და აცქერდებოდა რაჭა-იმერეთის მთებს. ერთხანს ვერ გავიგე, — რას აკვირდებოდა, რა უნდა ყოფილიყო საინტერესო ამ მოშორებით მთებში, რომლებიც არაფრით გამოირჩევიან. ერთხელაც, გახარებულმა დამიქნია ხელი მანქანაში ჩაჯდომელს. გადმოვედი და მივუახლოვდი. მარჯვენა ხელი მხარზე დამადო, მარცხენა მთებისკენ გაიშვირა.

— ხედავ? — მე რასაკვირველია ვხედავდი მთებს და არაფერი განსაკუთრებული, — მაგათ კი არა, უკან, უკან ნახე! დიდი კავკასიონის ორი მწვერვალი როგორაა ამოზიდული... — ეს მართლაც დიდებული სანახაობა იყო. ჩამავალი მზით აწითლებული თეთრი მწვერვალები სილურჯეში ჩაძირულ რაჭა-იმერეთის მთებს ტიტანებივით დაჰყურებდნენ ზემოდან. — მხოლოდ ოქტომბრის ბოლოდან გამოჩნდებიან ხოლმე, ჰაერი რომ დაიწმინდება კარგად. იცოდე და მერე სხვასაც დაანახე, კაი ვინმეს უთუოდ გაახარებ...

იღბალი იღბალია, მაგრამ გამიგონია, — იღბალი შრომასა და ძიებას მოსდევსო. მიმაჩნია, რომ სწორედ ამ თვისების წყალობით გახდა მამაჩემისათვის შესაძლებელი, მიეგნო საირხის ბრწყინვალე კულტურისათვის, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულს განეკუთვნება. ესაა საირხის საქალაქო ცხოვრების აყვავების ხანა, რომელიც ემთხვევა კოლხეთის სამეფოს ძლიერების პერიოდს და წარმოგვიდგება ერთ უმთავრეს დამაკავშირებელ რგოლად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კულტურული ცხოვრებისა. ამ მნიშვნელოვანმა აღმოჩენამ განამტკიცა ისტორიული წყაროების ცნობები უძველეს ქართულ სახელმწიფოთა ძლიერების შესახებ.

მამას ერთი ბარის დაკვრით არ მიუგნია ამ კულტურისათვის. 1984 წლის 9 აპრილს დღიურში აღუნიშნავს: „20 წლის წინათ ვიდექი იმ ადგილზე, სადაც ახლა ეს შესანიშნავი კულტურა აღმოჩნდა. მაშინ რომ ხელი არ შემშლოდა და გამეთხარა ეს ადგილი, ალბათ უკვე სერიოზული საქმე მექნებოდა გაკეთებული." ვფიქრობ, რომ ყოველი მისი აღმოჩენა ლოგიკური შედეგი იყო იმ გამუდმებული ძიებისა, რომელიც უკვე ჩვევად ჰქონდა გადაქცეული.

ზემო იმერეთის მიწამ მამა უდიდესი სიხარულით დაასაჩუქრა და მისი უკანასკნელი სურვილი ამ მიწისათვის „მხოლოდ ერთხელ თვალის გადავლებისა" აუხდენელ ოცნებებად ჩაიტანა. ჭეშმარიტი სიტყვები უთხრა ბატონმა ელგუჯა მაღრაძემ იმქვეყნიაკენ მიმავალს: „შენ მთელი არსებით გიყვარდა მშობლიური მიწა-წყალი, წინაპართა საძვალე და შენი გზა ამგვარადაც იმ მიწაში გაკვალე, საიდანაც საქართველოს სადიდებლად ფასდაუდებელი საგანძური ამოგქონდა."

სიკვდილზე ფიქრი არღვევს ყოველგვარ სიმშვიდეს, ის კი გაუსაძლისი ტკივილების მიუხედავად მოთმინებით ელოდა აღსასრულს...

მამა მუდამ შეგვახსენებდა, რომ ყოველი მართალი ადამიანი ღირსებას მატებს თავის სამშობლოს. იგი მუდამ მაგალითის მიმცემი იყო თავისი მრავალრიცხოვანი ახლობლებისათვის და ჭეშმარიტი მოთმინების მაგალითი უჩვენა მათ აღსასრულის ჟამსაც.

უკანასკნელი განსასვენებელი თავისივე სურვილით აირჩია, ხოლო საფლავის ლოდზე ამოკვეთილია მისივე სიტყვები: „არქეოლოგიური აღმოჩენა ჩასვენებული მზის ხელახალ ამობრწყინებას ჰგავს, იგი შუქს ჰფენს ბინდით მოცულ შორეულ წარსულს და ხალხს, რომელმაც ეს წარსული შექმნა, სამერმისო გზას უნათებს."

ჯურხა ნადირაძე გამორჩეული იყო თავისი ცხოვრების წესით იმ ადამიანთაგან, რომლებიც დღენიადაგ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ.

მისი სახელი — ჯურხა ისედაც საქართველოს წარსულის გაცოცხლებაა...

„ჩაუქი მკვდარიც ჩაუქია..."

ბედნიერია ადამიანი, რომელიც სამშობლოს დიდ სიყვარულს ატარებს გულით. ასე ბედნიერთა შორის ერთ-ერთი ჯურხა ნადირაძეც იყო...

მოამზადა თსუ ჟურნალისტიკის
ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა
მარიამ ფოფხაძემ.



# 1993 წელს დაცული დისერტაციები

## (ხელოვნებათმცოდნეობა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალის წინა ნომერში ჩვენ შემოგთავაზეთ საქართველოში 1993 წელს დაცული დისერტაციების ანოტაციები (ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია). ამ სახის პუბლიკაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია სპეციალისტებში და საერთოდ, ფართო საზოგადოებაში. გადავწყვიტეთ განვაგრძოთ ეს რუბრიკა და მკითხველს შევთავაზოთ ისტორიის მომიჯნავე დარგებში დაცული დისერტაციების ანოტაციები. ამჯერად გთავაზობთ ინფორმაციებს 1993 წელს ქართული ხელოვნების ისტორიის სპეციალობით დაცულ სადისერტაციო ნაშრომთა და მათ ავტორთა შესახებ. ჩვენი მონაცემებით, გასულ წელს ხელოვნებათმცოდნეობის დარგში დაცულ იქნა 10 დისერტაცია (8 საკანდიდატო, 2 სადოქტორო). ვიმედოვნებთ, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები სრულია.

ჩვენში ხელოვნების ისტორიის სპეციალობით დისერტაციების დაცვა ხდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში. ვინაიდან დისერტაციათა დაცვა ხელოვნებათმცოდნეობის დარგში მხოლოდ აღნიშნულ ინსტიტუტში ხდება, დაცვის ადგილს ქვემოთ აღარ მივუთითებთ. არ ვუთითებთ აგრეთვე სპეციალობის შიფრს, რომელიც ყველა სადისერტაციო ნაშრომისათვის ერთი და იგივეა — 170001 (ქართული ხელოვნების ისტორია).

დასასრულს, მასალის მოძიების საქმეში გაწეული დახმარებისათვის გვსურს დიდი მადლობა მოვახსენოთ ბატონებს: ვახტანგ ბერიძეს, ნოდარ ჯანბერიძეს, გია მარსაგიშვილს.

**აბრამიშვილი გურამ ვლადიმერის ძე** ______________________ სადოქტორო

**ატენის სიონი (ადრეული შუა საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრული ტიპის ისტორიიდან)**

სადისერტაციო ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი — ატენის სიონი. დისერტანტი მრავალ საინტერესო საკითხს ეხება და მათ ორიგინალურ გააზრებას გვთავაზობს. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით, სიონის ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის ხუროთმოძღვარია ერთენებით სომეხი თოდოსაკ. ნაშრომში ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ეს საკითხი სრულიად ახლებურადაა წარმოდგენილი. ახალი მოსაზრებაა გამოთქმული აგრეთვე ატენის სიონის მოხატულობის თარიღისა და არქიტექტორთა იდენტიფიკაციაზე. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სიონის ლაპიდარული თუ ფრესკული წარწერების ერთი ნაწილის წაკითხვა და მათი ცნობების ისტორიულ ჭრილში გააზრება.

*დაცვა მოხდა 22 ოქტომბერს.*

**ალექსიძე ნანა მერაბის ას.** ______________________ საკანდიდატო

**ხონის წმინდა გიორგის ეკლესიის მოხატულობა (XVII საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიიდან)**

ნაშრომში განხილულია ხონის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა, მისი იკონოგრაფიული პროგრამა და სტილისტური თავისებურებანი. მხატვრობა ისტორიული წარწერის საფუძველზე ზუსტად თარიღდება 1676-78 წლებით. ხონისა და მისი თანამედროვე მოხატულობების შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა რამდენადმე გაფართოვდეს XVII ს-ის მონუმენტური ფერწერის დამახასიათებელ თავისებურებათა შესწავლა. მართალია, ხონის წმ. გიორგის ეკლესიის XVII ს-ის მოხატულობამ ჩვენამდე

რამდენადმე დაზიანებული სახით მოაღწია, მაგრამ შემორჩენილი ნაწილები მაინც იძლევა სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებას. ნაშრომს ერთვის ფოტომასალა (ცალკე ალბომად) და სქემები, შესრულებული მხატვარ-რესტავრატორ მ. ბურჭულაძის მიერ.

ხელმძღვანელი ნათელა ალადაშვილი
დაცვა შედგა 12 მარტს.

ბულია მარინა რობერტის ას. ——— კანდიდატი

## დავითგარეჯის უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მოხატულობა (XIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიიდან)

დისერტაციაში მონოგრაფიულადაა შესწავლილი დავითგარეჯის უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მხატვრობის იკონოგრაფიული და სტილისტური თავისებურებები, მისი ურთიერთდამოკიდებულება როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ ძეგლებთან. განხილულია მეფე დემეტრე II თავდადებულის გამოსახულების შემცველი კომპოზიციის რიგი იკონოგრაფიული თავისებურებები, რის საფუძველზეც ახლებურადაა გაშუქებული სამეფო პორტრეტის ხასიათი და მნიშვნელობა, დაზუსტებულია მოხატულობის შესრულების თარიღი და ეკლესიის ნამდვილი პატრონის ვინაობა. გამოვლენილია მოხატულობის თეოლოგიური პროგრამის ძირითადი იდეა, რომელიც შედგენილია ქართული მონუმენტური მხატვრობისათვის ტრადიციული იკონოგრაფიული თემებისაგან და მიმართებაში გარკვეულწილად რეალურ ისტორიულ მოვლენებს ემყარება.

ხელმძღვანელი გაიანე ალიბეგაშვილი
დაცვა შედგა 12 მარტს.

თუმანიშვილი ელენე მიხეილის ას. ——— საკანდიდატო

## მხატვრისა და რეჟისორის ურთიერთობის პრობლემა კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლებში (1920-1930-იანი წლები)

დისერტაციაში განხილულია სპექტაკლის რეჟისორისა და მხატვრის შემოქმედებითი თანამშრომლობისა და მათი ერთობის არსებითი ასპექტები, კერძოდ, შესწავლილია თვით მხატვრის ინდივიდუალური ხელწერის ძირითადი ნიშნები, რაც ახალი კუთხით წარმოაჩენს სპექტაკლის მხატვრული მთლიანობის ჩამოყალიბების ძირეულ პრობლემებს. ნაშრომში დამუშავებულია კოტე მარჯანიშვილის ოთხი საუკეთესო სპექტაკლი („ცხვრის წყარო", „მზის დაბნელება საქართველოში", „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", „ურიელ აკოსტა"), სადაც მთელი სიძლიერით წარმოჩნდება რეჟისორისა და მხატვრის შემოქმედებითი ერთობა, მხატვრის ინდივიდუალობა, რაც, თავის მხრივ, წარმოაჩენს კ. მარჯანიშვილის მხატვართან მუშაობის სპეციფიკას, მისეულ მეთოდს. ნაშრომი ეფუძნება დეკორაციულ ესკიზებს, ფოტომასალას, თეატრის მუზეუმებში დაცულ სარეპეტიციო დღიურებს, პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილ რეცენზიებს, მემუარულ ლიტერატურას, პირად მოგონებებს.

ხელმძღვანელი ვახტანგ ბერიძე
დაცვა შედგა 26 მარტს.

იოსელიანი სოფიო გიორგის ას. ——— საკანდიდატო

## გურამ ქუთათელაძის შემოქმედება

სადისერტაციო ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი გ. ქუთათელაძის (1924-1979) ფერწერა, მისი მხატვრული თავისებურებები, განსაზღვრულია მისი ადგილი ქართული თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში. ეს არის პირველი სპეციალური მონოგრაფია, რომელშიც დეტალური ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია გ. ქუთათელაძის შემოქმედების როგორც მხატვრული, ისე სტილისტური თავისებურებები, მისი დამოკიდებულება ქართულ და ევროპულ მხატვრობასთან. ნაშრომში განხილულია 1950-იანი წლების საქართველოს მხატვრული ცხოვრება, გაანალიზებულია და ახლებურადაა გაშუქებული იმპრესიონიზმის მნიშვნელობა და გავლენა ამჟამინდელ ფერწერაზე.

ხელმძღვანელი გაიანე ალიბეგაშვილი
დაცვა შედგა 12 ივლისს.

ᲙᲝᲨᲝᲠᲘᲫᲔ ᲘᲠᲘᲜᲔ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲡ. ______________________ საკანდიდატო

### ქართული მეხალიჩეობის ისტორიიდან (თუშური ფარდაგი)

ნაშრომი ეძღვნება ქართული ქსოვის ნაირსახეობას — ფარდაგულ ქსოვას და მის შედეგად მიღებულ ნაწარმს — ფარდაგს. ნაშრომში შევიდა საქართველოს ერთ-ერთ მთიან რეგიონში — თუშეთში შექმნილი ფარდაგების ნიმუშები. აქ, საუკუნეების მანძილზე, ხელოვნების ამ დარგის წარმოშობისა და განვითარების ხელსაყრელი პირობები არსებობდა. დისერტაციაში განხილულია ჩვენამდე მოღწეული მეფარდაგეობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშები, რომლებიც XIX ს-ის 50-60-იანი და XX ს-ის 20-30-იანი წლებით თარიღდება. ნაშრომის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტორიც, რომ მასში მონოგრაფიულადაა შესწავლილი ქართული ხალხური ხელოვნების ერთი კონკრეტული დარგი.

*ხელმძღვანელი ᲛᲖᲘᲡᲗᲕᲐᲚᲐ ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ*

*დაცვა შედგა 8 ოქტომბერს.*

ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ ᲘᲜᲒᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲐᲡ. ______________________ სადოქტორო

### წალენჯიხის მოხატულობა (მხატვარი კირ მანუელ ევგენიკოსი და მისი ადგილი ქართულ მონუმენტურ ფერწერაში)

ნაშრომის კვლევის საგანია მოხატულობა, რომელიც ამკობს წალენჯიხის მაცხოვრის ტაძრის შიდა სივრცეს. წალენჯიხის ტაძრის შიდა მოხატულობასთან ერთად დისერტაციაში განხილულია აგრეთვე ხობისა და ნაბახტევის კედლის მხატვრობა. სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს წალენჯიხის მხატვრობისადმი მიძღვნილ პირველ საგანგებო გამოკვლევას. ეს მხატვრობა თანაბრად საინტერესოა როგორც ბიზანტიური, ისე შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის შესწავლისათვის. იგი ფაქტიურად XIV ს-ის დასასრულის კონსტანტინოპოლის სკოლის ერთადერთი ზუსტად დათარიღებული და მხატვრის მიერ ხელმოწერილი ძეგლია.

*დაცვა შედგა 16 აპრილს.*

ᲝᲙᲚᲔᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲐ ᲚᲔᲝᲜᲘᲓᲘᲡ ᲐᲡ. ______________________ საკანდიდატო

### თეატრის მხატვარი — სოლიკო ვირსალაძე მოღვაწეობის 70-80-იანი წლები (ხელოვნების სხვადასხვა დარგების ერთობლიობა ბალეტში)

სადისერტაციო ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ს. ვირსალაძის მიერ 1969-1985 წლებში შესრულებული ბალეტისათვის განკუთვნილი სცენოგრაფიული ნიმუშები, როგორც სპექტაკლის ერთ-ერთი კომპონენტი. განსაზღვრულია ს. ვირსალაძის ნამუშევრების სახეთა თავისებურებანი, განხილულია ის მხატვრული ხერხები, რომლებსაც ავტორი მიმართავდა საბალეტო სპექტაკლში ხელოვნების სხვადასხვა სახეების სინთეზის პრობლემის გადასაწყვეტად. ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს დისერტანტის მცდელობა აჩვენოს მხატვრის შემოქმედების განვითარება და მასთან მიმართებაში წარმოადგინოს ორი ათწლეულის მანძილზე მის მიერ შექმნილი სპექტაკლების გაფორმების ანალიზი. დისერტაციაში ყურადღებაა გამახვილებული სპექტაკლის აუდიო-ვიზუალურ ასპექტზე, მუსიკის, ცეკვისა და ფერწერის ურთიერთმიმართებაზე.

*ხელმძღვანელი ᲒᲐᲘᲐᲜᲔ ᲐᲚᲘᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ*

*დაცვა შედგა 11 ივნისს.*

ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔ ᲜᲘᲜᲝ ᲔᲚᲒᲣᲯᲐᲡ ᲐᲡ. ______________________ საკანდიდატო

### მხატვრულ-სტილისტიკური ტენდენციები გვიანფეოდალური პერიოდის კედლის მხატვრობაში (გელათის წმინდა გიორგის ეკლესიის XVI ს. მოხატულობის მაგალითზე)

ნაშრომში განხილულია გელათის წმინდა გიორგის ეკლესიის მოხატულობა. ეს ტაძარი ხელახლად მოიხატა XVI ს-ის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ევდემონ I ჩხეტიძისა (1557-1578) და იმერეთის მეფეების ბაგრატ III-ისა და გიორგი II-ის თაოსნობით. ეს მხატვრობა მკაფიოდ ამჟღავნებს ერთის მხრივ, პოსტბიზანტიური ხელოვნების ძირითად მხატვრულ-სტილისტიკურ

თავისებურებებს, ხოლო მეორე მხრივ, ქართული მონუმენტური ფერწერის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებთან ღრმა და საფუძვლიან კავშირს. ამასთანავე, ნაშრომში შეკრებილია მონაცემები ეკლესიის ინტერიერში გამოსახულ ქტიტორთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

*ხელმძღვანელი გაიანე ალიბეგაშვილი*
*დაცვა შედგა 26 მარტს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ციციშვილი მაია ირაკლის ას.** ____ კანდიდატი

## XIX საუკუნის პირველი ნახევრის „ტფილისური პორტრეტული სკოლა“

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია XIX ს-ის პირველი ნახევრის „ტფილისური პორტრეტული სკოლის“ ისტორია და მისი მნიშვნელობა ქართული ხელოვნების განვითარებაში. გამოკვლეულია მისი რაობისა და წარმომობის საკითხები. დისერტანტი შეეცადა ამ სკოლის ნიმუშების დახარისხება-დაჯგუფებას. აღნიშნული მხატვრობის შესწავლით შესაძლებელი ხდება გვიანი შუა საუკუნეებისა და XIX ს-ის მიწურულის ქართულ მხატვრობას შორის ღიად დარჩენილი მონაკვეთის შევსება, რომლის გარეშეც გაურკვეველი რჩებოდა თანამედროვე ფერწერაში წამოჭრილი მრავალი საკითხი.

*ხელმძღვანელი ვახტანგ ბერიძე*
*დაცვა შედგა 12 ივლისს.*

## შესწორება

ჟურნალ „არტანუჯის“ პირველ ნომერში წარმოდგენილ 1993 წელს დაცულ დისერტაციათა ნუსხაში რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გაიპარა რამდენიმე შეცდომა.

როგორც ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან შეგვატყობინეს, **ბუხუტი დარციმელიას** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი შრომა — „ახალი ადამიანის ფორმირებისა და მისი შესაბამისი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის მოღვაწეობის ისტორია საქართველოში (1921-1990 წწ.)“ არ დაამტკიცა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ.

გარდა ამისა, ნუსხაში ინფორმაციის უქონლობის გამო ვერ მოხვდა **როლანდ თოფჩიშვილის** დისერტაციის ანოტაცია. ვასწორებთ ამ შეცდომას.

**თოფჩიშვილი როლანდ ანდრიას ძე** ____ სადოქტორო

## საქართველოს მთის მოსახლეობის ეთნოისტორიული პრობლემები

სადისერტაციო ნაშრომში, რომელსაც ეყრდნობა ავტორის მიერ მოპოვებული საარქივო და საველე მასალები, წერილობითი წყაროებისა და ფოლკლორული მონაცემები, შესწავლილია საქართველოს მთის მოსახლეობის ეთნოისტორიული პრობლემები. ნაშრომის ყურადღების ცენტრშია ქართული გვარსახელი, რომელიც საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ეთნოისტორიული პრობლემის არაერთი საკითხის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. ამასთანავე ეს არის გვარსახელთა კვლევის ისტორიული ასპექტების წარმოჩენის პირველი ცდა. გამოკვლეულია საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული კუთხის მოსახლეობის ეთნოისტორიული პრობლემები, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ამა თუ იმ გვარის კონკრეტულ ისტორიას, არამედ ოთოეული რეგიონის ეთნიკურ ისტორიას, სოციალურ ურთიერთობათა, ისტორიული დემოგრაფიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს. უფრო კონკრეტულად, ესენია: მთიანეთის რეგიონების დასახლების საკითხი, არაქართულ ეთნიკურ ჯგუფებთან (ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელებთან) ურთიერთობა, საქართველოს მთიანეთში ამ უკანასკნელთა მიგრაციის პრობლემა, მთიელთა მთისშიდა და მთის გარეთ მიმართული მიგრაციული პროცესები, გვარის სტრუქტურა, სამეზობლო-ტერიტორიული თემის ხასიათი და ბუნება, სოციალური აღზევების ტენდენციები. გამოვლენილია არაერთი ქართული გვარი, რომლებიც შიდა ქართლის მთიანეთში ოსთა მოსვლამდე ცხოვრობდნენ.

*070001 საქართველოს ისტორია*
*დაცვა შედგა ისტორიის ინსტიტუტში 27 აპრილს.*

# ქრონიკა

## სტუდენტ ისტორიკოსთა სამეცნიერო კონფერენცია

(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

1994 წლის 16 მაისიდან 20 მაისამდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრაზე მიმდინარეობდა სტუდენტ ისტორიკოსთა ტრადიციული, ყოველწლიური, რიგით 54-ე ღია საუნივერსიტეტო კონფერენცია. წინა კონფერენციებისგან განსხვავებით მოიხსნა მომხსენებელთა ლიმიტი, გამოსვლის საშუალება მიეცა ყველა მსურველს. ამას ჰქონდა დადებითი მხარე, ვინაიდან წარმოჩნდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრები და უნივერსიტეტის სტუდენტთა პოტენციალი, მეორეს მხრივ, — უარყოფითიც, რადგან მოხსენებათა სიმრავლემ იმოქმედა აუდიტორიაზეც და კონფერენციის მუშაობის საერთო დონეზეც.

სამწუხაროდ, წინა წლებისაგან განსხვავებით კონფერენციის მონაწილეთა გეოგრაფიული არეალი ქალაქ თბილისით შემოისაზღვრა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ დამოუკიდებელი სასწავლებლების წარმომადგენლებს, კონფერენციას ფაქტიურად სტუმარი არ ჰყოლია. მისასალმებელი სიახლე იყო ის, რომ პირველად ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლის საშუალება მიეცათ სკოლის მოსწავლეებს — ისტორიის მოყვარულთა კლუბის მსმენელებს.

კონფერენციის სხდომებს თავმჯდომარეობდნენ საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი დავით ნინიძე და ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ზონდო კუპატაძე.

შეჯამდა კონფერენციის საბოლოო შედეგები. რექტორატის მიერ დაწესებული საპრიზო ადგილები წილად ხვდათ: ნინო მიწიშვილს, ბუბა კუდავას და მაია გურამიშვილს. ისტორიის ფაკულტეტის დეკანატმა მადლობა გამოუცხადა სტუდენტებს: მარიამ ზალდასტანიშვილს, ჯაბა სამუშიას, ნიკო ჯავახიშვილს და გრიგოლ ზარქუას.

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დეკანმა კარლო მშველიანმა, აკადემიკოსებმა: მარიამ ლორთქიფანიძემ, ოთარ ჯაფარიძემ, პროფესორებმა: გივი ჟორდანიამ, ვალერიან მაჭარაძემ, გურამ ლორთქიფანიძემ, დოცენტმა დავით ნინიძემ მაღალი შეფასება მისცეს კონფერენციას და სამომავლოდ მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დასვეს ლიმიტის შემოღების საკითხი.

### 16 მაისი — საქართველოს ისტორიის სექცია

1. **ნიკო ჯავახიშვილი — მასალები ქართული ფალერისტიკის ისტორიისათვის**
(IV კურსი) (ხელმძღვანელი დოც. პაატა სურგულაძე)
2. **მარიამ თოიძე — ქართული ეთნოკულტურის ადრეული კონვერსიის საკითხისათვის ანტიკურ ხანაში**
(IV კურსი) (დოც. თედო დუნდუა)
3. **ბუბა კუდავა — ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი**
(IV კურსი) (პროფ. ნოდარ შოშიაშვილი)
4. **ჯაბა სამუშია — საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა 1027-1028 წლებში**
(V კურსი) (პროფ. შოთა ბადრიძე)
5. **ზონდო კუპატაძე — ვასილ წერეთლის პოლიტიკური მსოფლმხედველობა**
(III კურსი) (დოც. პაატა სურგულაძე)
6. **ზაზა წურწუმია — აფხაზეთის ეთნიკური ისტორიიდან**
(თსუ სოხუმის ფილიალი, V კურსი) (დოც. დიმიტრი ლეთოდიანი)
7. **ბურანდა თევდორაძე — „ქართლის ცხოვრებისა" და ევროპული ქრონიკების პარალელები**
(V კურსი) (აკად. მარიამ ლორთქიფანიძე)
8. **ნინო მიწიშვილი — არმენიის საკითხი რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში და იბერია**
(IV კურსი) (დოც. თედო დუნდუა)
9. **ლელა ჭინჭარაული — ქართლის ერისმთავართა ქრონოლოგიური რიგი**
(V კურსი) (პროფ. ნოდარ შოშიაშვილი)
10. **ქეთევან სურაძე — საქართველოს საკითხი დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში**
(X კლასი) (დოც. გივი ბოლოთაშვილი)
11. **ლელა ილურიძე — მონღოლთა დაპყრობები საქართველოში**
(X კლასი) (ზონდო კუპატაძე, ჯაბა სამუშია)

17 მაისი — *საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სექცია*

1. ჯაბა სამუშია — თამარ მეფის საქმროს ალექსი კომნენოსის ვინაობის საკითხისათვის
(V კურსი)
(ხელმძღვანელი პროფ. [illegible] ბაღრიძე)
2. მაია პატარიძე — კიდევ ერთხელ კირმანეული თეთრის შესახებ
(IV კურსი)
(პროფ. თედო დუნდუა)
3. მაია მანჯგალაძე — ნაყოფიერების კულტი ძველ კოლხეთში
(IV კურსი)
(პროფ. ოთარ ლორთქიფანიძე)
4. მარიამ ზალდასტანიშვილი — მანუილის „პანეგირიკის" დათარიღებისა და ავტორობის საკითხისათვის
(IV კურსი)
(დოც. დავით ნინიძე)
5. მანანა აბდალაძე — ქართული ხალხური ლექსის — „შავლეგოს" ისტორიული პერსონაჟები (შალვა ახალციხელი)
(III კურსი)
(პროფ. ნათელა ვაჩნაძე)
6. დიტო ჩუბინიძე — ბრესტის ზავი და საქართველო
(III კურსი)
(პროფ. ავთანდილ მენთეშაშვილი)
7. ნანა ცხადიაშვილი — 30-იანი წლების რეპრესიები საქართველოში
(V კურსი)
(პროფ. ავთანდილ მენთეშაშვილი)
8. გრიგოლ ზარქუა — გრიგოლ ლორთქიფანიძის ცხოვრება და მოღვაწეობა
(V კურსი)
(პროფ. ავთანდილ მენთეშაშვილი)

18 მაისი — *პოლიტოლოგიის, პოლიტიკური პარტიებისა და ხელოვნების ისტორიის სექცია*

1. ბადრი ლევერაშვილი* — საქართველოს ნეოლითური ძეგლების ქრონოლოგიის ზოგი საკითხი
(III კურსი, დამოუკიდებელი სასწავლებელი)
(ხელმძღვანელი დავით ყვავაძე)
2. ირმა ხაბაშვილი — ჟურნალი „კლდე" და ეროვნულ-დემოკრატიზმი
(V კურსი)
(დოც. დიმიტრი შველიძე)
3. თამარ ბაბროშვილი — ავტონომია-ფედერაციის საკითხი და ქართული პოლიტიკური პარტიები 1917 წელს
(IV კურსი)
(დოც. ვახტანგ გურული)
4. დალი კაკანაძე — ზურაბ ავალიშვილი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე
(III კურსი)
(დოც. დიმიტრი შველიძე)
5. ნატო კობერიძე — ეროვნული საკითხი გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე (1900-1905 წწ.)
(III კურსი)
(დოც. დიმიტრი შველიძე)
6. ეკა ბახოკიძე — ანარქისტული მიმდინარეობა 1905-1907 წლებში
(III კურსი)
(დოც. დიმიტრი შველიძე)
7. გიორგი ჩუბინიძე — დემოკრატია არისტოტელეს მოძღვრებაში და თანამედროვეობა
(III კურსი)
(დოც. ვ. დოლიძე)
8. ნინო სუთიაშვილი — II ინტერნაციონალის დელეგაცია საქართველოში
(IV კურსი)
(დოც. ვახტანგ გურული)
9. რუსუდან ტატიშვილი — დამოუკიდებლობის იდეა გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე
(III კურსი, დამოუკიდებელი უნივერსიტეტი)
(დოც. დიმიტრი შველიძე)
10. ნ. გამთენაძე — კუბიზმის არსი და საფუძვლები
(V კურსი)
(დოც. ირინე არსენიშვილი)

19 მაისი — *მსოფლიო ისტორიის სექცია*

1. გურანდა თევდორაძე, ქეთევან სურაძე — ცეკვა შუა საუკუნეების ევროპაში
(V კურსი) (X კლასი)
(ხელმძღვანელი პროფ. გივი ჟორდანია)
2. მაია ზურაშვილი** — მაგიური ელემენტები ქართულ წარმართობაში
(IV კურსი)
(თინათინ ღუდუშაური)

---

* *არქეოლოგიის სექციიდან*, ** *ეთნოგრაფიის სექციიდან*

3 ნინო შიოლაშვილი * — კვირიას კულტი საქართველოში
(II კურსი) (თემურ გვიმრაძე)
4. ნადია ვეფხვიაშვილი * — სტეპის მაცხოვრებელი ინდიელების ცხოვრებიდან
(IV კურსი) (თინათინ ლუდუშაური)
5. გიორგი ხორავა — ალექსანდრე ფირცხალაიშვილის ნაშრომი გაგარინის შესახებ
(III კურსი) (პროფ. ვალერიან მაჭარაძე)
6. მაია გურამიშვილი — პ. გ. ბუტკოვი, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხების მკვლევარი
(IV კურსი) (პროფ. ვალერიან მაჭარაძე)
7. ინგა გელაშვილი — აღორძინების ხანა არაბთა სახალიფოში (IX-X სს.)
(III კურსი) (დოც. ნანა გელაშვილი)
8. ნაჩო ანდღულაძე — ისლამის გავლენა არაბულ კულტურაზე *
(III კურსი) (დოც. ნანა გელაშვილი)
9. კობა გუგეშაშვილი — დემოკრატიული (სტუდენტური) მოძრაობა თანამედროვე ჩინეთში
(V კურსი) (დოც. ელენე მეძმარიაშვილი)
10. ჭაბუკა მეტონიძე — ვატიკანის პოლიტიკა საქართველოში 1628-1633 წლებში
(II კურსი, დამოუკიდებელი სასწავლებელი) (პროფ. ილია ტაბაღუა)
11. ნინო ნიორაძე — ნაციონალიზმის აღორძინება თანამედროვე იაპონიაში
(IV კურსი) (დოც. ელენე მეძმარიაშვილი)

20 მაისი — ესპანურენოვანი ქვეყნების ისტორიის სექცია
(IV კურსის სპეცჯგუფი, ხელმძღვანელი შადიმან ბიწაძე)

1. გიორგი ხოკერაშვილი — პირენეის ნ/კ-ის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების საკითხი
2. გიორგი პაპოშვილი — ტარტესი — იბერიული ცივილიზაციის ცენტრი
3. თეონა ნიკოლოზიშვილი — ქ. რომის კულტურული აღორძინების დასაწყისი
(X კლასი)
4. ლარისა ნათენაძე — არაბული კულტურის გავლენა ესპანეთში
5. ნონა ფხალაძე — არაბულენოვანი ფილოსოფია ესპანეთში — იბნ-რუშდი (ავეროესი)
6. დავით კონდრიევიჩი — ეთნო-ლინგვისტური სიტუაცია ლათინურ ამერიკაში
7. ნინო რამიშვილი — ინკების რელიგია
8. ანა მარკოზაშვილი — მაიას ტომების კულტურის მიმოხილვა
9. ლელა კორიფაძე — აცტეკების კულტურა
10. ბელა გიორგაძე — კოლუმბამდელი მოგზაურობების ვერსიები
11. ეკა შანიძე — ხუან-სებასტიან ელ-კანო

## ესპანურენოვანი ქვეყნების ისტორიის შემსწავლელი ჯგუფი

წელიწადზე მეტია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული კულტურის კათედრასთან ჩამოყალიბდა ესპანურენოვანი ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სპეციალური ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელია ამავე კათედრის თანამშრომელი შადიმან ბიწაძე. ჯგუფში 12 სტუდენტია გაერთიანებული. მათ ეკითხებათ ესპანურენოვანი ქვეყნების ისტორიისა და ესპანური ენის გაძლიერებული კურსი, სტუდენტები ნაყოფიერად მუშაობენ სხვადასხვა სამეცნიერო თემებზე. ამ ჯგუფის შიდა სპეციალობებია იბეროლოგია და ლათინური ამერიკის ისტორია. დამყარდა კავშირები უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, კერძოდ, მარშან ბილბაოს უნივერსიტეტში სასწავლებლად გაიგზავნა ორი სტუდენტი. ჯგუფის შესახებ გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, რომელიც ნაჩვენები იქნა

* კინოგრაფიის სექციიდან

ესპანეთის ტელევიზიით. სტუდენტთა მუშაობით დაინტერესებულია ცნობილი პოლონელი ენათმეცნიერი, ბასკოლოგი იან ბრაუნი.

ამა წლის 16-20 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც ესპანურენოვანი ქვეყნების ისტორიის ჯგუფს ცალკე დღე ჰქონდა დათმობილი. 20 მაისს ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს მოხსენებები. გამარჯვებულთათვის ქართული კულტურის ისტორიის კათედრამ დააწესა ფულადი პრემიები.

25 მაისს ქართული კულტურის ისტორიის კათედრაზე შედგა გამარჯვებული სტუდენტთა დაჯილდოება. გამარჯვებულებს — გიორგი ხოკერაშვილს, დავით კონდრატიევს, გიორგი მამიშვილსა და ნონა ფხალაძეს ჯილდოები გადასცა და მიულოცა კათედრის გამგემ პროფ. გურამ ლორთქიფანიძემ.

ვფიქრობთ, ესპანურენოვანი ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შესწავლა ხელს შეუწყობს საქართველოს კონტაქტების გაღრმავებას ესპანურენოვან სამყაროსთან. მით უმეტეს, რომ დღემდე ამ მხრივ ძალზე ცოტაა გაკეთებული. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საქართველოსათვის ფრიად მნიშვნელოვანი ბასკურ-კავკასიური საკითხების შესწავლისათვის ამ ჯგუფის სახით საიმედო საფუძველი მზადდება უნივერსიტეტში.



## მიეძღვნა შალვა მაღლაკელიძის 100 წლის იუბილეს

ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის გენერალ შალვა მაღლაკელიძის (1894-1976) დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით 1994 წლის 1 ივნისს საქართველოს სტუდენტ ისტორიკოსთა ლიგამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართა საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა სტუდენტ ისტორიკოსთა ლიგის პრეზიდენტმა ნიკო ჯავახიშვილმა. შემდეგ სიტყვით გამოვიდა საქართველოს პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმეთა კორპორაციის თავმჯდომარე ვიქტორ რცხილაძე. მან ამომწურავად ისაუბრა შალვა მაღლაკელიძის პიროვნების, მის მიერ განვლილი რთული, თუმცა პეროიკული ცხოვრების შესახებ. ბატონი ვიქტორის თქმით, „მიუხედავად დიდი წარჩინებისა გერმანიის სამხედრო წრეებში, გენერალი შალვა მაღლაკელიძე არასდროს არ ყოფილა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი. მას არ უღალატია სამშობლოსათვის და ემსახურებოდა საქართველოს ისე, როგორც მას ესმოდა და როგორც სინდისი კარნახობდა". აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ოციოდე წლის წინ ვ. რცხილაძემ შალვა მაღლაკელიძისაგან ჩაიწერა და შემოგვინახა მოგონებები, რომელიც უამრავ საინტერესო ცნობას შეიცავს საქართველოს უახლესი წარსულის შესახებ. სწორედ გენერალ მაღლაკელიძესთან ურთიერთობა და მისი გარდაცვალების გამო ნეკროლოგის გამოქვეყნება (იხ. ჟურნ. „საქართველოს მოამბე", № 2, 1976) იქცა მთავარ ბრალდებად ბ-ნ ვიქტორ რცხილაძის დაპატიმრებისა. სიმბოლურია, რომ შ. მაღლაკელიძის დაბადებიდან მე-100 წელს ვ. რცხილაძე გამოსცემს გენერლის მოგონებებს სხვა საყურადღებო მასალებთან ერთად.

სხდომაზე სიტყვით გამოსულმა ქ-ნმა თამარ მაღლაკელიძემ საინტერესო ფაქტები გაიხსენა მამის ცხოვრებიდან.

სხდომის მონაწილეებმა კითხვები დაუსვეს ბ-ნ ვიქტორ რცხილაძესა და ქ-ნ თამარ მაღლაკელიძეს. აზრი გამოთქვეს თსუ პროფესორ-მასწავლებლებმა: მარიამ ლორთქიფანიძემ, ოთარ ჯაფარიძემ, ნოდარ ასათიანმა, გურამ გრიგოლიამ, გოგი დემეტრაძემ, პაატა სურგულაძემ და სხვებმა.

სხდომის დასასრულს ნ. ჯავახიშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისათვის და აღნიშნა, რომ ანალოგიური ხასიათის ღონისძიებების ჩატარებას კვლავაც გააგრძელებს საქართველოს სტუდენტ ისტორიკოსთა ლიგა.

# ახალი წიგნები

ეროვნული ბიბლიოთეკა




**თედო დუნდუა**
**„კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით"**
**თბ. 1993**

ნაშრომში განხილულია ერთი მხრივ, პონტოს სამეფოს და მეორე მხრივ, კოლხეთ-იბერიის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთმიმართებანი ნუმიზმატიკურ მასალებზე დაყრდნობით. წარმოდგენილ სამეცნიერო სიახლეთა ნუსხას ასეთი სახე აქვს:

დასაბუთებულია რიგი მეთოდოლოგიური ხერხების გამოყენების შესაძლებლობა: ნუმიზმატიკური მასალის აბსტრაჰირებული განხილვა, ეკონომიკური ევოლუციის ზუსტი წარმოსახვისთვის 50-წლიან შეფარდებით ციკლებში ამ ტიპის ძეგლების კონცენტრაცია, მისი დიფერენციაცია 10-წლიან ეტაპებად.

უარყოფილია პონტო-იბერიის პოლიტიკური ურთიერთობის სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი (ძვ. წ. III ს.). მითრიდატე I-აზოს კავშირის სანაცვლოდ ავტორი უპირატესობას ანიჭებს ლისიმაქე-აზოს ალიანსს.

შესწავლილია ტრანსკავკასიური მარშრუტის მოქმედების გრაფიკი, დაზუსტებულია გზის ეკონომიკური მნიშვნელობა.

აკე და აკუსილოხი კოლხეთის ჰიპოთეტურ ბასილევსებად განიხილებიან, ხოლო ფარნაკე I-ის პოლიტიკური ინტერესები დასავლეთ საქართველოსადმი რეალურად არის მიჩნეული.

ნაშრომში გატარებულია მოსაზრება, რომ პონტოური გარნიზონები უნდა მდგარიყო დიოსკურია-ეშერაში და ვანში. ამაზე უნდა მიუთითებდეს აქ დალექილი პონტოური სპილენძი.

წერილობითი წყაროების გააზრება ავტორს აძლევს საფუძველს ივარაუდოს მითრიდატე უმცროსის რეგენტობა პონტოს სამეფოში I მითრიდატული ომის მსვლელობისას; მოცემულია ახალი ინტერპრეტაცია სპილენძის ანონიმური მონეტებისა ლოტოსის ყვავილის გამოსახულებით.

შესწავლილია ძვ. წ. II — ახ. წ. I სს. დასავლეთ საქართველოს სამონეტო ბაზარი, დაზუსტებულია ეკონომიკური ევოლუციის სურათი.

დეტალურად განხილულია ძვ. წ. I ს. I ნახ. იბერიის სამონეტო მიმოქცევა; ამასთან დაკავშირებით ილუსტრირებულია ალაიანის მასალა.

წერილობითი წყაროებისა და ნუმიზმატიკური მასალის საფუძველზე ავტორი დასაშვებად მიიჩნევს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში რომაული გარნიზონების გაჩენას (დროებით) ჯერ კიდევ ტიბერიუსის პრინცეპატის დროს.

ყურადღებაა გამახვილებული კულტურულ პარალელებზე.

მოცემულია იბერია-რომის პოლიტიკური ურთიერთობების პერიოდიზაციის ცდა.

განხილულია კოლხეთის სამეფოს დეცენტრალიზაციის პრობლემა.




ექვთიმე თაყაიშვილი
„მარტვილის მონასტერი"
თბ. 1993

1913 წლის ზაფხულში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მივლენებით ექვთიმე თაყაიშვილი იმყოფებოდა სამეგრელოში. შეკრებილ მასალას (ეკლესიების, ჯვრების, ხატებისა და საეკლესიო ნივთების წარწერები, ხელნაწერთა მინაწერები, სიგელ-გუჯრები...) ბ-მა ექვთიმემ თავი მოუყარა თავის ნაშრომში — „არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში", რომელიც გამოქვეყნდა საზოგადოების სერიულ სამეცნიერო კრებულში „ძველი საქართველო" (ტომი III. 1913-1914).

1993 წელს ცალკე წიგნად გამოიცა ექ. თაყაიშვილის უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული აღნიშნული ნაშრომის ერთი თავი — „მარტვილის მონასტერი" (რედაქტორ-გამომცემელი ბუბა კუდავა), რომელიც მარტვილის ტაძრის აღწერილობითი ხასიათის ნაშრომთა სიმწირის პირობებში დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიის მკვლევარს.

ნაშრომში ექ. თაყაიშვილი იხილავს ტაძრის ეპიგრაფიკას, აღწერს ჩვენი საუკუნის დასაწყისში მონასტერში დაცულ საეკლესიო ნივთებს (წიგნში ცალკე თავებადაა გამოყოფილი — „ხატები და ჯვრები", „სხვა და სხვა ვერცხლის ჭურჭელი და იარაღები", „ნაკერ-ნაქსოვნი ნივთები"), მოცემულია მარტვილის მონასტრის ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა.

საეკლესიო ნივთებისა და ხელნაწერების ეს ბრწყინვალე კოლექცია ამჟამად სხვადასხვა მუზეუმებსა და ფონდებში ინახება (ნაწილი საერთოდ დაკარგულია). ასეთ პირობებში აღნიშნული კოლექციის თაყაიშვილისეული აღწერილობა უდიდეს მნიშვნელობას იძენს მარტვილის მონასტრის სიძველეთა ერთიანი სურათის აღდგენისათვის.

ნაშრომში მოყვანილია მარტვილის ტაძრის ფრესკული წარწერები, მოცემულია ტაძრის მოხატულობის მოკლე აღწერილობა, რომელსაც აღნიშნულ საკითხზე სათანადო ლიტერატურის დეფიციტის (თითქმის არარსებობის) პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც საკუთრივ ჭყონდიდის საეპისკოპოსოს, ისე საერთოდ, სამეგრელოს წარსულის კვლევის საქმეში (ჭყონდიდელთა და დადიანთა ფრესკული გამოსახულებები).

ორიგინალურია ნაშრომის ბოლოში ეპიტაფიათა დართვა. საფლავის ქვათა აღნიშნული წარწერები, მართალია, მშრალი ხასიათისაა და თან შედარებით ახალია, მაგრამ საერო და სასულიერო პირთა ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტის გასარკვევად ალბათ გამოგვადგება. საინტერესოა აგრეთვე საკითხისათვის — „მარტვილის მონასტერი როგორც საძვალე".

წიგნში დაცულია ცნობები მარტვილის მონასტრის კომპლექსში შემავალი სამრეკლოსა და საეპისკოპოსო სასახლის შესახებ, რომლებიც დღესდღეობით სამწუხაროდ აღარ არსებობს (დაანგრიეს გასაბჭოების შემდეგ).

ასე რომ, ექ. თაყაიშვილის აღწერილობა „მარტვილის მონასტერი" უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს მარტვილის მონასტრისა და საერთოდ, ჭყონდიდის ეპარქიის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლისათვის.

ნაშრომის ეს ახალი, მეორე გამოცემა ეძღვნება ექვთიმე თაყაიშვილის დაბადების 130 წლისთავს.

სოლომონ
ზალდასტანიშვილი

საქართველოს
**1924**
წლის ამბოხება

თბილისი
1994

**სოლომონ ზალდასტანიშვილი**
**„საქართველოს 1924 წლის ამბოხება“**
**თბ. 1994**

„ამ მოგონებას ვუძღვნი ჩემი ძვირფასი მეგობრის ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ხსოვნას“ — წერს სოლომონ ზალდასტანიშვილი წიგნის დასაწყისში.

სოლომონ (სოლიკო) ზალდასტანიშვილი (1891-1941) აქტიური მონაწილე იყო 1924 წლის აჯანყებისა. იგი ჯერ „სამხედრო ცენტრში“ მუშაობდა, შემდეგ „სამხედრო კომისიისა“ და „დამკომის“ წევრი გახდა. აჯანყების დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. ცხოვრობდა საფრანგეთში.

სოლომონ ზალდასტანიშვილი თვითმხილველი და უშუალო მონაწილეა 20-იანი წლების მოვლენებისა. აჯანყების ამბებს იგი აღწერს თავის მოგონებებში — „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“.

როგორც ავტორი აღნიშნავს წინასიტყვაობაში, ამ მოვლენების გახსნება და შეფასება საჭიროა არა მხოლოდ პოლიტიკოსებისათვის, არამედ მისი ისტორიის შესწავლისათვის. მე, როგორც მოწმე და აჯანყების აქტიური მონაწილეთაგანი, ვეცდები აღვწერო, თუ როგორ ხდებოდა აჯანყების მომზადება, დაწყება და რამ მიიყვანა აჯანყება დამარცხებამდე. მე ვეცდები აღვადგინო მაშინდელი ჩვენი ბრძოლის მთავარი მომენტები და პირუთვნელად განვიხილო მათი მოქმედება, ვინც ამ აჯანყებაში მთავარ როლს თამაშობდა.“

ნაშრომი დაიწერა საფრანგეთში, 1938 წელს. პირველად იგი გამოიცა მიუნხენში (1956), მეორედ — უკვე თბილისში (1989). 1924 წლის აჯანყების 70 წლისთავს ეძღვნება სოლომონ ზალდასტანიშვილის მოგონებების მესამე, შევსებული გამოცემა, რომელიც წლეულს მიიღო ქართველმა მკითხველმა.

წიგნს ერთვის მწერალ გივი მაღულარიას წინათქმა, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის დავით ვაჩნაძის მცირე მოგონება სოლომონ ზალდასტანიშვილზე და ფაქსიმილე სამძიმრის წერილისა, რომელიც 1941 წელს გაუგზავნეს ქართველმა ემიგრანტებმა სოლომონის მეუღლეს — მარიამ ხირსელი-ზალდასტანიშვილს. ნაშრომს დართული აქვს აგრეთვე სოლომონ ზალდასტანიშვილისა და მისი ოჯახის წევრთა ფოტოები.

# განცხადებები

შეიძინეთ წიგნები:

- „ქართული წარწერების კორპუსი“. ტ. I, 1980; ტ. II, 1980.
- ნიკო ბერძენიშვილი. „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. III. 1966.
- თედო ჟორდანია. „ქრონიკები“. ტ. I, 1892; ტ. II, 1897; ტ. III. 1967.
- დავით კაპანაძე. „ქართული ნუმიზმატიკა“.
- ექვთიმე თაყაიშვილი. „1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში“. 1960.
- „აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის არქივი“(აღწერილობა). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ელენე ქელენჯერიძემ. 1960.
- სერგი მაკალათია. „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“. 1941
- გიგი ელიავა. „ჭყონდიდი — მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა)“. 1962.
- გიგი ელიავა. „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა“. 1977.
- Arthur Leist. Das georgische Volk. Dresden. 1903 (არტურ ლაისტი. ქართველი ხალხი. დრეზდენი. 1903).

*„არტანუჯის“ რედაქცია. ტელ.: 29-31-33, 29-09-56.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



„არტანუჯის" ტელევიზიის წევრს მინდია კუპატაძეს
ულოცავთ ლამაზი ქართული ოჯახის შექმნას!

**მინდია და გვანცა!**

გისურვებთ ბედნიერებას, მრავალშვილიანობასა და
ერის სასახელო შვილების გაზრდას!



ჩვენი ჟურნალის ეთერის მეგობარს,
ქართული კულტურის დიდ მოამაგეს,
ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური
არქივის დირექტორს
ბ-ნ ვახტანგ გურგენიძეს
ვულოცავთ 70 წლის იუბილეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და მხნეობას.

**ბატონო ვახტანგ!**

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს თქვენისთანა
მამულიშვილები!

*ფოტოები რობერტ კოჩიევის*

# ისტორია „რეკორდებში“

## ❖ მონარქია ❖

„გინესის წიგნში“ მრავალი საინტერესო, სასაცილო თუ გასაოცარი [illegible] შეიძლება ამოიკითხოს მკითხველმა. ჩვენთვის ამჯერად ისტორიასთან დაკავშირებული რეკორდები თუ სტატისტიკური მონაცემებია საყურადღებო. დღევანდელი თემაა „მონარქია“, რადგან, ვფიქრობთ, მრავალ საინტერესო ფაქტს შეხვდებით სამეფო სახლის წარმომადგენელთა და მონარქისტულ სახელმწიფოთა შესახებ.

ერთი დაზუსტება: აქვე საქართველოს ისტორიიდანაც შეგვეძლო მსგავსი ცნობების მოძიება. ეს, როგორც რომ ვიტყვით, არ არის მარტივი, მეტიც — ტიტანურ შრომას მოითხოვს. ჩვენს შემთხვევაში (თემა „მონარქია“) ერთის მხრივ, სამეფო სამთავროთა სიმრავლეა პრობლემა, ხოლო მეორეს მხრივ ის, რომ ჯერ კიდევ ბნელით არის მოცული ქართულ მეფეთა ქრონოლოგიასთან დაკავშირებული ბევრი დეტალი.

მართლაც დიდ შრომას მოითხოვს ეს საქმე, მაგრამ იქნებ [illegible] დაფიქრდეთ, რომ საინტერესო ჩანაწერით „გინესის წიგნს“ საქართველოს ისტორიიდან...

### მონარქისტული ქვეყნები

მსოფლიოს 200-ზე მეტი სახელმწიფოდან რესპუბლიკური წყობა არ არის 46 ქვეყანაში. ამ ქვეყნებს განაგებენ: 1 იმპერატორი, 13 მეფე, 3 დიდი ჰერცოგი, 2 სულთანი, 1 დიდი ჰერცოგი, 2 მთავარი, 3 ემირი, 1 არჩეული მონარქი (პაპი), 1 პრეზიდენტი (არჩეული 7 მემკვიდრე შეიხიდან). 1 სახელმწიფოს მეთაური კონსტიტუციური მონარქის უფლებებში და 2 ნომინალური, არამემკვიდრე პრინცი. გარდა ამისა, ბრიტანული თანამეგობრობის 16 ქვეყნის მმართველად ელიზაბეტ II ითვლება.

### უძველესი მმართველი დინასტია

იაპონიის იმპერატორი აკიჰიტო (დაბ. 1933 წ.) არის 125-ე, მონარქი სამეფო დინასტიიდან, რომელიც სათავეს იღებს იმპერატორ ძიმუტენოსაგან. ამ უკანასკნელის მმართველობა კი ტრადიციის მიხედვით ძვ. წ. 660-581 წლებით თარიღდება, თუმცა, როგორც ფიქრობენ, რეალური თარიღი 40-10 წლებია ძვ. წელთაღრიცხვით.

### ყველაზე ხანგრძლივი მეფობა

ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ მეფობად ითვლება ძვ. ეგვიპტის ფარაონების მეექვსე დინასტიის წარმომადგენლის პიოპი II ნეფერკარეს მმართველობა. იგი გამეფდა ძვ. წ. 2281 წელს, 6 წლის ასაკში. ითვლება, რომ მან 94 წელიწადს იმეფა.

✦ არაკანის (ახლანდელი მიანმა,-ყოფილი ბირმა) მეფე მინჰტი ისტორიული ქრონიკების მიხედვით 95 წლის განმავლობაში განაგებდა ქვეყანას (1279-1374).

✦ როგორც ამტკიცებენ, 98 წლით განისაზღვრება დასავლეთ ტანგანიკის ნზეგას ოლქის (ახლანდელი ტანზანიის ნაწილი) ბელადის მუსომა კანიჯოს მმართველობა — დაწყებული 1864 წლიდან, როდესაც იგი 8 წლისა იყო, სიკვდილამდე — 1963 წლის 2 თებერვლამდე.

✦ ევროპელ მონარქებს შორის ყველაზე დიდხანს პორტუგალიის მეფე ალფონსო I დამპყრობელი მართავდა ქვეყანას (თავდაპირველად როგორც გრაფი, შემდეგ კი მეფე). იგი ტახტზე ავიდა 1112 წ. 30 აპრილს, გარდაიცვალა 1185 წ. 6 დეკემბერს, ე. ი. მისი მმართველობა 73 წლით და 220 დღით განისაზღვრება.

✦ საკმაოდ დიდხანს განაგებდა ქვეყანას (72 წელი) მეორე ევროპელი მონარქიც — საფრანგეთის მეფე ლუი XIV (1643-1715). მონტესკიეს მოსწრებული თქმით, „მისი მეფობის დასასრულს უკვე აღარ ახსოვდათ მისი მეფობის დასაწყისი“.

### ყველაზე ხანმოკლე მეფობა

1908 წ. 1 თებერვალს ლისაბონის ერთ-ერთ ქუჩაში საძილე არტერიაში მოხვედრილი ტყვიით დაიღუპა პორტუგალიის მეფე, ხოლო მისი შვილი ლუიშ ფილიპი სასიკვდილოდ დაიჭრა. 20 წუთში უფლისწულიც გარდაიცვალა. ამგვარად, ფორმალურად, იგი პორტუგალიის მეფე იყო 20 წუთის განმავლობაში (დონ ლუიშ III).



ყველაზე დღეგრძელი მონარქი – ავსტრიის იმპერატორი და უნგრეთის დედოფალი ზიტა თავის მეუღლესთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედოფალი ზიტა სიბერეში.



## ყველაზე დღეგრძელი მონარქი

დედოფალთა შორის ყველაზე დღეგრძელად ითვლება ავსტრიის იმპერატორი და უნგრეთის დედოფალი ზიტა, რომლის ქმარიც (იმპერატორი კარლ I ავსტრიელი და მეფე კარლ IV უნგრელი) განაგებდა იმპერიას 1916-1918 წლებში. ზიტა გარდაიცვალა 1989 წელს, 96 წლისა და 309 დღის ასაკში.

## ყველაზე მრავალშვილიანი მონარქი

ერთი ქორწინებიდან ყველაზე მეტი შვილი ჰყავდათ ლიხტენშტეინის მმართველს ჰარტმანსა (1613-1686) და გრაფინია ელიზაბეტას (1623-1688). მათ ჰყოლათ 24 შვილი, რომელთაგან 21 ცოცხალი დაიბადა.

## ყველაზე მძიმეწონიანი მონარქი

1976 წლის სექტემბერში ტონგას კუნძულების მეფე აიწონა მთელ ქვეყანაში ერთადერთ მისთვის შესაფერის სასწორზე, რომელიც აეროპორტში იყო დამონტაჟებული. იგი იწონიდა 209,5 კილოგრამს (სიმაღლე 190 სმ). 1985 წლისათვის მისმა წონამ 139,7 კგ-მდე დაიკლო.

## ყველაზე დიდი „ნუმერაცია“

ყველაზე დიდი რიცხვი, რომელიც ოდესღაც სამეფო სახლის წარმომადგენლის აღსანიშნავად იხმარებოდა, არის რიცხვი 75, რომელსაც ხანმოკლე დროით ატარებდა ჰენრიხ LXXV (1800-1801). საქმე ისაა, რომ გერმანული სამეფო გვარის ამ შტოს ყველა წარმომადგენელი 1695 წლიდან მოყოლებული ჰენრიხად იწოდებოდა.

# ბრიტანეთის მონარქიის რეკორდები



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ყველაზე ხანგრძლივი მმართველობა

*მეფე*

59 წელი და 96 დღე — ჯორჯ III (1760-1820)

*მმართველი დედოფალი*

63 წელი და 216 დღე — ვიქტორია (1837-1901)

*დედოფალი-მეუღლე*

57 წელი და 70 დღე — შარლოტა (1761-1818), ცოლი ჯორჯ III-ისა

### ყველაზე ხანმოკლე მმართველობა

*მეფე*

77 დღე — ედუარდ V (1483)

*მმართველი დედოფალი*

13 დღე — ჯეინი (1553 წ. 6-19 ივლისი).

*დედოფალი-მეუღლე*

154 დღე — იოლეტა (1285-1286), ალექსანდრე III-ის მეორე ცოლი

### ყველაზე დღეგრძელი მონარქი

*მეფე*

81 წლისა და 239 დღის[1] — ჯორჯ III (1738-1820)

*მმართველი დედოფალი*

81 წლისა და 243 დღის — ვიქტორია (1819-1901)

### ყველაზე მეტი კანონიერი შვილი[2]

*მეფე*

18 — ედუარდ I (1272-1307)

*მმართველი დედოფალი*

9[3] — ვიქტორია (1819-1901)

*დედოფალი-მეუღლე*

15 — ელეონორა (1244-1290) და შარლოტა (1744-1818)

### ყველაზე მეტი ქორწინება

*მეფე*

6-ჯერ — ჰენრი VIII (1509-1547)

*მმართველი დედოფალი*

3-ჯერ — მერი, შოტლანდიის დედოფალი (1542-1567)

*დედოფალი-მეუღლე*

4-ჯერ — ქეთრინ პარი (1512-1548), ჰენრი VIII-ის მეექვსე ცოლი

### ყველაზე დიდი ასაკი გამეფებისას

*მეფე*

64 წლისა და 10 თვის — უილიამ IV (1830-1837)

*მმართველი დედოფალი*

37 წლისა და 5 თვის — მერი I (1553-1558)

*დედოფალი-მეუღლე*

56 წლისა და 53 დღის — ალექსანდრა (1844-1925), ცოლი ედუარდ VII-ისა

### ყველაზე პატარა ასაკი გამეფებისას

*მეფე*

269 დღის — ჰენრი VI (1422 წელს)

*მმართველი დედოფალი*

6 ან 7 დღის — მერი, შოტლანდიის დედოფალი (1542 წელს)

*დედოფალი-მეუღლე*

6 წლისა და 11 თვის — იზაბელა (1396 წელს), მეორე ცოლი რიჩარდ II-ისა

### ერთდროულად მცხოვრები ყველაზე მეტი მონარქი

1683 წლის 30 ოქტომბერსა (ჯორჯ II-ის დაბადება) და 1685 წლის 6 თებერვალს (ჩარლზ II-ის გარდაცვალება) შორის პერიოდში ერთდროულად ცხოვრობდა სახელმწიფოს 8 მეთაური, ესენია: ჩარლზ II, ჯეიმზ II, უილიამ III და მერი, ანა დედოფალი, ჯორჯ I და ჯორჯ II, აგრეთვე რიჩარდ კრომველი, რომელიც იყო ლორდ-პროტექტორი და სახელმწიფოს მმართველი 1658-1659 წლებში.

მოამზადა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა

**ადა მამალაძემ.**

---

[1] ოლივერ კრომველის ვაჟი რიჩარდ კრომველი (დაბ. 1626 წ.) იყო მეორე ლორდ-პროტექტორი. იგი ცხრა თვის განმავლობაში განაგებდა ქვეყანას. გარდაიცვალა 1712 წელს, 85 წლისა და 9 თვის ასაკში. ამრიგად, რიჩარდ კრომველი ყველაზე დღეგრძელი სახელმწიფოს მეთაურია ინგლისის ისტორიაში.

[2] ჰენრი I-ს (1068-1135) კანონიერ მემკვიდრეთა გარდა ჰყავდა 20 (შესაძლოა 22-იც) უკანონო შვილი (9 ვაჟი და 11 ქალი) 6 საყვარლისაგან.

[3] დედოფალი ანა (1665-1714) 17-ჯერ იყო ფეხმძიმედ, მაგრამ მხოლოდ 5 ბავშვი შეა ცოცხალი.

# კროსვორდი



## თარაზულად:

7.



8.

1121 — დიდგორი
1195 — შამქორი
1203 — ბასიანი
1625 — ?
1770 — ასპინძა
1795 — კრწანისი

10.



(ქალაქი)

12. ბაგრატ IV-ის ასული, ბიზანტიის დედოფალი 1071-1081 წლებში.

13.



14. 532 წლის აჯანყება კონსტანტინოპოლში.

16. გიორგი დადიანი (ოდიშის მთავარი XVIII ს. დასაწყ.)

↓

ქაცია (1704-1710) | ბექან (1714-1728)

↓

... (1728-1758)

18.




29.



(პალენკე)

22.



(სოფელი და ციხესიმაგრე პირიქითა ხევსურეთში)

23. სამთავრო შუა საუკუნეების საქართველოში, სადაც ჯუმათისა და შემოქმედის ეპარქიები იყო.

24. კავკასიის მთიელთა სოფლის ტიპის დასახლება.



25.

32. წუქეთის საერისთავოს ცენტრი.

34. მეფის ხელისუფლების სიმბოლო.

35. სოფელი პირაქეთა ხევსურეთში.

37. გამარჯვებული ბლოკი პირველ მსოფლიო ომში.

39.



40. ლუნაჩარსკის (საბჭოთა კავშირის განათლების კომისარი 20-იან წლებში) სახელი.

**შვეულად:**

1. ჭურჭელი, რომელშიც ლითონს ადნობდნენ ძველად.



2.

3. საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ის (1412-1442) ზედწოდება.



4.

(ტაძარი)

**5.** ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XVI ს-ის მეორე ნახევარში, მეფე სვიმონ I-ის ერთგული მოხელე, გვარად ბარათაშვილი.

**6.** აშშ-ის რიგით მეორე პრეზიდენტი.

**9.** მონღოლთა ყაენი.

**11.** სივრძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში (დაახლოებით 1 მეტრის ტოლი).

**12.**



(ქალაქი)

**15.**




**17.** „ხოლო მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ? პირველსავე თჳსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თჳისთა საჭურჭლედ და სახლად თჳისად საუკუნოდ, ქორონიკონი იყო სამას ორმოცდაათორი“ (დავითის ისტორიკოსი).

**18.** მთა, სადაც მეფე მირიანმა იწამა „ნინოს ღმერთი“.

**19.** „და ჰკითხა მას პილატე და ჰრქუა: შენ ხარა ? ჰურიათაი? ხოლო თავადმან ჰრქუა მას: შენ იტყჳ“ (ლუკა 23,3).

**20.** მაწყვერელი — აწყური
მროველი — ?

**21.** ისტორიული უბანი თბილისში, სადაც ყუთლუ-არსლანის მომხრეებმა დასხა „კარვის“ დადგმა ინებეს.

**26.** დაბა მესტიის ძველი სახელწოდება.

**27.** ქართული ხალხური საბავშვო თამაში.

**28.**




**30.**




**31.**

| | | |
|---|---|---|
| გარეჯა | — | ასპინძა |
| სამთავისი | — | კასპი |
| დავითგარეჯა | — | საგარეჯო |
| ალავერდი | — | ? |

**32.** აშშ-ის პრეზიდენტი 1869-1877 წლებში.

33.



შეადგინა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა ვანო კვიტაშვილმა.

36.



(მდინარე, რომლის ხეობაშიც დგას ეს ძეგლი)

38. საქართველოს პირველი ქრისტიანი დედოფალი.

## წინა კროსვორდის პასუხები:

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ა | | | მ | | მ | | | | ლ | | ბ | | | ქ | |
| უ | ლ | უ | | ა | ლ | დ | ე | | ს | ა | შ | ო | | მ | ა | ც |
| | ა | | | ზ | | ა | | თ | | მ | | ნ | | | ლ | |
| | ვ | | | ა | | ბ | | ა | | ა | | ი | | | ა | |
| ლ | ე | ვ | ა | ნ | ტ | ი | | მ | | რ | ო | ს | ტ | ო | ვ | ი |
| | რ | | | ი | | ო | ლ | ა | რ | ი | | ტ | | | ა | |
| ო | დ | ი | ს | ე | ა | | | რ | | | მ | ი | ვ | ე | ნ | ე |
| | ი | | | ლ | | ბ | რ | ი | ლ | ი | | კ | | | ი | |
| | | ბ | რ | ო | ს | ე | | | | მ | ხ | ა | რ | ი | | |
| | | | | | | დ | ე | მ | ნ | ა | | | | | | |
| | | ხ | ა | რ | კ | ი | | | | მ | ი | დ | ი | ა | | |
| | მ | | | ა | | ა | ნ | ი | ს | ი | | ი | | | ს | |
| ხ | ა | ი | ა | მ | ი | | | ა | | | ა | ო | მ | ა | ე | ი |
| | ჭ | | | ი | | კ | ო | ნ | ტ | ო | | ს | | | ნ | |
| ჯ | ა | ნ | ა | შ | ი | ა | | უ | | ლ | ა | ვ | ო | ნ | ი | ა |
| | რ | | | ვ | | ლ | | ს | | თ | | უ | | | ო | |
| | ი | | | ი | | ა | | ი | | ი | | რ | | | რ | |
| ა | ნ | ა | | ლ | ო | ტ | ი | | ი | ს | ლ | ი | | ვ | ი | ე |
| | ი | | | ი | | ი | | | | ი | | ა | | | ა | |

# იუმორი

მასწავლებელი:

— ვის შეუძლია მიჩვენოს ამერიკა?

ბონდო მიდის რუკასთან და უჩვენებს ამერიკას.

— ახლა, ბავშვებო, მითხარით, ვინ აღმოაჩინა ამერიკა?

ბავშვები (ერთხმად):

— ბონდომ!

☺

— იცი, შვილო, შენს ასაკში ნაპოლეონი თავის კლასში პირველი მოწაფე იყო.

— მე ისიც ვიცი, მამა, რომ შენს ასაკში ნაპოლეონი უკვე იმპერატორი იყო.

☺

ფილმისათვის „წიგნი ფიცისა" კახეთში ეძებენ ერეკლე მეფის როლის შემსრულებელს. მოიყვანეს ერთი. მოეწონათ, მაგრამ იგი უარს ამბობდა თამაშზე. მიეძალნენ, კარგ გასამრჯელოსაც დაპირდნენ.

— კარგი, ვითამაშებო, — დათანხმდა კახელი, — ოღონდ აქედანვე იცოდეთ,ი რაღაც გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელს არ მოვაწერ.



ვახტანგ ქუცია

☺

ძველი საბერძნეთის ფერმწერმა ზევქსისმა იმდენი ოსტატობით დახატა ყურძენი, რომ ჩიტები მოფრინდნენ და კენკვა დაუწყეს ყურძნის მარცვლებს. დაინახა რა ეს ფერმწერმა პარაზიასიმ, თქვა, რომ იგი გაცილებით უკეთეს სურათს დახატავს.

სულ მალე პარაზიასიმ ზევქსისს მოუტანა თავისი ნაწარმოები. ზევქსისმა სურათი რომ დაინახა, შეჰყვირა:

— სასწრაფოდ მოხსენი ფარდა! მაჩვენე დაფარული შენი სურათი!

— სწორედ ეს არის ჩემი სურათი! — უპასუხა პარაზიასიმ, — მე ფარდა დავხატე.

— შენ გაიმარჯვე, — აღიარა ზევქსისმა, — მე ჩიტები მოვატყუე, შენ კი მხატვარი.

☺

როდესაც ამერიკელებმა პანამის არხი ჩაიგდეს ხელში, ამის შესახებ შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თეოდორ რუზველტმა განაცხადა: „მე რომ ტრადიციული მეთოდები გამომეყენებინა, შედეგი იქნებოდა ნახევარი საუკუნე ლაქლაქი და მხოლოდ ამის შემდეგ პანამის არხი... მე ვარჩიე პირველად პანამის არხი, ხოლო ამის შემდეგ — ნახევარი საუკუნე ლაქლაქი."

☺

ერთხელ ირანის მბრძანებელმა ფათალი-შაჰმა ქართული წარმოშობის სპარსელ პოეტს ნეშათი გურჯის თავისი ლექსები გააცნო და:

— როგორია, — ჰკითხა.

ნეშათის შაჰის ლექსები არ მოეწონა, ტყუილის თქმა არ იკადრა და პატრონს პირში მიახალა — არვარგაო. შაჰი განრისხდა და ნეშათი თავლაში დაამწყვდევინა.

გამოხდა ხანი. მეფემ კვლავ იხმო ნეშათი და წაუკითხა მისი აზრით თავისი საუკეთესო ლექსი. კითხვა რომ დაამთავრა, გამარჯვებულის იერით გადახედა მსმენელს. ნეშათი წამოდგა და კარისკენ უხმოდ გაემართა.

— სად მიდიხარ? — მიაძახა შაჰმა.

— თავლაში! — მიუგო ნეშათიმ.

ალექსანდრე მაკედონელს მეგობრებმა ჰკითხეს:

— ოლიმპიური შეჯიბრებების დროს სირბილში ხომ არ მიიღებთ მონაწილეობას?

— სიამოვნებით, — უპასუხა ალექსანდრემ, — თუკი ჩემი მოწინააღმდეგენიც მეფეები იქნებიან.

☺

რომაელი ლეცუციუს ვერაციუსი თავისებურად ირთობდა თავს. რომელიმე გამვლელის ქუჩაში ლაზათიან სილას უთავაზებდა, ხოლო მისი მონა მაშინვე უხდიდა დაზარალებულს მსგავსი დანაშაულისათვის დაწესებულ ფულად ჯარიმას — 25 ასს.

☺

ისტორიის გაკვეთილს მეთოდისტი ესწრება.

— ვინ აიღო რაიხსტაგი? — ეკითხება იგი მოსწავლეს.

— მე არა, პატივცემულო, — ატირდა ბავშვი.

მასწავლებელი უხსნის:

— ეს კარგი ბავშვია, კარგი ოჯახის შვილი, ეს მაგის გამკეთებელი არ არის.

გაოგნებული მეთოდისტი დირექტორთან შევარდა.

— ეს საქმე მე მომანდეთ, მე გავარკვევ, თუ ვინმემ რამე აიღო, გარწმუნებთ, უკანვე დავაბრუნებინებ, — „დაამშვიდა" მეთოდისტი დირექტორმა.

☺

შვილი არქეოლოგ მამას:

— რამდენი წლისა იქნება ეს მუმია, მამიკო?

— აბა როგორ ვითხრა, შვილო, ქალი არასოდეს არ არის იმ წლოვანებისა, რამდენიც შეიძლება მისცე.


ვახტანგ ძუწუა

ფრანგი პოეტი პიერ დიუპონი სადგურ დიჟონში ვაგონიდან ჩამოვიდა, ვაგზლის რესტორანში ვისადილებო. ადვილად რომ ეპოვა თავისი ვაგონი, მის ნომერს დააკვირდა — 1492.

— ძალიან კარგი, — გაიფიქრა მან,— ამის დავიწყება არ შეიძლება! ეს ხომ ამერიკის აღმოჩენის თარიღია?!

როცა დაბრუნდა, დაავიწყდა ნომერი. მაშინ ბატონი დიუპონი მიუბრუნდა გვერდით მდგომ მოხელეს და ჰკითხა:

— დიდი ბოდიში, ბატონო, ხომ ვერ მეტყოდით, როდის აღმოაჩინეს ამერიკა?

☺

პროფესორი:

— ვატყობ, თქვენთან არაფერი გამოვა. თქვენი ხნისა რომ იყო, ალექსანდრე მაკედონელმა მაშინდელი მსოფლიოს ნახევარი დაიპყრო და დაიმორჩილა.

— იმას მასწავლებლად არისტოტელე ჰყავდა, პატივცემულო!

მოამზადა კობა ბედოიძემ.

# ისტორიკოსები მეგობრულ შარჟებში

„ართანუჯის" სტუმარია

მხატვარი ვახტანგ ჩუცია

ეროვნული ბიბლიოთეკა



როინ მეტრეველი



მარიამ ლორთქიფანიძე



გურამ ლორთქიფანიძე



ოთარ ლორთქიფანიძე



ილია ტაბაღუა



გივი ჟორდანია



კარლო მუშკელიანი



შოთა ბადრიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ARTANUJI

The scientific-popular journal of young historians

Georgia, Tbilisi, 1994, N2-3

სატიტულო ფურცელი შეასრულა მხატვარ-კალიგრაფმა ლევან ჩაჩანაძემ.

აიწყო და დაკაბადონდა კორპორაცია „ძალუელას“ კომპიუტერულ ცენტრში.
გიორგი ცაბაძის 6.

---

დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთების პოლიგრაფკომბინატ „პრესის“ სტამბაში.
მერაბ კოსტავას 14.
შეკვეთა № 371.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ეროვნული
ბიბლიოთეკა